

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-ი  
1987

ისტორიის  
არქეოლოგიის  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

2. 1987

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა  
და ხელოვნების ისტორიის სერია, 1987, № 2

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე  
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ისტორიის, არქეოლოგიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი  
ТБИЛИСИ

2. 1987

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს  
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца

**ს ა რ ე დ ა კ ც ი ი კ ო ლ ე გ ი ა :** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ო. გივინი-  
შვილი, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე  
(რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), ა. რობაქიძე, გ. ჩიტაია,  
ლ. ჭილაშვილი.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Д. Итони-  
швили, О. И. Гигинейшвили, Ю. М. Качаравა (зам. редактора), Р. К. Кикнадзе  
(зам. редактора), Г. А. Меликишвили (редактор), А. И. Робакидзе, Л. А. Чилашвили,

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე  
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაცემა წარმოებას 7.04.87; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.06.87;  
ინაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; პირობ. ნაბეჭდი 15;  
პირ. საღ. გატარება 15,4; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 11;

უე 04482; შეტ. 1305; ტირაჟი 1000;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

✱

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

✱

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

67581

შინაარსი

წერილები

- 1 ჩაფიქში, ეროვნული კულტურათა დაახლოების პრობლემების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა . . . . . 5
- 2 ნაცვლიშვილი, ეპისტოლური წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ . . . . . 14
- 3 გომეზრამი, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლში ბრძოლის ისტორიიდან IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში . . . . . 30
- 4 ციხეაშვილი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი V—X საუკუნეებში . . . . . 42
- 5 არაბაშიძე, „ქართლის ცხოვრების“ პირველი შატაიანის საკითხისათვის . . . . . 59

5  
14  
30  
42  
59

ცნობები და შენიშვნები

- 1 შარიძეძე, ბორჩალოს მარხის სამრეწველო საწარმოთა ისტორიიდან . . . . . 77
- 2 შაჟულაშვილი, ძველი თბილისის ისტორიიდან . . . . . 88
- 3 გომოლაძე, „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის წყაროსა და მისი გაგებისათვის . . . . . 91
- 4 გვასალია, საქართველოს ტერიტორია XVII საუკუნის თურქეთის იმპერიის ევროპულ რუკებზე . . . . . 100
- 5 კვიციანიშვილი, მცირე შენიშვნა ერთი ისტორიული წერილობითი წყაროს გააზრებისათვის . . . . . 109
- 6 მიზანდარი, ძალისის მოწაიკის დათარიღებისა და მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობისათვის . . . . . 118
- 7 ჰმიდშიძე, შრომითი ურთიერთდახმარება სახლის მშენებლობაში . . . . . 138
- 8 ბალაბანოვი, მ. ბაფრინაშვილი, ძველბერძნული ქალაქების პიტიუნტისა და დიოსკურიის ადგილმდებარეობის საკითხისათვის . . . . . 151
- 9 ლიჩაილი, კულტურული ფენის ნაჭერობა . . . . . 160

77  
88  
91  
100  
109  
118  
138  
151  
160

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

- 1 ალასანი, ფუანშერ ჭუანშერიანი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, რუსულად თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. წულაია . . . . . 167

ძრონიკა და ინფორმაცია

- 1 პატარძიძე, აკადემიკოს იოსებ ორბელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია ლენინგრადში . . . . . 170
- 2 ცაგარეიშვილი, ნ. ყიფიანი, ეთნოგრაფთა VIII რესპუბლიკური სესია . . . . . 172
- 3 ტაბაღაძე, ვ. ჩოჩია, სერგი სამსონის ძე მამულია (ნეკროლოგი) . . . . . 175
- ახალი წიგნები . . . . . 175

საქ. სსრ-ის მარქსისტულ-ლენინისტური პარტია

## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

Н. С. ЧАПИДЗЕ, Современное состояние изучения проблем сближения национальных культур	5
Н. Д. НАЦВЛИШВИЛИ, Эпистолярные источники о социально-экономическом положении Грузии	14
А. А. БОГВЕРАДЗЕ, Из истории борьбы в доме Багратионов Тао-Кларджети в последней четверти IX века	30
М. А. ЦИХЕСАШВИЛИ, Чечено-Ингушетия в V—X вв.	42
Г. М. АРАХАМИЯ, К вопросу об объеме первой летописи «Картлис цховреба»	59

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Т. Д. ШАРИКАДЗЕ, Из истории промышленных предприятий Борчалинского уезда	77
Г. Н. ШАКУЛАШВИЛИ, Из истории старого Тбилиси	88
Д. А. ГОГОЛАДЗЕ, Об источнике и правильном понимании одного места «Картлис цховреба»	91
Дж. Г. ГВАСАЛИА, Территория Грузии на европейских картах Турецкой империи XVII века	100
Л. С. КВИРИКАШВИЛИ, Краткая заметка к осмыслению одного исторического письменного источника	109
М. Г. МИЗАНДАРИ, К вопросу о датировке и художественно-историческом значении мозаики Дзалиси	113
Б. О. ГДЗЕЛИДЗЕ, Трудовая взаимопомощь в домостроительстве	138
И. П. БАЛАБАНОВ, М. В. ГАПРИНДАШВИЛИ, К вопросу о местоположении древнегреческих городов Пйтиунт и Диоскурия	151
В. Т. ЛИЧЕЛИ, Насыщенность культурного слоя	160

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Г. АЛАСАНИЯ, Джуаншер Джуаншеряни, Жизнь Вахтаंगा Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Сулая	167
--	-----

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Л. А. ПАТАРИДЗЕ, Научная сессия, посвященная 100-летию со дня рождения академика И. А. Орбели в Ленинграде	170
Т. Ш. ЦАГАРЕИШВИЛИ, Н. Т. КИПИАНИ, VIII Республиканская сессия этнографов	172
И. М. ТАБАГУА, В. Г. ЧОЧИА, С.С. Мамулия (некролог)	174
Новые книги	176

# წ ე რ ი ლ ე ბ ი

მაისი 1987 წ. № 2

წელი ჩაზიმა

## ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, როდესაც თანამედროვეობის ხორციელდება ლენინური ეროვნული პოლიტიკა — ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სრულყოფის ამოცანები, სკკპ XXVII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წ. იანვრის პლენუმის მიერ დასახული.

სკკპ XXVII ყრილობის ტრიბუნებიდან საკმაოდ გარკვეულად ითქვა, რომ თანამედროვე ეტაპზე ახალი პრობლემები და ამოცანები დგას ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საქმეში. ეროვნული საკითხი, როგორც ცნობილია, განიცდის დროის გავლენას ერებისა და ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების მიმართულებით.

დღეს შეუძლებელია ამა თუ იმ ეროვნული კულტურის განვითარების პროცესის შესწავლა ისე, თუ არ გავითვალისწინებთ მრავალეროვნულ საბჭოთა კულტურაში მიმდინარე საერთო პროცესებს.

საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობა უფრო მკაფიოდ აჩვენს ეროვნულ კულტურათა თავისებურებებს და ამავე დროს ამ თავისებურებათა ნიველირებით ეროვნულ კულტურებს, მაგრამ ნიველირების პროცესი არ შლის თითოეულ კულტურათა ეროვნულ სპეციფიკას.

კულტურის კვლევის სფერო უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე საკმაოდ გაფართოვდა. ამაზე მეტყველებს ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასასრულს დაწყებული დისკუსიები „ეროვნული ფორმისა“ და „მხატვრული შინაარსის“ შესახებ; აგრეთვე 60-იან წლებში მიმდინარე დისკუსიები „ეროვნული ხასიათის“, „ხალხურობის“, „ინტერნაციონალურისა და „ეროვნულის“ თანაფარდობის“ და სხვათა შესახებ.

ბევრი საინტერესო მასალა გამოვიწინდა და არაერთი საინტერესო პრობლემა იქნა დაყენებული და ასე თუ ისე გადაჭრილი ლენინური ეროვნული პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე, რომელიც თბილისში ჩატარდა. კონფერენციის რეკომენდაციებსა და დასკვნებს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდათ იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის. ამ მიმართულებით აგრეთვე დიდი როლი შეასრულა საქართველოს იდეოლოგიურ მუშაკთა 1982 წლის II თათბირ-სემინარმა, რომელიც მიემდგვნა ახალგაზრდობის პატრიოტულსა და ინტერნაციონალისტურ აღზრდას. კონფერენციის თემა იყო: „მიზანი — აღზარდოთ მტკიცე, პატრიოტ-ინტერნაციონალისტები“.

აღნიშნულ სიმპოზიუმებსა და დისკუსიებში თანამედვერული მეცნიერული კამათის შედეგად რამდენადმე შეიცვალა საკითხისადმი მიდგომის ზოგერთი ასპექტი. ბევრი პრობლემა დაზუსტდა. ბევრიც ახალი იქნა წამოყენებული და დასაბუთებული, რაც საბოლოოდ, საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების წინსვლის უთუო მაუწყებელია. ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული გამოკვლევებიდან საყურადღებო დასკვნებს შეიცავს აკადემიკოს მ. კიმიის ნაშრომი „სოციალისტური კულტურის სტრუქტურა და ფუნქციები“. მასში თანამედვერულად არის ჩამოყალიბებული მატერიალურ და სულიერ სფეროში ადამიანისა და საზოგადოების კულტურული მოღვაწეობის სოციალისტური ფორმები და მეთოდები, კერძოდ, ორი კულტურის — ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთგამდინარების ისტორიული კანონზომიერება. ამასთან ერთად მ. კიმი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ბოლო პერიოდში ბევრი ავტორი წინა პლანზე აყენებს კულტურის, როგორც ადამიანთა მოღვაწეობის სფეროს კვლევის საკითხებს, რაც ხელს უწყობს კულტურის დეფინიციის ობტიმალური ვარიანტის გამომკვევას. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 1966 წელს იუნესკოს არსებობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ დეკლარაციაში საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის პრინციპების შესახებ, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული, ხაზგასმით აღინიშნა კულტურის არსისა და წინაარსის ღრმად და ყოველმხრივ შესწავლის საჭიროება. მაგრამ ამ მიზნით დეკლარაციის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების შესრულება ფრიალ საპასუხისმგებლო და ძნელი აღმოჩნდა.

სწორედ ამ სირთულისა და სიძნელის გამო ეროვნული კულტურის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებაში დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ბევრი პრობლემა საკამათოა დღესაც.

მ. კიმი გვთავაზობს კულტურის განმარტების შედარებით დაზუსტებულ ვარიანტს: „კულტურა არის საზოგადოების სულიერი ცხოვრების ისტორიულად განსაზღვრული მიდგომარეობა, განპირობებული მატერიალური წარმოების წესით, ადამიანის შემოქმედებითი ძალების განვითარების დონით, სულიერ ურთიერთობათა ტიპით, ადამიანთა მოღვაწეობის ორგანიზაციის ფორმით, თაობების მიერ შექმნილი და დაგროვილი სულიერ ფასეულობათა სავანძურით; ადამიანის მიერ მისი ათვისების ზომით“<sup>1</sup>. ამ განსაზღვრებაში საკმაოდ სრულყოფილად არის მოცემული ადამიანის აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფორმების თითქმის ყველა სახე.

კულტურა რთული, მრავალკომპონენტური და ამავე დროს ერთიანი სისტემაა. მის სტრუქტურაში გამოიყოფა თავისი გენეტიკური ბუნებით, დანიშნულების ფუნქციებით და სხვა პარამეტრებით განსხვავებული ელემენტები, რომლებიც კანონზომიერი ურთიერთკავშირით ერთიან სისტემად გვევლინება. რასაკვირველია, კულტურის ფენომენის — როგორც ერთიანი სისტემის კვლევა ერთობ რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. სწორედ ამიტომ კულტურის სისტემის დახასიათებაში ზშირად ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა, თუ შეიძლება ითქვას, ისეთი სისტემური მოდელები, რომლებიც არა თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ სრულიად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

<sup>1</sup> Ким М. П. Структура и функции социалистической культуры, «Общественные науки», 1985, 33- 68.



ბეგრ ავტორს მიაჩნია რომ კულტურა, როგორც დამოუკიდებელი სისტემა თავის თავში მოიცავს რიგ ქვესისტემას<sup>2</sup>.

საქმის ასე გართულება და რალაც ქვესისტემების ძიება ხელოვნურად, ცოტა გადაჭარბებულად მიაჩნია ბეგრ თანამედროვე მკვლევარს. მით უმეტეს თავის დროზე ენგელსმა საკმაოდ გამოკვეთილად გამოჰყო კულტურის შემადგენლობაში 3 ძირითადი სტრუქტურული ელემენტი: მეცნიერება, ხელოვნება და ადამიანთა ურთიერთობის ფორმები (ძირითადად ზნეობრივი ურთიერთობის ფორმები).

ჩვენი აზრით, სრულიად საკმარისია აღნიშნული სამი კომპონენტი — მეცნიერება, ხელოვნება და მორალი საზოგადოების სულიერი ცხოვრების დასახასიათებლად.

კულტურა სოციალური მოვლენაა და სხვა სოციალურ მოვლენებთან ერთად ისიც იცვლება და ვითარდება. განვითარების შედეგი მარტო ის კი არ არის, რომ იქმნება ახალი კულტურული ღირებულებანი, არამედ ისიცაა, რომ რაც ერთ დროს მაღალღირებულად ითვლებოდა, განვითარების შედეგად დრომოჭმულად და მნიშვნელობა დაკარგულად ცხადდება. ნამდვილი განვითარების დედააზრი პიროვნების შესაძლებლობათა სრული გაშლა, მათი მარტქსიმალური რეალიზაციაა. ადამიანი პირველ რიგში, შემოქმედია და შემდეგ მომხმარებელი. მთავარი და არსებითი, რაც ადამიანს ახასიათებს, ის არის, რომ იგი თავის ყოფიერებას თვით ქმნის. იგი ერთადერთი არსებაა სამყაროში, რომელიც თვითყოფიერებისკენ მიისწრაფვის. ამიტომ კულტურაც ადამიანის თვითყოფიერების გამოვლენაა.

დიდი ხნის განმავლობაში კულტურაში მხოლოდ საზოგადოების სულიერ ცხოვრებას ვულისხმობდნენ. ასეთი მიდგომით, როგორც ცნობილია, მთლიანად გამოირიცხება მთელი მატერიალური და პოლიტიკური კულტურა. ასეთ შემთხვევაში ყოვლად გაუგებარი იყო რისთვის უნდა მიგვეკუთვნებინა შრომის, ყოფისა და მართვის კულტურა.

დღეისათვის საბჭოთა მეცნიერების შეხედულება კულტურაზე, როგორც საზოგადოებრივ სისტემაზე, რომელიც საზოგადოების მოღვაწეობის ყველა მხარეს მოიცავს, მთლიანად ჩამოყალიბებულია. იგი ემყარება კულტურის არსის განსაზღვრის ლენინურ კონცეფციას. ნ. კრუპსკიამ შესანიშნავად გამოთქვა ეს აზრი: „ვლადიმერ ილიას ძეს მიაჩნია, რომ კულტურა არ არსებობს იზოლირებულად, დროისა და სივრცის გარეშე. იგი კულტურას განიხილავს ცხოვრების ყველა მხარის ურთიერკავშირში“<sup>3</sup>.

ამასთან დაკავშირებით მეცნიერება გამოჰყოფს სამ ძირითად ნაწილს: მატერიალურს, სულიერსა და პოლიტიკურ კულტურას. საფულისხმოა, რომ ყოველ მათგანს რთული აღნაგობა აქვს და მოიცავს მთელ რიგ ელემენტებს. ყოველი მათგანი თავის დინამიკურ განვითარებაში დაკავშირებულია, როგორც გარე სამყაროს გარდაქმნასთან, ასევე ადამიანის განვითარებასთანაც: ვარდა ამისა, ამ სამ ნაწილს საკუთარი სპეციფიკაც ახასიათებს, რომელიც დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში.

<sup>2</sup> იხ. «Изучение истории культуры, как системы», Новосибирск, 1983, გვ. 46.

<sup>3</sup> Н. К. К р у п с к а я, «Ленинские установки в области культуры, как социального явления», «Философские науки», № 2, 1974, гв. 27—28.

ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ბევრი იწერება პოლიტიკურ კულტურაზე. და ეს გასაგებიცაა, რადგან იგი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ადამიანის სულიერი სამყაროს, მისი მსოფლმხედველობის და შეხედულების შეფასებისათვის.

პოლიტიკა — ეს არის კლასების ურთიერთობა, ხოლო პოლიტიკური აზროვნება ამ ურთიერთობის ასახვაა.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ პოლიტიკური კულტურის მიზანია ჭეშმარიტი კომუნისტების აღზრდა, მათი გამარჯვება სიცრუესა და ბოროტებაზე, დახმარება მშრომელებისადმი ძველი წესების წინააღმდეგ ბრძოლაში და ბოლოს, სახელმწიფოს მშენებლობა კაპიტალისტებისა და ექსპლუატატორთა გარეშე. საბჭოთა მოქალაქის პოლიტიკური კულტურა ვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი მოწაწილეობის მასშტაბში.

პოლიტიკურ კულტურასა და მისი პარტიულობაში სრულ გამოხატულებას პოულობს ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის იდეური არსი. ხელოვნების პარტიულობის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული შემოქმედის, მხატვრის მსოფლმხედველობასთან, რომელიც შეპირობებულია მოწინავე საზოგადოებრივი იდეალებით, ისტორიული განვითარების პერსპექტივების გავებით და იდეური პოზიციის სიცხადით.

უკანასკნელ პერიოდში მეტად თვალსაჩინო წარმატებები ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში, რაც იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობაზე მიგვიითითებს და აშკარას ხდის მის ორგანულ კავშირს ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან, სულ უფრო მზარდ და რთულ ამოცანებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „ახალი ღირებულებებით საზოგადოების სულიერი ცხოვრების გამდიდრებაში, საბჭოთა ადამიანის იდეურ და ზნეობრივ ამაღლებაში დიდია ლიტერატურისა და ხელოვნების როლი. შემოქმედებითი ინტელიგენცია დიდი ავტორიტეტითა და აღიარებით სარგებლობს. მაგრამ ეს განაპირობებს მათს უდიდეს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე“.

სოციალისტური საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალი, საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრება, მისი მდიდარი კულტურა სულ უფრო და უფრო დიდ ზემოქმედებას ახდენს კომუნისტების მშენებლობის დაჩქარებაზე.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შემდგომი განვითარება, ერების დაახლოების ინტერესები მოითხოვს საბჭოთა მოქალაქის პოლიტიკური კულტურის შემდგომ ამაღლებას, კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებულ თვითგანმწმენდის პრინციპისადმი აქტიურ მხარდაჭერას, სიმართლის, სიკეთისა და მშვიდობის იდეალებისადმი მხარდაჭერას.

ერების დაახლოება განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს კულტურის სფეროში, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. ეროვნული კულტურის ფორმისა და შინაარსის ინტენსიური ურთიერთობა, ხელს უწყობს ეროვნულ კულტურათა ურთიერთგავლენას და ურთიერთგამდიდრებას.

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა გვქონდეს ერების დაახლოებასა და ურთიერთგამდიდრების ობიექტურად მიმდინარე პროცესზე, პირველ რიგში საჭიროა, ერის ცნების შინაარსის დადგენა, რადგან ადამიანის კულტურა არ არსებობს იმ გარკვეული წესის გარეშე, რასაც ეროვნულობას ვუწოდებთ.

ერის სპეციფიკის გააზრება საჭარბველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გააქტიურდა. სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ილია

ჭავჭავაძის დეაწლიც საკმარისია აღნიშნულის საილუსტრაციოდ; დიდმა ილიამ საკმაოდ ფუნდამენტურად დამუშავა ეროვნული ყოფისა და სპეციფიკის საკითხები.

ილია ჭავჭავაძემ ერის საკითხი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუკავშირა. ეროვნული თვითმყოფადობის იდეა ხალხის ყოფა-ცხოვრების, საზოგადოებრივი ურთიერთობის გაუმჯობესების იდეაში ჩააქსოვა. იგი წერდა: „ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებულ ქართველსათვის იცოდეს, — რაგვარ და რომელ ჩვეულებას მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიკურ და იურიდიულ ურთიერთობაში. ეს სფერო ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დავგანახებ ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულების სიმართლეზედ, ერთურობის დამოკიდებულებაზედ“<sup>4</sup>. ამ თეზისი ილ. ჭავჭავაძემ სავსებით გარკვევით ჩამოაყალიბა ქართული ეთნოსის ინდივიდუალობის და ბუნებრივია, ამასთან, ყოფაცხოვრებითი თავისებურების არსი<sup>5</sup>.

ეროვნული პრობლემებით დაინტერესება განსაკუთრებით გააქტიურდა XX ს-ის 20—30-იან წლებში, როდესაც ეროვნულ სპეციფიკაზე ყურადღება გაამახვილეს. ს. დანელიამ, კ. კაპანელმა, ნ. მიწისვილიმა, გ. ქიქოძემ და სხვ.

უკანასკნელ წლებში ეროვნულ პრობლემებს იკვლევენ დ. ჩხივიშვილი, ნ. ჭავჭავაძე, გ. ბრეგაძე, დ. მასისურაძე, გ. ციციშვილი ავ. სურგულაძე, გ. ასათიანი, ო. ჯიოვი, დ. ქერქაძე, გ. ნოღია, და სხვ.

განსაკუთრებით მინდა შევჩერდე გ. ასათიანზე რომელმაც თავისი ნაშრომით საკმაოდ გაამდიდრა ეროვნული კულტურის კვლევის სფერო.

გურამ ასათიანის „თანამდევნი სულები“ XIX—XX სს. ქართული კულტურის თავისებური ისტორია; გ. ასათიანის მონოგრაფია „ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების შესახებ“, ეროვნული კულტურის მრავალსახოვანი ფორმების სოციალურ-კულტურული ფესვების ძიებისა და მისი სიღრმისეული ჩაწვდომის საუკეთესო მაგალითია.

გ. ასათიანი მისთვის დამახასიათებელი მოკრძალებით იწყებს საუბარს ეროვნული კულტურის ძიების სირთულეზე: „მაგვარი პრობლემის დასაძლევად საჭირო იქნებოდა სულ ცოტა ივ. ჯავახიშვილის მასშტაბის რამდენიმე მეცნიერის (ისტორიკოსის, ფილოსოფოსის, სოციოლოგის, ანთროპოლოგის, ეთნოგრაფის, ლინგვისტის, ხელოვნებათმცოდნის, ლიტერატურათმცოდნის და სხვ.) შეთანხმებული შრომა“.

ივ. ჯავახიშვილის მასშტაბის არა, მაგრამ უტყუარი ფაქტია, რომ ქართველ მეცნიერ-მკვლევართა საკმაოდ დიდი ჯგუფი (სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები) თანამიმდევრულად იკვლევენ ქართული ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვან მდიდარ მემკვიდრეობას, აღმანახ „კრიტიკაში“ დიბეჭდა გ. ნოღიას სტატია „ეროვნული ფენომენის შესახებ“. სადაც საკმარის დამაჯერებლად არის ჩამოყალიბებული და გააზრებული ქართული ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის საკითხი. განსაკუთრებით კარგად არის წარმოჩენილი ქართული ხასიათის ბუნება. „ეროვნულს რომ ვამბობთ, — წერს დასახელებული მკვლევარი, — ვგულისხმობთ ერთოვნულ თავისთავადობას, უჩიკალობას, განუმეორებლობას. თუ დავუშვებთ, რომ ეროვნულის ადგილსამყოფელი არის სოციალური, და რომ ერის ერთად ჩამოყალიბებას განაპირობებს

4 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1950, ტ. 6, გვ. 191—192.

5 აღ. რომაქიძე, ტრადიცია და ცხოვრების წესი, თბ., 1981; გვ. 8.

ზემოაღნიშნული ოთხი ფაქტორი, მაინც დავსვათ 'კითხვა: ერის ამ კომპონენტებიდან რომელია ის, რომელშიც ეროვნულის უნიკალობა მდგომარეობს?''.

„ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ საქმეს, — განაგრძობს ავტორი, — აღმოჩნდება, რომ ერის ცნების... ოთხი ნიშანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვადასხვა რანგისაა. ეს ნათლად აქვს ნათქვამი ნიკო ჭავჭავაძის: „კულტურის ერთობა უბრალოდ ერთ-ერთი არსებითი ნიშანი კი არ არის ცნებისა, არამედ კულტურის ფილოსოფიის ჰვალსაზრისით, [უბრსებთიესი, ერის] როგორც ასეთის მაფორმირებელი ერის ცნების ყველა სხვა ნიშანი... ასახავს აუცილებელ პირობებს რომელთა ძალითაც ისტორიულ დროში ერთმანეთის შემცვლელადამიანთა თაობები, გარკვეულ გეოგრაფიულ რეგიონში რომ ბინადრობენ, ერთმანეთისათვის ვასაგებ ენაზე ლაპარაკობენ და მეურნეობრივ-ეკონომიკურად ერთმანეთს უკავშირდებიან, ერთიან კულტურულ-ეროვნულ ორგანიზმად მთლიანდებიან“<sup>6</sup>.

როგორც ვხედავთ, გ. ნოღიას ეროვნული ფენომენის, როგორც უნიკალურის, განუმეორებელის ადგილსამყოფელად ერის ცნების „მეთხე ნიშნად“ წოდებული რეალობა — ფსიქიკური წყობა მიიჩნია, ე. ი. ეროვნულის გაგება ფსიქიკურამდე დაჰყავს. „ისტორიას აქვს თავისი სამყაროს ცენტრები, — სწერს გ. ნოღია, — საზრისეული „შენადედები“, რომელთაც ტრადიციებს ვუწოდებთ. ტრადიციებიც ფართოდ უნდა გავიგოთ: არა მხოლოდ როგორც ქვეყნის წესები, გარკვეული რიტუალები... არამედ როგორც ყოველივე ის, რაც თაობიდან თაობაში გადადის არა ბიოლოგიური, არამედ კულტურული მემკვიდრეობითობის გზით. ტრადიცია ამ აზრით, ერში გაბატონებული მორალური ნორმები, წარმოდგენები“. როგორც ვხედავთ, გ. ნოღიას „მეთოდოლოგიური შენიშვნებს“, გარკვეული სიახლე, სინათლე შეაქვს ეროვნულ პირობე-მატიკის სიღრმისეულ კვლევაში.

რადგან ეროვნული კულტურის ზოგადი არსი, ასე თუ ისე მაინც გაირკვა, ისევ დავუბრუნდებით უშუალოდ საკვლევ თემას და შევეცდებით ზოგად ხაზებში წარმოვადგინოთ ეროვნულ კულტურათა დაახლოების პრობლემის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა. ეს საკითხი ყველაზე უკეთაა შესწავლილი პროფ. გ. ლომიძის შრომებში. მისი ყველა ნაშრომი ყურადღებას იმსახურებს საბჭოთა ლიტერატურის მაღალ იდეურობით, ხალხურობით და პრინციპულობით. გ. ლომიძის ნაშრომთაგან აღსანიშნავია: „ეროვნული კულტურის ლენინური კონცეფცია“, „ინტერნაციონალურისა და ეროვნულის ერთიანობა“, „რა არის ზოგადსაკაცობრიო?“, „ხალხური და ეროვნული“, „ეროვნული ცნობიერება, ეროვნული ენა, კულტურათა დაახლოება“, „ისტორიული მემკვიდრეობითობა“, „სოციალისტური რეალიზმის შესახებ“, „ეროვნული ხასიათის შესახებ“ და სხვ.

ამ ნაშრომებში ნათლად არის წარმოჩენილი საბჭოთა ეროვნული კულტურების განვითარების პერსპექტივები. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, თუ რაოდენი სიცოცხლისუნარიანობა შესწევს ეროვნულ ფესვებს, ეროვნულ ენერჯის და ეროვნულ ენას ეროვნულ კულტურათა თანამეგობრობაში.

<sup>6</sup> აღმანახი „კრიტიკა“, 1985, № 1—2, გვ. 100—101.

<sup>7</sup> იქვე.

გიორგი ლომიძე ჰაბუკობიდანვე მაღალნაყოფიერ მუშაობას ეწევა მოსკოვში, მაგრამ შეუხელებელი ინტერესით და დიდი სიყვარულით ადევნებს თავალ ქართული საბჭოთა კულტურის განვითარებას. თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით და პირადი მაგალითით იგი ხელს უწყობს ქართულ და მოძვე ეროვნულ კულტურათა დაახლოებას და ურთიერთგამდიდრებას.

ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრების საკითხზე ნაყოფიერად მუშაობს ლ. ნადირაშვილი, რომელიც იკვლევს ეროვნულ კულტურათა დაახლოების პრობლემას XX საუკუნის 20—30-იან წლებში. წარმატებით იკვლევდა ეროვნულ პრობლემათვისთან დაკავშირებულ საკითხებს პროფ. დავით მაისურაძე, რომლის ნაშრომებში გატარებულია ერთი მაგისტრალური ხაზი: სხვადასხვა ეროვნულ კულტურათა წარმატებანი მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის განვითარების მტკიცე საწინდარია.

მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის სტრუქტურა რთულია. მასში არსებობს ურთიერთობათა სხვადასხვა დონე და სხვადასხვა „შეხების წერტილები“, რომელიც ექვემდებარება დიალექტიკურად განვითარებად ერთობას. ყოველი ეროვნული კულტურა ობიექტურად არსებობს როგორც სუვერენული მთლიანობა და მრავალეროვნული ერთობის ორგანული ნაწილი.

გ. ტაბიძის არქივში ინახება პოეტის ერთი ჩანაწერი (რომელიც გ. ცხოვრებოშია გამოაქვეყნა) იგი ასახავს პოეტის მიერ კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს ხელოვნების ქმნილებათა არსის ჩაწვდომის დიდ უნარს. რომ შექმნა, წერს იგი, — რომ მოიმოქმედო რაიმე დიადი, საჭიროა მთელი ძალა სულისა ერთი წერტილისაკენ მიმართო. „...ტოლსტოი იმეორებს შიღერის ლექსის („სიფართოე და სიღრმე“) ამ აზრს ...ჩემის აზრითაც რაიმე დიადი რომ შექმნა უნდა გახდეს მთელი შენის არსებითი ნაწილი მეორე არსებული დიდისა... შეუცდომელი ინტელიცია თუ შეგაპლებინებს „დანახვასა და მტკიცედ შეგრძნებას ამ მეორე დიადისას“. ასე ესმოდა გ. ტაბიძეს სხვა შემოქმედლის მხატვრულ სამყაროში შეღწევის აუცილებლობა, როგორც სტიმული საკუთარი შემოქმედების განვითარებისათვის. ეს კი აშკარა დადასტურებაა კულტურათა ურთიერთგამდიდრების რეალურად არსებული პროცესისა.

კულტურულ მიღწევათა სესხება — გაზიარებისადმი თავისი შეხედულება ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერი წერდა: „...ამაში სათავილო არაფერია, პირიქით, კულტურის მიღწევათა გაზიარება ხალხის მაღალი ინტელექტის მაჩვენებელია ...რადგან მაღალ დონეს ვერ გაუტოლდება იგი თუ მისი სულიერი განწყობილება ამისათვის მომწიფებული არ იქნება“<sup>8</sup>.

კულტურული შემოქმედების აქტიური ფორმებია „მიბაძვა“, „დასესხება“, „შემოქმედებითი ათვისება“ და სხვ. ყველაზე მარტივი ფორმა კულტურულ ზეგავლენაში არის „მიბაძვა“. მას ხშირად იყენებდნენ კულტურული რევოლუციის პირველ ეტაპზე ისეთი ხალხები, რომლებიც პირები ნაბიჯებს დგამდნენ პროფესიული მხატვრული შემოქმედების უბანზე და ამით ეზიარებოდნენ მოწინავე ეროვნებათა კულტურულ მიღწევებს.

„დასესხება“ ძირითადად ენობრივი და ლიტერატურულ ურთიერთკავშირში უშუალო კონტაქტების შედეგად ჩორციელდება.

„კულტურათა ზეგავლენა“ გულისხმობს ისეთ შემოქმედებით ურთიერთგავლენას, რომელიც პოზიტიურად მასტიმულირებელ კვალს ტოვებს სულიერი ცხოვრების სფეროზე.

ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებაში, გააღრმავა ერებისა და ეროვნებათა კულტურული ურთიერთგემოქმედების პროცესი და იგი ახალ ისტორიულ ფაზაში შეიყვანა; სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ მიზანსწრაფვათა ერთობამ საბჭოთა ხალხი ობიექტური აუცილებლობის წინაშე დააყენა — სოციალისტური ერების მაღალი დონის შესაბამისად შეექმნა ერთიანი მსოფლმხედველობით გამსჭვალული მრავალეროვნული კულტურა.

სოციალისტური ერების კულტურული თანამეგობრობის შესწავლისათვის დუქმედბლური მნიშვნელობა აქვს კ. მარქსის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ახალ საზოგადოებაში „ძველად არსებულ ადგილობრივ ეროვნულ კარჩაეტილობას და საკუთარი წარმოების პროდუქტების ხარჯზე ცხოვრებას, ცვლის ერების ყოველმხრივი ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. ეს თანაბრად შეეხება როგორც მატერიალურ, ისე სულიერ წარმოებას. ცალკეულ ერთა სულიერი მოღვაწეობის ნაყოფი საერთო კულტურულივად იქცევა. ეროვნული ცალმხრივობა და შესუღუღულობა სულ უფრო შეუძლებელი ხდება“<sup>9</sup>.

სოციალისტური ერების კულტურული თანამშრომლობა ცოცხალი განახიერებაა კ. მარქსის უაღრესად მნიშვნელოვანი დებულებისა, რომ „ყოველ ერს შეუძლია ისწავლოს და უნდა ისწავლოს კიდევ სხვა ერისაგან“<sup>10</sup>.

იმპერიალიზმის, პროლეტარული რევოლუციისა და სოციალიზმის ეპოქაში მარქსიზმის იდეებმა კულტურისა და იდეოლოგიის დარგში, შემოქმედებითი განვითარება პოვეს ვ. ი. ლენინის ნაშრომებში, სკკპ საპროგრამო დოკუმენტები, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შრომებში და გამოცვლებში.

XX საუკუნის საზოგადოებრივმა განვითარებამ გამოავლინა კულტურის ტიპების მრავალგვაროვნება და მრავალსახეობა. დაგმობილ იქნა ე. წ. ეთნოცენტრიზმის ყველა სახე, როგორც ევროპული, ისე აზიური, წინ წამოიწია ურთიერთგემოქმედებისა და სინთეზის მნიშვნელობამ, როგორც კაცობრიობის კულტურის რეალურმა და კონკრეტულმა გამოხატულებამ.

დღეს საკამათო არ არის ის, რომ ეროვნული კულტურა თავისი შინაარსით ინტერნაციონალური განვითარების შედეგია; რომ მის სტრუქტურაში ღრმად არის ჩაბეჭდილი ურთიერთგემოქმედების კვალი, რომელსაც ესა თუ ის ხალხი სხვა ხალხისაგან ეზიარა.

აღამიანთა ეროვნულმა ერთობამ, საზოგადოებრივ და აღამიანთა ურთიერთობის ხასიათმა, ზნეობრივ-სოციალურმა ფორმებმა, ახალი თვისებები შეიძინეს. თვით ეროვნული ცხოვრების ატმოსფერო, მისი შინაარსი ხელს უწყობს ინტერნაციონალური მსოფლმხედველობის გამომუშავებას.

სოციალისტურ საზოგადოებაში ხდება ერთოვნულის ცნების აზრობრივი შეცვლა. იგი ახალ თვისებრიობას იძენს და სრულ ჰარმონიაში იმყოფება სოციალისტურ იდეალთან. ამიტომ „ეროვნული“ სრულიად არ უშლის ხელს ერების ურთიერთდაახლოებას. კულტურაში ხომ აღამიანის ცხოვრება, მისი მოღვაწეობის მრავალმხრიობა იგულისხმება.

ეროვნულ კულტურათა დაახლოებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენის დუნქციებს.

<sup>9</sup> К. Маркс и Ф. Энгелс, т. 4, гл. 428.

<sup>10</sup> კ. მარქსი, „კაპიტალი“, წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის.

ენას, როგორც კულტურის ნაწილს ზოგიერთი ავტორი სულიერი კულტურის შინაარსსაც აკუთვნებს. შინაარსის საკითხი კი სპეციალური კვლევის საგანია და ჯერ კიდევ საკამათოდ რჩება.

სოციალისტური ცხოვრების წესის ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც ხასიათდება ინტერნაციონალური ტენდენციების განუხრელი ზრდით, დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული თვითშეგნების სტრუქტურის დადგენას.

ლ. დრობიძევა („საბჭოთა ეთნოგრაფია“, 1986, № 5) ერთოვნული თვითშეგნების ზრდას კანონზომიერ პროცესად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ საკითხის შესწავლის დროს არ უნდა იქნეს დაშვებული მისი ჰიპერბოლიზაცია. იმისათვის, რომ ეს რთული პროცესი შევისწავლოთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ ამ პროცესის ფორმირების ბაზა და მექანიზმი; მისი ზრდისა და სტიმულირების შესაძლებლობის სიტუაციები, რომლებიც ხელს უწყობენ ეროვნულ თვითშეგნების განვითარებას და ამავე დროს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის გაფართოების სტიმულს წარმოადგენენ.

ლ. დრობიძევა განიხილავს იმ სოციალ-კულტურულ ფაქტორებს, რომელიც ამ სტიმულის წყარო და საფუძველი ხდება. ავტორი ამ ფაქტორებს განიხილავს კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის შუქზე და არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი შესწავლის მაღალი დონე. მისი აზრით ცხოვრების ტიპური პირობებისა და ურთიერთობის ნორმების ერთობლიობა თავის ადგილს იკავებს სოციალისტური ცხოვრების განვითარების პროცესში.

წარმოდგენილ ნაშრომს არა აქვს პრობლემის კვლევის შედეგების სრულყოფილად გაშუქების პრეტენზია. კულტურული პროცესის ისეთი მხარე, როგორცაა ურთიერთდაახლოება და ურთიერთგამდიდრება, თავისთავად ერთმანეთთან დაკავშირებულ რთულ და მრავალმხრივ პრობლემას შეიცავს და მისი ამომწურავი გაშუქება ერთ სტატიაში შეუძლებელია.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

## ნათელა ნაცვლიშვილი

### კონსტოლური წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

#### (გ. ჭილაძის წერილები)

საბჭოთა ისტორიკოსები, რომლებიც აგრარულ ურთიერთობას იკვლევენ, ორ საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებდნენ. ერთი მომხრენი იყვნენ იმისა, რომ საქართველოში ახალი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარება იწყება XIX ს-ის მეორე ნახევრიდან, მეორენი კი აღიარებდნენ ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის ნიშნების არსებობას ჯერ კიდევ XVIII ს-ის დასასრულს.

საერთოდ ყველა მკვლევარი ითვალისწინებდა იმ მიმე პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც შექმნილი იყო საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში, რაც, ხელს უშლიდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ეს პოლიტიკური ვითარება და დაუსრულებელი ბრძოლები შინ თუ გარეთ, ჩრდილავდნენ და შეუშინებდნენ ხდიდნენ იმ სიახლეებსა და ძვრებს, რომლებიც თავის ასახვას პოულობდნენ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

იმდროინდელი მასალები, ლიტერატურა, წყაროები უმთავრესად ასახავენ საქართველოს მიმე პოლიტიკურ მდგომარეობას.

ამიტომაც უაღრესად მნიშვნელოვანია პირადი წერილები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ეხება და ასახავს არა მარტო პოლიტიკურ მდგომარეობას, არამედ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტებს სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა.

ამ წერილების გაცნობის შემდეგ მკვლევრისათვის ცხადი ხდება, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება ახანიცილიდა იმ ძირეულ ცვლილებებს, რომლებიც საწინააღმდეგო ახალი ურთიერთობის განვითარებისა.

საერთოდ ცნობილია, რომ ამ დროისათვის განვითარდა ფულად-სასაქონლო ურთიერთობა, იზრდებოდა სავაჭრო კაპიტალი და მევახშეობა, რომელიც თავის მხრივ ძირს უთხრიდა, ფეოდალურ წყობილებას.

სწორედ ამ ვითარების ამსახველია არაგვის საერისთავოს მემატიონის გლახა ჭილაძის მეურნეობა, რომელიც ძირითადად ყმის შრომის შემოსავალზე დაფუძნებული, მაგრამ მემატიონე არ სჯერდება მხოლოდ ყმისაგან მიღებულ შემოსავალს და საკმაოდ აქტიურად ეწევა ვაჭრობას.

მის მეურნეობაში არსებული პროდუქცია მიდიოდა ბაზარზე — ეს იყო პური, ღვინო, საქონელი და სხვ. თვითონ ვაჭრობდა ბეწვეულით, ფართელეულით, ზოგჯერ მევახშეობასაც ეწეოდა. მისი შემოსავლიანობის შესახებ ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ხარჯებით, რომლებსაც ის ვაილებდა კოთხი ვაყის არსებითი სწავლისათვის და ათი მოსამსახურე ადამიანის მენახვისათვის პეტერბურგში. ამას ემატებოდა მეურნეობის მართვისათვის გაწე-



ული ზარბები, სადაც ის ძალიან ბევრ სამუშაოს ატარებს. მან კარგად იცის, რომ ფულით უფრო სარგებლიანია სამუშაოს შესრულება და რომ საჭიროა ამისათვის ვაჭრობის გზით მისი მოპოვება.

წერილებში ასახული ვითარების მეურნეობის შექმნისა და მართვის შესახებ მრავალრიცხოვანი მასალა მოიპოვება საქართველოს ისტორიულ არქივში, ძველი საბუთების ფონდებში.

მნიშვნელოვანი მოვლენაა ის, რომ შორეულ პეტერბურგში იძულებით გადასახლებული გლახა ჭილაძე არ წყვეტს ურთიერთობას თავის მამულთან და თავის მეურნეობასთან და წერილების საშუალებით აძლევს საჭირო განკარგულებებს მეურნეობაში დატოვებულ თავის მმართველს.

ამ წერილებში კარგად არის ასახული აგრეთვე მაშინდელი თავად-აზნაურობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა და მისი გრადაცია.

ჭილაძეთა ვეაი ცნობილი და მრავალრიცხოვანია საქართველოში. წარმოშობით ისინი დასავლეთ საქართველოდან — საჭილაოდან არიან და ეკუთვნებიან წარჩინებულ დარბაისელთა იმერეთისას.

საჭილაო შეძლებული და ძლიერი სათავადო იყო, რომლის ფლობისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ იმერეთის მეფე და სამეგრელოს მთავარი — დადიანი. ამიტომაც საბუთებში საჭილაო ხან იმერეთის ფარგლებშია, ხან სამეგრელოს შემადგენლობაში.

ჩანს, ასეთი დაუსრულებელი ბრძოლის შედეგი იყო, რომ ჭილაძის ქვრივი დარეჯანი და მისი ოთხი ვაჟი: გიორგი, ზურაბი, ბარათა და ვარსევანი — აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ და თავშესაფარი ითხოვეს.

ვახტანგ VI-ეს, როგორც მისი სიგელიდან ჩანს, მათთვის წარჩინებული თავადის წოდება არ მიუცია, სამეფო აზნაურთა რიცხვში ჩაურთხავს და სათანადო პატივით მიუღია (სცია, ფ. 1450, ს. № 82, დავთ. 47).

ამის შემდეგ ჭილაძენი არაერთხელ ცდილან თავადობის წოდების აღდგენას, მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია, ისინი ბოლომდე დარჩნენ სამეფო აზნაურებად.

თუ რატომ ვერ მიიღეს თავადის წოდება ჭილაძეებმა ერეკლეს დროს, ეს გასაგებია: მეფემ, რომელმაც მოსპო ერისთავთა ხელისუფლება არაგვისა და ქსნის საერისთავოებში, მათი ყმა-გლეხები სახასო გლეხებად გადააქცია და ამათ მეფის ხელისუფლებას ძალა შემატა. გავიხსენოთ ქსნის ერისთავებისა და ფიცხელაურების ბრძოლა, რომელიც იმით დამთავრდა, რომ თავადის აზნაური მეფის აზნაური გახდა.

რასაკვირველია, გლახა ჭილაძე უფრო ახლოს იყო თავადობასთან თავისი წარმოშობით და სოციალური მდგომარეობით, მაგრამ ძლიერი თავადის ყოლა, რომელიც ისეთი ერთგული აღარ იქნებოდა, როგორც მეფეზე დამოკიდებული აზნაური, ერეკლეს არ სურდა. რაც შეეხება რუსეთის ხელისუფლებას, რომლის დროსაც განაგრძობდნენ ჭილაძენი თავადობის მოპოვებისათვის ბრძოლას, მას კარგად ვერ გაეგო თავადისა და სამეფო აზნაურის მნიშვნელობა და განსხვავება. რუსეთის ფეოდალური ურთიერთობის მიხედვით თავადის აზნაური არ არსებობდა. რუსეთის ხელისუფლება აზნაურად თვლიდა დაწინაურებულ გლეხს. ამიტომაც მითითებდა აზნაურობის კეთილშობილი წარმოშობის გარკვევასა და დამტკიცებას.

გლახა ჭილაძე სამეფო აზნაურია, რომელიც უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაშია, ვიდრე თავადის აზნაური. ნაკლებად შეეფიქროებულობა, გადასახადებიც ნაკლები აქვს და უფრო ახლოა თავადობასთან, რომლის მოპო-

ეგებისათვისაც იღწვის ყოველი სამეფო აზნაური. გლახა ჭილაძეს თავადობის მოსაპოვებლად ყველაფერი აქვს — ქონება, სამსახური, მეფისაგან ყურადღება და კეთილგანწყობილება.

ქსნის საერისთაოს აზნაური ფიცხელაურები ცდილობენ ბრძოლით, სისხლის დათხევით მოიპოვონ სამეფო აზნაურის წოდება და, მართლაც, თეიმურაზ II-ემ ქსნის ერისთავების წინააღმდეგ ბრძოლაში, ფიცხელაურებს დამსახურებისათვის სამეფო აზნაურობა უბოძა. შემდეგშიც ბევრი ბრძოლა მოუხდათ ფიცხელაურებს ქსნის ერისთავების წინააღმდეგ, ვიდრე რუსეთის ხელისუფლებამ 1833 წელს არ გაათანაბრა ქართველი აზნაურები რუს აზნაურებთან. ასევე, ბაბანა ჭილაძეც იბრძოდა თეიმურაზ II-ის მხარდამხარ.

გლახა ჭილაძე კი მშვიდობიანი გზით, თხოვნისა და წყალობის სამშუალეობით ცდილობს თავადობის წოდების მიღებას. მას არ უჭირს ფიცხელაურებივით, რომლებსაც ერისთავები ავიწროებდნენ. აქაც ვლინდება მეფის აზნაურის წოდების უპირატესობა, რომლის პატრონი თვითონ მეფეა, დანტერესებული თავის აზნაურების გაძლიერებაში, მაგრამ არა მათი დამოკიდებულობისაკენ სწრაფვაში.

ჭილაძეების მოღვაწეობა, როგორც ზემოთ ვთქვით, უშედეგოდ დამთავრდა, არც რუსეთის ხელისუფლებამ მიანიჭა მათ თავადის წოდება. მათი შუამდგომლობა და თხოვნა ამის შესახებ სათავადაზნაურო საკრებულოს წარუდგინა 1821 წელს კონსტანტინე ჭილაძემ, სადაც იგი ვრცლად გადმოცემს თავისი ჯვარის გენეალოგიას.

ჭილაძეებისა და ფიცხელაურების ბრძოლა სოციალური აღზევებისათვის სათავადო სისტემისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ეს ბრძოლა განსაკუთრებით ძლიერდება XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის პირველ მეოთხედში, როცა ქართულ საზოგადოებაში სათავადო სისტემის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა იწყება (ერეკლე II) და რუსეთთან შეერთება კი ბოლოს უღებს სათავადოთა პოლიტიკურ სისტემას<sup>1</sup>.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში არსებული ფეოდალური ურთიერთობა, ფეოდალური იერარქია ანუ დანაწევრება უფრო ახლოს იყო ევროპის ქვეყნების ფეოდალურ ურთიერთობასთან, ვიდრე რუსეთის, რომლის ფეოდალური იერარქიისათვის უცხო იყო ფეოდალის, სენიორის, თავადის, აზნაურის წოდება.

ევროპის ქვეყნებში XVI ს-ში მოიპოო აზნაურობა და ფეოდალურ ურთიერთობათა წიაღში ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობა წარმოიშვა. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნებისათვის ზედმეტი იყო ასეთი მოვლენის განვითარებაზე საუბარი. თუმცა საკმარისი იყო მშვიდობიანი ცხოვრების პირობები, რომ მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციას ისეთივე ხასიათი მისცემოდა, როგორც ეს იყო ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ ასეთი ვითარება ძალზე იშვიათი იყო და ხანმოკლე.

რუსეთთან შეერთების შემდეგ კი საქართველო უნდა შეგუებოდა რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ წესრიგსა და პოლიტიკურ წყობას, რაც განსხვავდებოდა მისგან და რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვლინდებოდა. მართალია, საქართველომ მაჰმადიანური ქვეყნების გავლენა განიცადა, მაგრამ ძირითადი და

1 შ. ხანთაძე, სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX—B, 1959, გვ. 140.

ვადამწყვეტი თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, ინტენსიური მეურნეობა არ მოუშლია. ეს იყო მისი ძლიერების საწინდარი.

საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ბევრი საინტერესო გამოკვლევა არსებობს<sup>2</sup> და ახლაც შეუხელებელი ინტერესით, მიმდინარეობს კვლევა-ძიება.

არაგვის ხეობის აღწერა, რომელიც ერეკლეს ბრძანებით მოხდა 1774 წელს; უკვე არაგვის საუფლისწულოს ეხება და მისი მიზანია იმის დადგენა თუ რამდენი მეომრის გამოყვანა შეეძლო ამ მხარეს ომიანობის დროს და რამდენ მეკომურს ედო სახელმწიფო გადასახადი. საერისთავო გაუქმდა 1743 წელს და აქედან მოყოლებული მეფე ცდილობს სახელმწიფოს ინტერესებს დაუმორჩილოს არაგვისა და ქსნის ყოფილი საერისთავოები, რომლებიც მან საუფლისწულოებად, ხოლო იქაური გლეხობა სახასო გლეხებად გადააქცია.

გ. ნათაძემ თავის დროზე მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას რომ აღმოს. საქართველოს, კერძოდ არაგვის საერისთავოს მოსახლეობა ორ ნაწილად იყოფა — მთისა და ბარისად (რაც აღრე ბატონიშვილებსაც ასევე წარმოედგინათ). მეურნეობაც ადგილობრივი პირობების შესაფერი აქვთ. ბარის მოსახლეობაში მიწათმოქმედება განვითარებული, ხოლო მთაში მესაქონლეობა. მაგრამ რადგან არაგვის ხეობაში ჭარბობს მთიანი რელიეფი, ამიტომაც მეურნეობის ხასიათიც მისგან განსხვავდება. არაგვის ხეობისათვის წამყვანი იყო მესაქონლეობა. მიწის სიმცირის გამო, მესაქონლეობა წარმოადგენდა ძირითადს არაგვის ხეობის მოსახლეობის მეურნეობაში, „...გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის თითქმის ერთადერთ ბაზას“, შენიშნავს გ. ნათაძე. აქედან გამომდინარეობს ამ მხარეში ფეოდალური ურთიერთობის სუსტი განვითარება, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ აქ არ არსებობდა ისეთი სოციალური ფენა ფეოდალური იერარქიისა როგორც იყო თავადის აზნაური. ამ მხრივ მის მეზობელ ქსნის საერისთავოში განსხვავებული მდგომარეობა იყო. აქ თავადის აზნაურები იყვნენ ფიცხელაურები, ფურცელაძეები და სხვები, რომლებიც ბრძოლას აწარმოებდნენ თავადების — ერისთავების წინააღმდეგ. მათი ბრძო-

2 მთიანეთის მოსახლეობის ბოლოდროინდელი გამოკვლევებიდან აღსანიშნავია აკად. გ. მელიქიშვილის შრომა „ქართველ მთელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1979, № 1; აგრეთვე, ვ. ითონიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, 1983; ზ. ხიდიურელი, არაგვის საერისთავო XVIII ს-ის მეორე ნახევარში, კრებ. საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვითმკვლევანი ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1983; ჯ. ვეკსალაძე, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ისტ. გეოგრაფიის კრებ. V. 1975; ამ ნაშრომებში და საერთოდ ბევრ სხვა გამოკვლევაში მრავალ საინტერესო მოსაზრებასა და შეხედულებას გამოთქვამენ ავტორები. ჩვენი მიზანია არაგვის საერისთავოს კვლევა, ამიტომაც ვიზღუდებით მის გარეშე არსებული მასალების ზოგადი განხილვით.

ვერც ერთი მკვლევარი ვინც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ეხება, გვერდს ვერ აუვლის ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მასალას: **Материалы по статическому описанию Грузии, под ред. Е. Такайшвили, 1907;** იგი შედგება ორი ნაწილისაგან — სომხით-საბარათიანოსა და არაგვის ხეობის აღწერისაგან. ეს მასალა გამოიყენა პროფ. გ. ნათაძემ თავის გამოკვლევაში — **Крестьяне сыхас в восточной Грузии в конце XVIII столетия.** მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1937, ნაკ. V, გ. ნათაძემ სხვა დოკუმენტაციით, საგადასახადო დაფორებით შეავსო და შეაჯამა ეს აღწერილობა და საინტერესო დასკვნები მოგვცა.

2. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1987, №2

საქ. ისტ. ს. მარქაძის  
სახ. სახ. ბეჭდები  
გ. ვაჭაბაძის

ლის მიზანი იყო თავადის აზნაურთა ყმობიდან გამოსვლა და სამეფო აზნაურობის მოპოვება<sup>3</sup>.

მაგრამ თუ ეს აღწერები, როგორც 1774 წლისა, არაგვის საუფლისწულოს ეკუთვნის და არა საერისთავოს, გასაგები იქნება იქ შექმნილი მდგომარეობა, რომელიც ჯერ ქსნის ერისთავებისაგან დარბევისა და შემდეგ საერისთავოს გაუქმების შედეგად წარმოიქმნა. არაგვის საერისთავოს გლეხობა — სახასო გლეხობად, ხოლო მფლობელი ფენა აზნაურობა — მეფის აზნაურებად გახდნენ. ამიტომაც აღარ ჩანს არაგვის საერისთავოში თავადის აზნაური. ეს იყო ცენტრალური ხელისუფლების მიზანი, რომ საერისთავოებში თვისი დასაყრდენი ძალა გაეჩინა — სახასო გლეხობისა და სამეფო აზნაურების სახით. როგორც ჩანს, ეს მიღწეულ იქნა არაგვის საერისთავოში, რასაც ხელი შეუწყო ქსნის ერისთავის მიერ არაგვის ერისთავების ამოწყვეტამ. ეს მოხდა 1736 წელს 1743 წელს თეიმურაზმა გააუქმა არაგვის საერისთავო და მისი მმართველობა ჯიმშერ ჩოლოყაშვილს ჩააბარა, რომელიც დუშეთში დასახლდა და ციხე ააშენა.

ქსნის ერისთავები კი დიდხანს იბრძოდნენ თავიანთი უფლებების შენარჩუნებისათვის თავისი აზნაურების წინააღმდეგ.

აქ უნდა აღინიშნოს ის რომ ჩვენთვის საინტერესო გვიანდრობად აღსანიშნავია მთელი რიგი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცვლილებები ხდება. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს თავის გავლენას დაუმორჩილოს მთიანეთის მოსახლეობა. ამ მიზნით აარსებს აქ სამოურაოებს; მთურავები ინიშნებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის გავლენიანი ოჯახებიდან.

1782 წელს ვახტანგ ბატონიშვილმა განაახლა ლევან ბატონიშვილის მიერ დაწესებული განჩინება<sup>4</sup>, რომელიც გ. ნათაძის აღნიშვნით, ზღუდავდა სასოფლო თემის უფლებებს. ბატონიშვილები ცდილობდნენ ამ მხარეში ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებას. ამ კანონმდებლობით, სასოფლო თემს ფეოდალის ნებასურვილის გარეშე არ შეეძლო მიწის ნაკვეთების გაცემა, მათ შორის ბეთაღმანისა.

ამ განჩინების-პუნქტში აღნიშნულია: „ქ. ლმერთმან ნუ ქნას თუ რომელსამე სოფელში კაცი მოსწყდეს ან შვილი ან ძმა არ დარჩეს, იმს მამულს ნურავინ დაიჭერს, თუ უნდა ძმაც ჰყუანდეს, მანამდის ჩვენ არ მოგვახსენოს, მანამდის ის მამული ისევ ბეთაღმანად უნდა იდვას, მოხელე მოვიდეს, მოგვახსენოს და როგორც უბძანოთ, იმ მამულის საქმე ისე უნდა აღსრულდეს“.

შემდეგი მუხლი: „ნურავინ ჩვენი ყმა საყდრის მამულს იყიდის და ნურც საყდრის ყმა ჩვენი ყმის მამულს. დღეის იქით თუ იყიდის ვინმე, იმ მამულზედაც ხელს ავადებინებთ და თავის მამულსაც წავართმევთ“ და ა. შ.

აქედან ჩანს, თუ როგორი სიმკაცრით ცდილობს ვახტანგ ბატონიშვილი ბატონყმური ურთიერთობის დამკვიდრებას თავის საუფლისწულოში.

წყალობის წიგნში, რომელიც გაცემულია 1746 წელს ერეკლეს, დარეჯანისა და ბატონიშვილი ვახტანგის მიერ (ეს არის ვახტანგ კარგი, რომელიც 1760 წელს გარდაიცვალა) ერთგულსა და წესისამებრ ნამსახურ აზნაურშივე — ბაბანა ჭილაშვილზე, მოხსენიებული არიან ბაბანას ძმები — სვიმონი და დემეტრე. ისინი დაასახლეს სოფელ პავლეურს, პაპუნა პავლეურის ბეთაღმან

3 შ. ხანთაძე; სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანდრობად აღსანიშნავია საქართველოში, გვ. 2.

4 განჩინება ბარის და მთურთ ადგილთა, წიგნში. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი. ტ. I, 1920.

მამულზე. პაპუნასა და მის შვილებს ბევრი ავი საქმე ჩაუდენიათ, მეფეს აუყრია და კახეთს გაუსახლებია, როგორც დამნაშავენი. ბაბანას უბოძეს მისი მამული, „რისაც მქონებული მამულისა ის იყო, სახნავ-სათესი, ქვეყნ-მარ-ნით, ვენახით, შესავლით, ვასავლით, წყლით, წისქვილით, ნასყიდით და ყოველის მისის სამართლიანის სამძღვრით“<sup>5</sup>.

1756 წელს არაგვის საერისთავოს ახალმა გამგებელმა ჯიმშერ ჩოლოყა-შვილმა, რომელიც ერისთავის შვილადაც მოიხსენიება, განუახლა წყალობის წიგნი და სიგელი. ბაბანას ეძლეოდა ღუშეთის ბეთალმანი ბეშქენაძის მამული, აგრეთვე არაგვისპირეთი, საწისქვილო<sup>6</sup>. 1787 წელს იოანე დოლენჯაშვილის მამული და ორი ობოლიც გლახა ჭილაძემ შეისყიდა.

ლეონ ბატონიშვილი ბაბანასადმი გაცემულ წყალობის სიგელში აღნიშნავს მის დამსახურებასა და ამისათვის სათანადოდ დაფასებას მეფე ერეკლეს მიერ „...არაგვის საერისთავოს მპყრობელმან ბატონიშვილმან ლევან ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და წესისებრ დიდათ თვადების ნამსახურს, არაგვის საერისთავოს აზნაურიშვილს ჭილაშვილს მილახვარს ბაბანას და შვილსა შენსა გლახას და მომავალთა სახლისა შენისა, ასე რომელ სანატრელის ბატონის პაპის ჩვენის წინ და მისის სიმაღლით ბატონის მამის ჩვენის, ჩვენის წინ ომში მრავალჯერ ერთგულად, მხნედ და სახელოვნად გარჯილი და სისხლდათხეული იყავ და მას წინათ ტფილის ქალაქში უამი გაჩნდა, ქალაქიდან ხალხი გავიდა და აქა-იქ სოფლებში დაიხიზნენ და მაშინ მამა ჩვენი და ბატონი დედა ჩვენი და ძმები და დები არაგვის საერისთავოს ღუშეთს მობრძანდნენ და რამდენიმე თვე იქ ბრძანდებოდნენ, და რომელიც შენგან შესაძლო ყოფილიყო, დიდათ ერთგულათ და თვადადებით ყოვლის ფრით საქმით გემსახურნა“ (სცია, ფ. 1450, დავთარი 47, ს. № 91, 1779 წ.). აქედან ჩანს თუ რა შეძლების იყო არაგვის საერისთავოს მეფის აზნაური ბაბანა ჭილაშვილი, რომელიც წყალობას წყალობაზე იღებდა მეფისა და ბატონიშვილებისაგან.

ასევე დიდ ერთგულებასა და სამსახურს აღნიშნავდა ვახტანგ ბატონიშვილი გლახა ჭილაძისას, როცა წერდა: „... რა რომ შენ გვეახელ და ჩვენ მახლობლობასა და სამსახურს შენ თავი დაწესე, იმ დღიდან, ნიადაგ ასეთის ერთგულებით და თავის დიდებით გვემსახურე, რომ ყმისაგან ბატონზე და მეტი აღარ შეიძლება, და მრავალჯერ ჩვენის ერთგულებისათვის დიდს განსაცდელის მოლოდებისათვის შენი თავი გამოიმეტე და წელსა ჩლქმ, როდესაც ესტარბათელი მაჰმადხან ხანის შვილი ალა-მაჰმად-ხან სპარსეთისა ერაცისა და ხდირბეჟანისა და სხვას ურიცხვს ჯარით ტფილისს გარე მოადგა, მაშინ ჩვენ არაგვის მთისა და ბარის ჯარით მათ სიმაღლეს ხელმწიფეს, მამაჩვენს თან ვახლდით, მაშინ იმ წინას დღესაც, როდესაც ჩვენ მათის სიმაღლის ბრძანებით კრწანისის ბაღებთან, თოფხანასთან ვიყავით და დიდათ მცირეს კაცით შეგვხვდა იქ დგომა და ორპირად ყიზილბაშის ჯარი მოგვიხდა, ერთი რიგი სოღანლულის მხრიდან, და მეორე ზემოთს კდებზედ, იმ დღესაც და მეორეს, იმ დიდს ომშიაც დიდათ მხნეთ და კარგად იყავდა, როდესაც ჩვენის ცოდვით და ჩვენის ჯარის დიდათ სიმცირით იქიდან დავბრუნდით, მაშინ მისს სიმაღლეს ხელმწიფეს, მამას, მეფეს, და ჩვენ გაუშუროებლად თან ვახლდით და საგურამოს რომ მოვე-ლით, მაშინ ბატონმა, მუხრანის ბატონის იოანე ბაგრატიონს მათ სიმაღლეს

5 სცია ფ. 1450, დავთარი, 12, ს. 72.

6 სცია, ფ. 1450, დავთარი 47, ს. 53.

დედოფალთან წასვლა უბრძანა და შენ თან გაახლო. შენ უძმო და უსახლის-კაცი იყავ და არც მოსწრებულნი შვილი გყავდა, და შენი ცოლშვილი ასე გაჭირვებული გენახა, რომ შენს მეუღლეს შვილი გზახედ ეშობა, იმათ არა დასდიერა... და საცად სიმაღლე ჩვენი ხელმწიფე დედოფალი ბრძანდებოდა მითურეთ, სიმათ იახელი...“ ბოქაულუხუცესი პაპუა საგინაშვილი ყოველივეს დაწვრილებით მოახსენებს არაგვის საუფლისწულოს ბატონს ვახტანგ ბატონიშვილს, რომ იოანე დოლენჯაშვილის ყმებისათვის გლახა ციციშვილი წამოდავებია, მაგრამ ვახტანგ ბატონიშვილი ბრძანებს, ვისაც უნდოდეს ყმა და მამული იყიდოს, ხათრი ჯამნი იყენენ, მათი მოდავე არავენ იქნება“<sup>7</sup>. პაპუა საგინაშვილმა გლახა ჭილაძეს მიჰყიდა ლაფეროზისშვილი ნასყიდა და ბერუა.

ჭილაძენი არაგვის საერისთავოში მოვიდნენ და დასახლდნენ. ისინი სამეფო აზნაურები იყვნენ და ერისთავთაგან დამოუკიდებელნი. უხვად იღებდნენ წყალობას მეფისაგან, შემდეგში ბატონიშვილებისაგან და თვითონ საკმაოდ ხელგაშლილად იძენდნენ ყმა-მამულს. ნასყიდობის საბუთი მოგვეპოვება მათი ქონების — მიწისა და ყმა-გლეხების შეძენის შესახებ.

ბატონიშვილები უარს არ ეუბნებოდნენ თავიანთ აზნაურს: „...წყალობას დაგვეაჩე, ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და გიბოძეთ. ეს ზემოხსენებულნი...“ (ფ. 1450, დავთარი 12, ს. 80, 1801 წ.).

ბევრი საბუთია სადაც ჭილაძე თვითონ ყიდულობს მიწასა და ყმაგლეხობას, გამიჭირდა და მოგყიდე“ — იწყება ნასყიდობის საბუთები „ჩემი ბარათში ნარგები ჩემი ალალი წილი“, ანდა „... ასე რომ ვალში ჩავარდი და დამჭირვა, მოველ და ჩემის ნებით მოგყიდე ჩემი ალალი ნასყიდი ემზარაშვილის ზინისაგან“... არის შემთხვევა, როცა ყმის გამოსყიდვა არ შეუძლია ბატონს, და ჭილაძე იხდის დასახსნელ თანხას, ყმაც მის მფლობელობაში გადადის.

ამ ვითარებას ასახავს ერთი საბუთი, რომელიც ვახტანგ ბატონიშვილის მიერ არის გაცემული და ადასტურებს გლახა ჭილაძისაგან ყმის გამოსყიდვას. „... ასე რომ ბაზალი ჭიჭიკაშვილი გიორგი, ჩრდილოეთის ყმა იყო და ლეკში დატყუებდა, თვითონ სახსარი არა ქონდა, თავისმა ბატონმა არ დაიხსნა, არც იმას შეეძლო; ვინც დაგვიხსნის იმისი იყავო, შენი არც დახსნა შემიძლია და არც ყმობა მინდაო, და სხუა რომ არავენ დაიხსნა ჩუენ დაგისხენით და ჩვენთვის სახასოდ დაესდევით“. შემდეგ ამ ჭიჭიკაშვილს თბილისში ჩასულს ლეკი მოუპარია და გაუყიდა, ლეკს უჩივლია, მე თქვენნი ჯარისკაცი ვიყავ და ამ კაცმა გამყიდაო. „ბატონმა მოიციოხა და ლეკს სისხლი გაუჩინა“ ანუ საფასური დაადო. ჭიჭიკაშვილი ღარიბი იყო და მიცემა არ შეეძლო. „ტუსაღანაში ებათ და იასაული თეთრსა თხოვდა და აწუხებდა, ის ზომ ვერ იზოციდა და ჩვენ ის თეთრი შენ მოგაცემინეთ და ეს ჭიჭიკაშვილი გიორგი თავის ცოლთა და შვილით შენ ყმად გიბოძეთ“ (ფ. 1450, დავთარი 12, ს. 63, ს. 63, 1793). საინტერესოა საბუთში მოხსენიებული მებატონე ჩრდილელო, რომლის ყმა არის გიორგი ჭიჭიკაშვილი.

გლახა ჭილაძე ბატონიშვილის დაუკითხავად არაფერს აკეთებს „... მთიელი ჯერმიზაისშვილი გოდა მამულის სიმცირით აყრილიყო თავის ადგილიდამ და შენთან მოსულიყო, და შენ მამული მიგეცა და დაგეყენებინა, და შენს მამულზეც იდგა. მოგვადექით კარსა დარბაზისას ჩვენსთა და იმის ბოძებას და-

<sup>7</sup> სცია, ფ. 1450, დავთარი, 47, ს. 88, 1796.

<sup>8</sup> ეს ჩრდილელო 1883 წლის საბუთში, რომელიც კონსტანტინე ჭილაძეს ეკუთვნის, აზნაურად მოიხსენიება. მას და კონსტ. ჭილაძეს სადავო საქმე აქვთ მიწის თაობაზე (ფ. 234, I, ს. № 13, 1833 წ.).

გვეაჩენით, ვისმინეთ მოხსენება თქვენი და გებოდეთ...“ (ფ. 1450, დავთარი 12, ს. 67, 1801 წ.). თავის ყმების მიყიდვის შესახებ არის საბუთები გოგია წითლოშვილის, ასალამაზ დავითაშვილის, ბეჟან ფასიტაშვილის, ფირან შაბურიშვილის, ბეცია ფარეშიშვილის და სხვათა.

გლახა ჭილაძე ასეთივე შემართებით ზრუნავდა თავისი მამულის დამრგვალებზე. მიწებს ცვლიდა ახლო-მახლო მფლობელების მიწებზე და აერთიანებდა თავის სამფლობელოს. ასე უცვლის იგი ზოტიყე მღვდელს: „ეს შენი მამული — წერს გლახა ჭილაძე, გაცვლის წიგნში — მე მეხელკვოდა (ე. ი. მოსახერხებელი იყო — ნ. ნ.) და ეს ჩემი ნაშრომი მეუღლე შენ გეხელკვოდა და ერთმანეთის რაზით ერთმანეთს მიუცვალეთ“ (ფ. 1450, დავთარი 18, ს. 56, 1792 წ.). გაცვლა წარმოებდა აგრეთვე ყმა-გლეხებისა თუ კი ეს, როგორც გლახა ამბობს, მათ პატრონებს „უხელკვებოდა“. ასე უცვლის იგი ყმის ნასყიდობის სიგელს ფრიდონ ყორღანოვს (ფ. 1450, დავთარი 42, ს. 106, 1802 წ.).

1782 წელს არაგვის გამგებელმა ვახტანგ ბატონიშვილმა მილახვრობის სიგელი განუაზღვა გლახა ჭილაძეს და ყველა ის შემოსავალი, რაც ჰქონდა — რუსეთს მიმავალ და აქედან მომავლის ვაჭრის ბაჟისა აღება და აგრეთვე ჩერქეზეთიდან მოსულის ცხენების მეზაყეობა. ეს საბუთები შემდეგ გლახა ჭილაძემ რუსეთის ხელისუფლებას წარუდგინა, რისთვისაც მას ტიტულიარნი სოცეტნიკის ჩინი ებოძა და ჯამაგირი წელიწადში 300 მან.

1807 წლისათვის, გლახა ჭილაძე უკვე პეტერბურგშია და თავისი მონაგარი დიდი რუღუნებით შეტენილი ყმა-მამული თავის სიძეს ივანე გლურჯიძე-შერვაშიძეს ჩააბარა. თუ რას წარმოადგენდა ეს ყმა-მამული, ვგებულობთ იმ წერილებიდან, რომლებსაც გლახა თავის სიძეს დღეში უგზავნიდა. თუმცა ამ წერილებში კარგად ჩანს, რომ გლახა ჭილაძე დიდი ყმა-მამულის პატრონი იყო, მაგრამ არსად იმის მინიშნებაც კი არ ვგვხვდება თუ რამდენ მიწას, ან რამდენ კომლ ყმას ფლობდა იგი. არც ამ წერილებში და არც საარქივო საბუთებში, რომლებიც უშუალოდ მიწის ნასყიდობას ეხება, არასოდეს არ არის აღნიშნული არც მიწის რაოდენობა და არც გაღებული საფასურის რიცხვი.

ჩვენთვის გასაგებია, რომ გლახა ჭილაძეს აქვს დიდი მეურნეობა, ჰყავს ყმა-გლეხები, ხიზნები. მეურნეობა შემოსავლიანია, რომელიც იზრდება საბაზრო პროდუქციის დამზადებითა და ვაჭრობით, და რომელსაც საკმაოდ ფართოდ მიმართავს თვითონ გლახა ჭილაძე.

საერთო სურათი მეურნეობისა შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე: მეურნეობაში არის სახნავი მიწები, ვენახები, საძოვრები და მსხვილფეხა საქონელი, რომელსაც საგანგებოდ შერჩევით ყიდულობს გლახა ჭილაძე და ასევე სვალებს მისი მეურნეობის გამგებელს შერვაშიძეს. სახნავი მიწებიდან შემოსული პური, გარდა პირადი მოხმარებისა, გათვალისწინებულია გასაყიდად<sup>9</sup>. ამის შესახებ გლახა წერს ივანე შერვაშიძეს, რომ კოდი პური ხუთ აბაზ ნაკლებ არ გაყიდოს. გასაყიდად და შემოსავლის მიღების მიზნით აქვს გლახას მამულში „არყის ქარხანა“, როგორც თვითონ უწოდებს, სადაც ტყის ხილისაგან ამზადებს სასმელს. საქონელი მეურნეობაში უფრო მეტად მსხვილფეხაა — ძროხა, კამეჩი, რომელთა ჯოვის ზრდისა და კლების შესახებ უნდა ცოდნოდა ვაჭარი: „ოთხფეხისა ყოველ გაზაფხულზე უნდა მომწერო, რამ-

<sup>9</sup> განსხვავებით იესე ოსეშვილის განცხადებიდან, რომ პურსა და საქონელს ის არ ჰყიდის, მხოლოდ თავისთვის ხმარობს.

დენი შეემატა და რამდენი დაგაკლდება, ყველას ოთხფეხს მომწერდე“. „რამდენი ხბო დაზარდე“ (ფ. Sd, ს. 5479).

„პურისა რომ მოგეწერა, კარგად უქნიათ, რომ სამ აბაზად გაუყიდათ, ქუთ აბაზ ნაკლებ ნუ გაყიდიან, ძველი ჭამონ, ახალი შეინახონ და თუ ამკობინოთ, სახლეთ<sup>10</sup> გაეციტ როგორც მართებულია და ვისაც ავალოთ, სახელდობრ დაწერეთ“ (ფ. Sd, ს. 5479).

ამ პატარა ამონაწერიდან კარგად ჩანს პრაქტიკული კაცის მიზანი და მოქმედება. რუსეთიდან უკარნახებს თავისი მეურნეობის გამგებელს როგორ მოიქცეს, რაც მთავარია, არაფერი დაიკარგოს და აუნაზღაურებელი არ დარჩეს. როგორც ჩანს, პური უხვად მოდიოდა მეურნეობაში, გასაყიდად ცალკე მოჰყავდათ, სახლში მოსახმარად და აგრეთვე გასასესხებლად ცალკე, რომელიც აუცილებლად ფულზე იქნებოდა გაცემული თამასუქით, როგორც ეს მამინ ზედბოდა. ყველაფერი ეს ითანე შარვაშიძეს უნდა ჩაეწერა, რომ მერე არ დაეწიქებოდა ან მოვალეს შარი არ მოედო.

„ქარხნის“ შესახებ კი წერს: „ჩვენს წისქვილთან არყის ქარხანას ეცადე, ღეთის მოწყალებით დიდი ჯარები გადმოვა რუსისა და ხომ სულ იმაზედ ჩამოივლის და არაყს ფასი ექნება“. ამისათვის ივანე შერვაშიძეს ავალებდა, „შინდი მოაქრეფინე და შინდის არაყი გამოხადე, აგრეთვე მაჟალო და პანტა მოაქრეფინე და ისიც გამოხადე და მაცოდინე როგორ წავა“ (Sd, ს. 5384). ამიტომ არ უჭირს გლახას მიწების ყიდვა, ყმის გამოსყიდვისათვის თანხის გავლება.

ჭილაძეს მამულები აქვს სოფელ ჭილურტაში, ძებნისში, ნაოზაში, პავლურში, შუახევში, იწრისასა და სხვაგან. ერთ საბუთში იგი მოიხსენიებს როგორც „... კარის ჩვენის მილახვარი და ქართლის ციხისა, პავლეურისა და შუახევის მოურავი“ (ფ. დავთარი 12, საბუთი № 67. — ვ. ბატონიშვილის წყალობის წიგნი). იგი მკაცრი მებატონეა, რომელიც მოითხოვს ყმისაგან ერთჯერად სამსახურს, არ მოერიდება მის დასჯას თუკი ურჩობას გაბედავს. ბატონის არყოფნით სარგებლობდნენ და უარს აცხადებდნენ ყალანის გადახდაზე, სხვაგან მიდიოდნენ, ბუნტში მონაწილეობდნენ, ამიტომ გაბრიელი ურჩევს თავის სიძეს, კაპიტან — ისპრაჯნიკს მიმართოს, რომელიც მაღლიერი უნდა იყოლიოს და რასაც უნდა იმას შესძლებს. გაბრიელია შესანიშნავად იცის თავისი ყმა-გლეხების ვინაობა, საქმიანობა, ვის რა ევალება და ვინ როგორ იქცევა, თუმცა წასულია რუსეთს, მაგრამ დროდარო მოდის, მოავგარებს სამეურნეო საქმეებს და ისევ თავის ბატონიშვილთან მიდის, რომელიც მწვავედ განიცდიდა რუსეთში ყოფნას. მის ყმას ვინც ითხოვდა ცოლად, ისიც ჭილაძის ყმა გახდებოდა. მღვდელი რატომ აიყარა, ამის გაგებაც სურს და იოვანე შერვაშიძეს, თავის სიძეს, ავალებს მიზღვის დადგენას. ბატონმა კარგად იცის რომ ყმა-გლეხის შდგომარეობაზეა დამოკიდებული ბატონის შემძლეობა, ამიტომ ცდილობს ის ზედმეტად არავინ შეაწუხოს. ზოგიერთი მათგანისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს — მაგალითად, ვეფხია ლალიაშვილისადმი, რომელიც რუსეთშიც ზმორად ეახლება, გლახასა და მის შვილებს დახედავს, თან სავაჭროდ საქონელს წამოიღებს. თავის სამეურნეო საქმიანობის მოსაგვარებლად რუსულ სამართალსა და მოხელეს იყენებს. რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა გლახის ყმის საკას საქმე, ჯერ საქართველოში და მერე რუსეთში. ეს საკა ჯავახი-თიდან იყო გადმოსული და აცხადებდა, ჭილაძის ყმა არა ვარო. მაგრამ ბოლოს

10 სახლეთ, უფრო სწორედ სახლეთ ანუ ახალ მოსავლის აღებამდე.



მინც მისი ყმა გახდა, როცა სენატმა განიხილა მისი საქმე და ბატონის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

1812 წელს აჯანყებაში მონაწილეობა მიუღიათ გლახა ჭილაძის გლეხებს და ბატონი სინანულს გამოთქვამს. მე მაგათი განთავისუფლების შესახებ ცხოვნა უნდა შემეტანა და საქმე იშლება: „ჩვენი კაცების სითარხნე მინდა ვითხოვო, მაგრამ რა პირით. თუ ეგენი ბუნტში არ რეულდენენ, უთუოდ სითარხნეს უშოვიდი“ (Sd, 5449). გარდა საკუთარი ყმებისა გლახას ხიზნებიც ჰყავდა, უმეტესად ოსები, რომლებთანაც უფრო მორიდებული დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ რაც შეეხება საკუთარ ყმებს, „მაგ მამაძალებს ამისი ქება როგორ არა აქვთ, რომ ჩემი შვილები მაგათ უნდა დაარჩინონ, სხვა ილაქი რა აქვთ“. „ჩვენი კაცებს უთხარ, — აბარებს იგი, — რომ საჩვენოს ტყესა და მინდორში ნურავის შეუშვებენ, მაგრად იყენენ, თორემ მაგათ სისხლს დავლევ იცოდე, თუ ეგენი ერთნი იყენენ და ან ჩემი ერთგული და ან ჩემი შვილების. ეგენი ჩემს სიძეს იოვანეს ვერ მოერევიან და ვისგან უნდა ეშინოდესთ. ჩემი ბატონი და მომრევი რუს ზელმწიფეა, სხვა არავინა და ვერცა არავინ მომერევა“ (ფ. Sd ს. 5457). „მე ამ ზამთარ მეც მანდა ვარ ყველას პასუხს მე მოვახსენებ“, — იმუქრება გაბრიელი.

ასეთი მაგალითების მოყვანა ბევრის შეიძლება ამ წერილებიდან, რომელთა ძირითადი აზრი ის არის, რომ გლახა ჭილაძის ყმები მის დაუკითხავად ვერაფერს გააკეთებენ, ყოველი თავის მოქმედებისათვის პასუხს აგებენ ბატონის წინაშე, რომელიც ბატონ-ყმური რიგის შემსლას ვერ აიტანს. ქართული თუ რუსული სამართალი ბატონის მხარეზეა, გლახა ჭილაძეც მარჯვედ იშველიებს მათ კანონებს, რაც მთავარია, თავის ყმა-მამულისაგან მომორბეული გლახა ჭილაძე არ ავიწყებს თავს და იქიდან ახერხებს თავის სიმკაცრის გამჟღავნებას: არანაკლებ საინტერესოა გლახა ჭილაძის სავაჭრო საქმიანობა, რომელსაც ის სარფიანად ეწევა და შემოსავალიც კარგი აქვს. იგი მჭიდრო, მეკობრულ ურთიერთობაშია თბილისელ ვაჭრებთან — თათულა აქიშვითან, იოსებ ხარაზიშვილთან, ისაია ფითუაშვილთან, გრიგოლ სარაჯიშვილთან და სხვებთან. ამიტომ იცის სად რა საქონელი იყიდება, როგორ ფასობს, ვინ როგორ ვაჭრობს და ვინ კოტრდება. ყამაზოვი ტერ არაქელაშვილი გაკოტრდა და (მილიონ 260 მან. საქონელი ატყურეს. ტერ-ყამაზოვი ვარშავაში დადიოდა სავაჭროდ. თვითონ გლახა ჯერ კიდევ 1784 წელს რუსეთშია წასული, მაგრამ საბუთიდან არ ჩანს რისთვის. გლახა მაკარიას ზმირი სტუმარი იყო, სადაც დიდი ბაზრობები იმართებოდა 1816 წლამდე, შემდეგ ხანძარმა გაანადგურა ჩქაურობა და აღარ აღდგენილა. მაკარია მდებარეობდა კოსტრომის გუბერნიის აშიქ. ნიჟნეგოროდის ახლოს.

რუსეთიდან გლახას ჩამოჰქონდა მათედი, ბეწვეული და ის, რაზედაც უფრო მეტი მოთხოვნილება იყო. ამაზე ის წინასწარ უთანხმდებოდა თავისიანებს. „ასე გვიბძანე, — წერს ის, — აქაური სავაჭრო მანდ როგორ რა ფასობს, რომ ის წამოვიღო“. გარდა მათდისა მას „გალანცკი პალატა“ უყიდა და გამოუგზავნია. აქაც, როგორც თავისი მამულის პროდუქციის გაყიდვის დროს, აღწახილურებელი არაფერი არ უნდა დარჩენილიყო. ამ მათეს, რომელსაც ქალიშვილს უგზავნიდა, თუ რაიმე მორჩებოდა, შეენახა და გაეყიდა. გრიგოლ სარაჯიშვილს „სიამურის“ ანუ სიასამურის ბეწვს უგზავნიდა, ვალს ისტუმრებდა და იქიდან მორჩენილს თვითონ იღებდა.

უფრო საინტერესოა ბაზრობაზე მისი წასვლა: რა საქონელი მიჰქონდა ან რა შემოსავალი ჰქონდა იქაური ვაჭრობიდან, სადაც წასვლისთვის ემზა-

დებოდა და თბილისელ ვაჭარს იოსებ ხარაზიშვილს უთანხმდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შესახებ არაფერს წერს. ვაჭრობაში დახელოვნებული ჩანს გლახას ყმა ვეფხია ლალიაშვილი, რომელსაც რუსული და თათრული ენები უსწავლია. ამიტომაც ხშირად მიდის რუსეთსა და ჩრდ. კავკასიაში. ჩერქეზეთში ხუთი თუმანი გაუგზავნა გლახამ ვეფხიას, რომელსაც ვასპირვებია და წერილი მოუწერია. შემდეგ ნახიჩევანში, იაგრიცკსა და მოზდოკშიც ყოფილა და კოლმევილში მშვიდობიანად დაბრუნებულა (ფ. Sd, ს. 5438).

კილაძე ვაჭრობის დარად ეწეოდა მვახშეობასაც, ე. ი. არც ვაჭარი იყო და არც მევახშე, ის პირველ რიგში მებატონე იყო, როგორც მ. ბერძინშვილი შენიშნავდა, და თავის შემოსავალს ამით ავსებდა. მისი მოვალეები იყვნენ ღვათ, მირმანოზ ერისთავები, რომლებიც ვალს ვერ იხდიდნენ და მამულს თავაზობდნენ ფულის მაგიერ, რაზედაც ჭავრობდა გლახა: მაგათი მამული მე რაში მარგია, ზაზინაში დააგირავონ და ფული მომცენო. მას ფული უფრო ღირდებოდა, რომელიც ვარდა ქართველი თავადებისა სომეხ ვაჭრებსაც ემართათ მისი. „ტერ მიმანიანთ ჩემი ოთხმოცდა ოთხი თუმანი თეთრი ფული ემართათ, ორ შაურობაზედ, სარგებელით, ესენიც ბევრს ეცადენ, რომ თუმანზედ ერთი შაურის მეტი სარგებელი არ მიეცათ, მაგრამ შენ ნუ მომიკვდები, ერთი ფულიც არ დაეკელი, სენათში ვიჩივლე, წაართვეს და კარზედ მომიტანეს სრულებით თავნი და სარგებელი ორშაურობაზედ“ (ფ. Sd ს. 5459) საერთოდ, როგორც მისი წერილებიდან ვგებულობთ, მევახშეობა ძალზე გავრცელებულია, თუ ბატონსა, თუ ყმებს შორის, რომლებიც რუსეთში არიან წასული. ქაიხოსრო მეგრვალი ფულს ასესხებდა ვახში, იოსებ ყვალაძე ასე ნაშოვნი ფულით დახმარებას უწყევდა თავისიანებს. 25 მანეთი გამოატანა გლახას ყმას, ვეფხია ლალიაშვილს, თავისიანებისათვის გადასაცემად, რომლის მოტანაზე ძალიან ზრუნავს გლახა — შემატყობინეთ მიიღეს თუ არა გამოგზავნილი ფულიო. გლახას წერილი ფითუაშვილისადმი შესანიშნავად გადმოსცემს არსებულ ვითარებას, თუ რა გაცხოველებული ურთიერობაა და მიწერ-მოწერა, გაგზავნა-გამოგზავნა ფულის, მისი გასესხებისა და სარგებლის. „ბატონის რძალს თამასუქისა რომ გებძანათ, — წერს გლახა 1817 წელს ისაიას, — ბატონის რძალს ვიახელ, მოვახსენე შენგან მოწერილისა და ამასაც ვეცადე, რომ როგორც ხქვენ გებძანათ, გადამეწყვიტა, მაგრამ არ ინება, ისაიასაცა და მის თავაზით მივეციო, თორემ თვითონ ისაიამაც იცის, რომ აქ ექვს შაურად და ამაზე ნაკლებ არავინ აძლევსო თუმანს სარგებელით. თითონ ქაიხოსრო მეგრვალი ათ შაურად აძლევს თუმანს სარგებელსო, თუ უნდა, კიდევ იმავე სარგებლით იმასთან იყოსო, და თუ უნდა, ფული აქ, პეტერბურღში მომბარდესო. შარმანდელი თამასუქის პირი გამოვაჩრთვი და ახალიც ასე დაწერა და გაახელ, თუ შენი ნებაა, ამ თამასუქზედ ყაბული გახდი. თამასუქი დაწერე და გამოუგზავნე და, თუ შენი ნებაა, ფული შოართვი“ (ფ. Sd, ს. 5500). თვითონ გლახაც იღებს ვალებს, რადგან ბევრი ხარჯი აქვს, — შვილების სწავლა, „აქ ბედოვლაობაზედ არა ვხარჯავ, — წერს იგი ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, — ეხლა ბაბანასა კონსტანტინესა და შიოშს ოსტატი გამოუცვალე (გიორგი უკვე მსახურობს და დაოჯახებულია) და წელიწადში სამასი თუმანი უნდა მიეცე საოსტატო“ (ფ. Sd, 5452). ამიტომაც უხდებოდა ფულის ვალად აღება. „ჯერ ხუთასი თუმანი მეტი ამიღია ვალი და სარგებელსა ვწევ“. ეს ხუთასი თუმანი მას ჯიორგის საქორწილოდ დასჭირდა, რომელმაც პოპოვას ქალზე დაიწერა ჭვარი. თავისი მოვალეები კი ფულს არ უბრუნებდნენ, „მე აქ თუმანზედ აბაზს სარგებელს ვწევ, ერისთავებსა და ბეცია სარდალს კიდევ არ მოუციათ ვალი“. — წერს იმა-

ვე ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, რომელსაც სთხოვს დაეხმაროს და მოაცემინოს იმათი ვალები. გარდა ამისა, გლახა ჯამაგირს აძლევდა თავის სიძეს, რომელიც მის მამულსა და მეურნეობას განაგებდა. „ჯამაგირის წერილს, როგორც მოგწერია, ისე მოგერთმევა“, ამშვილებს ცლახა, რომლისთვის ძირითადი შემოსავალი და საზრდო მისი მამულია. დროისათვის დამახასიათებელია, რომ ყველგან, ყველასთვის ფული და მხოლოდ ფულია საჭირო, რომელიც ძნელად სამოვნელია და თუ ვისმეს ჩოქებნება, ამ ფულს „ჰყიდის“ ისევე ფულის მოგების მიზნით. „ტირიფის ჩაუყრელობის მიზეზი რომ მოგეწერა, — წერს გლახა თავის ყმას ვეფხიას, — ეგ რა მიზეზია, პურის მოუსვენლიანობა იყო. მე ფულით დაგიბარე, ფული უნდა მიგეცა და ჩეგეყრევიწინა (ტირიფები), პური რათ უნდოდა?“ — კითხულობს გაკვირვებული; ფული უნდათ იმ მღვდლებსაც, რომელთაც ვახტანგ ბატონიშვილის წირვა დაავალა გლახამ. „... რაც არაგვზედ და ბარში მღვდელია, სრულად აწირვინეთ ვის როგორ შეეფერება. ათასი წირვის ბარათები დაურიგეთ, რომ საკუთარი ჩემი ვალი იქნება...“ — წერს შერვაშიძეს გლახა. ამ მღვდლებს, მიზეზი უნახავთ შემოსავლისა და დაუჩივლიათ, გვაწირვინეს და ფასი არ მოგვცესო, რაზედაც ძალიან შეწუხებულია გლახა. „შენი ჭირიმი ამის მწუხარებიდამ გამომიყვანე, თუ იმას არა ვარგებ (ე. ბატონიშვილს — ნ. ნ.), ან ყმა რად მიწდა ან მამული და ან საქონელი. სულ ყველას იმის ჭირის სანაცვლოდ ვაგზიდ“. (ფ. Sd, 5472). მაგრამ რაც დრო გადის, ძალიან მიძიდება გლახას ეკონომიკური მდგომარეობა, ხარჯები იზრდება. მართალია გიორგი, უფროსი ვაჟი უკვე სამსახურშია, მაგრამ დაოჯახდა, მისი შემოსავალი მას უნდება. 1815 წელს უკვე მათობა მიიღო და ჯამაგირიც 120 თუმანი აქვს, მაგრამ გლახას არა შეეღოს რა, რადგან სამი ვაჟი კიდევ სწავლობს და არ უნდა, რომ შუა გზაზე შეუწყვიტოს სწავლა. „ბატონიშვილის სიყვარულით ჩემი სახლი დაეპყვიე, ჩემი ნუგეში ეს იყო, რომ ოთხი შვილი მოვიყვანე და სასწავლებელში ვზდი, ჩემს უფროს შვილს გიორგის ცოლი შეერთე იმავე ბატონიშვილის სიცოცხლეში. ერთი ბიჭი ჰყავს და მეორესაც მოელის და თითონ სამსახურში გახლავს. სხვა ჩემი შვილები სასწავლებელში გახლდნენ და ჩემის ხელმოკლეობის მიზეზით ოსტატმა დითხოვა და ჩემთან გახლავან. თორმეტი სული შესანახი მყავს პეტერბურგში მცხოვრებელს. ოთხი ათას თუმანამდი ვალი დამედო და ჩემი შვილებით დავტყვედი, რომ მოვალეები თავს არ მანებებენ, რომ ჩემს სახლში წავიდე“ (ფ. Sd, ს. 5486). ასე ცდილობდა თავი შეებრალეზინა ნათესავებისათვის გლახა ჭილაძეს, მაგრამ მისმა ბიძამ, რომელსაც ასეთი საწყალობელი წერილი მისწერა, შემოუთვალა: ვინც თამასუქი მოცა, იმას გამოართვი. ესენი კი, ბეცია სარდალი და მისი ძმები, გლახას საკუთარი ბიძები იყვნენ, რომლებიც ვალს არ უბრუნებდნენ და რუსეთში მყოფ ერთ-ერთ ბიძაზე იქედონებდნენ: „იქ ჩვენი ძმა არქიერი კმაყოფილს გახდისო“, მაგრამ რა კმაყოფილიც დარჩა გლახა, მისი წერილიდან ვიგებთ.

ეს წერილები აგრეთვე დიდ სამსახურს გვეჩვენებს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლაში. როგორც მაქს. ბერძნიშვილი შენიშნავდა, „ამ წერილების წყალობით გლახა ჭილაძე გვესახება როგორც ახალი ტიპის ბატონი, შეგუებული ახალ პოლიტიკურ ვითარებასთან და უმეტესად ამიტომ, რომ ამ პიროვნებაზე ვაყოვნებ ყურადღებას საზოგადოებრივი აზროვნების მიმოხილვისას“ (ეს მიმოხილვა მან წარმოადგინა ინსტიტუტის სესიაზე 1950 წელს, სადაც განიხილავდა XIX ს-ის დამდეგის პიროვნებების შეხედულებებს, რომელთაც ახასიათებდათ ეპოქის შესაფერი ტრადიცია). მაქს. ბერძნიშვილს

წარმოდგენილი ჰყავს ძირითადად ბეგლარ, იოანე, ზაქარია ზაალის ძე ორბელიანები, თამაზ მამუკას ძე ორბელიანი, დავით რექტორი, ჩვენ შეგვიძლია გლახა ჭილაძეც მათ რიცხვში ჩავთვალოთ. ყველას ამით ახასიათებთ პოზიციის შეცვლა, რაც დასტურდება — აღნიშნავდა მამს. ბერძნიშვილი — როგორც ისტორიული ფაქტებით, ისე ლიტერატურული დოკუმენტებით. შემდეგ განიხილავს ბეგლარ ორბელიანის შეხედულებებს, რომელსაც წარმოგვიდგენს თავდაპირველად როგორც რუსეთის მოწინააღმდეგეს — მისი ლექსი „ჩემო სიამაყე, შევბავ“, გულისხმობს მარიამ დედოფალს, რომლის მოქმედებით აღტაცებული ყოფილა ავტორი, და უფრო მოგვიანებით კი მის რუსულ ორიენტაციას — ფოთის აღების შესახებ ლექსი. გლახა ჭილაძემ თავისი შეხედულებანი საქართველოს პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით საესეებით ბუნებრივად გადმოსცა. მათში ისახა მაშინდელი ქართველი საზოგადოების განწყობილება და პოლიტიკური მდგომარეობა. გლახა და მისი ბატონი ვახტანგ ბატონიშვილი, ხევის ბატონი ვაბრიელ ყაზბეგი დიდი სიხარულით შეეგებნენ რუსთა შემოსვლას საქართველოში. მათ ჯეროვანი ყურადღება გამოიჩინეს რუსთა მხედრობის მიმართ და სათანადო დახმარება გაუწიეს გზების, ხიდების გაკეთებასა და გამაგრებაში, რისთვისაც რუსეთის ხელისუფლების მადლობა და ჭილდოები დაიმსახურეს. მაგრამ როცა რუსეთის ხელისუფლებამ მოსვლისთანავე ბრძანა, რომ ურჩობას, თვითნებობას ვერ აიტანდა, თავის ხელისუფლების დამყარებისთვის ზედმეტად მიიჩნევდა ბატონიშვილების საქართველოში ყოფნას, გლახა ჭილაძე და ვახტანგ ბატონიშვილი მთელი თავისი შეძლებითა და ძალით შეეცადნენ ხელი შეეშალათ რუსეთის მთავრობის განზრახვის სისრულეში მოყვანაში, აფუჭებდნენ გზებს, წყვეტდნენ კომუნიკაციებს და აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ მოსახლეობას, რომელმაც დამოუკიდებლობა წაართვა საქართველოსა და მის მეფეს.

უფრო მოგვიანებით, როცა რუსეთის ხელისუფლებამ მაინც ვაასახლა ბატონიშვილები შორეულ პეტერბურგში, სადაც გლახა ჭილაძეც იმყოფებოდა ვახტანგ ბატონიშვილთან ერთად, ის უკვე სხვაგვარად აზროვნებს; მისი აზრით, რუსეთზე უკეთესი ბატონი საქართველოს არა ჰყავს და სიგიჟეა მისი ქმობიდან გამოსვლა. აქ სადაც კახეთის აჯანყებაზეა საუბარი, მის წერილებში, ის წერს: „შე ნუ მომიკვდები, ეგ უგუნური მღვდელიცა და მაგის აზრის ამყოლიც ცუდად შვრება. ეს აზრი არ შეუსრულდებათ და გაცრუვდებიან ან თუ ეგ აზრი შესძელი და კეთილი იყოს, მე უნდა ვცდილობდე, იმიტომ რომ ბაბანას შვილი ვარ, მაგრამ არცა სჯობს და არც იქნება“ (ს. 5497). ყოველივე იმის შემდეგ რაც მან გადაიტანა და გამოსცადა, ბოლოს რუსეთის მთავრობის მოხელედ და პომეშიკად იქცა, „რუსიც ვარ და ქართველიცა. ჩემზე მეტი სამსახური ხელმწიფისა არც რუსს შეუძლია ჩემ ტოლა კაცსა და არც ქართველსა, ასე იცოდეთ“ (ს. 5475).

გლახა ჭილაძე ფხიზელი გონების კაცია, ის სწრაფად უღებს ალღოს ვითარებას და მის შესაფერისად იქცევა. მისი მიზანია თავის შვილებს „შეუსრულოს სწავლა“ და სამშობლოში როცა დაბრუნდებიან, მამულის კეთილდღეობას მოახმარონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება. მან არაფერი არ დაიშურა მათთვის განათლების მისაღებად. „მათ საოსტატოში, — როგორც თვითონ ამბობდა, — ვალს იღებდა და აძლევდა“. „ჩემი შვილების აქ სამსახურში შესვლა რომ გწყენია, რა საწყენია, — წერს ის თავის სიძეს, რომელმაც, ეტყობა, უსაყვედურა რუსეთში დარჩენა, — ეს ხომ გავგონია დათვის სიმღერა პანტისათვის არისო, მათი აზრი ეს არის, რომ აქ სამსახურში დახელოვდნენ, და

მანდ წამოვლენ, და მანდ წამოვიდნენ და მანდ იმსახურონ“. — დაბეჯითებით ამბობს იგი.

გლახა ჭილაძე შესანიშნავად ზედავს და გრძნობს იმ ცვლილებებს, რომელიც მის გარშემო და საერთოდ ქვეყანაში ხდება, იგი მომსწრეა 1812 წლის სამამულო ომისა, რომლის შესახებ ინფორმაციებს აწვდის ნიკოლოზ ფალავანდიშვილს. მას კარგად ესმის რომ ახლა სხვა ვითარებაა, ვიდრე ეს იყო მისი მამის ბაბანასა და მისთანების ცხოვრების პერიოდში. ეს კარგად არის ასახული დავით თარხნიშვილისადმი მიწერილ წერილში, სადაც თავის ხალხსა და ფაქრობაში გაწაფულ ყმაზე — ვეფხიაზე წერს: „ბიჭო, შენ ვეფხია იგორჩის ლალიოვს სასაცილოდ როგორ ივლებ. მწიგნობრად ევ არის და რუსული და თათრული მეტი იცის შენზედა. შენ რაც გქონდა, დაკარგე, ევ კიღევ შოთლობს. ახლა მაგისი საქმიანობა იფიქრე“ (ს. 5456. 1814 წ.).

1835 წლის დღეშეთის მაზრის კეთილშობილთა სიაში, სადაც წარმოდგენილია დღეშეთის მაზრის თავადაზნაურობა თავისი ქონებისა და შეძლების მიხედვით, მოხსენიებული არიან იაგორ, გიორგი ბაბანა და სერგი. სტატსკი სოცეტნიკი გიორგი გაბრიელის ძე ჭილაძე.

ღვიძლი ძმანი მისნი.

პოდპოლკოვნიკი ბორის გაბრიელის ძე ჭილაძე.  
ღვარდიის შატბსკაპიტანი სერგი გაბრიელის ძე ჭილაძე.

ყავთ ყმანი უმეტეს ოცდაათის კომლისა, აქვთ შემოსავალი უმეტეს ექვსის თუმნისა თეთრი ფულისა (ფ. 214, ს. 227, 1835 წ.) ამ წელსვე გაიყარნენ ჭილაშვილები, მათი ცნობილი თეთრი სასახლის<sup>11</sup> კომსები თანაბრად გაინაწილეს და სერგის, რომელიც რუსეთში მსახურობდა, მისი სურვილის თანახმად ფული გაუგზავნეს.

ასეთი საინტერესო პიროვნება იახლდათ გაბრიელ გლახა ჭილაძე — ჭილაშვილი, რომელმაც შესასური ენერჯია, გამჭირიანობა და მონდომება გამოიჩინა, შორეულ პეტერბურგში გადასახლებულმა არ მოიშალა თავისი მეურნეობა, მისი შემოსავლითა და თავისი საქმიანობით ოთხ შვილს განათლება მისცა და თავის სამშობლოს განათლებული, ცოდნით აღჭურვილნი დაუბრუნა. გიორგი 1821 წელს საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორი იყო, ბაბანა კი თბილისის მთავარი პოლიცემისტერი. ბატონიშვილებსაც უერთგულა როგორც არაინ (იხ. ბირთველ თუმანიშვილის წერილები) და უნუგემო არ დატოვა. „ბატონიშვილის სიყვარულით ჩემი სახლი დავაქციე, ჩემი ნუგეში ეს იყო, რომ ოთხი შვილი მოვიყვანე და სასწავლებელში ვზდიდი“. „ოთხი ათას თუმანამდე ვალი დავიდეო,“ — წერდა ის. თვითონაც დაბრუნდა და ეს ნაშრომ-ნაამაგარი კაცი გარდაიცვალა თავის მამულში 1819 წელს (ფ. 26, ა I ს. 997).

ყოველივე ეს საშუალებას იძლევა შევადაროთ გლახა ჭილაძის ყმა-მამულისა და მისი საქმიანობა სხვა მისდროინდელ ფეოდალთა თუ მემამულეთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, და დაერწმუნდეთ ჭილაძის მეურნეობის უპირატესობასა და წარმატებაში. გლახა ჭილაძე უპირველესად მემამულეა — როგორც სწორად შენიშნავს მისი პირველი შემფასებელი მაქ. ბერძენიშვილი, — ოღონდ განსხვავებით თავის მოძმეებისაგან, ის არ ჯერდება მა-

<sup>11</sup> ამ ციხე-კოშკის როგორც არქიტექტურული ნაგებობის შესახებ იხ. ე. პრიალავას წერილი, ჟურნ. „ცისკარი“, 1977, № 6.

მულის მოსავალს, მოსურნეა აქაც პატარა ფულის დამატებით თაოსნობა გაიჩინოს და მეტი მოგება-შემოსავალი ნახოს, ვიდრე იღებენ მისი მოძმენი<sup>4</sup>. სწორედ ამ პატარა ფულს შეეძლო მოეხდინა მეტი შემოსავლის მიღებით ის, რასაც ჩვენ ფეოდალური წარმოების წესის რღვევასა და ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვას ვუწოდებთ.

კ. მარქსის განმარტებით, მიწის საკუთრების მოწინააღმდეგეა კაპიტალი, იგი წარმოიქმნება როგორც ფულადი საკუთრება, როგორც სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალი, მაგრამ იმისათვის რომ მან გამოიწვიოს განვითარების წარმოების წესის შეცვლა, ამისათვის არ არის საკმარისი მისი დამოუკიდებელი განვითარება. სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის გარდაქმნელი მოქმედება დამოკიდებულია ისტორიულ ვითარებასა და არსებულ პირობებზე.

ვ. ლენინი აღნიშნავდა, რომ კაპიტალიზმის ისტორიული განვითარებისათვის მთავარია ორი მომენტი (ლენინი, ტ. I, გვ. 77). პირველი, ნატურალური მეურნეობის სასაქონლო მეურნეობად გარდაქმნა და მეორე, სასაქონლო მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობად გარდაქმნა. ფეოდალურ ბატონყმური ურთიერთობიდან კაპიტალისტურზე გადასვლა ხდებოდა წვრილი სასაქონლო წარმოების საშუალებით, რომელიც ამოსავალი წერტილია კაპიტალიზმის აღმოცენებისათვის. ამ დროს ხდება ფეოდალური წარმოების წესის რღვევა, რასაც ხელს უწყობს სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალი. მისი განვითარება ასეთ პირობებში ქმნის ფულად დაგროვებას და ითვისებს შრომის პირობებს, ანუ ანადგურებს შრომის ძველ ფორმას (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. 23, გვ. 728, რუსული გამოცემა).

ფეოდალური წარმოების წესის რღვევას მოასწავებდა გლეხობის ამოიქცევა — მემამულეებისაგან გაქცევა, თავის დახსნა, სამუშაოებისათვის ქალაქში სიარული. ყოველივე ამას ჰქონდა მასიური ხასიათი. ქალაქურ ცხოვრებასა და ყოფაში მკვეთრად აისახა ახალი ურთიერთობის განვითარების დამანგრეველი ძალა, რომელიც ძირს უთხრია ძველ, ფეოდალურ წესწყობილებას. ქალაქში ჩასული გლეხი შოულობდა ფულს ახალი ბატონისაგან, რომელზედაც ის აღარ იყო ეკონომიკურად მიჯაჭვული. ფეოდალის მეურნეობაში ინგრევა მისი საფუძველი, — ნატურალური, კარჩაკეტილი მეურნეობა. ყოველივე ამის შედეგად წარმოიქმნება წანამძღვრები ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისა.

ამ მოვლენას ასახავს ჰილადის მეურნეობაში არსებული ვითარება, სადაც დაწყებულია ნგრევის პროცესი — მებატონე არ კმაყოფილდება თავისი ყმა-გლეხის შრომის შემოსავლით და ცდილობს გაზარდოს იგი ვაჭრობით.

Н. Д. НАЦВЛИШВИЛИ

## ЭПИСТОЛЯРНЫЕ ИСТОЧНИКИ О СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОМ ПОЛОЖЕНИИ ГРУЗИИ

Резюме

Эпистолярное наследие млахвара царевича Вахтанга Г. Чиладзе содержит значительные факты о социально-экономическом положении Арагвского эриставства.

Помещик Г. Чиладзе имел образцовое хозяйство. Сложные политические обстоятельства вынудили Чиладзе переселиться в Петербург, но его хозяйство не прекратило свое существование, доходами которого он содержал своих сыновей и дал им высшее образование.

Переписка между помещиком и его управляющим для нас является главным источником изучения феодально-помещичьего хозяйства этого периода; феодально-помещичье хозяйство Г. Чиладзе в период кризиса феодализма представляет яркий пример разложения производственных отношений старой формации феодализма, в недрах которого начинают развиваться производственные отношения капитализма.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მენციერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ.

ანრი ზოგვრაძე

ტაო-კლარჯეთის გაგრატიონთა სახლში ბრძოლის ისტორიიდან  
 IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში

როგორც ცნობილია, ტაო-კლარჯეთის სამთავროს შემქმნელის აშოტ I კურაპალატის შვილიშვილებს შორის IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელმაც აშოტის სამივე ძის უფროსი შვილების სიცოცხლე შეიწირა. ამ დრამატული ამბების შესახებ ჩვენს მემკვიდრეებს ძალზე მოკლე, არათანმიმდევრულად და მიზეზობრივი კავშირის უჩვენებლად აქვთ მოთხრობილი. ამიტომ მოცემული სურათის უფრო ნათლად წარმოსადგენად აუცილებელია მათი ცნობების გამოწველივითი ანალიზი.

სვებედნიერი იყო ამ მხრით აშოტ I კურაპალატის ვაჟების ზეღმწიფობა. იქნებ სახელოვანი მამის ნაადრევმა დაკარგვამ და საერთო მიძიმე ხვედრმა ჯერ კიდევ მცირეწლოვან უფლისწულებს ერთმანეთის ერთგულების გრძნობა და შეგნება იძენდად განუმტკიცა, რომ სიკვდილამდე არ შერყევიათ. როცა აშოტის შუათანა შვილმა ბაგრატმა „ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მიიღო კურაპალატობა ნაცვლად... მამისა თვისისა“, — გიორგი მერჩულე აღნიშნავს, რომ ეს მოხდა პირველ ყოვლისა „ნებითა ძმათა თვისთაჲთა“. თუ ბაგრატის მიერ ზიზნანტიური უმაღლესი საკარისკაცო ტიტულის მიღება ნიშნავდა, რომ „ძმანი მისნი... მშუვალესა მას ძმასა მორჩილ ექმნეს“, მწერალს არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, რომ ამის შემდეგაც „ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება იყვნეს ივნი“. ძმებს შორის არჩევანი ბაგრატზე იმიტომ შეჩერებულია მწერლის სიტყვით, რომ იგი „უმთავრეს მათსა იყო სიბრძნითა, სახითა და სიქველითა და ყოვლითა ღმრთის-მსახურებისა სიხარულითა“<sup>1</sup>. იქნება ბაგრატს უხუცეს ძმაზე, ადარნასზე, ამ მხრით უპირატესობა, მართლაც, ჰქონდა, მაგრამ უმრწემესზე, რომელიც გვარამ მამფალი დიდის სახელით შევიდა ისტორიაში, ალბათ არაფერი. მაგრამ იმ დროს (830 წ. ახლო ხანებში?) გვარაში ჯერ კიდევ მოუწიფებელი იყო ასაკითა. საერთოდ კი, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ბაგრატის უფროსობის საკითხი მხოლოდ ძმებს შორის მოთათბირების შედეგად გადაწყდა სამთავროს დიდკაცობის მონაწილეობის ვარეშე.

ბაგრატ ადარნასეს ძეს იმ დროს მოუხდა მოღვაწეობა, როცა თბილისის ამირები სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად წარმატებით იბრძოდნენ. ასეთ პირობებში ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების აღდგენა, რომელიც სახალიფოზე დამოკიდებული ქვეყნის მთლიანობას განასახიერებდა, გამორიცხული იყო. ბაგრატმა, როგორც ყოფილი ერისმთავრის მემკვიდრემ, ორჯერ მაინც შეძლო ამ ხელისუფლების დაბ-

1 ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1960, გვ. 272.

2 ა. ზოგვრაძე, ერთი ქრონოლოგიური საყრდენი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, 1970, გვ. 138.



ჩუნება: პირველად 843 წელს, როცა ქართლში მოვიდა ხალიფასაგან გამოგზავნილი მუჰამად იბნ ზალიდი თბილისის ამირა საპაკის დასამორჩილებლად (ეს იყო, ჩანს, ხანმოკლე დროით), და მეორედ 853 წელს, იმავე საპაკის წინააღმდეგ მოსული ბულა თურქის დროს. როგორც მოვლენების შემდეგი მსვლელობით ირკვევა, ბაგრატიმა ვერც ამის შემდეგ შეძლო ქართლის შენარჩუნება. სამაგიეროდ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა მისი უმცროსი ძმა, ლალრესად ენერგიული გვარამ მამფალი. ჯერ კიდევ ბუღას ქართლში ყოფნის დროს გვარამი მის საწინააღმდეგო კოალიციაში იბრძვის სომეხ მთავარ აბულაბაზთან (სომეხთა სპარაპეტის სუმბატის მეტსახელია) ერთად. ამ ფაქტს ისტორიკოსები ჩვეულებრივ განიხილავენ გვარამის ბაგრატიზაციას. განსხვავებული პოლიტიკური გეზის მაჩვენებელია<sup>3</sup>. თუ ამის შთაბეჭდილება წყაროების სიმწირით არ იქმნება (ხომ შესაძლებელია ბაგრატიზა და ბუღას კავშირი მალე დარღვეულიყო ამ უკანასკნელის მიერ ქართლის მიწა-წყალზე პირველსათვის მიუღებელი მოქმედების გამო), თავდაპირველად ეს მართლა ასე ჩანს. მაგრამ მემატინის შემდეგი ცნობა, რომ გუარამი „ჰბრძოდა სარკინოზთა: ზოგჯერ სძლის გუარამ და ზოგჯერ სარკინოზთა“, ეს უკვე გვარამის თბილისის საამიროსთან ბრძოლას შეეხება და არა სახალიფოს ცენტრალურ ძალებთან. უმკველია არაბებთან ამ ბრძოლას უნდა უკავშირდებოდეს (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) გვარამის მიერ ჯავახეთის, თრიალეთის, ტაშირის, აბოცის და არტანის დაპყრობა<sup>4</sup> (მოგვიანებით გვარამს სამცხეც ზელში ჩაუვდია), რომელსაც უშუალოდ მოჰყვება მატინაში გვარამის სარკინოზებთან ბრძოლის ამბავი. მაგრამ „მატინაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორს ზემოაღნიშნულ ცნობამდე ერთი სხვა რიგის ცნობაც შეუტანია უადგილოდ თავის თხზულებაში, რომელმაც ჩვენამდე დამახინჯებული სახით მოაღწია. სწორედ ამ ცნობის ანალიზით ვიწყებთ საკითხის უშუალო კვლევას.

„და ჰბძოდა აშოტ მამის მისწულსა მისსა, ძმასა გუარამისსა“<sup>5</sup>.

ვინც ამ პერიოდის ტაო-კლარჯეთის ისტორიას იცნობს, მისთვის საეჭვო არ იქნება, რომ აქ თავდაპირველად ეწერა არა „ძმასა ცუარამისსა“, არამედ „ბრძოდა აშოტ მამის მისწულსა მისსა, ძესა გუარამისსა“. „გუარამის ძმა“, ცხადია, აშოტის მამის ბაგრატი ძმაც იქნებოდა და ამიტომ მემატინე მას არა „გუარამის ძმად“, არამედ პირდაპირ აშოტის ბიძად ანუ ბაგრატი ძმად მოიხსენიებდა, მაგრამ ის მამის აღარ იქნებოდა, ცხადია, აშოტის „მამის მისწული“. ასე რომ, ტექსტი ისე უნდა გაიმართოს, როგორც ზემოთ მივუთითეთ. აშოტი, როგორც ცოტა უფრო გვიან მემატინე გვამცნობს, სწორედ მისი მამის მისწულს — გვარამის ძეს ნასრას ებრძოდა.

აღნიშნულ ცნობას, უეჭველია, დამოუკიდებელი სახე აქვს და რომელიც ჩვენამდე მოუღწეველი ქრონიკიდან არის ავტორის მიერ თავის მატინაში შეტანილი. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ის უადგილოდ არის ზემოთ ცნობებში ჩართული, რადგან უფრო გვიანდელია და იმ დროს ეხება, როცა პოლიტიკურ ასპარეზზე აშოტ I-ის შვილიშვილები არიან გამოსული. ამას კი ადგილი აქვს ბაგრატი I კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ (876 წ.). როდის გარდაიცვალა უხუცესი აღარჩანს, არ ვიცით, რადგან ამის თარიღი სუმბატ

3 პ. ინგოროვიკა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ 73; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 1973, გვ. 459.

4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 257.

5 იქვე.

დადებითს-ძეს არ მოეპოვება (საერთოდ კი, აღარანსებ ბაგრატზე აღერ ჩანს გარდაცვლილი). გვარამიც, რომელიც 882 წ. გარდაიცვალა ოპიზაში შემონახვნი-ბული, პოლიტიკურ ასპარეზს მატთანე ქართლისას ცნობით 870-იანი წლების დასასრულს ჩამოშორებია. ასე რომ, როცა გვარამი იპყრობს ზემოხსენებულ მხარეებს 840-იანი წლებიდან მოკიდებული, ვიდრე 870-იან წლებამდე, აშოტ ბაგრატის ძისა და ნასრა გვარამის ძის ურთიერთშორის ბრძოლა იმ დროისათვის ნაადრევეა, რა თქმა უნდა. იმავე მემტიანის ის ცნობაც, რომ გვარამმა დაპყრობილი მიწა-წყალი შემდეგში აღარანსესა და ბაგრატს „განუყვანა“, ცხადია, აშოტ I-ის შეილიშვილებს შორის ბრძოლამდე მოხდა. ამის გამოა აშოტისა და ნასრას ბრძოლის შესახებ ცნობა ანაქრონისტული მოცემულ კონტექსტში, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ავტორი თავის ცნობებს სხვადასხვა მატთანეებიდან და ქრონიკებიდან კრებდა, ამიტომ ზოგჯერ თანმიმდევრობას ვერ იცავდა მათი დალაგებისას.

გვარამი ალბათ დაპყრობილი ქვეყნებს იმიტომ უყოფდა თავის ძმებს, რომ საბოლოოდ, ეს მიწა-წყალი ბაგრატიონთა სახლის საერთო საკუთრებად მიაჩნდა და ამდენად, იცავდა აშოტის შვილებს შორის კოლეგიალური მფლობელობისა და მმართველობის პრინციპებს. „ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება იყვნეს ივინი“-ო, რომ ამბობს ივორგი მერჩულე, ამ მაგალითზედაც მართლდება.

ყოველივე ის, რაც მემტიანემ გვარამ მამფლის მოღვაწეობის შესახებ გვამცნო, არაპირდაპირ დათარიღებულიცაა, რადგან მას უშუალოდ მოყვება გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობის ამბავი, რომელიც „მას ჟამსა“-ვე მომხდარა. ამ ფაქტს კი ადგილი ჰქონდა 860-იანი წლების მიწურულში. ამრიგად, გვარამ მამფლის პოლიტიკური მოღვაწეობა ძირითადად 840—860-იან წლებში თავსდება. მემტიანე ამის შემდეგ აფხაზეთის სამეფო ყარზე დატრიალებულ დრამატულ მოვლენებს გადმოგვცემს დამახასიათებელი სიტყვაძუნწობით. ვინაიდან ამათ გარეშე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების მოქმედებაში ვერ გავერკვევით, მათზეც მოგვიხდება შეჩერება.

„მას ჟამს გამოვიდა გიორგი, აფხაზთ მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტოვა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატი, რომელი იცნობების ექსორია-ქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთაადგეს ბაგრატი ზოლუასა. ზოლო დმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქალაქად კონსტანტინეპოლედ. და მოჰყუარა ნეფემან იოვანე ძესა თჳსსა აღარანსეს ცოლი, ასული გუარამ აშოტის ძისა. და მოუკლა იოვანე, მეფე აფხაზთა, და მეფობდა მის წილ ძე მისი აღარანსე“.

მოტანილ ტექსტში გაურკვეველობას იწვევს ერთი ცნობა, რომელიც დემეტრე აფხაზთა მეფის მემკვიდრის საკითხს შეეხება. ტექსტში საქმის ვითარება თითქოს ისეა წარმოდგენილი, რომ დემეტრეს ორი ძე ჰყოლია. უფროსი შიძის ერისთავად დაუქვამს ჩიხას (ალბათ იმიტომ, რომ ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა). გიორგის გარდაცვალების შემდეგ ის გიორგის ცოლს მოუკლავს; ზოლო მეორე ძე დემეტრესი, ასაკითა მცირე, გიორგის ცოლისავე ვერაგობით ზღვაში ვადაუვლიათ. ასე გაიზრა ზემოაღნიშნული ცნობა, მაგალითად, ვახუშტიმ. „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ნუსხის საფუძველზე დემეტრეს უფროსი ძე ტინენ სახელით წარმოგვიდგინა, რომელიც ბიციოლას მოუკლავს,

რადგან ამ უკანასკნელს უნდოდაო ტახტზე მისი ძე იოანე ასულიყო. აქ ვახუშტი შეცდომას უშვებს: მას იოანე გიორგი აფხაზთა მეფის ძედ მიუჩნევია. სინამდვილეში ის იყო იოანე „მთავარი შავლიანი“, რომელიც დედოფალმა თავისი ვერაგული გეგმის თანამონაწილედ გაიხადა, ხოლო უმრწემესი ძე დემეტრესი ბაგრატ, როგორც „მატიანე ქართლისაშია“ აღნიშნული, ზღვაში ჩაუგდიათ<sup>7</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ამგვარი გაგების საფუძველს იძლევა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს მისი ნუსხების გადამწერთაგან დამახინჯებით უნდა აიხსნებოდეს. ამიტომ უპირატესობას „ქართლის ცხოვრება“ მართამ დედოფლის ვარიანტს ვანიჭებთ, რომელშიც წერია, რომ გიორგი აფხაზთა მეფემ „დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დიმიტრისი, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორია-ქმნილობით“<sup>8</sup> და შემდეგ უკვე, როგორც ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილ ტექსტშია: „ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე... ბაგრატ... და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა<sup>9</sup> იგი ივანე მთავარსა შავლიანსა და შთააგდეს ბაგრატ ზღუასა...“. მართალია, ამის შემდეგ დაბრკოლებას ზმნა „მოკლა“ გვიქმნის, რომელიც ამ ძალდატანებითი აქტის სისრულეში მოყვანაზე მეტყველებს და არა, ვთქვათ, მის ზღვაში გადაადგებაზე თითქოს. მაგრამ ეს უკანასკნელი ღონისძიებაც, საეჭვოა არაა, მისი მოკვლის მიზნით იყო ჩადენილი. ასე რომ არ გავიპრობთ ზემოთ მოტანილი ცნობა, უფრო დამაბრკოლებელი იქნებოდა შემდეგი გარემოება. თუ დემეტრეს მოწიფული ძეც ჰყავდა, რომელიც ქართლის ერისთავად იყო დასმული, გიორგი აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ მახვილი რატომ იმაზეა დასმული, რომ „დარჩა ძე დემეტრესი მცირე“<sup>10</sup>, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორია-ქმნილობით“, და უკვე ამის მერეა ნათქვამი, რომ „ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა“ — ანუ ტახტის მემკვიდრედ მიჩნეული უფლისწული, რადგან გიორგი უძეოდ გადაეგო. ან სახელი „ტინენ“ — დემეტრეს უფროსი ძის სახელი, ხომ ცხადია, რომ არაბუნებრივია და საეჭვო? („კონსტანტინე“ სახელის ნაშთია?).

ზემოთ განხილულ უაღრესად საყურადღებო ცნობებს მემატინე მოაყოლებს შემდეგ არანაკლებ ღირსშესანიშნავ ცნობას, რომელიც ასევე მჭიდროდაა გადაჯავებული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხებთან:

„და შეიპყრნა ლიპარტ ქუეყანანი თრიალეთისანი, ალავო ციხე კლდე-კართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“.

გერ ამ ცნობის დათარიღების შესახებ. ლიპარტის ამ მოქმედებას ადგილი ჰქონდა 876 წლის შემდეგ (ან იქნებ იმავე წელსაც), რადგან მან ქართლ-

7 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 131, 797.

8 ქართლის ცხოვრება, მართამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორებით, ტფ., 1906, გვ. 223.

9 საერთოდ, კარგად არ ჩანს რას უნდა ნიშნავდეს „ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა და შთააგდეს ბაგრატ ზღუასა“, — დედოფალმა მოტყუებით გაიხადა ეს მთავარი ამ ვერაგული აქტის მონაწილედ, თუ ეს ადგილი დამახინჯებულა და ტექსტში თვდაპირველად უნდა ყოფილიყო: „ეცრუა მას ივანე მთავარი შავლიანი“ — ამ უკანასკნელმა მოატყუა გიორგის ძვირი და ბაგრატს მოკვლის ნაცვლად ზღვაში ჩააგდო, ე. ი. უშუალოდ მის სისხლში ხელი არ გაისვარა და უფლისწულის სიცოცხლე ბედ-იღბალს მიანდო?

10 დემეტრე მეფედ იხსენიება უკვე 826 წლისათვის და ნუთუ ამის შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის გასვლიდან მას მცირეწლოვანი ძე დარჩა?

3. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1987, №2

ში გადმოვსვლისას დავით კურაპალატი „იპატრონა“ და არა მამამისი ბაგრატი I კურაპალატი — ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების სახლის მეთაური. ამავე ცნობის თანახმად ირკვევა, რომ ლიპარიტი გამოქცევი ადარნასე შავლიანს, აფხაზთა მეფეს, რადგან არგვეთელი დიდზნაური იყო. ჩანს, რომ ლიპარიტს მტრული პოზიცია სჭერია უზურბატორ შავლიანების მიმართ (ალბათ აფხაზთა მეფეების კანონიერი სამეფო დინასტიის ინტერესებს იცავდა). გასაგებია, რომ ლიპარიტ ბაღვაში საყმოდ დავით ბაგრატის ძეს მიუვიდა და არა გუარამ-ნასრას, რომელთა სიძედ მისი მტერი ადარნასე შავლიანი გამხდარიყო. ამ ნათესაურმა კავშირმა აფხაზთა მეფეს „ქართლსა ზედა“ ბრძოლაში ნასრას სახით ძლიერი მოკავშირე შესძინა, სანაცვლოდ ყოფილი ყმა ლიპარიტი მისი უმთავრესი მტრის სომეხთა მეფის მხარეზე მოევიდნა, ვითარცა სომეხთა მოკავშირის დავით კურაპალატის ყმა. ჩანს, რომ ლიპარიტი იმდენად მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, რომ მემატთანეს ამ ბრძოლის მონაწილეთა შორის მისი ცალკე მოხსენიება საჭიროდ უცნია:

„ნასრა, ძე გუარამისი, და გურგენ იყვნეს აფხაზთა კერძ, ხოლო დავით და ლიპარიტ უშუელდეს სომეხთა და იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა“<sup>11</sup>.

ზემოაღნიშნულ ბრძოლაში შიდა-ქართლისათვის სომეხთა და აფხაზთა მეფეებს შორის, რომელიც 870-იანი წლების მიწურულს გაჩაღდა, როგორც ვხედავთ, ტაო-კლარჯეთის ხელისუფლანიც აქტიურად ჩაბმულნან, რაც საგარეო ასპარეზზე გადმოტანილი მათი შინაური მტრობისა და შუღლის გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ (წარმოუდგენელია, რომ შინ კვლავ „ერთსულ და ერთზრახვა“ იყვნენ და მხოლოდ გარეთ ებრძოდნენ ერთმანეთს!). საქმე იქამდის მივიდა, რომ „მოიტყუა ნასრა ძემან გუარამისმან დავით ძე ბაგრატისი, მამის მძისწული მისი, და მოკლა იგი“ (თვითონ გვარამი, სუმბატის ცნობით, ამ დროს შემონახვენი იყო. ამიტომ ბუნებრივია იგი, როგორც სუმბატ დაფითის ძე აღნიშნავს, „უბრალო ყოფილიყო სისხლისაგან დავით კურაპალატისათა“. მაგრამ თუ გვარამი ამ ბრძოლის დროს „მონაზონ იქმნა“, როგორც ქართლის მატთანე გვაუწყებს, ის შემონახვრებამდე ჩამოშორებია პოლიტიკურ მოღვაწეობას).

იგი ჯავახიშვილი რომ ფიქრობდა, ნასრასა და დავითის მტრობის მიზეზი თრიალეთი იყო, მთლად მისაღები არ ჩანს, მით უფრო, რომ დავითს მეორე ბიძაშვილი გურგენ ადარნასეს ძეც მტრობდა. თრიალეთი, მართალია, თავის დროზე გვარამმა დაიპყრო, მაგრამ რადგან მასვე გაუყვია შემდეგ თავისი ძმებისათვის სხვა პროვინციებთან ერთად, მისი ერთ-ერთი კანონიერი მფლობელთაგანი დავით აშოტის ძეც ზომ უნდა ყოფილიყო. ამდენად, არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მთავრადმანც თრიალეთის გულისათვის გადაემტერნენ ბიძაშვილები ერთმანეთს და ამის გამო ქართლისათვის ბრძოლის უმთავრესი მონაწილეების სხვადასხვა ბანაკში აღმოჩნდნენ.

მემატთანე რომ ამბობს: „შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი“, შეიძლება ისე გავიგოთ, რომ ლიპარიტმა მთლად თავის ნებასურვილზე და რისკზე გაბედა თრიალეთის ქვეყნების „შეპყრობა“ და ამის შემდეგ იპატრონა დავით ბაგრატის ძე, თუ, პირიქით, წინასწარ შეუთანხმდა მას საბატრონყმოდ, შემდეგ გადმოვიდა ქართლში თავის ზალზიანად და ამ შეთანხმების საფუძველ-

11 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 259.

ზე „შეიპყრან ქუეყანანი თრიალეთისანი“? ჩვენ უფრო ეს გვეჩვენება შესაძლებელი. ლიპარიტს რომ თავიდანვე თავის უკუთხე დაეწყოთ თრიალეთის დაპყრობა და იქ ციხეების აგება, მუქედობებელია ბაგრატიონთა სახლის ზემოხსენებულ წევრებთან შეტაკება არ მოსვლიდა (თრიალეთი ხომ უპატრონო არ იყო). ამიტომ გვგონია, რომ ის აღმოსავლეთში გადმოსვლისთანავე დავითს მოუვიდა და იქნებ დავითსიც იყოს ის მიწა-წყალი, რომელიც ლიპარიტმა „შეიპყრა“ დავითისავე ნებით (ისე კი, ზნა „შეიპყრა“ ლიპარიტის დამოუკიდებელი მოქმედების გამოხატველი უფროა).

ასე იყო თუ ისე, ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ დავითია კურაპალატი და, ამდენად, ბაგრატიონთა სახლის უფროსი. მაგრამ თუ თავის დროზე ბაგრატს კურაპალატობის გამო ძმები „მორჩილ ექმნეს“, დავითს ბიძაშვილები საამისოდ თავს უკვე აღარ უდებენ. ის ფაქტი, რომ გვარამ მამფალმა დაპყრობილი ქვეყნები ძმებს გაუნაწილა, ვფიქრობთ, შეიქმნა ბიძაშვილებს შორის გაწესებული და მტრობის ერთ-ერთი მიზეზი. ნასრა გვარამივით ძალზე ენერგიული პიროვნება ჩანს, მაგრამ მამისაგან ვანსხვავებით, რომელსაც ყველა მისი დაპყრობილი ქვეყანა საბოლოოდ ბაგრატიონთა სახლის საერთო საკუთრებად მიაჩნდა, ის ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ გამოდის. მისი მემკვიდრეობა ძალზე დაქსაქსული იქნებოდა და სხვა ნათესავების ქონებისაგან ძნელად გამოსაყოფი. ასე რომ, ბიძაშვილებს შორის ბრძოლა გარდაუვლი იყო. გურგენ ადარნასეს ძეს რომ ნასრას მხარე უჭირავს, რაც მათი საცარეთ-პოლიტიკური ორიენტაციის მაგალითზე ჩანს, გვაფიქრებინებს, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა ტაო-კლარჯეთის სამთავროს სახლში უფროსობის გამოც. რომელსაც ფორმალურად დავით კურაპალატი განასახიერებდა (უფრო გვიანდელი მოვლენები ამას ვგაფიქრებინებენ). ის ფაქტი, რომ ბაგრატ კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ დავითი დასვეს კურაპალატად, იმის მოწმობაა, რომ აშოტ I-ის მემკვიდრეებს შორის უფროსად ბიზანტიას ის უცნია (ამის უმთავრესი საფუძველი ალბათ ის იყო, რომ დავითი უფროსი ძე იყო ბაგრატ კურაპალატისა).

ბიძაშვილის მკვლელ ნასრას წინააღმდეგ მისი ძველი მტრების ძლიერი კოალიცია გამოვიდა: „ნასრას შეუტრბეს მტერად სომეხნი, ლიპარიტ და ქართველნი, და აშოტ ძმა დავითისი, და მათ თანა საარკინოზნი. და შეებნეს ნასრას და გააჭიყეს, და მიუხუტნეს ციხენი“<sup>12</sup>.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 260. ამათ რიცხვში შედიოდა ალბათ ის ვიხეებიც, რომლებიც ბიზანტიიდან მობრუნებულმა ნასრამ 888 წელს „დაიპყრან“ თუ „შეიპყრან“: „ოძრქე, ჟუარის ციხე და ლომსიანთა, გუარამისივე აშენებულა“. ჰალაშვილისეული ნუსხით სამივე ეს ციხე გუარამის „აშენებულნი“ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ისინი თავის დროზე გუარამს სჭირია (60—70-იან წლებში) და, ალბათ, ნასრას გადმოეცა, როგორც მისი წილი, თუ გვარამმა სამცხიდანაც არგუნა ნაწილი თავის უფროს ძმებს. ნასრას მოკვლის შემდეგ, ცხადია, სამცხეც მის გამარჯვებულ სახლიაყვებს შორის განაწილდა, როცა „ქუეყანა ნასრისი დაიპყრეს სხუათა ამათ მთავრათა“.

შესაძლებელია ამის შემდეგ სამცხე IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში იმ ადგილობრივი მთავრების ხელში ყოფილიყო, რომლებმაც გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეობის გამო ატეხილ სამწილით ომში არბიეს ერთმანეთი? სად იყვნენ ამ დროს სამცხის რეალურად მფლობელი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები? ვინ მისცა ამ დროს ვინმე გიორგი შუარტყელს აწყურის საყდრის დაპყრობის შემდეგ იმის ნება, რაც მან ბასილ ზარზმელის ცნობით მოიმოქმედა: „კელთ-იღვა, რაჲ განგებამ სამცხისაჲ, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თჳსი, ვითარცა წეს-იყო, და დაიპყრა ყოველი ნამული და ეკლესიანი ბირგულთა მათ მეფლეთითანი“, ჩვენი წყაროების ცნობათა სრული უგულებელყოფა იქნებოდა ზემოაღნიშნულ მოქმე-

ამ გაერთიანებაში, როგორც ვხედავთ, სომეხნი და ლიბარტი წინანდებურად იხსენიებიან. აშოტი, ძმა დავითისი, როგორც მემკვიდრე გვამცნობს, ადრეც ებრძოდა ნასრას (დამოუკიდებლად თუ დავითთან კავშირში) და ახლა, ბუნებრივია, თუ ძმის მკვლელებზე შურისძიებას არ დააყოვნებდა. მაგრამ ამათ ამჯერად „სარკინოზებიც“ დამატებიან — ესენი თბილისის ამირის ლაშქარია და „ქართვლები“ ანუ ქართლის აზნაურები. ამათაც საჭიროდ უცვნიათ აფხაზთა მეფის მოკავშირე ნასრას წინააღმდეგ გამოსულიყვნენ.

დამარცხებული ნასრა ბიზანტიაში გადაიხვეწა, აღმოსავლეთის ქრისტიან მფლობელთა მეთაურს — ბიზანტიის კეისარს შეეხიზნა სატახტოში. „იყო მუნ მრავალ წელ“, — აღნიშნავს სუმბატ დავითის-ძე, რაც მისივე ანგარიშით, შვიდი წელი გამოდის. ბიზანტიაში შეხვდა ნასრა აფხაზეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, ბიკოლასაგან სასიკვდილოდ გამეტებულ ბაგრატს და, ჩანს, დაუახლოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატი მეტოქეა ნასრას სიძის ადარნასე შავლიანისა, რომელთან ნასრა ადრე სამხედრო კავშირში იმყოფებოდა „ქართლსა ზედა“ ბრძოლაში, ამჯერად ნასრა-ბაგრატის კავშირი იკვრება, რომელიც, როგორც მოვლენების შემდგომი მსვლელობით იჩვენება, ერთი მხრით, სწორედ ადარნასე შავლიანის წინააღმდეგ ყოფილა მიმართული.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ნასრას, მემკვიდრის ცნობით, მის უკანასკნელ ბრძოლაში აფხაზთა მეფე მხარში აღარ ედგა. ვერ მოასწრო, თუ ამჯერად ნასრას მხარდაჭერაზე უარი უთხრა? იქნებ ეს იყო მიზეზი, რომ ნასრა მას კი არ შეეხიზნა, არამედ პირდაპირ ბიზანტიაში გაიქცა. შესაძლებელია, რომ ადარნასე შავლიანმა ნასრას მტრებთან ბრძოლა, ამჯერად არა მისი ინტერესებისათვის უშუალოდ, სახიფათოდ მიიჩნია და ამიტომ მას დახმარებაზე უარი უთხრა. მისგან განსხვავებით, როცა ბაგრატმა ბიზანტიის ჭარით აფხაზეთის ტახტი დაიბრუნა, ადარნასე შავლიანი მოკლა და მისი ცოლი — ნასრას და შეირთო, მერე აღარ დაუხანებია — ცოლიძმა ბიზანტიიდან გამოიყვანა და სახლიკაცების წინააღმდეგ დიდძალი ლაშქარიც მიაშველა. რას აკეთებდა ადარნასე შავლიანი (სვანი უნდა იყოს), როცა მისი ლტოლვილი ცოლიძმა კეისრის დახმარების მოიმედ წლების მანძილზე ბიზანტიაში ზიზნობდა?

ბიზანტიის კეისარიც უწყაყოფილო ყოფილა ადარნასე შავლიანის პოლიტიკით რაკი მისი მეტოქე ლაშქრითა და ნავეებით აფხაზეთის ტახტის დასაუკურად გამოგზავნა. მაგრამ არც ბაგრატს და არც მის მემკვიდრეებს დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის ტრადიციული უფლებების აღსადგენად, ცხადია, თავი არ შეუწყუბნიათ. ნასრაც ალბათ მორჩილების იმედს აძლევდა კეისარს. როცა მამისეულ მფლობელობაზე დამკვიდრდებოდა. მან რომ ბიზანტიელთაგან გამეფებული ბაგრატის შემწეობა მიიღო, ესეც კეისრის თანხმობით უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ნასრას ბიზანტიიდან ფეხს არ მოაკვლევინებდნენ.

აფხაზეთში გამეფებულმა ბაგრატმა ნასრა ბიზანტიიდან გამოიყვანა და მას აფხაზეთის ლაშქრის გარდა ოსებიც მიაშველა. რადგან ნასრასა და მის სახლიკაცებს შორის ბრძოლას, რომელშიც ნასრა დამარცხდა და მოიკლა, სუმბატ

დებთა იმ გიორგი მაწყვერელისათვის მიწერა, რომელსაც მერჩულეს თანახმად X ს-ის პირველ მესამედში უმოღაწენია ძირითადად. ანდა ბუნებრივი იქნებოდა ეს გიორგი მაწყვერელი IX ს-ის 30-იან წლებში ბერთის პარეხებში დამკვიდრებულ მიქელ მეულანზონეს (თუ მას სერაპიონის მოძღვარ მიქელ პარეხელთან გაეაიგივებდით) მომსწრე-მცნობელი ბერი ყოფილიყო?

დავითის-ძის ცნობით, ადგილი ჰქონდა 888 წ., ბაგრატი აფხაზეთში მანამდე არაუმეტეს 1—2 წლით ადრე იქნებოდა გამეფებული<sup>13</sup>.

სუმბატ დავითის-ძე ნასრას მოწინააღმდეგეებად მხოლოდ ადარნასე დავითის ძესა და გურგენ ადარნასეს ძე კურაპალატს ასახელებს: „შეწერა ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა და სძლეს ნასრას“. მათიანე ქართლისას ცნობით კი ადარნასესა და გურგენისათვის დახმარება სომეხებს გაუწევიათ (სომეხთა მეფე სუმბატ აშოტის ძე ივულისხმება). სუმბატი XI ს-ის შემატიანეა და, ცხადია, საქმეს ადარნასე ბაგრატიონის (რომლის შთამომავლებსაც ეპყრათ იმ დროს გაერთიანებული საქართველოს მეფობა) სამართლიანი საქმის სასარგებლოდ წარმოგვიდგენს. „ღმერთი შეეწეოდა“ „ადარნასეს კერძთა“, როცა მათ მოსისხლე ნასრას „ურიცხვ ლაშქარს“ სძლიესო, მაგრამ ქართლის მათიანეს ცნობა, რომ ადარნასესა და გურგენს შემწეობა აღმოუჩინეს სომეხებმა, ეკვს არ იწვევს. სომეხთა მეფის მოკავშირე ადარნასეს მამა დავით კურაპალატოც იყო. ახლა ეს კავშირი უფრო უნდა გამტკიცებულიყო, რადგან ნასრა გამარჯვების შემთხვევაში, არამარტო თავის ზემოხსენებულ ნათესავეებს დაეროდა, არამედ აფხაზთა მეფესთან შეკავშირებული, არც თვით სომეხთა მეფეს დააყრდნობდა კარგ დღეს. ამიტომაც იყო, რომ ამ უკანასკნელმა ადარნასეს სასწრაფოდ მიაშველა ლაშქარი (ლაპარტი ბაღვაში ამ დროს ცოცხალია? თუა, ალბათ, ისიც ადარნასეს „კერძთა“ შორის იქნებოდა).

არ შეიძლება გურგენ ადარნასეს ძე კურაპალატის პოლიტიკურ სახეცვლილებას ყურადღება არ მივაქციოთ. ადრე ის, როგორც მათიანე ქართლისას ავტორი გვამცნობს, ნასრას მხარეზე იბრძოდა დავით კურაპალატის წინააღმდეგ. ნასრას მიერ დავით კურაპალატის მოკვლის შემდეგ ის ნასრას მოკავშირედ აღარ იხსენიება. ყველასგან მიტოვებული ნასრა დამარცხდა და გადაიხვეწა. მისი არყოფნით სხვებზე მეტად სწორედ გურგენ ადარნასეს ძემ ისარგებლა. როგორც სუმბატ დავითის-ძე გვამცნობს, გურგენი კურაპალატად დაუსვათ. მართალია, ამის მიზეზი თითქოს ისიც იყო, რომ დავით კურაპალატს შემეკიდრე ადარნასე „მოუშწიფებელი ასაკითა“ დარჩენია, მაგრამ მისი ძმა აშოტი ხომ 885 წლამდე ცოცხალი იყო?

სუმბატ დავითის-ძის მიერ აღწერილი მოვლენების ქრონოლოგიური რიგის თანახმად, გურგენი გვარამ მამფლის გარდაცვალებამდე დაუსვათ კურაპალატად, ალბათ, დავითის მკვლელობიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ. მაგრამ ეს „დასმა“ რომ მისი სახელობის ინიციატივა არ ყოფილა და თვით გურგენის მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი იყო (კეისარი ბაგრატიონების სახლში გამოტანილ გადაწყვეტილებას ამტკიცებს მხოლოდ), ამას მოვლენების შემდგომი მსვლელობაც მოწმობს.

როცა ნასრა თავისი და მოკავშირეების ლაშქრით ნათესავეებს გამოეცხადა, მის წინააღმდეგ სწორედ მისი ბიძაშვილი გურგენ კურაპალატი და შვილი მისი გამოვიდნენ პირველ ყოვლისა. სუმბატ დავითის-ძე არ უნდა იყოს მართალი, როცა ნასრას მთავარ მეტოქედ ადარნასეს წარმოგვიდგენს, ხოლო

<sup>13</sup> 886 წ. ბიზანტიაში გამეფდა ლეონ VI, რომელმაც მამამისის, იმპერატორ ბასილ I-ის, პოლიტიკასთან კავშირის გაწყვეტის მიზნით მთელ რიგ საწინააღმდეგო ზომებს მიმართა. თუ ბაგრატი ბასილ I მკედლანელის (867—886) მმართველობის თითქმის მთელ პერიოდში კონსტანტინოპოლში იყო უმოქმედოდ, მისი ბიზანტიის ჯარით დასავლეთ საქართველოში შემოსვლა ლეონ VI-ის გამეფებას უნდა უკავშირდებოდეს.

გურგენ კურაპალატს თავის შეილებიანად — ადარნასეს შემწედ. ბაგრატიონების სახლის თავკაცი ანუ კურაპალატი გურგენი შექმნილიყო და სწორედ მის ინტერესებში იყო ახლა უმთავრესად ნასრას შემოუშვებლობა გვერამისეულ მემკვიდრეობაზე, ამიტომ მთელი საგვარეულოს დარაზმვისა და გამოყვანის მოთავე ის უნდა ყოფილიყო.

სუმბატ დავითის-ძე რომ აღნიშნავს, მხოლოდ ნასრას სიკვდილის შემდეგ დაიპყრეს ზემოხსენებულმა მთავრებმა მისი ქონება, ვითომ მანამდე, დავიჯეროთ, რომ ხელი არ ეხლოთ მისთვის და კანონიერ მემკვიდრეს უნახავდნენ? (აბა რას ნიშნავს „მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობა, დამარცხებულ ნასრას „მიუტყნეს ციხენი“-ო). მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, ვიდრე ნასრა ცოცხალი იყო, ყოველთვის ირჩებოდა მის მიერ მამისეული ქონების დაბრუნების შესაძლებლობა, რაც მხოლოდ მისი სიკვდილით ხდებოდა გამორიცხვად (გვარამს ერთი ვაჟი კიდევ ჰყოლია, რომელიც ადრევე მომკვდარა უძეოდ. მემკვიდრე, ჩანს, რომ არც ნასრას დაარჩენია).

სანამ ნასრას დაბრუნების საფრთხე რჩებოდა, გურგენ-ადარნასეს კავშირს საფუძველი ჰქონდა. მაგრამ, როგორც კი ნასრა დაიღუპა და მისი მემკვიდრეობა საბოლოოდ ზემოხსენებულ მთავრებს შორის განაწილდა, გურგენისა და ადარნასეს მტრობამ თავი აშკარად იჩინა. ადარნასე გურგენს, უეჭველია, პირველ ყოვლისა, კურაპალატობას ეცილებოდა და შემდეგ უკვე იმ მიწებსაც, რაც მან ამ ხელისუფლების ძალით მოიპოვა, რადგან, ჩანს, რომ გურგენმა ნასრას ქონებიდან უმთავრესი წილი თავისთვის დაინარჩუნა. ამას გვაფიქრებინებს სუმბატ დავითის-ძის ცნობა, რომ ნასრას მემკვიდრეობის „დაპყრობის“ შემდეგ „გურგენი კურაპალატი წაარვიდა ტათით, კალმახით, მამულით თვისით, ცხოვრებად შევშეთს და არტანს“<sup>14</sup>. შევშეთი და არტანი, ჩანს, გურგენის „მამული“ არ ყოფილა და ამდენად ეს მფლობელობა მას ნასრას ქონებიდან უნდა რჩებოდა. თანაც ეს ხმლით ნაშთები მიწა-წყალი იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ გურგენს ამ მხარეებში გადმოუტანია თავისი ადგილსამყოფელი<sup>15</sup>.

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 379.

<sup>15</sup> გურგენ კურაპალატს რგებია ის მიწა-წყალიც („ტყენი და ზღვარნი“), რომელიც ნასრას მამას, გვარამ მამულს, შეუწირავს თავის დროზე „მეორედ მისგან აღშენებულ“ ოპიზის მონასტრისათვის. ნასრას სიკვდილის შემდეგ სუმბატ დავითის-ძე რომ აღნიშნავს: „აღივოცა საყენებელი მისი... და ქუეყანა ნასრისი დაიპყრეს სხუათა ამათ მთავართა“ — ეს აქტი არა მარტო სამოქალაქო სამართლის სფეროს შეხებია, არამედ ეკლესიაზედაც გაუვრცელებიათ გამარჯვებულს და გვარამის მიერ ოპიზის მონასტრისათვის შეწირული, რომლითაც, ცხადია, მისი და მისი სახლის წევრების ლოცვა-კურთხევა იყო დადებული, გამოუწირავთ (ჭეშმარიტად „აღხოცილა სახსენებელი“ ნასრასი). გვარამის ოპიზისათვის შეწირული „ტყენი და ზღვარნი“ გურგენ კურაპალატს გამოუწირავს, რადგან ამ მიწებს მისი შეიღწევილი გურგენ ერისთავთა ერისთავის, როგორც მის მამულს, შემდეგში ისე წირავს მიძნაძორის მონასტრს.

საუკუნენახევრის შემდეგ ბაგრატ IV-ის დროს, როგორც ცნობილია, ღიდი დავა შეიქნა ოპიზისა და მიძნაძორის მონასტრებს შორის ამ ნიადაგზე. ბაგრატს სასახლის კარზე სასამართლო გაუმართავს. რომლის საფუძველზედაც შედგენილია მისი სიგელი ოპიზის და მიძნაძოროვლთა სამამულო დავის გამო. მეფესა და მის დიპლომატიკოსებს უჯეროთ, რომ გურგენ ერისთავთა ერისთავის შეწირულებაში გვარამ მამულს დაწერულ „არა ქსენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არცა გარდადებულად“. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლში 880-იან წლებში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ მათ ალბათ კი სწენოდათ (გადმოცემით თუ სუმბატ დავითის-ძის თხზულებისა ან მისი წერილობითი პირველწყაროს მეშვეობით), მაგრამ ის აღარ მოგონებიათ, რომ ეს ამბავი ამ დავასთან კავშირში შესაძლებელია ყოფილიყო.

მიძნაძორის მონასტრისათვის ზემოაღნიშნული მიწების შემწირველი უშუალოდ გურგენ კურაპალატი რომ ყოფილიყო, ამ დოკუმენტებში გვარამის შეწირულების „გარდადებულება“,



გურგენი, უეჭველია, კურაპალატობის მიმტაცებელი იყო. ალბათ, თავის ამ ნაბიჯს ის იმითაც ასაბუთებდა, რომ აშოტ I კურაპალატის უფროსი ძის აღარნასეს შვილი იყო. მაგრამ რადგან თავის დროზე აღარნასემ ნებით თუ უნებურად შუათანა ძმის, ბაგრატის, უფროსობა ცნო, გურგენს აღარავითარი უფლება არ ჰქონდა ამის მერე. როცა გურგენი და ნასრა დავით კურაპალატს ებრძოდნენ, ამ ბრძოლის ერთ-ერთი მიზეზი, ახლა გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოხსენებული ბიზანტიური სახელისუფლო პატივი იყო — გამოხატველი ბაგრატიონთა სახლის უფროსობისა. ნასრას რომ დავით კურაპალატის სისხლი შერჩენოდა, ეჭვი არაა, კურაპალატად თვითონ დაჯდებოდა, რადგან დავით კურაპალატთან ბრძოლის მოთავე ის ჩანს ცნობების თანახმად და არა გურგენი. ზოლო ბიზანტიიდან მობრუნებულ ნასრას რომ გავმარჯვე, ამჯერად ყოფილ მოკავშირეს დაავადებინებდა მის არყოფნაში მიტაცებულ ხელისუფლებას. საყურადღებოა აქ ბიზანტიის კეისრის პოზიცია — გურგენს კურაპალატად ცნობს, მაგრამ ამასთანავე აფხაზთა მეფის ხელით მას მეტოქეს უგზავნის ქვეყანაში (ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებასა და ტაო-კლარჯეთის მფლობელებს შორის ურთიერთდამოკიდებულების საყურადღებო მაგალითია).

„ამისა შემდგომად შეიმტერნეს ურთიერთას და შეკრიბეს ლაშქარი ერთმანეთსა ზედა ერთ-კერძო გურგენ კურაპალატმან და ერთა მისთა, მეორეკერძ აღარნასე ქართველთა მეფემან და ბაგრატ არტანუჯელმან“, — აღნიშნულია სუმბატ დავითის-ძის მატიაწეში. მაგრამ ვადაწყვეტ ბრძოლამდე მათ შორის სოფელ მგლინავთან, უფრო წერილ ბრძოლებსაც ჰქონია ადგილი, მაგრამ ამის შესახებ სიტყვა სომეხ ისტორიკოს იოანე დრასხანაკერტელს დავუთმოთ. ამ უკანასკნელის ცნობით, სომეხთა მეფის აშოტ სუმბატის ძე ბაგრატიონის ვარდაცვალების შემდეგ (891 წ.), მის მიმკვიდრე სუმბატთან „სამხიმირის გამოსათქმელად ქართველთა დიდი მთავარი აღარნასეც მოვიდა“<sup>16</sup>.

იოანე დრასხანაკერტელი საქმის ვითარებას მხოლოდ ისე წარმოგვიდგენს, რომ აღარნასეს, თითქმის სხვა არაფერი ამოძრავებდა, თუ არა ჯერ სამხიმირის გამოცხადება სუმბატისათვის და შემდეგ მის იამეფებაში მონაწილეობის მიღება: „გახადა მას თალხი სამოსელი და სამეფო ტანსაცმლით შემოსა“<sup>17</sup>. მაგრამ სომეხი და ქართველი ისტორიკოსების ცნობების ერთობლივი გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ აღარნასე გურგენ კურაპალატის

უეჭველია, აღნიშნული იქნებოდა. მაგრამ რადგან გურგენ კურაპალატს გუარამის შეწირულება თავის მამულად უქცევია, შემდეგში, როგორც ვთქვით, მისი შვილშვილი მას მიძნაძორის მონასტერს წირავს უკვე როგორც მისი სახლის ქონებას. ამიტომ ამ დოკუმენტში, ცხადა, გვარამის შეწირულობაზე ლაპარაკი აღარ იქნებოდა.

ოპიზარ მამების დავა იწვევს გაკვირვებას. მათ შეუძლებელია გადმოცემით არ ცოდნოდთ, თუ რა ვითარებაში დაკარგა ოპიზამ ზემოხსენებული „ტყენი და ზღვარნი“ (დოკუმენტია შერჩენიათ), რომლის მფლობელნიც შემდეგში მიძნაძორელი იყვნენ. თავის დროზე მათ, ჩანს, ხმა არ ამოუღიათ (რომ ამოეღოთ, ეს ასახული იქნებოდა მიძნაძორის მონასტრის მეფე-მთავართა შეწირულების წინანდელ დოკუმენტებში და ბაგრატის სწავლული კაცები ამ დავაში გურკვევლობაზე აღარ დიხივებდნენ), მაგრამ კარგა ხნის შემდეგ მიძნაძორელებს ზემოაღნიშნულ მიწებზე გვარამ მამფლის დაწერილის საფუძველზე შეცილებიან. ალბათ ფაშთა სრბოლაში გვარამის შეწირულების დაკარგვის მიზეზის დაიწყების იმედი ჰქონდათ და არც შემცდარან.

16 იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი, ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965, გვ. 43.

17 იქვე, გვ. 44.

წინააღმდეგ მხარდამჭერს ეძებდა სუმბატ სომეხთა მეფის სახით. როცა უკან მობრუნებული ადარნასე შეიპყრო სუმბატის ბიძამ ვანანდის მფლობელმა აბასმა, რომელიც ადრეც წინააღმდეგი იყო ადარნასეს სუმბატთან შეხვედრისა (ე. ი. სუმბატ-ადარნასეს კავშირისა), მისი განთავისუფლებისათვის ენერგიულად ამოქმედებულ სუმბატ მეფეს შემდეგი მოთხოვნა წაუყენა: „გადმომცეს მე ადარნასემ ორი ციხე-სიმაგრე, რომლებიც მან ჩემი დის ქმარს გურგენს გამოსტაცა და (მომცეს) მძევლად თავისი შვილი დავითი და ამის შემდეგ გავეშვებ მე მას მშვიდობით“<sup>18</sup>.

ეს გურგენი, რომელიც აბასის დის ქმარი იყო, სხვა არავინ შეიძლება იყოს ყოფილიყო, თუ არა გურგენ ადარნასეს ძე კურაპალატი. ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთ მთავარს სხვა რომელ დიდმფლობელ გურგენთან (სომეხთა მეფის სიძე, ცხადია, წვრილი მფლობელი არ იქნებოდა) შეიძლება იქნებოდა ტერიტორიული დავა (ციხეების დაპყრობა ხომ ამასთანავე მისი შესავალი ქვეყნების, თუ ხევების, დაპყრობას ნიშნავდა).

ადარნასე, დათმობებზე წასულა, ანუ ეს ციხეები ისევ გურგენისათვის დაუბრუნებია და არა აბასისათვის, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. მაგრამ აბასი არც ამის შემდეგ აპირებდა თურმე მის გაშვებას, ვიდრე სუმბატ მეფემ გადაპყრელი მოქმედებით არ მოიყვანა ბიძამისი მორჩილების ხალისზე. გასაგებია ამის შემდეგ თუ ადარნასესა და გურგენ კურაპალატს შორის იმავე 891 წ. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოხდა, რომელშიც გურგენ კურაპალატი დამარცხდა და სასიკვდილოდ დაიჭრა<sup>19</sup>.

სუმბატ დავითის-ძე მეღინავეთან ბრძოლის დროს ადარნასეს „ქართველთა მეფის“ სახელით მოიხსენიებს. საერთოდ კი, მისი ცნობების ქრონოლოგიური რიგში ადარნასეს მიერ „ქართველთა მეფის“ სახელწოდების მიღება ნასარას სიკვდილის შემდეგ იხსენიება: „ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასხეეს ქართველთა მეფედ (ნაცვლად) მის მოკლულისა“-ო. იქამდე, როგორც ცნობილია, ამ ტიტულს ტაო-კლარჯეთის არცერთი ხელისუფალი არ ატარებდა, ამიტომ თავისთავად უცნაურია, როცა შემატანის თანახმად ეს განსაკუთრებული აქტი დავით კურაპალატის ნაცვლად ადარნასეს „ქართველთა მეფედ“ დასმას ნიშნავდა, მით უფრო, მისივე ცნობებით ვიცით, რომ კურაპალატი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში ამ დროს გურგენი იყო. ზემოაღნიშნული ამბების თანამედროვე სომეხი მემატიანე იოანე დრასხანაკერტელი სავსებით მართალია, როცა 891 წ. ადარნასეს ჯერ კიდევ მხოლოდ „ქართველთა მთავრად“ იხსენიებს, შემდეგ უკვე „ქართველთა კურაპალატად“ და მხოლოდ IX ს-ის დასასრულისათვის „ქართველთა მეფედ“. ეს მონაცვლეობა სახელწოდებებისა შეესატყვისება ადარნასეს პოლიტიკურ ადგილს ტაო-კლარჯეთისა და გარემომცველ სამყაროში და ამასთანავე გამოხატავს მისი ხელისუფლების შინაარსის ცვლილებას. თუ ადარნასემ თავი „ქართველთა მეფედ“ გურგენ კურაპალატის სიცოცხლეშივე გამოაცხადა და ამ აქტით თავი მასზე მაღლა და-

<sup>18</sup> იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 45.

<sup>19</sup> გიორგი მერჩულეს ცნობით, გურგენ კურაპალატი გრიგოლ ხანძთელის მონათლული ყოფილა. სიკვდილის წინ მას სურვილი გამოუთქვამს: „ნათლის-მამის ჩემისა ძუალთა მახლობელ დამღვეით ფერკთა თანა მისთა“-ო. გიორგი მერჩულე, რომელიც სუმბატ დავითის-ძეზე მთელი საუკუნით ადრე ცხოვრობდა, არ ამბობს, რომ გურგენ კურაპალატი ადარნასე ქართველთა მეფესთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან მოკვდა, თუმცა საეჭვო არაა, რომ ამის შესახებ იცოდა.

აყენა, რატომ არ შეარჩინა კურაპალატობა მის მემკვიდრეებს (ისინი „ერის-თავთაერისთავის“ წოდებას ატარებდნენ), როცა ვიცით, რომ აღარნასეს „ქართველთა მეფისა“ და კურაპალატის პატივი ერთდროულად არ უტარებია? საეჭვო არაა ამიტომ, რომ გურგენის დამარცხების შემდეგ კურაპალატობას აღარნასე დაეუფლა, რითაც ბაგრატ კურაპალატის შტოს დაუბრუნა დაკარგული ხელისუფლება. სუმბატთან არაა, მაგრამ იოანე დრასხანაკეტელი სავსებით მართალია, როცა აღარნასეს 891 წლის შემდეგ „ქართველთა კურაპალატად“ იხსენიებს, ხოლო „ქართველთა მეფედ“ IX ს-ის დასასრულისათვის<sup>20</sup>. უკანასკნელი აქტით, რომელიც სუმბატ სომეხთა მეფის ხელშეწყობით განახორციელა, უნდა ვიფიქროთ, აღარნასე ზიზანტიის იმპერიაზე დამოკიდებულებიდან საჯაროდ გამოვიდა და თავი სრულ სუვერენად გამოაცხადა (აღარნასეს სუმბატ სომეხთა მეფეზე დამოკიდებულების ის სახე, როგორც ამას იოანე დრასხანაკეტელი გვიხატავს, ვასალობა კი არაა, არამედ მათ პოლიტიკურ კავშირში სუმბატ მეფის მოთავეობას მოწმობს მხოლოდ).

ცალკე საკითხია თუ აღარნასე „ქართველთა მეფის“ უმცროს შტოში მთელი X ს-ის სიგებზე რატომ მკვიდრდება ისევე კურაპალატობა.

А. А. БОГВЕРАДЗЕ

## ИЗ ИСТОРИИ БОРЬБЫ В ДОМЕ БАГРАТИОНОВ ТАО-КЛАРДЖЕТИ В ПОСЛЕДНЕЙ ЧЕТВЕРТИ IX ВЕКА

### Резюме

В последней четверти IX в. в доме Багратионов Тао-Кларджети разгорелась борьба за византийский придворный титул куропалата, первенство в княжестве и распределение княжеских владений. В результате этой борьбы погибли старшие сыновья всех трех наследников основоположника Тао-Кларджетского княжества Ашота I куропалата.

В статье на основе анализа сохранившихся в источниках скудных сведений восстановлены главные моменты и этапы этой борьбы, которая переплелась с борьбой за Картли, протекавшей между царями Армении и Абхазии.

Создавшаяся политическую ситуацию византийское правительство попыталось использовать для вмешательства в дела грузинских княжеств, но без успеха.

В статье в основных чертах изложена история этих сложных внутренних и внешних взаимоотношений, окончившихся на исходе IX в. созданием в Тао-Кларджети сыном убитого Давида куропалата Адарнерсе независимого «Картвельского (грузинского) царства».

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ვაჟახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებაში

<sup>20</sup> ამ საკითხზე დაწერილებითი ცნობებისათვის იხ.: იოანე დრასხანაკეტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 0122—0123.

მათი ციხესაზღვრო

ჩეჩნეთ-ინგუშეთი v—x საუკუნეებში

ადრეფეოდალური ხანა, რომელიც IV—X სს-ით იფარგლება, როგორც ამიერკავკასიაში, ასევე ჩრდილო კავკასიაში ხასიათდებოდა დიდი ქართველებით. ეს ხანა კავკასიის ხალხთა ისტორიაში ახალი, უპარესად მნიშვნელოვანი ეპოქის დასაწყისია. ისევე, როგორც მთელი მაშინდელი კულტურული სამყარო, ჩრდილო კავკასიაც თავისი მრავალფეროვანი მოსახლეობით შევიდა სოციალურ ურთიერთობათა განვითარების ახალ ფაზაში, რომლითვისაც დამახასიათებელი იყო, ერთი მხრივ, ადრეული ფეოდალიზაციისთვის ნიშანდობლივი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ძვრები, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა ხალხებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობათა გაღრმავება და გაართულება, რამდენადაც კავკასიის მთიელთა სხვადასხვა საზოგადოებამ სოციალური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონეს მიაღწია<sup>1</sup>.

დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი ვაინახი ხალხის როლი და ადგილი საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობაში. წერილობითი ცნობები და საისტორიო წყაროები ძალიან მცირეა. ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული წყაროები საშუალებას გვაძლევენ მეტ-ნაკლებად შექი მოვფინოთ ვაინახების ისტორიას აღნიშნულ ხანაში.

ჩეჩნები და ინგუშები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ამორიგენი მოსახლეობაა და უძველესი დროიდან მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ როლს ასრულებდნენ, როგორც საქართველოს, ასევე ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიაში, მათი განვითარება მიმდინარეობდა ხმავე სოციალ-ეკონომიკური კანონების საფუძველზე, როგორც კავკასიის სხვა ხალხებისა, შემდეგში არახელსაყრელმა საგარეო პირობებმა — გარეშე მტრების ზშირმა შემოსევებმა გამოიწვია ამ ხალხის სოციალ-ეკონომიკური განვითარების შეფერხება, მათი მთებში შესვლა და გარესამყაროსაგან მოწყვეტა.

როგორც ჩრდ. კავკასიის სხვა მხარეები, ჩეჩნეთ-ინგუშეთიც რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი რეგიონია, რადგან ამათუ იმ ხალხის ისტორია ყოველთვის იმ გეოგრაფიული გარემოს ანარეკოს ატარებს, რომელშიც იგი შეიქმნა. მისი ვადღენა თავს იჩენს სულიერი, თუ მატერიალური კულტურის ყველა სფეროში. ძნელად გადასალახავი მთის მასივები და სხვა გეოგრაფიული პირობები ზშირად მნიშვნელოვან დაღს ასევე იმ, ამა თუ იმ ხალხის ისტორიის მსვლელობას. დღევანდელი ჩეჩნეთ-ინგუშეთი მუდამ ასეთი არ

<sup>1</sup> გ. მელიქიშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოების ბუნებას საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 171.

ყოფილა, არც ტერიტორიულად, არც მეურნეობის თვალსაზრისით და არც მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მხრივ. ვაინახი ხალხის წარმოქმნა რთული ეთნოგენეტიური პროცესის შედეგს წარმოადგენდა, რომელშიც მონაწილეობდნენ, როგორც ადგილობრივი, ასევე ახლობელი, თუ შორეული მონათესავე ეთნიკური ელემენტები. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც ვაინახების უძველესი ისტორიისა და კავკასიის ხალხებთან მათი მიმართების შესახებ ლეონტი მროველისეული ეთნოგენეტიური კონცეფციიდან გამომდინარე და მის თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა, თავის ცნობილ ნაშრომში „აღწერაჲ სამეფოსაჲ საქართველსაჲ“-ში, ვაინახებში ანუ (დურძუკების) აღწერას შემდეგნაირად იწყებს: „ქუეყანა ესე რომელსა აღვსწერთ, წილნდომილ არს კავკასოსი, ძისა თარგამოსისა, ხოლო მოვიდნენ რა ორნი ესე ძმანი, ლეკნი და კავკასოს, ლეკან დაიპყრა წილი თვისი და, გამოსვლისა ხაზართ მეფისასა, მისცა მამის ძმისწულისა თვისსა ხაზართ მეფემან ტყუენი „რანასა და მოვანისა...“, ხოლო კავკასოს დაიპყრა ქუეყანა ლეკანის საზღვრიდამ, ვიდრე პონტოს ზღუამდე, კავკასიის მთის ჩრდილოეთი ველითურთ, და ამისგან ეწოდა მთასა კავკასი და ველისა ოსი, ბოლოს მონაწყუედი კავკასოსი, ვითა მის გამოსვლამდე ხაზართა. არამედ ხაზართა მეფემან მისცა ქუეყანა კავკასოსი ძესა თვისსა ურბანოსს და ტყუენი ქართლ — სომხეთისანი..., ხოლო დურძუკ ძე ტინენისა, უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის კავკასოსისა, შემოიღებოთ კავკასიის მთასა შინა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი. ამის გამო უწოდა არაგვს თერგს მიეცა აღმოსავლის კერძს, ლეკეთის საზღვრამდე, ძურძუკეთი, ხოლო არაგვს თერგის დასავლით, რომელი არს მდ. ლომეკი და აწ თერგი, რომელი დის კვიდამ კავკასთა შინათა უწოდა დუალეთი<sup>2</sup>. ხოლო ამის შემდგომად გაძლიერდნენ ხაზარნი და უწყეს ბრძოლა ძეთა კავკასოსთა, არამედ ძეთა შორის კავკასოსთა უწარჩინებულესი იყო პირველად ძურძუკოს ძე ტინენისა. ესე ეზრახა ექუსთა ნათესავთა ძმათა (რამეთუ მაშინ იყვნენ სიყვარულსა ზედა ურთიერთასა და მორჩილებასა მცხეთელ მამასახლისისასა) რათა მწე იყვნენ, მაშინ შეითქუნენ შევიდნივე ნათესავნი ესე, შეიკრბნენ და გარდავლეს მთა კავკასი, მოსრნეს და მოსტყუენეს ხაზარეთი. და აღაშენეს პირისა ხაზარეთისასა ციხე. (რამეთუ ხაზარეთის მდინარე არს დონის წყალი და ხაზარეთი. — დონის წყლიდამ დნესტრამდე შავი ზღვის პირი ლიტოვამდე და რუსეთამდე) და წარმოვიდნენ თავ-თავსად დასაბამითგან, შემდგომად ამისა, იჩინეს ხაზართა მეფე და შეიკრბნენ მის ქუეშე და გამოვლეს გზა დარუბანდისა. ამათ წინა ვერ აღუდგნენ თარგამოსიანი, შემოვიდნენ მოსრნეს და მოსტყუენეს გზა დარუბანდისა და არაგვსა და განამრავლეს შემოსვლა თარგამოსიანთა ზედა და იყვნეს მოხარკედ მათდა ჟამ რაოდენმე“<sup>3</sup>.

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ვაინახი ხალხის წარმოქმნაში მონაწილეობდნენ, როგორც ადგილობრივი (კავკასიის შთამომავლები ქართლისა და სომხეთის ტყვეები) ასევე მოსული ხაზარული ელემენტი<sup>4</sup>.

ვახუშტის ეტიმოლოგიები, მართალია მოკლებულია მეცნიერულ ღირებულებას, მაგრამ საყურადღებოა ის, რომ მსადაც ლეონტი მროველის და მისი

2 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 632—633.  
 3 იქვე, ტ. IV, გვ. 51—52.  
 4 ვერ ი. კლაროტმა, შემდეგ სხვა მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ ლეონტი მროველის „ხაზართა“ შემოსვლაში იგულისხმება სკვითების ცნობილი შემოსვლა. იხ. ვ. მელიქიშვილი ს., К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 35.

წყაროს მსგავსად, ძვ. წ. I ათასწლეულში ჩრდ. კავკასიაში მცხოვრებ სკვით-სარმატებში ქართველთა მონათესავე ჩრდილო-კავკასიური ჩეჩნურ-დაღესტნური და აფხაზურ-ადიღური მოსახლეობაც იგულისხმებოდა. — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი. ამ სხვადასხვა ეთნიკურ ადგილობრივი წარმოშობის ელემენტის თანარსებობის და ურთიერთობის საფუძველზე ჩამოყალიბდა ვაინახი ხალხი.

ჩეჩნეთ-ინგუშეთს აღმოსავლეთით დიდოეთ-დაღესტანი<sup>5</sup> ესაზღვრება, ჩრდილოეთით ყიზლარ-ასტრახანი, დსავლეთით ალან-ოსეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველო (თუშ-ფშავ-ხევსურეთი). ეს მხარე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით შეუძლებელია დარჩენილიყო იმ მოვლენათა მიღმა, რაც მაშინდელმა კულტურულმა სამყარომ განიცადა.

როცა ვეხებით ვაინახების ისტორიას აღრეფეოდალურ ხანაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ წერილობით წყაროებში არსებული ცნობების თანახმად ვაინახები დურძუკებად-ლლიღებად, შემდეგში ქისტებად იხსენიებიან. (რაც შეცდომაა, ჩვენ ამ საკითხს შემდეგში დავუბრუნდებით), შევნიშნავთ, რომ დღეს დურძუკის მაგიერ იხმარება „ჩეჩენი“, ლლიღის მაგიერ — „ინგუში“, ხოლო თვით ეთნონიმი „ქისტი“ იხმარება საქართველოში მაცხოვრებელი ვაინახების მიმართ. აღნიშნულ ეთნონიმებზე ჩვენ ყურადღებას არ გავამახვილებთ, რადგან ეს თემის მიზანს სცილდება, აღვნიშნავთ, რომ ჩეჩენი — ინგუში — ქისტი ეთნიკურად ერთი მოადამის ხალხია, ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილსაც აქვს აღნიშნული გერმანელ მეცნიერ კლაპროტთან დაკავშირებით, რომელსაც „ქისტურის — ჩაჩნურის — ლლიღურის“ უმჭიდროესი წათესაობა შეუმიჩნევია და სამივე ენა სხვადასხვა დიალექტების მიუხედავად ერთ ენად მიუჩნევია-ა“<sup>6</sup>.

ყველაზე აღრინდელ ცნობებს უძველესი ქართული ისტორიული მატრიანეებიდან დურძუკების შესახებ ვეძღვეს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“<sup>7</sup>, თუმცა არსებობს ამაზე უფრო აღრინდელი უცხოური წყაროები, სადაც მოხსენიებული არიან დურძუკები. „II—I ათასწლეულში ჩვენს ერამდე ურარტული ხანის სევანისპირა მანას გავრთიანებაში, იარსებობდა კავკასიონის მთიელთა — „დურძუკთა“ მსგავსი სახელი“<sup>8</sup>, — აღნიშნავს გ. მელიქიშვილი.

გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არაბულ ტექსტში, რომელიც ნ. მარის აზრით, IX საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს, აღწერილია, რომ „გრიგოლ განმანათლებელმა წარავლინა მთელს სომხეთში ებსიკოპოსები, საქართველოში, დურძუკეთში და ალანებთან“<sup>9</sup>. ნ. მარს ივ. ჯავახიშვილი არ ეთანხმება ამ ტექსტში მოხსენიებულ ტერმინ Дрзкит-ის გაანალიზებისას, რადგან ნ. მარი საწყის Д — ასოს თვლის წინამდებარე სიტყვის ბოლო ასოს

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 248—250.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და წათესაობა, ტფ., 1937, გვ. 23.

<sup>7</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემა *описание рукописей*. Том II, 1908, გვ. 723—724.

<sup>8</sup> გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 202.

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 188.

მცდარ გამოვრებად და მასში გულისხმობს „Лазникит-ს“<sup>10</sup>. ივ. ჯავახიშვილი ნ. აღონცხე დაყრდნობით, რომელიც ამ ადგილს თარგმნის, როგორც დურ-ძუკთა ქვეყანას (страну Дурзуков и Аланов<sup>11</sup>), იზიარებს ამ ვერსიას, რომ აღნიშნული დასახელების ქვეშ იგულისხმება ქართული „დურძუკეთი“ ან „ძურძუკეთი“ ე. ი. ჩეჩნეთის ქვეყანა<sup>12</sup>.

როგორც ცნობილია, „გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების“ ავტორი „გათა-ანგელფხი V ს-ში ცხოვრობდა. ამიტომ შესაძლებელია დურძუკეთი მოხსენიებული იყოს V ს-ში „გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების“ ავტორის მიერ.

დურძუკეთი მოხსენიებულია აგრეთვე IX ს-ის არაბულ წყაროშიც, არაბი მწერლის იბნ ალ-ფაკიბის თხზულებაში, სადაც აღწერილია ხოსრო ანუშირვანის (VI ს.) მიერ „დურძუკეთში“ 12 კარისა და ქვის სიმაგრეების აშენების შესახებ<sup>13</sup>.

დურძუკებს ვხვდებით აგრეთვე IX ს. მეორე არაბ ავტორთან ბალაძორთან. იაკუთი, რომელმაც თავისი „გეოგრაფიული ლექსიკონი“ 1227 წ. დამთავრა და თავის თხზულებაში იყენებს უფრო ადრეულ არაბულ წყაროთა (IX ს.) ცნობებს, ხოსრო ანუშირვანის ამბების მოთხრობასთან დაკავშირებით იმეორებს ზემოთაღნიშნულ ფაქტს, რომ ანუშირვანმა „დურძუკეთში“ ააგო 12 კარი<sup>14</sup>.

ვაინახების ისტორია საქართველოს ისტორიას უნდა დაეუკავშიროთ, რადგან უცვლელად აღმოსავლურ ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე უნდა ვივარაუდოთ ქართისა და ვაინახურ ტომებს შორის ურთიერთობა<sup>15</sup>.

ქართლის ცხოვრებაში დაცული ტრადიციით ლეონტი მროველი კავკასიის ხალხთა ისტორიას იმ ხანიდან იწყებს, როდესაც ადგილი ჰქონდა კავკასიის თავდაპირველ დასახლებას, ლეონტი „ცხოვრება ქართველ მეფეთა“-ში წერს: „ესე თარგამოს იყო ძე თარმისი, ძმისწული იაფთისი, ძისა ნოესი და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი და განეყვნეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა. შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცი რვანი გმირნი, ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს, პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექვსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს. ესე რვანი იყვნეს გმირნი“<sup>16</sup>.

ლეონტი კავკასიის ისტორიის უძველესი პერიოდის შესახებ წერისას, ექვს ფარეშეა, უნდა ემყარებოდეს ისტორიულ წყაროთა მონაცემებს, მაგრამ მისი ცნობა კავკასიის ხალხთა თავდაპირველი განასახლების შესახებ ელემენტარია იმ რთული კონცეფციისა, რომლის მიხედვით კავკასიის ტომები ნოეს ძის

<sup>10</sup> Н. А. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием, Пет. 1905, зб. 159—160.

<sup>11</sup> Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, Книга XI, Тб. 1908, зб. 328.

<sup>12</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, зб. 188.

<sup>13</sup> Н. А. Караулов, Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, СМОМПК, т. XXXI, Тб. 1902, зб. 15.

<sup>14</sup> თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ. 1982, зб. 82.

<sup>15</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ. 1970, зб. 429.

<sup>16</sup> „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, თბ. 1955, зб. 3—4.

იაფეტის შვილისშვილის თარგამოსის შთამომავლები არიან, მას შემდეგ რაც ნებროთმა ბაბილონის გოდოლი ააშენა, იქ ენები გაიყვნენ და განიზიზინენ მთელს ქვეყანაზე<sup>17</sup>.

რაც შეეხება დურძუკს, თუ საიდან მომდინარეობს ეს სახელი, რომელიც უძველეს ქართულ წყაროებში ვიანახების მიმართ იხმარებოდა, აიხსნება შემდეგნაირად: ლეონტი მროველის წარმოდგენით კავკასოსი იყო თარგამოსის მეშვიდე შვილი და ქართლოსის ძმა. ამ კავკასოსის შთამომავალი (შვილი) იყო „დურძუკი“. ვახუშტი ზაგრატიონი, რომელიც ლეონტი მროველს ეყრდნობოდა, წერდა: „კავკასოს დაიპყრა ქუეყანა ლეკანის საზღვრიდამ, ვიდრე პანტოს ზღუამდე...; დურძუკოს უწარჩინებულესი იყო ნათესავთა შორის კავკასოსთა, შემოიღო კავკასიის მთასა შინა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი“. და ამიტომ ამ მხარეს, ლომეკის (თერგის) აღმოსავლეთით მდებარე ადგილს მამა-შვილის სახელის მიხედვით მათ შთამომავლებს (ვიანახებს) კავკასიანები და დურძუკები ეწოდათ<sup>18</sup>. (ვახუშტის ერთ სხვა ადგილას იგივე დურძუკი ტირეთის ძედ ჰყავს მოხსენიებული, მისი ნაამბობიდან არ ჩანს ტირეთი კავკასოსის, შვილად არის წაგულისხმევი, თუ ტირეთი და კავკასოსი ერთი და იმავე ეთნონიმის ორი სხვადასხვა სახელია)<sup>19</sup>. „ვაენახ ტომთა აღმნიშვნელი დურძუკი განსაზღვრება არის მთიანი ლოკალიზებული ეთნონიმი დიდოეთ-დაღესტნის აღმოსავლეთისაკენ და მდ. თერგის ხეობისაკენ დასავლეთს შორის“<sup>20</sup>.

შუა საუკუნეებში გავრცელებული ნომენკლატურის მიხედვით, „ქართლის ცხოვრება“ იმ უძველესი ჩანის ამბების მოთხრობისას ქართველთა (უფრო სწორედ ქართის) ჩრდილოელ მეზობლებად ასახელებს „დურძუკებს“, „ლეკებს“, „დიდოელებს“, სოლო ცოტა გვიანდელ ამბებში „ღვალებს“. დურძუკები და დვალეები ვაენახურ (ბაცბურ-ქისტურ) ენაზე მოლაპარაკე ტომები იყვნენ, დიდოელები და ლეკები კი დაღესტნურ ტომებს ეკუთვნოდნენ. ამ ორი ჯგუფის ტომებს შორის საზღვარს „ქართლის ცხოვრება“ მდ. თერგზე დებს, მის აღმოსავლეთით ლეკები ცხოვრობდნენ, დასავლეთით კი კავკასიანი დურძუკები, მათ კავკასიონის ცენტრალური ადგილი უკავიათ“<sup>21</sup>. ამით ერთხელ კიდევ ცხადი ხდება, რომ ჩრდ. კავკასიაში ვიანახების სამოსახლო ტერიტორია უსსოვარ დროიდან მნიშვნელოვანი გზების გზაჯვარედინზე მდებარეობდა. მათი აქტიური მონაწილეობის გარეშე ადრეფეოდალურ ხანაში აქ ვერც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმე ვერ გადაწყდებოდა. სოლო, რაც შეეხება კავკასიელებს, აქაც იგულისხმებიან ჩეჩნურ-ინგუშური ტომები და მათი მონათესავე დვალეები, რომ დიდი კავკასიის მაღალმთიანი ზონაში ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში იყო ეთნიკური ჯგუფი, „Не отождествимая ни с осетинами, или дагестанцами, ни с грузинскими „мтиулами...“,“ აქ, რეალურად არსებობდნენ თავისებური ტომები — თემები, რომელთაც აერთიანებდათ საერთო ეთნონიმი კავკასი(ან) (ნი.). ამრიგად, ეს ორი ეთნონიმი კავ-

17 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, თბ. 1952, გვ. 22.

18 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 4—7. იქვე, ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ისტორია“.

19 ქართლის ცხოვრება, გვ. 11.

20 Б. Н. Гамрекели, Двали и Двалетия в I—XV вв., Тб. 1961, გვ. 27.

21 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, 1970, გვ. 459—460.



კასიანები და ღურძეულები ცვლიან ერთმანეთს<sup>22</sup>. დღეს ტერმინი ღურძეუცი სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ განმარტებულია<sup>23</sup>.

როცა ვეხებით ვაინახების პოლიტიკურ ისტორიას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი ისტორია ძვ. წ. IV ს-ის დასასრულიდან უნდა დაიწყოთ, რადგან ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის სამეფოს წარმოქმნას გვისახავს, მისი წარმოქმნის ეამს, ფარნავაზის დროიდან, ჩნდება ცნობები და აქედან მოყოლებული შემდეგში თანდათან მრავლდება ცნობები საქართველოსა და ვაინახებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ. გამოდის, რომ ღურძეულები ქართველებსათვის ცნობილი იყვნენ უკვე IV ს-ში, ჩვენ წ. აღრიცხვამდე. ამიტომ, ვაინახების ისტორიის საქართველოს ისტორიასთან კავშირის გარეშე განხილვა შეუძლებელია.

ლეონტი მროველს ქართლის (საქართველოს) სახელმწიფოს პირველი ნაბიჯები სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე ღურძეულებთან კავშირში აქვს წარმოდგენილი; ღურძეუცი, რომელიც იყო უწარჩინებულესი კავკასიის შვილებს შორის, „მოვიდა დაჭდა მთასა შინა ნაპრალს, ადვილს უწოდა თავისი სახელი „ღურძეუკეთი“ და უხდის ხარკს ხაზარეთს“<sup>24</sup>. აქ, რა თქმა უნდა, მიუღებელია ლეონტის ცდა კავკასიის უძველეს ისტორიასთან ხაზარების დაკავშირების შესახებ, რადგან ისინი კავკასიის ისტორიაში ახ. წ. VI საუკუნიდან ჩნდებიან. ლეონტის „ხაზარებში“ სამართლიანად იგულისხმებიან „სკვითები“, რომლებიც მაშინ მართლაც ცხოვრობდნენ ჩრდ. კავკასიაში და ურთიერთობა ჰქონდათ ამიერკავკასიასთან ძვ. წ. VIII—VII სს. დაწყებული მანამდის, ვიდრე მათ სარმატები შეცვლიდნენ (ძვ. წ. III)<sup>25</sup>.

„ქართლის მოქცევაში“ აღწერილია, რომ როცა ალექსანდრე მაკედონელმა ამიერკავკასია დაიპყრო, მცხეთა როგორც სატახტო ქალაქი მიუბოძა თავის ერთ-ერთ სარდალს აზოს, არიან ქართლის მეფის ძეს, რომელითაც მემატიანის შეხედულებით იხსნება მცხეთის (ქართლის) მეფეთა გრძელი სია, ვიდრე მეფობის მოსპობამდის ქართლში ირანელების მიერ (VI ს). აზო ძლიერ ავიწროვებს ქართველებს, იგი იმორჩილებს ქართლთან ერთად ჰერეთს და ავრცელებს თავის ხელისუფლებას მდ. ბერდუჯდან (დღევანდელი დებედა) ვიდრე სპერის ზღვამდე (ე. ი. შავ ზღვამდე), იპყრობს აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს (ეგრისს), ხარკს ადებს ოსებს, ლეკებს. ადგილობრივი პრივილეგიებული წრეების მეთაური ფარნავაზი ბრძოლის ინიციატივას ხელს იღებს და ჩრდ. კავკასიის მთიელებთან ერთად ებრძვის აზოს<sup>26</sup>.

თუ „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი ეს ამბავი სწორია, მაშინ ჩვენთვის ცხადი ჩნდება ის ფაქტი, რომ ქართლის პოლიტიკურ მესვეურებს უძველეს დროიდან ურთიერთობა ჰქონდათ ჩრდ. კავკასიასთან, განსაკუთრებით ღურძეულებთან, რომელიც წარმოადგენდა თავშესაფარს გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლთათვის. ქართულ წყაროებს მთა ყოველთვის იმ ობიექტად ეგულებ-

<sup>22</sup> В. Гамрекели, „Двали и Двалетия в I—XV вв.“, გვ. 26—27.

<sup>23</sup> Кавказский этнографический сборник, вып. II, Тб. 1968, 12—40; იქვე, „Вопросы вайнахской лексики, Грозный, 1980, გვ. 85.

<sup>24</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 12.

<sup>25</sup> გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), თბ. 1958, გვ. 68.

<sup>26</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 438—439.

ბოდა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დამხმარე ძალას აწვდიდა ბარს. თვით ფარნავაზი მამის სიყვდილის შემდეგ დედასთან ერთად კავკასიონის მთებში იხიზნება და იქიდან ებრძვის აზოს<sup>27</sup>. ამ აღწერილი ამბიდან ცხადი ხდება, რომ კავკასიონის მთებში გახიზნული მომავალი ქართლის მეფე, დედასთან ერთად, თავს აფარებს ღურძუკეთში. ეს ჩანს იქიდან, რომ მის ცოლად მიჰყავს ღურძუკი ქალი, ოსებთან ან ლეკებთან მისი დარჩენა შეუძლებელია, რადგან აზო მათ ხარკს ახდევინებს, ღურძუკეთი კი აზოს არ დაუღამებია, ლეონტი, ახსენებს რა კავკასიის ტომებს, არაფერს ამბობს ღურძუკების შესახებ. ფარნავაზმა ჩრდ. კავკასიის მთიელებთან ურთიერთობის განმტკიცებისა და ბერძნებთან დიდი ბრძოლების შედეგად შეძლო სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება და ქართლის განთავისუფლება დამპყრობლებისაგან. იგი „იქმნა მეფე ყოველისა ქართლისა და ეგურსა ზედა“<sup>28</sup>.

ქართლის პირველი მეფე ჩრდ. კავკასიასთან სამხედრო კავშირის განმტკიცების მიზნით ენათესავება ღურძუკთა ზედაფენის მეთაურს (მეფეს). ამ შემთხვევაში ურთიერთობის განმტკიცების ღონისძიებად გამოიყენება ქორწინება, რომელიც პოლიტიკური ანგარიშით ხდება. ქორწინება ყველა ეპოქაში ნათესაური ურთიერთობის დამყარების საშუალება იყო (ეს ნათესაობა ქართლმა (საქართველომ) ღურძუკებთან (ვაინახებთან) ურთიერთობის დამყარებით დაიწყო), ის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური კავშირის დამყარების, ან თუ ასეთი კავშირი არსებობდა — მისი შემდგომი განმტკიცების, საშუალება იყო. ფარნავაზიც ითვალისწინებს, რომ მის ქართლში გაბატონებისათვის ჩრდ. კავკასიაში სჭირდება მავარი ზურგის შექმნა, რომ აქაურ ძალებზე დაყრდნობით შეძლოს გარეშე მტრის დამარცხება და მოჰყავს ღურძუკთა მეფის ასული: „მოიყვანა. ქალი ძურძუკით და ქნა საქართველო ცხრა საერისთავოდ“<sup>29</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართლის (საქართველოს) პირველი დედოფალი ღურძუკი (ჩიჩენი) ქალი იყო. ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა სამეფო სამხედრო ადმინისტრაციულ ერთეულებად (საერისთავოებად) დაჰყო, მაშინ ქართლის სამეფოში 7 საერისთავო იყო<sup>30</sup>.

ქართლის მეორე მეფე საურმაგი, რომელიც დედით ღურძუკი იყო (237—162 ჩვ. წ. აღმდე), იძულებული შეიქმნა, რაკი შინაურ გარემოში მტკიცე მდგომარეობა არ ჰქონდა, ღურძუკებს დაყრდნობოდა. საურმაგმა თავი შეაფარა „ქუთყანას ღურძუკეთს დედის ძმათა მისთა თანა“<sup>31</sup>. საურმაგს ქართლის დაპყრობა ზელახლა მოუხდა, მხოლოდ საგარეო ძალის გამოყენებამ მისცა მას საშუალება დაკარგულის დაბრუნებისა. რას უნდა გამოეწვია ერისთავთა განდგომა საურმაგისაგან? მეფე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელია, ერისთავები კი ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალებს განასახიერებენ. ეს სავესებით ბუნებრივი მოვლენაა. ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიმართული ღონისძიებანი აწყდება ყოველთვის იმ ძალების გააფთრებულ წინააღმდეგობას, რომლისთვისაც საზიანოა ძლიერი ხელისუფლება, რადგან მისი შექმნა ერისთავების ხელისუფლების შეზღუდვის ბაზაზე უნდა მოხდეს, მათი ინტერესები ეჯახება ერთმანეთს და ერისთავები იარაღს არ ყრიან. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ღურძუკები, როგორც გარე-

27 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 56—57.

28 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 24.

29 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 57.

30 მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V ს-ის მეორე ნახევარში, თბ. 1979, გვ. 57.

31 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 26.

მე მტრების, ასევე ქართული საზოგადოების შიშებით გამწვანებული კლასობრივი, თუ შიდაკლასობრივი ბრძოლის ზშირი მონაწილენი არიან. როგორც ცნობილია, მეფის წინააღმდეგ ერისთავთა ბრძოლა შინაკლასობრივი ბრძოლის კონკრეტული გამოვლენაა, გამარჯვების შემთხვევაში მეფე სათანადოდ უსწორდებოდა მტრებს და მათ მეგობარ-მოკავშირებს. საურმაგიც ასე მოიქცა. ლეონტის ცნობით, საურმაგს წამოუყვანია თავისი ნათესავთა ნახევარნი, ამ გადმოყვანილი მთიელებისათვის ზოგისთვის მეფეს წარჩინებულება უბოძებია, ზოგისათვის საცხოვრებელი ადგილი და დაუსახია მთიან ზოლში „დიდოციტიდან ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი. და ესე დაიპყრა მისანდობლად თავისად დედულნი“<sup>32</sup>. თუ ლეონტი მროველის ამ ცნობის სისწორეს სხვა წყაროების მონაცემებითაც შევამოწმებთ, მაშინ ცხადი ზდება, რომ ქართლის სამეფო ჩრდ. კავკასიისთან მჭიდრო ურთიერთობაში ყოფილა და სამხედრო დახმარებას, როგორც საშინაო, ისე საგარეო მტრების წინააღმდეგ აქედან იღებდა. საურმაგის მიერ ნათესავების ნახევარს გადმოყვანა, ორი მიზეზით შეიძლება ახსნას. პირველიმას სჭირდება ერთგული ქვეშევრდომები სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის, მეორე მხრივ, დაწყებული ჩანს ბარის ინტენსიური ათვისება, მისი სამეურნეო განვითარებისათვის საჭირო იყო მთის შეურუნეობის მოქცევა საკუთარ ორბიტაში, ეს პროცესი ხანგრძლივი იყო და, ალბათ, სხვადასხვა გარემოებათა გამო (შინაგანის თუ გარეგანის) დროდადრო ფერხდებოდა, მაგრამ რომ არსებობდა იგი ამ მიმართულებით ვითარდებოდა, ეს კი ცხადი იყო<sup>33</sup>.

ვინაშემის ურთიერთობა ქართლთან საურმაგის შემდეგ შეცვლილი ჩანს. ლეონტი მოგვითხრობს, რომ ქართლის მესამე მეფის მირვანის მეფობის დროს (162—112 ჩვ. წ. აღ-მდე) დურძუქებმა დაივიწყეს სიყვარული ფარნავაზის და საურმაგის, შემოიჭრნენ სამხრეთში, შეუერთდნენ ქართალში მცხოვრებ ადრე საურმაგის დროს გადმოსახლებულ დურძუქებს („კავკასიანებს“) და დაურბევით კახეთი და ზაზალეთი<sup>34</sup>. თუ ლეონტის ეს ცნობა სწორია, მაშინ საინტერესოა რას უნდა გამოეწვია დურძუქების გამოლაშქრება ქართლის სამეფოზე. ეს გამოლაშქრება უნდა გამოეწვია, ერთ მხრივ, მთის სივიწროვეს და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას, რადგან მთაში მოსახლეობა უანვითარების პატრიარქალურ საფესურზე იდგა, რაც გამოწვეული იყო მთიელების კარჩაკეტილობით, მათი იზოლაციით და სამეურნეო ურთიერთობათა დაბალი დონით<sup>35</sup>. მეორე მხრივ, შესაძლებელია დავუშვათ, რომ ცენტრალიზებული ქართლი ცდილობს ჩრდ. კავკასიის მთიელთა მორჩილებაში მოყვანას და მათ დახარკვას. ასეთ შემთხვევაში მთიელები ზშირად განდგომილთა და აჯანყებით პასუხობდნენ შინაგანი სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების ზედაფასს — ამის არა ერთი მაგალითი იცის საქართველოს ისტორიაში.

ლეონტი მროველის თანახმად, მირიან მეფეს დურძუქების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებია ქართლის ერისთავებისათვის, შემოუბრუნებია ის მთიელებიც, რომლებიც საურმაგისაგან განდგომილები იყვნენ და დაულაშქრავს დურძუქეთი. „იქნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი“. ბრძოლაში მირვანს

32 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 27.

33 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ. 1977, ნაწ. 1, გვ. 225—227.

34 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 28.

35 ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ. 1969, ნაწ. 1, გვ. 27.

ხერხი უხმარია — უკნიდან მოუარა დღურძუკებს, ზედ კარზე შეება; სასტიკად დაამარცხა და უკუაქცია, მირვანი გამოეკიდა მათ, შევიდა დრძუკეთს და ჭართალს, მოაოხრა ეს ქვეყნები. დღურძუკეთში შესავალს შეაბა ქვიტკირის კარები და უწოდა სახელი დარუბალი<sup>36</sup>. ეს უნდა მომხდარიყო ძვ. წ. აღრ. 130 წ<sup>37</sup>. ლეონტის მიერ აღნიშნული ცნობების სისწორეს თუ სხვა წყაროების მონაცემებითაც შევამოწმებთ, „დარუბალის“ ხეობის სივიწროვე შესაძლებლობას იძლეოდა გზის საგულდაგულო გამაგრებისათვის, მირვანს ბევრჯერ ულაშქრავს ჩრდილოეთიდან მომდგარი მტრის წინააღმდეგ დარუბანდის დასაცავად<sup>38</sup>. თვით რომილეზსაც, რომლებიც ძველი წ. აღ-ით I საუკუნეში ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ, აღნიშნული გზა უკვე გამაგრებული დახვდათ, სტრაბონის ცნობითაც გზის დასასრულს იცავდა მიუვალი კედელი<sup>39</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ დღურძუკეთში არ არსებობდა გამსერთიანებელი პოლიტიკური ორგანიზაცია. მართალია, ლეონტი პროველი ამის შესახებ მცირე ცნობებს იძლევა, მაგრამ, როცა ლაპარაკობს დღურძუკთა მეფეზე, რომლის ქალზეც ფარნავაზი დაქორწინდა, ან საურმაგთან და მირვანთან დაკავშირებულ ამბებშიც ისინი ორგანიზებულად გამოდიან. გვაქვს ცნობები მრავალი ციხე-სიმაგრის არსებობის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ დღურძუკები (ვიანახები) სრულიადაც არ იყვნენ მოკლებულნი გამაერთიანებელ პოლიტიკურ ორგანიზაციას, თუმცა მან ვერ მოასწრო განვითარების სრული პროცესის გავლა და დაიშალა.

აღრეფეოდალური ხანაში ვაინახთა სოციალური ურთიერთობის შესახებ გარკვეული მოსაზრებების გამოთქმა სათხანადო მსალების უქონლობის გამო მწელებდა, რადგან კავკასიის მთიელთა სოციალური სტრუქტურის საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მათი ცხოვრების ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიული პირობები, მაგრამ აღმოჩენილ სამარხულ ინვენტარს თუ დავუკავშირდებით, შევამჩნევთ, რომ საწარმოო ძალთა განვითარება ჩეჩენთ-ინგუშეთში ორგანულად ყოფილა დაკავშირებული პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობის რღვევისა და აღრეფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესთან. ჩეჩენთ-ინგუშეთში აღმოჩენილი სამარხებით მტკიცება, რომ წამყვანი ადგილი ამ პერიოდის მეურნეობაში ეკუთვნის მესაქონლეობას, რადგანაც შრომის იარაღებიდან ძირითადად ამ დარგთან დაკავშირებული ინვენტარია აღმოჩენილი (დღუქარდი), მაშინ, როდესაც ოსეთში და ადიღებში შესაბამის პერიოდის სამარხებში უკვე გვხვდება თოხები და სახნისებოც კი. მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებს სამარხებში შინაურ ცხოველთა ძვლების აღმოჩენაც, განვითარებული ჩანს ხელოსნობა, რაც ლითონის სამკაულებისა და საკულტო საგნების დამზადებაში გამოიხატებოდა, კარგად ჩანს ვაინახების კავშირი საქართველოს და სხვა მეზობელ, თუ შორეულ კუთხეებთან, რომლებთანაც დღურძუკებს ჭჭონდათ აღებმციცმობა და საერთოდ მჭიდრო ურთიერთობა (მაგ. სოფ. ხურხორში აღმოჩენილია თეოდოსი II-ის ბიზანტიური ოქროს მონეტა)<sup>40</sup>. აღრეფეოდალური ხანის სამარხებ-

36 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 28.

37 იქვე, გვ. 28.

38 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ. 1973, გვ. 59.

39 В. Латишѣв, Известия древних писателей (ск) ВДИ № 4, 1947, гв. 218.

40 ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, გვ. 59; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1980, გვ. 15.

ში შეიმჩნევა ქონებრივი დიფერენციაციის გარკვეული ნიშნები, რაც მანიშნებელი უნდა იყოს თემური ურთიერთობის რღვევის დასაწყისისა, მაგრამ სოციალური ფენები მრავალრიცხოვანი ვერ იქნებოდნენ, რადგან გვაროვნული წყობის რღვევა ჯერ ინტენსიური არ იყო და მისი სიმბლავრე ფეოდალიზმის პროცესს აფერხებდა. საზოგადოების ძირითად ნაწილს თავისუფალი მეთემეები შეადგენდნენ, რომლებიც გვაროვნული ორგანიზაციების მეშვეობით უმკლავდებოდნენ ფეოდალურ ტენდენციებს და ინარჩუნებდნენ თავისუფლებას<sup>41</sup>. საერთოდ კავკასიის მთიელთა, კერძოდ კი ვაინახების სოციალური სისტემის დადგენისას დიდი მნიშვნელობა აქვს ზ. ანჩაბიძისა და ა. რობაქიძის კონცეფციას იმის შესახებ, რომ ადრეფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებაში სამი საფეხური გამოიყოფა — უმდაბლესი, საშუალო და უმაღლესი<sup>42</sup>. ბუნებრივად ჩეჩნეთ-ინგუშეთიც იმ სოციალური ურთიერთობის მიღმა ვერ დარჩებოდა, რაც მაშინდელმა ჩრდილო კავკასიის ხალხებმა განიცადეს.

საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს ჩრდ. კავკასიის ტომის ბელადებთან კავშირით შეეძლოთ იგვეგნა მოეხდინათ ძალთა თანფარდობაზე, იმ ანგარიშით, რომ ეს სასარგებლო ყოფილიყო მათთვის და ხშირად იწვევდნენ მათ რაზმებს. ძვ. წ. — ის I ს-ში პონტოს მეფე მითრიდატე VI-ის მიერ შექმნილ სამხედრო კოალიციის შემადგენლობაში კავკასიელი ხალხები (ივულისხმებიან ღურბუქებიც) აწარმოებენ ბრძოლას რომაელ დამპყრობელთა წინააღმდეგ<sup>43</sup>.

იბერთა მეფეებმა აზორკმა და არმაზელმა (87—103 წწ.) სომხეთის მეფის არტაშანის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელმაც მათი კუთვნილი მიწები მიიტაცა<sup>44</sup>, ჩრდილო კავკასიიდან მოიწვიეს მთიელები დასახმარებლად — „всех горцев с этой целью прибыли в Грузию цари Овсетии два брата Базук и Анбазукъ съ войсками овсетскими, джикетскими и пачанскими, также царь лековъ, который привель с собою дурдзукцевъ и дидойцевъ. Все они вместе съ грузинскими царями вступили в Армению“<sup>45</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ იბერთა მეფეს ჩრდ. კავკასიელ ტომებთან ჰქონდა კეთილმეზობლური დამოკიდებულება, რამდენადაც ამ ორმა ძმამ შეძლო გაერთიანებული ძალებით გადმოეყვანა კავკასიელებისა. მეზობელ მთიელ ტომებთან არსებული ურთიერთობა დიდ როლს ასრულებდა ქართლის და საერთოდ საქართველოს სამეფოს ისტორიაში. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ურთიერთობა ჩრდილო კავკასიელ მთიელებთან საუღელტეხილო გზების მეშვეობით ხორციელდებოდა. ცენტრალური კავკასიის ფარგლებში მის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეების დამაკავშირებელი გზა საქართველოს სამხედრო გზა იყო, რომელიც ძველად „არაგვის კარის“, „ოვსთა კარის“, „ღარიღანის“ სახელწოდებით იყო ცნობილი<sup>46</sup>. ამ გზას უძველესი დროიდან თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო უდიდესი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა იმ ხალხებისათვის, რომლებიც მის ორივე მხა-

41 ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, გვ. 107.

42 ზ. ანჩაბიძე, აღ. რობაქიძე, კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVIII, თბ. 1973, გვ. 123.

43 ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, გვ. 29.

44 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 45.

45 М. Джанашивили, Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России, СМОПР, т. 22, Тф. 1897, გვ. 16.

46 გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 24.

რეზე ცხოვრობდნენ. ამ გზით უკავშირდებოდა საქართველო ჩრდ. კავკასიას, რომელიც მნიშვნელოვან გზაჯვარედინს წარმოადგენდა და ჩრდილოეთის ქვეყნებს სამხრეთის უძველეს ქვეყნებთან აკავშირებდა. კარლ მარქსიც აღნიშნავდა, რომ „კავკასიის მთები ჰყოფენ სამხრეთ რუსეთს საქართველოს მდიდარი პროვინციებისაგან... ერთადერთი სამხედრო გზა, რომელიც ამ სახელწოდებას იმსახურებს, მიიკლანქნება მოზდოკიდან თბილისში დარიალის ვიწრო ხეობით, ის დაკულია სამაგრეთა უწყვეტი ჯაჭვით“<sup>47</sup>. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს მმართველები იძულებულნი იყვნენ მიეღოთ საგანგებო ზომები ფაქტობრივად დასაყრდენი იყვნენ გასამაგრებლად. ამით ისინი ერთი მხრივ იცავდნენ თავიანთ ქვეყანას იმიერკავკასიელი მომთაბარეების თავდასხმებისაგან და, მეორე მხრივ, ამით მათ საშუალებაც ეძლეოდათ საჭიროების შემთხვევაში გავლათ ეს გადმოსასვლელი, გადმოეყვანათ იმიერკავკასიელი მომთაბარეები და მთიელი მეომარი ტომები და მიესიათ თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის<sup>48</sup>.

ჯერ კიდევ ახალი წ. აღ.-ის II ს-ში ფარსმან II-ის მეფობის დროს ქართლის სამეფოს, რომელიც საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა და დამოუკიდებელ სავაჭრო პოლიტიკასაც ატარებდა, აღნიშნული გზით გადმოჰყავს ჩრდილო-კავკასიელი ტომები (მათ შორის დურძუკებიც მ. ც.) და ქართლში არსებულ რომის პროვინციებზე თავდასხმებს უკეთებს ორგანიზაციას<sup>49</sup>. ასეთი მაგალითი არა ერთი იცის საქართველოს ისტორიამ. დარიალის გზაზე კონტროლის დამყარება ნიშნავდა ჩრდ. კავკასიელი ტომების დაქვემდებარებას საქართველოს პოლიტიკური ინტერესებისადმი და ძვ. წ. აღ. პირველ საუკუნიდან აქ უკვე გზის ჩამკეტი ციხე-სიმაგრეა დადასტურებული, რის გამოც ქართველთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული ჩრდილო კავკასიელი მომთაბარეთა შემოშვება იმიერკავკასიაში<sup>50</sup>.

ქართლის სამეფოს მიერ კავკასიის მთიელებთან ურთიერთობაში IV საუკუნიდან ახალი ეტაპი იწყება. თუ აქამდე კავკასიის მთიელები ნებით, თუ უნებლიედ მკიდრო კავშირში იყვნენ ქართლის მმართველებთან, ახლა უკვე დაპყრობით პოლიტიკას აწარმოებენ მთიელების მიმართ. ქართველი მეფეების კავკასიის მთიანეთის მიმართ ასეთი მიზანდასახული პოლიტიკის განხორციელება განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით. პირველ რიგში ეს კურსი ითვალისწინებდა სტრატეგიულ და პოლიტიკურ ფაქტორს (კავკასიის ზეკარების კონტროლი და ამდენადვე პოლიტიკური გავლენა ჩრდ. კავკასიის მთიელებზე). მეორე იყო სამეურნეო-ეკონომიკური ფაქტორი. ბარის სამეურნეო განვითარებისათვის საჭირო იყო მთის მეურნეობის მოქცევა საკუთარ ორბიტაში, მაგრამ რამდენადაც ქართლის სამეფოს ეკონომიკა დაინტერესებული იყო მთიელთა ეკონომიკურ განვითარებაზე კონტროლით, ამდენად თვით მთა დამოკიდებული იყო ბარზე, რადგან მესაქონლეობის, კერძოდ მეცხვარეობის, განვითარებისათვის საჭირო იყო არა მარტო იალაღები, არამედ საკმარისი ფართობიც საზამთრო საძოვრებისათვის, რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ბარში მოიპოვებოდა. ეს ეკო-

<sup>47</sup> Маркс и Энгельс, Сочинения, т. IX. М., 1933, გვ. 533.

<sup>48</sup> Г. Меликишвили, История Древней Грузии, გვ. 128.

<sup>49</sup> მ. ციხესაშვილი, იბერიისა და რომის ურთიერთობა II ს-ის პირველ ნახევარში, იმშ, ტ. 1, 1955, გვ. 321—332.

<sup>50</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ. 1952, გვ. 251—252.

ნომიკური ფაქტორი მნიშვნელოვანწილად აპირობებდა ბარისა და მთის ურთიერთობას და საბოლოო ჯამში ამ ორი კუთხის ერთ ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ორგანიზმად ჩამოყალიბებას. მესამე — ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ იგი გახდა იდეოლოგიური იარაღი კავკასიის მთიანეთის შემომტკიცებისა. მთის რაიონის მცხოვრებლებმა (კავკასიანებმა) სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ქრისტიანობის გავრცელებას, რადგან მთიელებში ქართლის ოფიციალური რელიგიის გავრცელებით, ბოლო უნდა მოეღებოდა მთის ნახევრად დამოუკიდებელ არსებობას. ქრისტიანობის შემოღებას თან მოჰყვებოდა მთიელთა გათანაბრება ბარის მოსახლეობასთან, მათში ძველი პატრიარქალური ურთიერთობის მოშლას, რომელიც შეიცვლებოდა კლასობრივი ურთიერთობით, რომ ქრისტიანობის გავრცელების საფუძველი იყო საზოგადოების კლასობრივი დაყოფა<sup>51</sup>. მთაში გაჩნდებოდნენ მეფის მოხელენი, რომელნიც მალე გარდაიქმნებოდნენ ჩვეულებრივ ფეოდალებად და მთის თავისუფალ თემებს მოაქცევდნენ ფეოდალური ექსპლუატაციის უღელქვეშ. მეფის ინიციატივით შექმნილი საეკლესიო წეს-წყობილება მასვე სჭირდებოდა, როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური იარაღი სამეფოს კონსოლიდაციისათვის, ხოლო მთიელთა ბრძოლა წარმართობის დაცვისა და ქრისტიანობის დაწერვის წინააღმდეგ იყო ბრძოლა მთის თავისუფალი თემების პოლიტიკური და სოციალური თავისუფლებისათვის, ბრძოლა ფეოდალიზაციის წინააღმდეგ. „ქართლის ცხოვრებაში“ შემდეგნაირად არის მოთხრობილი ეს ფაქტი: მას შემდეგ, რაც მირიან მეფემ სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოაცხადა, განზრახა იარაღით გაეგვრებინა ეს სარწმუნოება მთიელებში, რომლებიც ნებით უარს ამბობდნენ ქრისტიანობის მიღებაზე. „რქვა მეფემან წმინდასა ნინოს და ეპისკოპოსს „მნებავეს ესრეთ, რათა იძულებით მახვილთა მოვაქციენეთ მთეულნი და დავამონეთ ძესა ღმრთისასა და ვათაყუანეთ პატიოსანსა ჯუარსა“. ნინო და ეპისკოპოსნი წინ აღუდგნენ მეფის ამ განზრახვას „არა ზრბანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, არამედ სახარებთა და ჯუართთა პატიოსნით“. მაგრამ იარაღის გამოყენება მიანიც დასჭირდა — „წმინდა ნინომ წარიყვანა იაკობ მღვდელი საბერძნეთით მოსრული და ერისთავი ერთი წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთუელთა ქართაღეთა; და ფხოელთა და უქადავა სარწმუნოებაჲ ქრისტესსა“ ხოლო მათ არან ინებეს ნათლისღება, მაშინ ერისთავმან მეფისმან მცირედ წარმართა მახვილი მათზე და ძლივით შემუსრნა კერპნი მათნი“<sup>52</sup>.

ქართლის მმართველი წრეები არც შემდეგში აკლებენ მცდელობას, რომ მთის მოსახლეობაში ქრისტიანობა გავრცელებულიყო. „ქართლის ცხოვრების“ მტკიცებით, მირიან მეფის მემკვიდრემ ბაქარმა „მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, როელნიც ვერ მოექცივნეს მამასა მისსა“<sup>53</sup>.

აღრეფეოდალურ ხანაში ქართლის სამეფოსთვის მეზობელი მეომარი ტომები დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ. კიდევ უფრო დიდი საფრთხის შექმნა მისთვის შეეძლო ჩრდ. კავკასიის ველებსა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში მომთაბარე ტომებს, რომლებიც მზად იყვნენ გამოეთარევათ სამხრეთის მდიდარ

51 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 1, გვ. 209.

52 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 125.

53 იქვე, გვ. 130.

ქვეყნებში. აღრეეოდალური ხანის ქართლი, ჩანს, იმდენად ძლიერი სახელმწიფო იყო, რომ ამ ძნელი ამოცანებისათვის თავის გართმევა შეეძლო. ფრიად სერიოზული ძალა, რომელიც ქართლის დამოუკიდებლობას ემუქრებოდა, ამ დროს იყო სასანიდური ირანი.

ვახტანგ გორგასლის (460—502 წწ) მთავარი საზღრუნავი ირანთან ბრძოლა იყო. ირანის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო იყო პირველ რიგში ძალთა მოკრება და ზურგის გამაგრება, ე. ი. მთიულთა და კერძოდ „ოვსთა და ჰონთა“<sup>54</sup> დამორჩილება. ვახტანგმაც ამით დაიწყო. რადგან ჩრდილოეთით თავდაპირველი საზღვარი, როგორც ვარაუდობენ, კავკასიონის ქედის მთავარ შტოზე ჟნდა გასულიყო და ზოგიერთი პროვინცია, რომელიც მუთა საუკუნეებში ქართლის სამეფოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა იმ დროს ფაქტიურად მის გარეთ უნდა ყოფილიყო (დვალეთი, თრუსო, ხევი, პირიქით ხევსურეთი, თუშეთი) აღნიშნული მთის ამ პროვინციების შემომტაცებებს პროცესი უძველესი ხანიდან დაწყებული V ს-ში დამთავრებულა — „წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს და მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანი“<sup>55</sup>. ვახტანგმა დაიმორჩილა კავკასიის მთიანეთი და ქართლის გავლენა ჩრდ. კავკასიაში დვალეებზე, ოსებზე, დურძუკებზე, დიდოეთზე და წუქეთზე გაავრცელა<sup>56</sup>. დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიალანისად უწოდეთ და აღაშენა მას ზედა გოდოლი მაღალნი, დაადგინა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი“<sup>57</sup>. თუ „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ამბავი სინამდვილეს შეეფერება, მაშინ ცხადი ხდება, რომ ვახტანგისთვის საჭირო გამხდარა დარიალის კარის შექმნა ხელმოკრედ, ან შესაძლებელია მან განაახლა იგი, რადგან გზა მანამდე გამაგრებული იყო<sup>58</sup>. და ადგილობრივ მთიელ ტომებს დაავალა მისი დაცვა, რაც შეეხებ ყივჩაღთა ხსენებას — ეს ანაქრონიზმია, რადგან V ს-ში ყივჩაღთა ხსენება ჩრდ. კავკასიაში ჭერ არც კი ყოფილა<sup>59</sup>.

ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული ქართლის მეფეების მიერ ჩრდ. კავკასიის მთიანეთის მიმართ მიზანდასახული პოლიტიკური კურსი ვახტანგის დროს უკვე განხორციელებული ჩანს: „მუნ მოერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანი ორმოცდაათი ათასი მხადარი“<sup>60</sup>. ეს უკვე მიგვითითებს, რომ V ს-ის მეორე ნახევარში დიდი ხნის პროცესი მთის შემოერთებისა უკვე განხორციელებულია, რომ მთიანეთის ფლობა კავკასიის მთიანეთის დიდი ნაწილის ფლობას გულისხმობდა<sup>61</sup>. ჩრდ. კავკასიიდან ძლევამოსილად დაბრუნების შემდეგ ქართლის მეფემ ვითარცა სასანიანთა ვასალმა, რომელმაც ეს ლაშქრობა ირანის სამხედრო დახმარებით იმპერიის ჩრდ. საზღვრების გამაგრების მიზნით მოაწყო, სამხედრო ალათიდან დიდი ნაწილი შაჰსა და მის მოხელეს რანის ერისთავს მიართვა<sup>62</sup>. ამ

54 ქუ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 148—51.

55 იქვე, გვ. 151.

56 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. 1, გვ. 224—225.

57 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 156.

58 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 251—252.

59 გ. თ ო გ ო შ ვ ი ლ ი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 87.

60 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 151.

61 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218—219.

62 ქუ ა ნ შ ე რ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 182.



დროს ვახტანგმა ქართლის სამეფოს შემოუერთა დაღესტნის მთიანეთის ნაწილიც, სამურის სათავეში, წუქეთი, ანუ შემდეგდროინდელი წახეთ-წახური<sup>63</sup>.

V ს-ის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასლის მიერ ეკლესიის რეორგანიზაციის შედეგად გატარებულმა ღონისძიებამ განამტკიცა სამეფო ხელისუფლების გავლენა ეკლესიაზე, ხოლო საეპისკოპოსოთა ქსელის გაფართოებამ და მეფის მიერ ეპისკოპოსებად თავისი კანდიდატურების დაყენებამ ხელი შეუწყო ქართლის სამეფოს პოლიტიკური ხელისუფლების განმტკიცებას კახეთს-ჭერთსა და ჩრდ. კავკასიაში, დეაღეთზე, ოსეთზე, დურძუქეთზე, დიდოეთზე და წუქეთზე<sup>64</sup>.

ვახტანგის მიერ კავკასიონის გადასასვლელების დაჭერას ადასტურებს ისიც, რომ მას მოლაპარაკება გაუშმართავეს ჰუნებთან და პირობაც მიუღია მათგან, რომ საჭიროებისას ჯარს მიაშველებდნენ. ლაზარ ფარპეცი ვაღმომგვცემს, რომ აჯანყების წინ ვახტანგს განუცხადებია, მე ბრძოლას არვის დავანახებ, იმდენ ჰონს ვაღმომვიყვან, რომ სპარსთა ჯარები წინ ვერ დაუდგნენო<sup>65</sup>. ვახტანგ ელოდა ჰონთა ჯარს, მაგრამ პირობა რატომღაც არ შესრულდა<sup>66</sup>.

V ს-ის მეორე ნახევარში ამიერკავკასია ორი ძლიერი სახელმწიფოს ბიზანტიისა და სპარსეთის ინტერესების სფეროში იმყოფება. ბიზანტია — ქართლის, სპარსეთი კი ლაზიკის დასაპყრობად მიისწრაფვის. ამ ნიადაგზე წარმოშობილი მეტოქეობა, რომელიც სისხლისმღვრელ ბრძოლებში გადაიზარდა, საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, ბიზანტია — სპარსეთის ამ მეტოქეობაში ამიერკავკასიაში კავკასიის ტომები, მათ შორის (დურძუქებიც, მ. ც.) იქნენ ჩართულნი და სასანიდების ტერიტორიული ექსპანსიის ვეზი უმთავრესად კავკასიისაკენ იყო მიმართული. მთელი კავკასიის დაპყრობა და აქედან რომაელთა საბოლოო გაძევება, სასანიდების საგარეო პოლიტიკის საწუკვარი მიზანი იყო<sup>67</sup>. იმპერატორი იუსტინიანე — I-ლი (527—565 წწ) მსოფლიო იმპერიის შექმნაზე ოცნებობდა და ამიერკავკასიაში თავისი სამფლობელოების შემდგომ გაფართოებას ცდილობდა<sup>68</sup>. ამიტომ, ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები ძლიერ შეუჯახა ერთმანეთს კავკასიაში. ბიზანტია-სპარსეთის ამ მეტოქეობაზე ამიერკავკასიაში ყურადღებას ვაჩერებთ იმიტომ, რომ გავარკვიოთ საქართველო-დურძუქების ურთიერთობა V—VI სს-ში. სასანიდები შეუჩერებელსა და მძიმე ბრძოლებს აწარმოებენ კავკასიონის სანაპიროზე, სადაც ცდილობდნენ ჩრდ. კავკასიელი ტომების მულმივი თავდასხმებისაგან დაეცვათ თავი. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ კავკასიის სათანადო ზეკარების და ზღვისკარებისათვის<sup>69</sup>, რადგან გამრავლების შემდეგ ეს ტომები ვეღარ ეტეოდნენ თავიანთ საშობლოში და საძოვრებისა და ალაფის შიძიებელ ტაღლების სახით ეფინებოდნენ მეზობელ ტერიტორიებს, სადაც იშვიათად მეურნეობის გაცვლასაც ახერხებდნენ. ისინი კავკასიონის გადალახვასაც ახერხებდნენ აღნიშნული კარუბით, ზოგჯერ ძალიან ღრმად იჭრებოდნენ სამხრეთის

63 მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V ს-ის მეორე ნახევარში, გვ. 51.

64 იქვე, გვ. 75.

65 ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1962, გვ. 243—

244.

66 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 100.

67 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 1, გვ. 2.

68 გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 88.

69 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

ქვეყნებში და ყველგან ცეცხლი და მახვილი მიჰქონდათ. ზოგჯერ სპეციალურად „როგორც საუცხოო მეომრებს, მათ იწვევდნენ კიდეც, რადგანაც ისინი მზად იყვნენ ქირისთვის ყოველგვარი სამხედრო დავალება შეესრულებინათ<sup>70</sup>. ამიტომ იყო, რომ 363 წელს დადებული ზავით კარები ორივე სახელმწიფოს საერთო ხაზგებით დაცვას ითვალისწინებდა<sup>71</sup>, რადგან ამ გზას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონის სამხრეთით მდებარე ყველა სახელმწიფოსთვის<sup>72</sup>. V საუკუნიდან კარების დაცვის მთელი სიმძიმე სპარსელებს დასწევთ. VI საუკუნეში ბიზანტიელები მთელს თავის რესურსებს დასავლეთის და ჩრდ. ფრონტზე გადაისვრიან. ჰუნთა ბატონს ამბაძუკეს იმპერატორ ანასტასი-სათვის მცირე ფასად შეუთავაზებია დარიალის კარები, ბიზანტიელები ფულის გადახდაზე უარს ამბობენ და კავადიმ დაასწრო ანასტასის და თვით ჩადიდო ხელთ იგი<sup>73</sup>.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს ავტორი წერს: „ქართლში მეფობის დასრულების შემდეგ (532 წ.) სპარსელები ქართლში ძლიერდებიან, იპყრობენ ჰერეთს, სომხეთს, კავკასიონის გადასასვლელებს საგანგებოდ ამაგრებენ“ — აიგნეს ერთი დიდი კარი ოვსეთისვე და ორნი — დვალეთს და ერთი ბარკუთანს დორძოკეთსა და მთელს ვომარდად დაადგინეს<sup>74</sup>. ამით სპარსელებმა ქართველებს ჩრდ. კავკასიის ველეფში მომთაბარე ტომების მხრიდან დახმარება მოუშპეს და თანეანთი სახელმწიფო უზრუნველყვეს<sup>75</sup>. შაბურ I-ის „ზოროასტრის ქაბახე“ ასეთი წარწერაა: „მე ირანის ხალხთა მბრძანებელი ვფლობ ქვეყნებს: პერსიდას, პართიას... ასირიას... არმენიას, იბერიას, მახელონიას, ალბანიას..., ვიდრე კაპ (?) მთებამდე და ალანთა კარამდე“. წარწერის ეს ნაწილი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც აქ მთელი ამიერკავკასია. კავკასიის მთებამდე, ალანთა ანუ დარიალის კარამდე და იალბუზამდე, სპარსეთის შაჰინ-შაჰის სამფლობელოში არის შეტანილი<sup>76</sup>.

„ქართლის მოქცევაში“ მოთხრობილი ამბიდან ჩვენთვის საინტერესოა „დორძოკეთის კარი“, რომელიც, აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველო-ვაინახების ურთიერთობაში. თუ VI ს-მდე ახალი წ. აღ-სა დურძოკების დაკავშირება ქართლთან დარიალის გზით ხდებოდა, ამიერიდან უკვე ქართულ წყაროებში მოხსენიებულია მეორე გზა, რითაც ხდება ვაინახების დაკავშირება საქართველოსთან, აღნიშნული გზის უფრო ადრე არსებობის შესახებ ცნობებს თვით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაძლევს, რომლის ავტორიც წერს „კარი ააგეს ერთი ბარკუთანს დორძოკეთსსა და მთიულნი ვომარდად დაადგინესო“<sup>77</sup>. თუ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ აღწერილი სინამდვილეს შეეფერება, მაშინ ჩვენ საშუალება გვაქვს გზის არსებობა უფრო ადრეულ ხანაშიც ვივარაუდოთ. ესაუშტი ამ გზის შესახებ წერს: „ჯარიენის ზეით არის ქისტეთი — ქისტეთს ზეით დურძოკეთი და აქედან გზები გადადიან კავკასი-

70 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი გვ. 184.

71 გეორგიკა II, თბ. 1965, გვ. 239. იქვე, გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

72 ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 184.

73 გეორგიკა, ტ. II, გვ. 39.

74 „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემა, Описание рукописей, том. II, 1908, გვ. 723—24.

75 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 247.

76 ნ. ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ. 1975, გვ. 21.

77 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 724.

ელთა ზედა ხევს, ფშავ-ხევსურეთს, ღლიღვეთს და ჩერქეზთა შინა“<sup>78</sup>. ამ ცნობაში აღნიშნული კარი დორძოკეთისა, ძველი ქართული ტერმინოლოგიით ზეკარი, არის კავკასიონის საულელტეხილო ვადასასვლელი, რომელიც კახეთიდან დურძუქთა ქვეყანაში მიემართებოდა. დურძუქეთის კარი ფშავ-ხევსურეთიდან ჩაჩან-ქისტეთში მიმავალ გზას კეტავდა“<sup>79</sup>.

მთიულთა „გომარდად დადგენისათვის“ ე. ი. დურძუქების და საერთოდ კავკასიის მთიელ ტომთა გამოსაყენებლად საგარნიზონო სამსახურისათვის ამ სტრატეგიულ ხაზზე ქირა იყო საჭირო, გარდა ამისა, საკუთარი მეციხოვნე ჯარის გარეშეც ირანელები აქ ვერაფერს გააწყობდნენ, რადგან სისტემატურ ხასიათს იღებდა ჩრდილოეთიდან მოზღვავებული ბარბაროსების შემოსევა<sup>80</sup>, აქ იგულისხმებიან კავკასიელი მთიელი ტომები (დურძუქებიც. მ. ც.) და ეს უზარმაზარ ხარჯებს მოითხოვდა სპარსელებისაგან<sup>81</sup>.

ბიზანტიის იმპერია ჩრდილო კავკასიელ ტომებთან (მათ შორის დურძუქებთან მ. ტ.) კეთილგანწყობილების შესანახუნებლად დიდ თანხებს ხარჯავდა. როცა ქართლის სპარსელებისაგან განთავისუფლების შემდეგ ქართველმა აზნაურ-წარჩინებულებმა თავიანთის სასურველი პირი გუარამი განიჩინეს ერთისმთავრად<sup>82</sup>, „მაშინ კეისარმან წარმოსცა განძი დიდი, გუარამს კუროპალატისა თანა და უბრძანა გადმოეყვანა ჩრდილოს ლაშქრისა. გუარამ ყო ეგრე „გადმოიყვანა ოცსანი, ძურძუქანი და დიდონი წარუძღუა წინ ერთისთავნი ქართლისანი, შევიდეს არდაბაჯანს, დაუწყვეს ტყუივნად“<sup>83</sup>.

VII—VIII საუკუნეებში დურძუქები არაბთა მოწოლას განიცდიან. 728—729 წწ. არაბებმა დარიალის კარის გავლით ილაშქრეს ხაზარეთში, რაც დურძუქებსაც მთელი სისასტიკით ატყდებოდა. მურმან ყრუს შემოსევისას (736—738 წწ.) საქართველოს წარჩინებულები კავკასიის მთიანეთში აფარებენ თავს, რის გამოც მერვანამაც მახვილი იქითკენ წარმართა, „ყოველნი მთავარნი და მიტიახშნი, ნათესაენი ერისთავთა და წარჩინებულთა შეიმეოტნეს კავკასიად და დაიმალნენ ტყეთა და ღრეთა. მურმან ყრუმან მოვლო ყოველი კავკასია და დაიპყრა კარი დარიალისა და დარუბანდისა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ცხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა“<sup>84</sup>. მერვანმა ამის შემდეგ ძლიერამოსილად ილაშქრა აღმოსავლეთ და ჩრდ. კავკასიაში. 737 წ. არაბთა ლაშქარი ერთდროულად დარიალისა და დარუბანდის გზით ხაზარეთისაკენ გაემართა, თვითონ მერვანი მთავარი ძალებით დარიალის გასასვლელით დაიძრა, ეს იყო არაბების უკანასკნელი დიდი ლაშქრობა კავკასიის მთების გადაღმა“<sup>85</sup>. ამ დარბევას არც დურძუქეთი ასცდებოდა.

VIII ს. მეორე ნახევარსა და IX ს. დასაწყისში ფეოდალური ურთიერთობათა განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლების გაძლიერების შედეგად სა-

78 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 652.

79 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 1, გვ. 4—5.

80 გეორგიკა, ტ. II, ტფ. 1936, გვ. 147.

81 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 1, გვ. 5.

82 „სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 374.

83 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 120.

84 ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 234.

85 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 290.

ქართველოს ტერიტორიაზე წარმოიშვა დიდი ფეოდალური სამეფო-სამთავრო-ები: აფხაზეთის, კახეთის, ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის, შემდეგში ქართლის. ამ ფაქტმა ღურძუკეთი დაუკავშირა ისეთ სამთავროს, რომელთანაც მას საერთო საზღვარი და სამომოსვლოდ გამოსაყენებელი გზები აკავშირებდა. ფეოდალურად დაქუცმაცებულ საქართველოში ასეთ პოლიტიკურ ერთეულს ღურძუკეთისთვის კახეთის სამეფო წარმოადგენდა. ამიერიდან ღურძუკების (ვიანახების) ისტორია საქართველოსთან, კახეთის სამეფოსთან ურთიერთობაში ვლინდება. XI ს-ისთვის როდესაც „რანთა და კახთა სამეფოს“ ეთნიკური სტრუქტურა მკაფიოდ გამოიკვეთა, ღურძუკები და ლიღეები მის ორგანულ ნაწილს შეადგენდნენ, კერძოდ ისინი აღმინისტრაციულად კვეტერის ერისთავის გამგებლობაში შედიოდნენ<sup>86</sup>. თეიმურაზ ბაგრატიონი აღნიშნულის შესახებ წერს: „ხოლო ლიღე-ღურძუკნი არიან ნაწილსა შინა კახეთისასა კავკასიის მთასა შინა მცხოვრებელნი“<sup>87</sup>.

ამრიგად, აღრეფეოდალური ხანის ღურძუკების (ვიანახების), ისტორია ქართლის (საქართველოს) ისტორიასთან არის დაკავშირებული. აღნიშნულ საუკუნეებში ღურძუკები ქართველების საიმედო მოკავშირენი იყვნენ. რომაელი, სპარსელი, ბიზანტიელი და არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში და აგრეთვე, მათ შინაკლასობრივ ბრძოლებშიც მონაწილეობდნენ.

М. А. ЦИХЕАШВИЛИ

### ЧЕЧЕНО-ИНГУШЕТИЯ V—X вв.

#### Резюме

В раннефеодальных периодах чеченцы и ингуши играли значительную роль в политической и культурной жизни как Грузии, так и Северного Кавказа. Историю вайнахов следует связывать с историей грузинского народа, так как на заре формирования восточно-грузинского государства должны были развиваться отношения вайнахов с картлийцами. Когда мы говорим о политической истории вайнахов, надо учесть, что их историю нам следует исчислять с первой половины IV в. до н. э., поскольку грузинская историческая традиция Картлийское царство связывает с именем Фарнаоза и, начиная с периода его царствования, встречаем все больше сведений о политических отношениях между грузинами и вайнахами.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ოლენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრკ ისტორიის კათედრაში

<sup>86</sup> თ. ვაკუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, 1982, გვ. 77.

<sup>87</sup> თ. ბაგრატიონი, ისტორია ივერიისა, 1848, გვ. 36.

გონელი არახშია

„ქართლის ცხოვრებას“ პირველი მატრიანის მოცულობის  
საკითხისათვის

ძველი ქართული მატრიანების კრებულის, „ქართლის ცხოვრების“ დღეისათვის ცნობილ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტის ფარგლებში პირველი მატრიანის მოცულობის დასაზღვრა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია. პირველი მატრიანის მოცულობის გარკვევა ისტორიოგრაფიაში მჭიდროდ უკავშირდება კრებულის დასაწყისი ნაწილის (პირობითი ტერმინია და აღნიშნავს მონაკვეთს დასაწყისიდან ვიდრე დავით აღმაშენებლის ისტორიამდე)<sup>1</sup> შედგენილობის საკითხს, ვინაიდან უძველესი მატრიანის მოცულობის ძიება აღნიშნული ნაწილის ფარგლებში ხდება.

დავიწყებთ იმის განხილვით, თუ რას იძლევა ძველი „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტის გარეგნული სახე განსახილველი საკითხის შესასწავლად<sup>2</sup>. აღნიშნული ნაწილის ტექსტი შეიცავს რამდენიმე სათაურს. პირველი წინადადებით: „ვიწყო მითხრობად ცხოვრებასა ქართუელთა შეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“<sup>3</sup> ზოგადად აღნიშნულია თხრობის საგანი, რაც შეეხება მიჯნას, სადაც ეს თხრობა უნდა დამთავრდეს, ამის შესახებ აღნიშნული წინადადება პირდაპირ მითითებას არ შეიცავს. ამ წინადადების შემდგომ თხრობა, დაყოფილია შემდეგი სათაურების აღნიშვნით (მოგვაქვს თანმიმდევრობით): 1) „[თავი პირველი. ამბავი რვათა ძმათა]“; 2) „[თავი მეორე]. ხოლო აქათგან ვიწყოთ და წარმოვთქუათ ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა ვიდრე დღეთა ჩუენთამდე“<sup>4</sup>; 3) „თავი [მესამე]. შემოსლვა

1 იხ. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 3—318.

2 ჩვენი მიზნებისათვის არ გამოდგება ვახტანგისეული რედაქციის (XVIII ს) ანუ ახალი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტი, რომლის შევსება და მეფეების ზნობათა მიხედვით დასათაურება ეკუთვნის ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიას (იხ. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 215—246). ქვემოთ ყველგან ვეყრდნობით ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 3.

4 სათაური ტექსტის შინაარსის საფუძველზე აღდგენილია ი. ჯავახიშვილის მიერ (იხ. ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, — თბ., VIII, თბ., 1977, გვ. 177); ქართლის ცხოვრება, I, გვ. 3.

5 თავის რიგითი ნომერი აღდგენილია ი. ჯავახიშვილის მიერ (იხ. ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 177); ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, ტფ., 1906, გვ. 5.

ალექსანდრესი<sup>6</sup>; 4) „თავი მეოთხე. შემოსულა სპარსთა ქართლს და მეფობა მირიანისი ქასრეს ძისა“<sup>7</sup>; 5) „[თავი მეხუთე]. ხოლო აწ ვაცხენოთ ცხოვრება მირიანისი, ძისა ქასრე არდამირისი სასანიანისა“<sup>8</sup>. 6) „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“<sup>9</sup>; 7) „ქმული აბიათარ მღღელისა, რომელი დაემოწაფა წმიდასა და ნეტარსა ნინოს“; 8) „მეორე თქმული მისივე აბიათარ მღღელისა კუართისაჲს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა“; 9) „თქმული სიდონია დედაკაცისა, რომელი იყო მოწაფე ნინოსი, რომელი ესე იხილა და დაიწერა მოქცევა სასწაულითა მირიან მეფისა, და შევრდომა ნინოსი აღსარებისათჲს ქრისტესისა ჯუარისა, ჯუარისა აღმართებისათჲს და მას შინა სასწაულთა მისთათჲს, ეკლესიათა აღშენებისათჲს და მას შინა სასწაულთა მისთათჲს, თავი მეშვიდე“; 10) „თქმული მისივე აღშენებისათჲს ეკლესიისა“; 11) „აღმართებისათჲს პატროსნისა ჯუარისა“; 12) „წიგნი რომელი მოუწერა პატრიარქმან ჰრომისამან და ბრანჯთა მეფემან ნინოს და მეფესა მირიანს და ყოველსა ერსა ქართლისასა“<sup>10</sup>; 13) „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, მშობელთა და შემდგომად თუთ მის დიდისა და ღმრთის მოყუარისა მეფისა, რომელ უმეტეს სახელგანთქმულ გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“<sup>11</sup>; 14) „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისი არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა“<sup>12</sup>; 15) „ცხოვრება მეფეთ-მეფისა [დავითისი]“<sup>13</sup>.

მოტანილი სათაურების ერთი ნაწილი (7—12) აღებულია „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი თხრობის ძირითადი წყაროს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს ტექსტიდან“<sup>14</sup>. დანარჩენი სათაურების წარმომავლობა უცნობია.

თუ თვალს გვაადევნებთ სათაურებს შორის გაშლილ თხრობას, თვალნათლივ გამოჩნდება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თხრობის შინაარსი მნიშვნელოვნად სცილდება სათაურში მითითებულ ობიექტს. ერთ-ერთი ასეთი სათაურია „[თავი მესამე] შემოსულა ალექსანდრესი“. ამ სათაურის ქვეშ მოთავსებულია ვრცელი ტექსტი სადაც, გარდა ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობისა,

6 თავის რიგითი ნომერი აღდგენილია ი. ჯავახიშვილის მიერ (იხ. ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 177); ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 13; ქართლის ცხოვრება, 1697 წლის ნუსხა. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q — 1219, გვ. 2; პ. ინგოროყვამ ეს სათაური ასეთი კონიექტურით წარმოადგინა: „შემოსულა ალექსანდრესი [და მეფენი ქართლისანი ფარნავაზიანისი]“ (იხ. პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი „ჰამბაგთა მწერალი“ მე-8 საუკუნისა. — ენიშვის მოამბე, X თბ., 1944, გვ. 112) ეს კონიექტურა აისახა „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაშიც (იხ. ქართლის ცხოვრება, I გვ. 17). ასეთი აღდგენა, რომელიც არც ერთ ხელნაწერს არ ემყარება, მიუღებელია.

7 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 60.

8 თავის რიგითი ნომერი აღდგინა ი. ჯავახიშვილმა (იხ. ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 177); ქართლის ცხოვრება, I, გვ. 64.

9 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 72.

10 იქვე, I, გვ. 95, 97, 108, 111, 119, 124.

11 იქვე, გვ. 139.

12 იქვე, გვ. 245.

13 იქვე, გვ. 318.

14 ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 178; მოქცევაჲ ქართლისაჲ — ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, [ქ. ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1964, გვ. 106 და შშდ.

აღწერილია ფარნავაზისა და მისი მომდევნო მეფეების ისტორია<sup>15</sup>. სათაური „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა.....“ მოიცავს არა მარტო მირიანისა და ქართლის ვაჭრისტიანების, ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბებს, არამედ მირიანისა და ნინოს გარდაცვალების შემდგომი ხანის მეფეების შესახებ თხრობასაც<sup>16</sup>. ტექსტი, რომელიც მოჰყვება სათაურს „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა...“ ვახტანგ მეფისა და მისი მშობლების თავგასავალთან ერთად ვაზაფრულად მოგვითხრობს ვახტანგის ჩამომავალი მეფეებისა და ერისმთავრების მოღვაწეობის შესახებ (VI—VIII სს)<sup>17</sup>. სათაური „წამება... არჩილისი“ ვგუფყებს რომ ქვემოთ მოთხრობილი იქნება კონკრეტული ფაქტის, არჩილის წამების შესახებ, მაგრამ ამ ფაქტის გარდა აღნიშნული სათაურის შემდგომ წარმოდგენილი ტექსტი ვიდრე ახალ სათაურამდე „ცხოვრება მეფეთ-მეფისა [დავითისი]“ მოიცავს ამბებს VII საუკუნიდან XI ს-ის 70-იან წლებამდე<sup>18</sup>.

როგორც ვხედავთ, აქ მოტანილი ყოველი სათაური შეიცავს კონკრეტულ მითითებას, თუ რის შესახებ იწყება საუბარი, მაგრამ სათაურში მითითებული თხრობის კონკრეტული საგანი სრულებით არაა გამოჩენილი მომდევნო ამბებისაგან, რომელთაც სათაურში აღნიშნული თხრობის ობიექტთან არაფერი აკავშირებს. ასე რომ, ზემოთ აღნიშნული ვერც ერთი სათაური მის ქვემოთ მოთავსებული ტექსტის შინაარსს მთლიანად ვერ იტყვის. ამას, ცხადია, აქვს თავისი მიზეზები, რომელთა ახსნა სცილდება ჩვენი ინტერესების სფეროს. ვგაყოფილდებით ამ სათაურებთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული ფაქტების კონსტრუქციით, რითაც იმის თქმა გვიწევს, რომ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის შემადგენელი მატჩანების, საერთოდ, კერძოდ კი პირველი მატჩანის მოცულობის ფარგლების, აგრეთვე, მათი სახელწოდებების შესახებ ტექსტში არსებული სათაურები თავისთავად როგორც ასეთი არაფერს გვეუბნება, ვინაიდან, ჯერ ერთი, შესაბამისობა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში გვაქვს სათაურებსა და მათ ქვეშ გადმოცემულ შინაარს შორის თანაბრად შეიძლება ახასიათებდეს როგორც ცალკე ნაწარმოებებს, ისე ერთი ნაწარმოების ცალკეულ თავებს, მეორე, ზოგიერთი სათაური სრულად არ ასახავს მის ქვემოთ მოთავსებული ტექსტის შინაარსს. აქედან გამომდინარე, საგნებით გაუგებარია ამ სათაურებით გამოჩენილი ტექსტის მონაკვეთები დამსათაურებლის მიერ არის თუ არა გააზრებული როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოებები. აღსანიშნავია სხვა გარემოებაც. ყოველი ახალი სათაური დაწყებული თხრობა ქრონოლოგიური და შინაარსობრივი თვალსაზრისით იმდენად ბუნებრივად და გადაბმული წინამავალ თხრობასთან, რომ კრებულის დასაწყისი ნაწილის სახით საქმე გვაქვს გამოლიანებულ და უწყვეტ ტექსტთან. ამრიგად, კრებულის დასაწყისი ნაწილის შედგენილობის შესწავლისას მასში არსებული სათაურები, ამოსავალ ორიენტირად არ გამოდგება.

„ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილში დაცულია ორი ბიბლიოგრაფიული ცნობა, სადაც საუბარია ამ მონაკვეთის „აღმწერლების“ შესახებ. პირ-

<sup>15</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 17—59; მითითებულ გამოცემაში ფარნავაზის შესახებ თხრობა ცალკე სათაურითაა გამოყოფილი (იხ. ქართლის ცხოვრება I, გვ. 20), რაც ვახტანგი-ეულ ნუსხათა ჩვენებას ემყარება. ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ამ მონაკვეთში დაცულია მხოლოდ მარიათისეულ ნუსხაში, სადაც ფარნავაზის ცხოვრებას ცალკე სათაური არ აქვს (იხ. ქართლის ცხოვრება. მარიათისეულ ნუსხის ვარიანტი, გვ. 16).

<sup>16</sup> იქვე, გვ. 72—138.  
<sup>17</sup> იქვე გვ. 139—244.  
<sup>18</sup> იქვე, გვ. 245—319.

ველი ცნობა წინ უძღვის სათაურს: „წამება წმიდისა... არჩილისი“, და ასე იკითხება: „ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს [მიერ] ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“<sup>19</sup>. მეორე ცნობა მოთავსებულია იქ, სადაც მთავრდება არჩილის წამების აღწერა. მასში ნათქვამია: „წიგნი ესე წამებისა მისისა იზოვა ესრეთ სულმცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობითა ვერისაებრ ვერვის აღწერა. ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჟუანშერ ჟუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავთა რვეისმან, მირიანის ძისამან, მიერთგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივგანბრძნობილსა“<sup>20</sup>.

პირველი ცნობა ერთაზროვანი არ არის, ამიტომ საკითხი ასე დაისმის: „არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ აღნიშნავს თხრობის ობიექტს, ამბებს, რომლებიც ლეონტი მროველმა „აღწერა“, თუ ცალკეულ დამოუკიდებელ ნაწარმოებებს, სადაც ეს ამბებია აღწერილი ლეონტი მროველის მიერ. შენიშვნის გაგების ეს ორი შესაძლებლობა თანაბარი უფლებებისაა, რამდენადაც რომელიმე მთავანისათვის უპირატესობის მინიჭება უშუალოდ ბიბლიოგრაფიული ცნობის მიხედვით არ ხერხდება. გაურკვეველია, აგრეთვე, ლეონტი მროველი ავტორია თუ გადაწერი, რადგანაც სიტყვა „აღწერა“, როგორც ეს არაერთხელ არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, თანაბრად აღნიშნავს როგორც დაწერას, ისე გადაწერას.

რაც შეეხება მეორე ცნობას, მისი შინაარსი ერთაზროვანია. მასში იხსენიება „წიგნი წამებისა“ არჩილისი, აგრეთვე, „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“. შენიშვნის დასაწყისი გვაუწყებს, რომ არჩილის წამების წიგნი, „სულმცირედ აღწერილი“, ვილკამ „იზოვა“. წინადადებაში ქვემდებარე არ ჩანს, რის გამოც ვაუგებარია, თუ ვინ „იზოვა“ ეს წიგნი, მაგრამ შენიშვნის ცნობა, რომლის თანახმად ამბები „ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე“, ე. ი. „არჩილის წამების“ ჩათვლით ჟუანშერმა აღწერა, ნათელს ხდის იმას, რომ არჩილის წამების წიგნის მპოვნელი ჟუანშერია. ამრიგად, ბიბლიოგრაფიული ცნობის მიხედვით, „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“ ვახტანგის შესახებ თრხოზამდე აღიწერებოდა „ჟამითი-ჟამად“, ე. ი. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა „აღმწერლის“ მიერ<sup>21</sup>; ხოლო ვახტანგის მეფობის ამბებით დაწყებული არჩილის წამების ჩათვლით დაწერა ჟუანშერმა, არჩილ მეფის (VIII ს). ძმისწულის ქმარმა, რომელმაც მის მიერვე „ნაპოვნია“, „სულმცირედ აღწერილი“ არჩილის წამების „წიგნი“ „ქართველთა ცხოვრების წიგნი“ შეიტანა; მომდევნო ხანის ამბების „აღწერა“ კი მომავალ თაობებს უანდერძა. ამ ცნობის შინაარსი, როგორც ვხედავთ, დიამეტრალურად ეწინააღმდეგება პირველის მონაცემებს. როგორც არ უნდა გავიზნოთ პირველი ცნობის შინაარსი, ის ყველა შემთხვევაში გამორიცხავს მეორეს და პირიქით. ასეთ ვითარებაში სავსებით გაურკვეველია, თუ რომელი ბიბლიოგრაფიული ცნობა ასახავს რეალურ ვითარებას. /

19 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 244.

20 იქვე, გვ. 248.

21 გამოთქმას „ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად“ უპირისპირდება ფრაზა „ვახტანგ მეფისითგან აღწერა ჟუანშერ ჟუანშერიანმან“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ „ჟამითი-ჟამად აღწერა“ სხვადასხვა დროს „აღწერასთან“ ერთად სხვადასხვა „აღმწერელსაც“ გულისხმობს.



აქედან გამომდინარე, აღნიშნული ბიბლიოგრაფიული ცნობები, როგორც ცალ-ცალკე ისე ერთად აღებული, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის შედგენილობის შესახებ გადაჭრით და ერთაზროვნად არაფერს გვეუბნება. ამრიგად, განხილული სათაურებისა და ბიბლიოგრაფიული ცნობების საფუძველზე წინასწარი თვალსაზრისის შემუშავება და ამ უკანასკნელის მიხედვით „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტში ცალკეული დამოუკიდებელი ნაწარმოებების გამოიჯენა მეთოდურად გაუმართლებელია. ამ საკითხებზე ვრცლად იმიტომ ვისაუბრებთ, რომ აღნიშნული ნაწილის შედგენილობისა და ავტორობის საკითხების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები ძირითადად დასახელებულ სათაურებსა და ბიბლიოგრაფიულ ცნობებს ემყარება, ხოლო აზრთა სხვადასხვაობა მათი სხვადასხვაგვარი გაგების შესაძლებლობითაა გამოწვეული.

აღნიშნული ბიბლიოგრაფიული ცნობების საფუძველზე ი. ჯავახიშვილმა შემუშავა სქემა, რომლის მიხედვით „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილში წარმოდგენილია ლეონტი მროველის (XI ს.) „მეფეთა ცხოვრება“ „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ და „არჩილის წამება“, ჯუანშერის (XI ს.) „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (V—VIII სს. ისტორია), უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა“<sup>22</sup>. აღნიშნულ სქემას ემყარება „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემები როგორც ანასეული ნუსხის, ისე ძირითადი ხელნაწერების მიხედვით, აგრეთვე სომხური რედაქციის ი. აბულაძის მიერ შესრულებული ქართული თარგმანის ტექსტი<sup>23</sup>.

კრებულის აღნიშნული ნაწილის შედგენილობის საკითხი განიხილეს ს. კაკაბაძემ<sup>24</sup>, კ. კეკელიძემ<sup>25</sup>, პ. ინგოროყვამ<sup>26</sup>, გ. მელიქიშვილმა<sup>27</sup>, შ. ბადრიძემ<sup>28</sup>,

22 ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 176—202, 306—37;

23 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასაბუქდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 1, 89, 157, 160; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 1, 72, 139, 245, 249; ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართულ ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევიდა და ლექსიკონთა გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 3, 137, 201, 209.

24 С. Н. Какабадзе, О древнегрузинских летописях XI столетия, Тифлиси 1912, გვ. 21—27; ს. კაკაბაძე, ძველი ქართული მატრიანე-საისტორიო ძიებანი, ტფ. 1924, გვ. 93—193.

25 კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია — ეტიუდები IV, 1957, გვ. 187—201; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 236—243; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 240—241, 259—260.

26 პ. ინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა — თხზ., IV, 1975, გვ. 410—429; პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი ქართველი ისტორიკოსი „ჰამბუგთა — მწერალი“ მე-8 საუკუნისა, გვ. 93—152.

27 გ. მელიქიშვილი, ფარნავაზი და ფარნავაზიანები ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში. — მაცნე, 1967, № 3, გვ. 56—59; გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1970, გვ. 50 და შმდ.

28 შ. ბადრიძე, „ქართლის ცხოვრების“ უძველესი სარედაქციო შენიშვნების შესახებ. — ცისკარი, 1962, № 3, გვ. 144—146; შ. ბადრიძე, ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის — მნათობი, 1962, № 7, გვ. 173—179.

ა. ბოგვერაძემ<sup>29</sup>, კ. გრგივლიამ<sup>30</sup>, გ. წულაიამ<sup>31</sup>, ნ. შონიაშვილმა<sup>32</sup>, ე. ზოშტარია-ბროსემ<sup>33</sup>.

როგორც ზემოთ ითქვა, ი. ჯავახიშვილის მოსაზრება კრებულის დასაწყისი ნაწილის შედგენილობის შესახებ ემყარება მხოლოდ ბიბლიოგრაფიულ ცნობებსა და სათაურებს. ამ უკანასკნელთა საფუძველზე სწავლობენ პრობლემას სხვა მკვლევრებიც (კ. კეკელიძე, ს. კაცაბაძე, პ. ინგოროყვა, შ. ბაღრიძე, გ. წულაია), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი ბიბლიოგრაფიული ცნობების ამა თუ იმ აზრით გაგების შედეგად შემუშავებული მოსაზრების განმტკიცების მიზნით მიმართავენ ტექსტის შინაარსობრივ ანალიზს იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მათ წარმოუდგენიათ ესა თუ ის დამოუკიდებელი ნაწარმოები. ამით უწყვეტი ტექსტის შინაარსი დაექვემდებარა ბიბლიოგრაფიული ცნობების ამა თუ იმ გაგებას. ეს განპირობებულია იმით, რომ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს მკვლევრები ამოსავალი ორიენტირის მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს გარემოება კი, ჩვენი აზრით, საკითხის შესწავლის არსებითი მეთოდური ნაქლია. საქმე ისაა, რომ პირველი ბიბლიოგრაფიული ცნობა, როგორც ზემოთ ითქვა, ერთაზროვანი არ არის. მისი გაგების რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს, რომელ გაგებას უნდა მიეცეს უპირატესობა, აპრიორულად ვერ გადაწყდება. გარდა ამისა, მეორე ბიბლიოგრაფიული ცნობა ძირეულად ეწინააღმდეგება პირველს, როგორც არ უნდა გავივით ამ უკანასკნელის აზრი. მაკონტროლებელი მასალების უქონლობის გამო არ არსებობს რაიმე ანგარიშგასაწყვეტი საფუძველი იმისათვის, რომ წინასწარ გადაწყდეს, თუ რომელი ცნობა იმსახურებს ნდობას და რომელი არა.

↓

სამეცნიერო ლიტერატურაში დასტურდება პრობლემისადმი სხვაგვარი მიდგომაც, რომელიც სათავეს იღებს კ. კეკელიძის ნაშრომებიდან. მართალია, კ. კეკელიძე, როგორც ზემოთ ითქვა, საკითხის შესწავლის ამოსავალ საფუძველად ბიბლიოგრაფიულ ცნობებს შიიჩნევს, მაგრამ ამავე დროს მკვლევარმა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ზოგიერთი მონაკვეთის ფარგლებში ნათლად აჩვენა შედარებითი შინაარსობრივი ანალიზის პერსპექტიულობა. ა. ბოგვერაძე, ითვალისწინებს რა ბიბლიოგრაფიულ ცნობებს შორის არსე-

<sup>29</sup> ა. ბოგვერაძე, „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატთან და მისი ავტორი. — ქართული ისტორიოგრაფია, I, 1968, გვ. 8—44.

<sup>30</sup> კ. გრვილია, „მატიანე ქართლისა“ და მისი დასათურების საკითხისათვის, — ი. ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 218—232.

<sup>31</sup> Г. В. Цулая, Предисловие.—В кн.: Леонти Мровели, Жизнь Картлийских паей, М., 1979, გვ. 3—5, 16—18; Г. В. Цулая, Введение.—В кн.: Летопись Картли, Тб., 1982, გვ. 23—27; Г. В. Цулая, Джуаншер Вдужаншериани и его исторический труд.—В кн.: Джуаншер Джуаншериани, Жизнь Вахтанга Горгасала, Тб., 1986, გვ. 23—26, 28—29, 35, 45.

<sup>32</sup> И. Ф. Шошиашвили, Некоторые вопросы истории создания „Картлис цховреба“.—Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Тезисы докладов, Тб., 1985, გვ. 107.

<sup>33</sup> Э. В. Хостариа-Броссе, Терминологическая основа источниковедческого изучения начального цикла „Картлис цховреба“.—Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников., Тезисы докладов. Тб. 1985, გვ. 100—101.

ბულ წინააღმდეგობას, აგრეთვე, იმას, რომ ტექსტის ყოველი ახალი სათაური წინასწარ არ შეიძლება მივიჩნიოთ ახალი ნაწარმოების დასაწყისად, კრებულის პირველი მატრიანის მოცულობის ძიებას შეუდგა უშუალოდ ტექსტის შინაარსობრივი ანალოზის გზით და მიღებული შედეგების შუქზე გაიაზრა ბიბლიოგრაფიული ცნობების შინაარსი. ვფიქრობთ, არსებულ ვითარებაში ეს ერთადერთი სწორი და მეთოდურად გამართლებული გზაა, ვინაიდან ვარდა საკუთრივ ტექსტისა, სხვა ამოსავალი საფუძველი, რომლის წინასწარი შემოწმება შესაძლებელია, არა გვაქვს. აღნიშნული მეთოდით პრობლემის კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს ისეთი ხასიათის მომენტები, რომლებიც მიგვაჩვენებენ ერთი პიროვნების შემოქმედების ნაკვალევზე, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ერთი პიროვნების შემოქმედებასთან დაკავშირებული ტექსტის მოცულობას. სამისო მომენტებად, სხვათა შორის, კ. კეკელიძეს მიანჩნია თხრობის სტილი, მსოფლმხედველობა (პროვიდენციალიზმი), ერთი და იმავე წყაროების გამოყენება<sup>35</sup>, ა. ბოგვერაძეს — ტერმინები<sup>36</sup>. ამასთან დაკავშირებით გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა. ჩვენი აზრით, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ცალკეული მონაკვეთების როგორც ერთიანობის, ისე განსხვავებულობის მტკიცება სტილისტური და ტერმინოლოგიური მსგავსება-განსხვავებების მიხედვით გაუმართლებელი ჩანს. საქმე ისაა, რომ კრებულის აღნიშნულ ნაწილს საფუძვლად უდევს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ენაზე დაწერილი წყაროები, ამიტომ ტექსტის სტილი და ტერმინოლოგია სრულებით არაა დაზღვეული აღნიშნული წყაროების სტილისა და ტერმინოლოგიური არსენალის გავლენისაგან. ადვილი შესაძლებელია, რომ საერთო წყაროს გავლენით სტილისტური და ტერმინოლოგიური მსგავსება აღმოჩნდეს ორი სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებებში, სხვადასხვა წყაროების გავლენით კი — განსხვავება ერთი ავტორის ნაწარმოებში. ამიტომ მხოლოდ სტილი და ტერმინოლოგია არ გამოდგება ობიექტურ კრიტერიუმად ცალკე თხზულების ფარგლების დასადგენად ისეთ უწყვეტ ტექსტში, როგორც „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილია. ასეთ კრიტერიუმად არ გამოდგება, აგრეთვე, მსოფლმხედველობრივი მომენტი, რამის კ. კეკელიძე პროვიდენციალიზმს გულისხმობს. პროვიდენციალიზმი, რომელიც შუასაუკუნეობრივი აზროვნების საყოველთაო თვისებაა, თანაბრად ახასიათებს „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ყველა ავტორის ნაწარმოებს<sup>37</sup>. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ გამოთიანებულ ტექსტში ამ ნიშნით დამოუკიდებელი ნაწარმოებები ერთმანეთისაგან ვერ გამოიჯნება. ჩვენი აზრით, მიუღებელია განსახილველი ტექსტის ცალკეული მონაკვეთის ერთიანობის მტკიცება იმ არგუმენტით, რომ ამ მონაკვეთებში ერთი და იგივე წყაროა გამოყენებული. ასეთი არგუმენტი მიუღებელია იმ უბრალო მიზეზით, რომ ერთი და იგივე წყაროთი შექმლო ესარგებლა რამდენიმე, თანაც, სხვადასხვა ეპოქის ავტორს. დასახელებულ მკვლევართა მიერ მოხმობილ სხვა არგუმენტებს სავსებით ვიზიარებთ.

ამავე დროს აუცილებლად მიგვაჩნია წინასწარ იქნეს შერჩეული და დაზუსტებული ის შინაარსობრივი მახასიათებლები ანუ კრიტერიუმები, რომელ-

<sup>35</sup> კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია, გვ. 192—194, 196—197.

<sup>36</sup> ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

<sup>37</sup> III. A. Хантадзе, К историографической характеристике „Картлис цховრება“. — ქართული ისტორიოგრაფია, II, თბ., 1972, გვ. 206—229.

თა საფუძველზე „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის უწყვეტი ტექსტის შიგნით უნდა შემოიფარგლოს პირველი მატთან და გაიმიჯნოს ის სხვა ნაწარმოებებსა თუ ნაწარმოებებისაგან. ასეთ კრიტერიუმებად მიგვაჩნია: ა) ისეთი ზასიათის მითითებები, რომლებიც პირდაპირ გვაუწყებენ კავშირს წინამავალ ან მომდევნო თხრობასთან; ბ) ისეთი ცნობები, რომელთა აზრის გაგება შესაძლებელია მხოლოდ წინამავალ ტექსტში დაცულ მონაცემებთან კავშირში, ბ) ისეთი ფაქტები, რომელთა მოტანის საჭიროება გაუგებარი რჩება შემდგომი თხრობის სიუჟეტური ლოგიკის გაუთვალისწინებლად; დ) გამოვლინება ერთი და იგივე ცოდნისა; ე) გავრცელების არეალი ისეთი სტერეოტიპული გამოთქმისა, რომელიც აზრის გადმოცემის ინდივიდუალური მანერის მაჩვენებელია და ვერ ჩაითვლება სხვადასხვა ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ ზოგად სტერეოტიპად.

ქვემოთ შევეცდებით აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით შერჩეული მასალის, აგრეთვე, კ. კეკელიძისა და ა. ბოგვერაძის ჩვენ მიერ გაზიარებული და იგივე კონცეფციით<sup>42</sup>. აღნიშნული გარემოება განვიხილოთ „ქართლის ცხოვრების პირველი მატთანის მოცულობის საკთხი.

განსახილველი ტექსტის პირველ თავში საუბარია კავკასიელი ხალხების მამამთავრის, ბილიური თარგამოსის მიერ თავისი რვა შვილის, მათ შორის, ქართლისათვის, სამკვლარებლის მიცემისა და საზღვრების დადგენის შესახებ<sup>38</sup>. მომდევნო, მეორე თავის დასაწყისში ნათქვამია: „და ვითარ — იგი განუყო ქუეყანა თავამოს ნათესავსა მისსა და რვათავე შვილთა მისთა და მისცა ქართლოსს ქუეყანა, რომელი ზემო აღვწერეთ“<sup>39</sup>. სიტყვები: „რომელი ზემო აღვწერეთ“ მიემართება პირველ თავში მოთხრობილ ამბავს, რაც მოწმობს პირველი და მეორე თავების ორგანულ კავშირს.

მესამე თავში დაცულია ასეთი ცნობა: „და იპყრა აღექსანდრე ყოველი ქართლი და მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლის მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა... და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანი“<sup>40</sup>. აღნიშნულ თავში არაფერია ნათქვამი, ქართლში „უცხო ნათესავთა“ არსებობაზე, ამიტომ სავსებით გაუგებარია, თუ საიდან გაჩნდნენ ისინი ქართლოსიანების, გვერდით, თუ არ გავითვალისწინებთ მეორე თავის თხრობა ქართლში სხვადასხვა „ნათესავის“ მოსვლისა და დამკვიდრების შესახებ<sup>41</sup>. ყურადღებას იქცევს სხვა გარემოებაც. „მოქცევაჲ ქართლისაჲ ცნობები ბუნ-თურქებისა და პონების შესახებ როგორც მეორე, ისე მესამე თავში გადამუშავებულია ერთი და იგივე კონცეფციით<sup>42</sup>. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ მესამე თავი წინა თავის ბუნებრივი გაგრძელებაა.

მეოთხე თავში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც „და იპყრა სომხითი სპარსთა მეფემან და შემოვიდა ქართლად“, ქართლის მეფე ასფაგური სამხედრო დახმარების საძიებლად ოსეთში წავიდა<sup>43</sup>. თუ რატომ ებრძვის სპარსთა მეფე სომხეთსა და ქართლს ან რატომ მიმართავს ასფაგური ოსეთს, ამაზე პასუხს ვპოულობთ წინამავალ მესამე თავში, სადაც დაწვრილ-

<sup>38</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 3—7.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 14—16.

<sup>42</sup> ამაზე საუბარი გვაქვს სხვა ნაშრომში.

<sup>43</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 62.

ბითაა აღწერილი ქართველი და სომეხი მეფეების ერთობლივი ბრძოლები სპარსთა წინააღმდეგ, საუბარია იმაზე, რომ ასფაგურმა ამ ბრძოლების პერიოდში არაერთხელ „განუხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანის ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი“<sup>44</sup>. ამყარა, რომ მესამე თავის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში მოთხრობილი სპარსთა და კავკასიელთა ბრძოლები სიუჟეტურად მთლიანობაშია გააზრებული, რაც აღნიშნული თავების ერთიანობაზე მეტყველებს.

„მეხუთე თავი შეიცავს ასეთ ცნობას: „იქმნა რა მირიან თხუთმეტისა წლისა, მოუკუდა ცოლი, ასული ქართველთა მეფისა, და ამასზე დაესრულა ქართლის შინა მეფობა და დედოფლობა ფარნავაზიანთა მეფეთა“<sup>45</sup>. თუ რატომ უნდა დასრულებულიყო ფარნავაზიანთა დინასტია მირიანის ცოლის გარდაცვალებით, გასაგები ვახდება მხოლოდ მაშინ, თუ გავითვალისწინებთ წინა, მეოთხე თავში დაცულ ცნობებს, რომელთა თანახმად, ფარნავაზიან მეფეს, ასფაგურს „არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი“, რომელიც ასფაგურის გარდაცვალების შემდეგ ფარნავაზიანთა ერთადერთი წარმომადგენელი იყო. წარჩინებულთა ჯაღაწყვეტილებით, ქართლის მეფედ მოიწვიეს სპარსთა მეფის, ქსარე სასანიანის ძე მირიანი, რომელსაც ცოლად შერთეს ასფაგურის ასული“<sup>46</sup>.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ხუთ თავად დაყოფილი მონაკვეთი, სადაც გადმოცემულია ქრისტიანობის წინადროინდელი ამბები, დაწერილია ერთი ავტორის მიერ.

წინაქრისტიანულ მონაკვეთს მოსდევს ტექსტი, რომელიც იწყება ახალი სათაურით: „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა... ნინო მოციქულისა მიერ“. ი. ჯავახიშვილი, პირველ ბიბლიოგრაფიულ ცნობაზე დაყრდნობით, როგორც ითქვა, აღნიშნულ მონაკვეთებს ერთი ავტორის, ლეონტი მროველის თხზულების შემადგენელ ნაწილებად მიიჩნევდა. ა. ბოგვერაძე ამ მონაკვეთების ერთიანობის დასტურად განიხილავს პარალელებს, რომლებიც ორივეგან ერთი და იგივე ცოდნის გამოვლენას გვაუწყებენ<sup>47</sup>. აღნიშნული მომსახურების სასარგებლოდ მ. ჩხარტიშვილმა მოიტანა მავალითები, რომლებიც მოწმობენ ნინოს მოღვაწეობის ამსახველი ტექსტის სპეციფიკური რელაქციური ნიშნების ორგანულ კავშირს წინაქრისტიანულ მონაკვეთთან<sup>48</sup>. დასახელებულ მკვლევართა მიერ მოხმობილ საილუსტრაციო მასალას აღარ გავიმეორებთ. ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ აღნიშნული მონაკვეთების ერთიანობას მოწმობს ერთი და იგივე წყაროს, კერძოდ, „მოქცევა ქართლისას“ ცნობების ორივეგან ერთი და იგივე მეთოდით გამოყენების დამადასტურებელი ფაქტები.

„მოქცევას“ მიხედვით, წმ. ნინო მსმენლებს უამბობს, რომ კერბები გაცი და გაიმ. „ღმერთად ჰქონდეს მამათა თქუენთა არიან — ქართლით“<sup>49</sup>. „ქართლის ცხოვრებისეულ“ „ნინოს ცხოვრებაში“. ეს ფრაზა ასეა გადმოცემული: კერბები გაცი და გაიმ „ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისას“<sup>50</sup>. როგორც ვხედავთ,

44 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 59.

45 იქვე, გვ. 66.

46 იქვე, გვ. 62—64.

47 ა. ბო გ ვ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18—23.

48 მ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი ქართლის ქრისტიანიზაციის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები, საკანდ. დისერტაცია, 1982, გვ. 81—86.

49 მოქცევა ქართლისას გვ. 120.

50 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 90.

აქ გამოტოვებულია „მოქცევას“ მითითება აღნიშნული კერპების არიან — ქართლიდან წარმომავლობის შესახებ. ეს ფაქტი რომ შემთხვევითი არ არის, ამას გვიჩვენებს დასახელებული კერპების შესახებ „მოქცევას“ ისტორიული ქრონიკისა და „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის წინაქრისტიანული მონაკვეთის შესაბამისი ცნობების შედარება. პირველის მიხედვით, აღნიშნული კერპები არიან-ქართლიდან ჩამოიტანა აზომ, არიან-ქართლის მეფის ძემ<sup>51</sup>. მეორის თანახმად, აზო არიან-ქართლის მეფის ძე კი არ არის, არამედ ბერძენია, რის საფუძველზეც უარყოფილია წყაროს ცნობა გაცისა და გაიმის არიან-ქართლიდან ჩამოტანის შესახებ და აღნიშნულია, რომ ეს კერპები ბერძენმა აზონმა ქართლშივე შექმნა<sup>52</sup>, აშკარაა, რომ წინაქრისტიანულ მონაკვეთში „მოქცევას“ ისტორიული ქრონიკის აღნიშნული ცნობის გადაკეთება პირდაპირ კავშირშია „ქართლის ცხოვრებისეულ“ „ნინოს ცხოვრებაში“ დასახელებული კერპების შესახებ „მოქცევასეული“ „ნინოს ცხოვრების“ ცნობიდან არიან-ქართლის ამოღებასთან. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ „ქართლის ცხოვრებისეულ“ „ნინოს ცხოვრებაში“ კერპების, გაცისა და გაიმის არიან-ქართლიდან წარმომავლობის შესახებ „მოქცევასეული“ „ნინოს ცხოვრების“ პირდაპირი მითითება უპუკვდებულია იმ ავტორის მიერ, რომელმაც წინაქრისტიანულ მონაკვეთში ამ კერპების ჩამომტანი აზოს არიან-ქართლიდან წარმომავლობის შესახებ „მოქცევას“ ისტორიულ ქრონიკაში დაცული ცნობა უარყო.

„მოქცევასეული“ „ნინოს ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანის დროს ქართლის მეფე იყო ამაზაერ<sup>53</sup>. „ქართლის ცხოვრებისეული“ „ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, ამ დროს ქართლის მეფე იყო ადერკი<sup>54</sup>, ამაზაერი კი ამ ამბებიდან „შემდგომად მრავალთა წელიწადთა“ მოღვაწეობს<sup>55</sup>. ამგვარი შესწორება გასაგები გახდება მხოლოდ მაშინ, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ წინაქრისტიანულ მონაკვეთში ქრისტეს წამების თანამედროვე ქართლის მეფედ დასახელებულია ადერკი<sup>56</sup>, ამაზაერი კი გამოცხადებულია ადერკის ძისწულის შვილად და მეფობს გაცილებით გვიან<sup>57</sup>. როგორც ვხედავთ „მოქცევასეული“ „ნინოს ცხოვრების“ აღნიშნული ცნობა შესწორებულია „ქართლის ცხოვრების“ წინაქრისტიანული მონაკვეთის ავტორის თვალსაზრისის შესაბამისად.

„ქართლის ცხოვრებისეულ“ „ნინოს ცხოვრებაში“ შეტანილი არაა „მოქცევასეული“ „ნინოს ცხოვრების“ ცნობა, რომლის თანახმად, ნინოს მოსვლამდე ქართლის სამეფოში ქრისტეს სარწმუნოება არც ერთ მოციქულს არ უქადაგია<sup>58</sup>. ეს ფაქტიც არაა შემთხვევითი, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ წინაქრისტიანულ მონაკვეთში საუბარია ადერკის მეფობის ხანაში ეგრისისა და აფხაზეთში მოციქულების, ანდრია და სვიმონ კანანელის ქადაგების შესახებ<sup>59</sup>. აშკარაა, რომ „მოქცევასეული“ „ნინოს ცხოვრების“ აღნიშნული

51 მოქცევაი ქართლისაჲ, გვ. 81—82.

52 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 18—20.

53 იქვე, გვ. 66.

54 მოქცევაი ქართლისაჲ, გვ. 129.

55 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 100.

56 იქვე, გვ. 35—36.

57 იქვე, გვ. 45.

58 მოქცევაი ქართლისაჲ, გვ. 105.

59 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 38.

ცნობა უგულვებელყოფილია წინაქრისტიანული მონაკვეთის ავტორის კონცეფციის საფუძველზე.

მოტანილი მასალა, სარედაქციო შენიშვნებისა და სათაურების გათვალისწინებისაგან დამოუკიდებლად, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ მკვლევართა (ი. ჯაფარიშვილი, ა. ბოგვერაძე, მ. ჩხარტიშვილი) მოსაზრებას, რომლის თანახმად „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ის მონაკვეთი, სადაც გადმოცემულია ამბები დასაბამიდან სათაურამდე „ცხოვრება მეფისა ვახტანგ გორგასლისა...“ ერთი ავტორის ერთიანი და განუყოფელი ნაწარმოებია (ამ უკანასკნელს ქვემოთ, მსჯელობის გაადვილების მიზნით, ვახტანგამდელ მონაკვეთს ვუწოდებთ).

ახალი სათაურის: „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“... ქვემოთ თხრობა ასე იწყება: „ვითარ — იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ სპარსთა წყობასა შინა, და წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა და დაიპყრეს ქართლი სპარსთა, და განრყუნეს ეკლესიანი, და დამალეს ჭუარები ქართველთა და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლისმსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი“<sup>60</sup>. მოტანილ ციტატაში არსებითად გამეორებულია ვახტანგამდელი მონაკვეთის ბოლოში მოთხრობილი ამბები<sup>61</sup>. სათაურის წინა და მომდევნო თხრობის ასეთი წესით ერთმანეთთან გადაბმა, რასაც ყურადღება მიაქცია ა. ბოგვერაძემ, დამახასიათებელია ვახტანგამდელი მონაკვეთის ავტორისათვის<sup>62</sup>.

ასე, რომ ახალი სათაურით დაწყებული ტექსტი იმგვარადვეა გადაბმული წინა ტექსტთან, როგორც ვახტანგამდელი მონაკვეთის III—IV და IV—V თავები, რაშიც ერთი და იგივე ავტორის ხელი ჩანს.

ვახტანგის მეფობის ამსახველ მონაკვეთში (პირობითად მას „ვახტანგის ცხოვრებას“ ვუწოდებთ) დაცულია შემდეგი ცნობა: „წარემართა ვახტანგ შესღვად საბერძნეთად და მიიწიენეს სომხეთს და მორეთნეს პეროჟაკადს, სადა — იგი ციხე აეგო პირველ ჯსენებულსა ფეოროზს, ერისთავნი სომხეთისანი“<sup>63</sup>. ფეროზი „ვახტანგის ცხოვრების“ ფარგლებში ნახსენები არაა. მისი „პირველჯსენება“ ვახტანგამდელი მონაკვეთის თხრობაში გვაქვს<sup>64</sup>. აღნიშნული სტრიქონების დამწერი ითვალისწინებს იმას, რომ მკითხველი ფეროზს უკვე იცნობს. „ვახტანგის ცხოვრება“ ცალკე ნაწარმოები რომ იყოს, მისი ავტორი ამას ვერ გაითვალისწინებდა. ეს იმის მოწმობაა, რომ „ვახტანგის ცხოვრება“ ვახტანგამდელი მონაკვეთის ბუნებრივი გაგრძელებაა და არა დამოუკიდებელი თხზულება<sup>65</sup>.

„ვახტანგის ცხოვრებაში“ გვხვდება ზოგიერთი ცნობა, რომლის ამ სახით მიწოდება მკითხველისათვის შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი დამწერი დარწმუნებულია იმაში, რომ „ვახტანგის ცხოვრების“ მკითხველი უკვე იცნობს ვახტანგამდელი მონაკვეთის თხრობას. „ვახტანგის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ მირიანი „ეყვოდა ვახტანგს მამისძმისწულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა, რომელი იყო სიძე თრდატ სომეხთა მეფისა“<sup>66</sup>. და-

60 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 139.

61 იქვე, გვ. 138.

62 იხ. ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25—26.

63 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 159 (ხაზგასმა ჩვენია — გ. ა.).

64 იქვე, გვ. 68, 117, 125, 126, 131, 132, 137.

65 ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

66 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 151.

ახლოებით იგივეა ნათქვამი სხვაგანაც: ვახტანგი და მისი დები „იყვნენ ნათესავნი ბაქარ მირიანის ძისა. ზოლო მირიან და გრიგოლ იყვნენ ნათესავისგან რევისა, მირიანისვე ძისა“<sup>67</sup>.

ვახტანგამდელ მონაკვეთში დაწვრილებითაა საუბარი მირიანის მემკვიდრეების, ბაქარისა და რევის მემკვიდრეობით სამეფო დინასტიის ორი შტოს ჩამოყალიბებისა და მათი შემდგომი ურთიერთობის შესახებ<sup>68</sup>. ამის გათვალისწინების გარეშე გაუგებარია როგორც ვახტანგისა და მისი დების, ისე მირიანისა და გრიგოლის გენეალოგიაზე იმ სახით მითითება, როგორც „ვახტანგის ცხოვრებაში“ გვაქვს<sup>69</sup>. აღსანიშნავია სხვა გარემოებაც. ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციაში ბაქარისა და რევის მირიანთან გენეალოგიური მიმართების საკითხზე ორი განსხვავებული თვალსაზრისია წარმოდგენილი. ერთი თვალსაზრისით, რომელიც ფიქსირებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიულ ქრონიკაში, რევი მირიანის ძეა, ბაკური კი რევის ძე, ე. ი. მირიანის შვილიშვილი<sup>70</sup>. მეორე შეხედულებას მიხედვით, რომელიც ასახულია „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგამდელ მონაკვეთში, ბაქარი („მოქცევაჲ“-ში ბაკური) და რევი მირიანის შვილები არიან<sup>71</sup>. საყურადღებოა, რომ „ვახტანგის ცხოვრებაში“ ბაქარისა და რევის გენეალოგია წარმოდგენილია ვახტანგამდელი მონაკვეთის ავტორის თვალსაზრისის იდენტურად, რაც მოწმობს „ვახტანგის ცხოვრებისა“ და ვახტანგამდელი მონაკვეთის ერთიანობას.

„ვახტანგის ცხოვრებაში“ მოცემულია ზოგიერთი რემინისცენციული პარალელურ ვახტანგამდელი მონაკვეთის თხრობასთან: 1) „ვახტანგის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი და დაიპყრეს ეგრისწყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე. მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდის: განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ, და არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი... სამართლით მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა... და მივიღო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარისითა მიუღესა კლარჯეთი და იგი ცოდვითა ვარაზ-ბაქარისითა მოიწია, რამეთუ ვერცეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი“<sup>72</sup>. ვახტანგამდელი მონაკვეთის მიხედვით, „ვარაზ-ბაქარ მეფე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა“, მისი მეფობის დროს „დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვთგან არსიანთამდე“<sup>73</sup>. 2) „ვახტანგის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ საბერძნეთში ლაშქრობის დროს „სპარსნი რომელ ჰპოვებდეს ეკლესიისა მსახურთა, დაჰკლვიდეს ზოლო ვახტანგ მეფემან... რქუა მათ: მაშინ მამა ჩემი მირიან ოდეს შემოჰყვა მეფესა სპარსთასა, ძმისწულსა თუსსა, ბრძოლად ბერძენთა ზედა, ესევეითარსა უყოფდეს მოწესეთა და ეკლესიის მსახურთა და იძლიენეს ძლევეითა ბოროტითა ურიცხუნნი სპანი მცირეთა ლაშქართაგან“<sup>74</sup>. ვახტანგამდელ მონაკვეთში ვრცლადაა საუბარი მირიანის და მისი ძმისწულის, სპარსთა მეფის ერთობლივ ლაშქრობაზე საბერძნეთში, რო-

67 ქართლის ცხოვრება, II, გვ 159.  
 68 იქვე, გვ. 130—131, 137.  
 69 ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.  
 70 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ 91.  
 71 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 129—130.  
 72 იქვე, გვ. 146 (ხაზგასმა ჩვენია — გ. ა.).  
 73 ქართლის ცხოვრება, გვ 135, 136—137; ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.  
 74 იქვე, გვ. 160.<sup>1</sup>



დესაც იმპერატორმა კონსტანტინემ „წარმოიძღუნა სახე ჭუარისა და ეწყო მტერთა მათ ურიცხუთა სპითა მცირეთა და ძალითა ქრისტესითა აოტა ბანაკი მათი და მოსრა სიმრავლე მათი“<sup>75</sup>. 3) „ვახტანგის ცხოვრების“ მიხედვით, მეფის მიერ დანიშნული სპასპეტი არის „მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა“<sup>76</sup>. სპასპეტის კომპეტენცია იგივე შინაარსითაა წარმოდგენილი ვახტანგამდელ მონაკვეთში, რომლის თანახმად „სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“<sup>77</sup>. სიტუაციებსა და ფაქტებს შორის აღნიშნული პარალელების გაფლენაში ერთი ავტორის ხელი ჩანს.

ყოველივე ზემოთ თქმული მიუთითებს იმაზე, რომ „ვახტანგის ცხოვრება“ დაწერილია ვახტანგამდელი მონაკვეთის ავტორის მიერ.

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების აღწერის შემდეგ თხრობა იმდენად ლოგიკურად და ბუნებრივად გრძელდება რომ არავითარი ნიშანი ახალი ნაწარმოების დაწყებისა, არც ფორმალური და არც შინაარსობრივი, არ ჩანს.

შედარებითი შესწავლისათვის პირობითად ავიღებთ ვახტანგის შემდგომ მონაკვეთს არჩილის წამებამდე. აღნიშნულ მონაკვეთში ჰერაკლე კეისრის ქართლში ლაშქრობასთან დაკავშირებით ნათქვამია: „მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირი“<sup>78</sup>. აქამდე ვახტანგის შემდგომი ამბების თხრობაში ბერძენთა მიერ ქართლის ტერიტორიის „წარღებაზე“ არაფერია ნათქვამი. ამაზე საუბარია ვახტანგამდელ მონაკვეთში ვარაზ-ბაქარის მეფობის აღწერაში<sup>79</sup> და „ვახტანგის ცხოვრებაში“<sup>80</sup>, რასაც გულისხმობს ზემოთ მოტანილი მითითება „კუალად“<sup>81</sup>.

ვახტანგის შემდგომი ამბების თხრობა რომ დამოუკიდებელი ნაწარმოები იყოს, მისი ავტორი თავის მკითხველს სხვა ნაწარმოებში აღწერილ ფაქტზე ამ სახით ცხადია, ვერ მიუთითებდა.

დასახელებული მონაკვეთის ცნობით, ბიზანტიის კეისარმა წერილი გამოუგზავნა აფხაზეთის ერისთავს, სადაც აღნიშნული ყოფილა როგორც მირისა და არჩილის, ისე მათი წინაპარი ქართლის მეფეების დამსახურება ბიზანტიის წინაშე: „პირველად ნათელი მიიღეს კელსა ქუეშე ჩუენსა. კუალად შემუსვრისაგან დაარჩინეს დიდი ქალაქი პონტოსა, და შორის ჩუენსა და შორის საბრსთა ყვეს მშვიდობა, რამეთუ იგივე ვახტანგ მეფე შუამდგომელ იქმნა და კრმლითა მისითა უკმოულო სამეფოსა ამას (ბიზანტიას — გ. ა.) პალესტინე და ორი ნაწილი ჯაზირეთისა... ხოლო შენდა მიბრძანებდეს ერისთავთა აფხაზეთისა, შენ და შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუტუნისამდე. არამედ კეთილად პატიესცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერიდან ნულარამცა კელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვენ მანდა ანუ განვიდნენ მანდით“<sup>82</sup>. წერილი, რომლის შინაარსი შეთხზულია ვახტანგამდელ მონა-

75 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგის განყოფილებაში ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 43—44.

76 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185.

77 იქვე, გვ. 24—25.

78 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 226. მითითებულ გამოცემაში წერია „ზღვის პირი“. უნდა იყოს „ზღვისპირი (იხ. ზ. ს. ა. რ. ჯ. ე. ლ. ა. ძ. ე. ჯ. ს. ა. — წიგნალი. — წიგნალი: „ქართლის ცხოვრების“ სიმღონია-ლექსიკონი, II, თბ., 1986, გვ. 10).

79 იქვე, გვ. 137.

80 იქვე, გვ. 146.

81 ა. ბ. გ. ე. რ. ა. ძ. ე. ჯ. ს. ა. — წიგნალი, ნაწარმი, გვ. 32.

კვეთსა და „ვახტანგის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ამბების<sup>82</sup> საფუძველზე, გამსჭვალულია აღნიშნული მონაკვეთების თხრობაში ასახული ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ერთიანობის კონცეფციით.

ზემოთ აღნიშნული მონაკვეთების ფარგლებში დასტურდება მთელი წყება ისეთი სტერეოტიპული ფრაზებისა, რომლებიც ერთი ავტორის ინდივიდუალური მანერის მაჩვენებელია<sup>83</sup>, აგრეთვე, გეოგრაფიული სახელების ერთი და იმავე წესით განმარტების მრავალი მაგალითი<sup>84</sup>.

ახალი სათაურით „წამება... არჩილის“ გამოყოფილი ტექსტი იწყება წინ-მაგალი თხრობის ბოლო აბზაცში დაცული შემდეგი სიტყვების „უამთა მათ დაეცდნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად ყრუსა წარსლვითგან წელიწადსა ორმოცდამეათესა...“<sup>85</sup> გამეორებით: „და ვითარ გარდაცდეს წელიწადნი ორმოცდაათიანი, კულად მოვიდა ჭიჭნაუმ ძე მოჰამედისი, მოაოჯრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა...“<sup>87</sup>. მომდევნო სათაურის ტექსტის წინა თხრობასთან გადაბმის ამგვარი წესი დამახასიათებელია ვახტანგამდელი და „ვახტანგის ცხოვრების“ მონაკვეთებისათვის<sup>88</sup>.

„არჩილის წამების“ ტექსტში დაცული ერთი ცნობის მიხედვით, გარდაბნელი მთავარი არაბთა სარდალს, ასიშს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „არა უწყია, თუ ვინ არს ესე არჩილ? ესე არს ძე სტეფანოზისი, ნათესავი დიდისა მეფისა ვახტანგისი, რომელი იყო ნათესავისაგან მირიანისა, ძისა ქასრესა და ესე იყო მამისა თვისისა თანა, რაჟამს იგი დაჰფლვიდეს საგანძურთა სამეფოსა ქართლისათა და ივცა იცის, რომელ ერაკლე მეფემან დაფლნა საგანძურნი. თვისნი. რამეთუ ერაკლეცა უჩვენებდა, სადაცა დაჰფლავიდა“<sup>89</sup>. მოტანილი ამონაწერით „არჩილის წამება“ ორგანულად უკავშირდება წინა თხრობას, რომლის თანახმად არჩილის მამა, სტეფანოზი ერაკლე კეისრისა და არაბთა პირველი დაპყრობების თანამედროვეა, ხოლო არჩილი თანდამხედურია სტეფანოზისა და ერაკლეს მიერ „საგანძურთა დაჰფლვისა“<sup>90</sup>, რაც მოწმობს იმას, რომ არჩილის მოწამებრივი სიკვდილის აღწერა შინაარსობრივ ერთიანობაშია წინა ტექსტთან.

„არჩილის წამებას“ მოსდევს მეორე სარედაქციო შენიშვნა, რომლის შემდეგ თხრობა გრძელდება შემდეგი სიტყვებით: „შემდგომად ამისა, რაჟამს აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, დაითეს შვილნი მისნი იოვანე და ჭუანშერ. წარვიდა იოვანე ეგრისად და წორიტანა თანა ღელა და ორნი დანი თვისნი“<sup>91</sup>. არჩილის ოჯახის ერთი ნაწილის ეგრისში დამკვიდრების ფაქტი კანონზომიერ კავშირშია წინა ტექსტის თხრობაში ჩაქსოვილი კონცეფციასთან, რომლის თანახმად არჩილსა და მის შვილებს როგორც სამეფო დინასტიის წარმომადგენლებს, ამ დინასტიის ოდინდელ უფლებათა მემკვიდრეებს ეკუთვნის ეგრისიც.

ცნობა იოვანეს ეგრისში დამკვიდრების შესახებ ამ კონცეფციის კონკრეტული გამოვლენაა. აღნიშნული კონცეფციის ნიადაგზეა განხილული აფხაზთა

<sup>82</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 240.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 115—116, 170—173, 182—185.

<sup>84</sup> იხ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია, გვ. 196, 190; ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26—27; 31—32.

<sup>85</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 5, 8, 9, 10, 11, 12, 17, 29, 47, 159, 230.

<sup>86</sup> იქვე, გვ. 244.

<sup>87</sup> იქვე, გვ. 245.

<sup>88</sup> ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

<sup>89</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 246.

<sup>90</sup> იქვე, გვ. 231—232.

<sup>91</sup> იქვე, გვ. 249.

ერისთავის, ლეონის ხელისუფლების ეგრისზე გავრცელების ფაქტი, რაც, მემატრიანის აზრით, შესაძლებელი გახდა იმიტომ, „რამეთუ მიცვალბულ იყო იოვანე და დაბერებული იყო ჭუანშერ. და შემდგომად ამისა ჭუანშერცა მიცვალა“<sup>92</sup>.

ა. ბოგვერაძის დაკვირვებით, ამ სიტყვებით მთავრდება „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატრიანე<sup>93</sup>. ჩვენი აზრით, აღნიშნული სიტყვების მომდევნო აბზაცი „არამედ სიცოცხლესავე ჭუანშერისასა იცვალა ადარნასე ბაგრატიონიანმან ნსამალი კლარჯეთისა, შავეეთისა, აჭარისა, ნივალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოსა ტაოსა, და ცხეთავანცა, რომელნი ჰქონდეს შვილისშვილთა ვახტანგ მეფისათა და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკლდა. შემდგომად სიკუდილისა და არნანსისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა, რამეთუ ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“<sup>94</sup> ლოგიკური დასასრულია მთელი წინამავალი თხრობისა. ამას მოწმობს განსაზღვრულ ტექსტში დაცული ცნობები ბაგრატიონების შესახებ. არჩილის მეფობის დროინდელი ამბების თხრობაში, სხვათა შორის, აღნიშნულია: „მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახელით ადარნასე... რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატიონიანთადვე. და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა და ტყუეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო შვილთა თანა გუარამ კურაპალატისა კლარჯეთს და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისაგან და რქუა: უკეთე ინებო და მყო მე ვითარცა მკვდრი შენი, მომეც ქუეყანა და მისცა შულავერი და არტანი“<sup>95</sup>. იქვე საუბარია ადარნასე ბაგრატიონის სხვა სახლისშვილების საქართველოში დამკვიდრებაზე<sup>96</sup>. საესებით გაუგებარია, რატომ ჩათვალა მემატრიანემ საჭიროდ ბაგრატიონთა შესახებ ცნობების მოტანა ან რით იმსახურებს ეს საგვარეულო მის ყურადღებას, თუ არ გავითვალისწინებთ ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლობის შესახებ „არჩილის წამების“ შემდგომი ამბების თხრობას, სადაც ჩართულია ცნობა ჭუანშერისა და ადარნასე ბაგრატიონის ასულის ლატავრის ქორწინების<sup>97</sup>, აგრეთვე ზემოთ მოტანილი ცნობა ადარნასესა და აშოტის შესახებ. ბაგრატიონთა შესახებ აღნიშნული ცნობების რეტროსპექტია ხდება აშოტის პიროვნების დისტანციიდან. აშოტი, რომელიც სამეფო დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენლების, იოვანესა და ჭუანშერის გარდაცვალების შემდეგ „ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“, არის ხელისუფალი, რომლის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას ნიადაგს უმზადებს წინამავალი თხრობა ადარნასესა და მისი სახლისშვილების ქართლში დამკვიდრებისა და შემდგომი თავგადასავლის შესახებ. ამკარაა, რომ ავტორი რომელმაც არჩილისა და ჭუანშერის დროინდელი ამბები აღწერა და მასში ბაგრატიონთა შესახებ ცნობები შეიტანა, ითვალისწინებდა აშოტის ქართლში გამეფების ფაქტს. ეს მნიშვნე-

<sup>92</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251.

<sup>93</sup> ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17, 36.

<sup>94</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251—252. მითითებულ გამოცემაში ციტატის ბოლო წინადიდებას ასეა გამართული: „ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“. სიტყვა „ხოლო“ არის ნუსხათა უმრავლესობაში, ამ სიტყვის ნაცვლად ანასეული ნუსხის პირში წერია „რამეთუ“ (იხ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასახ. გამოცემა, გვ. 162), რაც კონტექსტს უკეთ ეგუება, ვიდრე „ხოლო“.

<sup>95</sup> იქვე, გვ. 243.

<sup>96</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 244.

<sup>97</sup> იქვე, გვ. 251.

ნელოვანი ამბავი რომ არა, ადარნასესა და მისი სახლისშვილების ქართლში დამკვიდრება საგანგებო ყურადღებას არ მიიქცევდა. ამიტომ მიგვაჩნია აშოტის გამეფების ფაქტის აღნიშვნა ვახტანგ გორგასალის მემკვიდრეების შესახებ წინაშეაღებული თბრობაში განვითარებული ლეგიტიმისტური კონცეფციის ლოგიკურ დასასრულად.

შინაარსობრივი კავშირი, რაც განხილულ მონაკვეთში დასტურდება, თბრობის შემდგომ მონაკვეთში არ შეინიშნება. მასში არ გვხვდება ისეთი ნიშნები, რომლებიც მიუთითებდეს რაიმე გზით შინაარსობრივ კავშირზე აშოტ კურაპალატის წინააღმდეგელები ამბების თბრობასთან.

ამრიგად, ქართლის ცხოვრების<sup>98</sup> პირველი მატრიანე მოიცავს ძველი „ქართლის ცხოვრების“ დღეისათვის ცნობილ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტის იმ მონაკვეთს, სადაც გადმოცემულია ამბები უძველესი დროიდან აშოტ კურაპალატის (IX ს) გამეფების შესახებ ცნობამდე (ამ უკანასკნელის ჩათვლით).

აღნიშნულის საფუძველზე საშუალება გვაქვს გავიზოროთ ბიბლიოგრაფიული ცნობების შინაარსი. პირველი ცნობა („ესე არჩილის წამება და შეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმა აღწერა“), როგორც ითქვა, ორგვარი ვაგების შესაძლებლობას შეიცავს, მაგრამ ვადაუწყებელი რჩებოდა, თუ რომელ ვაგებას მინიჭებოდა უპირატესობა. ზემოთ ვახებთ, რომ „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ და „არჩილის წამება“ არ არიან დამოუკიდებელი, ერთმანეთისაგან განცალკევებული ნაწარმოებები. ამდენად, მათი სახით ცნობაში აღნიშნული ყოფილა არა ცალკეული ნაწარმოებები, არამედ ერთი ავტორის ერთ ნაწარმოებში მოთხრობილი სხვადასხვა ამბები, ხოლო „მეფეთა ცხოვრების“ სახით იმავე ნაწარმოებში გადმოცემული მეფეების თავდადასავალი.

მეორე ბიბლიოგრაფიული ცნობა გვაუწყებს, რომ ამბები ვახტანგ გორგასალის მეფობის ხანამდე ნაწერი იყო „ჟამითი-ჟამად“. ამ ცნობის რეალურობა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგამდელი მონაკვეთის ფარგლებში არ დადასტურდა. ამბები „ვახტანგ მეფისითგან“ არჩილის წამების ჩათვლით, აღნიშნული ცნობის მიხედვით, ჯუანშერ ჯუანშერიანს აღუწერია. ეს მონაკვეთი, როგორც შინაარსობრივი ანალიზი გვიჩვენებს, „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატრიანის ორგანული ნაწილია და ეკუთვნის იმავე ავტორს, რომელმაც ვახტანგამდელი და არჩილის შემდგომი ამბები აღწერა. აქედან გამომდინარე, მეორე ბიბლიოგრაფიული ცნობა არ ეხება ვახტანგამდელი, ვახტანგის მეფობისა და შემდგომი პერიოდის (არჩილის წამების ჩათვლით) შესახებ „ქართლის ცხოვრების“ დღეისათვის ცნობილ ტექსტში არსებულ თბრობას. ეს ვარაუთება ერთხელ კიდევ ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას, რომლის თანახმად VIII—IX სს. მიჯნაზე უნდა არსებულებოდა ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ შედგენილი ქართული მატრიანეების კრებული<sup>99</sup>. აღნიშნული ცრებულებით, რომელიც ბიბლიოგრაფიულ ცნობაში იხსენიება როგორც „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“, უსარგებლია „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატრიანის ავტორს. ა. ბოგვერაძე ფიქრობს, რომ პირველი მატრიანის ავტორს ვახტანგამდელი ამბების აღწერისას ხელთ ჰქონია მეორე ბიბლიოგრაფიულ ცნობაში მოხსენიებული სხვადასხვა დროს შედგენილი („ჟამითი-ჟამად“ ნაწე-

<sup>98</sup> გ. მელიქიშვილი, ფარნავაზი და ფარნავაზიანები ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში, გვ. 58 და შმდ.; გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, გვ. 52.

რი) თხზულებები, ვახტანგის მეფობიდან დაწყებული არჩილის წამების ჩათვლით კი ჭუანშერის მიერ აღწერილი გამბული თხზულება<sup>99</sup>. ვფიქრობთ, ბიბლიოგრაფიული ცნობიდან ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს. მასში ვარკვევითაა ნათქვამი, რომ „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“ „ვიდრე ვახტანგისამდე აღწერებოდა ჟამითი-ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე“. ე. ი. არჩილის წამების ბოლომდე „აღწერა“ ჭუანშერმა. ცნობის მიხედვით არ ჩანს, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანის ავტორს ცალკე „ვახტანგისამდე... ჟამითი-ჟამად“ „აღწერილი“ თხზულებები და ცალკე „ვახტანგ მეფისითგან“ არჩილის წამების ჩათვლით ჭუანშერის მიერ დაწერილი თხზულება ჰქონდა ხელთ. თუ ცნობის შინაარსს ძალას არ დავატანთ, მაშინ მისგან გამომდინარე აზრი ასეთია: „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანის ავტორის განკარგულებაში ყოფილა როგორც „ჟამითი-ჟამად“ დაწერილი, ისე საკუთარი თხზულებების გავრთიანებით ჭუანშერ ჭუანშერიანის მიერ კრებული სახით შედგენილი „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“. ვფიქრობთ, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში არსებული მეორე ბიბლიოგრაფიული ცნობა ჭუანშერის მიერ შედგენილი კრებულის ანდერძიდან უნდა ვადმოვლო „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანის ავტორს თავის თხზულებაში. ცნობის ტექსტი რომ საერთოდ ანდერძიდან მომდინარეობს, ამას მომწმობს მისი ბოლო სიტყვები: „მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივგანბრძნობილსა“.

აღნიშნული ბიბლიოგრაფიული ცნობა გვაუწყებს კრებულის „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“-ს არსებობის ფაქტს, მაგრამ თუ როგორ გამოიყენა ის „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანის ავტორმა ან რა მასალა შეიტანა იქიდან თავის თხზულებაში, ამის შემოწმება დღეისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზით, რომ „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“ ცალკე სახით არ შემონახულა.

„ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანის აუთენტური სათაური დღეისათვის უცნობია. თუ მხედველობაში მივიღებთ მატიანის დასაწყისის სიტყვებს („ვიწყო მითხრობად ცხოვრებასა ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“) და, აგრეთვე, იმას, რომ ისტორიოგრაფიაში „ქართლის ცხოვრების“ საწყისი მატიანის სახელწოდებად ტრადიციულად მიღებულია „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (სიმოკლისათვის: „მეფეთა ცხოვრება“), ეს პირობითი სათაური შეიძლება გავრცელდეს იმ მონაკვეთზეც, რომლის ფარგლებში წარმოდგენილია კრებულის პირველი მატიანის ტექსტი. მის ავტორად კი პირველ ბიბლიოგრაფიულ ცნობაში მოხსენიებული ლეონტი მროველი უნდა მივიჩნიოთ.

Г. М. АРАХАМИЯ

## К ВОПРОСУ ОБ ОБЪЕМЕ ПЕРВОЙ ЛЕТОПИСИ «КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

Резюме

Определение объема первой летописи сборника древнегрузинских исторических сочинений «Картлис цховреба» (далее: КЦ) является

<sup>99</sup> ა. ბო გ ვ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43—44.

весьма проблематичным в грузинской историографии. Решение вопроса осложняется следующими обстоятельствами: изложение исторических событий в сборнике имеет хронологически последовательный и непрерывный характер; сохранившиеся в тексте начальной части КЦ две библиографические записи содержат противоречивые показания. При этом смысл каждой записи можно толковать по-разному, а отдать предпочтение той или иной интерпретации при отсутствии контрольного материала невозможно. Поэтому в научной литературе в вопросе об объеме первой летописи КЦ существуют разные, часто взаимоисключающие соображения. Автор статьи разделяет высказанную некоторыми исследователями (К. С. Кекелидзе, А. А. Богверадзе) точку зрения, согласно которой библиографические записи и отдельные заголовки текста начальной части КЦ не могут служить надежным ориентиром для выяснения объема первой летописи КЦ. Наиболее приемлемым методом для решения этого сложного вопроса представляется содержательный анализ текста начальной части КЦ. На основе имеющихся в научной литературе результатов содержательного анализа названного текста, а также собственных наблюдений, автор статьи приходит к выводу, что раздел начальной части КЦ, повествующий о событиях с древнейших времен до начала IX в. («воцарение» Ашота Багратиони), является отдельным произведением, автором которого можно считать Леонтия Мровели, упомянутого в первой библиографической записи.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტის საქართველოს წყაორთმცოდნეობის განყოფილებამ.

თეზურ ზარბაზი

ზორჩალოს მავრის სამარეველო-საწარმოთა ისტორიიდან

(მინის წარმოება)

საქართველოში მინის წარმოებას ძველი დროიდანვე მისდევდნენ. მრავალი საინტერესო გამოკვლევით დასტურდება, რომ მინის წარმოებას ჩვენში ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვამდე იცნობდნენ და ჩვენს ტერიტორიაზე მზადდებოდა ნაირგვარი ნაწარმი: მძივები, ჩასასმელი თვლები, ჭურჭელი, საბეჭდავები, ბეჭდები, სამაჯურები, სარკმლის მინა და სხვ.

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცულია მინის ძველი ნიმუშები: სურები, საცრემლეები, ვაზები, სხვადასხვა ლანიშნულების ნივთები. ძნელია იმის თქმა რომ ყველა ეს ნიმუში ადგილობრივია. ნაწილი შემოტანილია უცხოეთიდან, სხვადასხვა ცენტრებთან არსებული გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობის შედეგად. მაგრამ უდავოა ისიც, რომ უდიდესი ნაწილი ადგილობრივია. ამას ამტკიცებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი მინის საწარმოთა ნაშთები, საწარმოში გამოყენებული იარაღები.

XVIII ს-მდე მინის დამზადების ტექნოლოგიის საერთო სურათის წარმოდგენა ძნელია. საუკუნის დასასრულს თავსდამტყდარმა უბედურებამ კი მოსპო საქართველოს მთელი მეურნეობა.

მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც დადგა ქვეყნის ეკონომიკური, სამეურნეო და კულტურული განვითარებისათვის ხელშემწყობი და მშვიდობიანი პირობები, როდესაც ქვეყანას დაეტყო ეკონომიკური გამოცოცხლება, აღორძინდა ვაჭრობა და განვითარდა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგები, დაისვა საკითხი საქართველოში მინის წარმოების შექმნის შესახებ.

ადგილობრივი და რუსეთის მთავრობათა გადაწყვეტილებით და შეთანხმებით ახალციხის მავრაში, აწყურთან ახლოს სოფ. თისელის ტერიტორიაზე საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის პ. ზავილეისკის გამგებლობით და გაწეული ზარჯით აიგო მინის პირველი მანუფაქტურული საწარმო დაახლოებით 1834 წ. ბოლოს. არსებობის ზანმოკლე დროის მიუხედავად (საწარმო მოქმედებდა 1838 წ. აპრილიდან 1839 წ. ბოლომდე) მან გარკვეული როლი შეასრულა მოსახლეობისათვის მინის სხვადასხვა ნაწარმის მიწოდების საქმეში და დასაბამი მისცა შემდგომში მინის წარმოების შედარებით მაღალ საფეხურზე განვითარებას.

პ. ზავილეისკის საწარმოს დახურვის შემდეგ მინის მეორე მანუფაქტურული საწარმო დაარსა გორელმა თავადმა ელიზბარ ერისთავმა თავის ძმას-

თან — დიმიტრისთან ერთად, თავისსავე მამულში — სოფ. ღვარბში 1842 წ. საწარმო, რომელმაც 80-იან წლებამდე იარსება, ამზადებდა სხვადასხვა ზომის, ფორმის და ფერის მინის ნაწარმს, იღებდა კერძო პირთაგან, თბილისის და სტავროპოლის აფთიაქებისაგან შეკვეთებს<sup>1</sup>.

საწარმოს დახურვამ გამოიწვია მინის ნაწარმზე ფასის მომატება. ადგილობრივი მოსახლეობა, ღვინით მოვაჭრენი, ალკოჰოლიანი თუ მავარი სასმელების დამამზადებელი ქარხნები კი დიდძალი რაოდენობის მინის ქურჭელს საჭიროებდა. საქართველო მთლიანად დამოკიდებული გახდა რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან შემოტანილ მინის ნაწარმზე. აღნიშნული ნაწარმის შემოტანა დიდ ხარჯებთან იყო დამოკიდებული და ადგილობრივ ძვირად იყიდებოდა, რაც ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო.

ამგვარაა გარემოებამ დააფიქრა და შეაგულიანა ალექსანდრე ფერდინანდეს ძე ფონ-კუჩენბახი გაეგრძელებინა მინის კეთების საქმე და დაეარსებინა შედარებით დიდი მასშტაბის მინის ქარხანა ბორჩალოს მაზრაში.

ქვემო ქართლში ადრიდანვე აღირიცხებოდა მეტალურგიის რამდენიმე კერა. გათხრების შედეგად აღმოჩენილი სხვადასხვა ნივთიერი მასალები და დღემდე შემორჩენილი სახელები „სარკინეთი“, „ფოლადაური“ და სხვა მიგვანჩინებენ აღნიშნული დარგის განვითარების მაღალ დონეზე. მათი განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. მათზე ბევრი საინტერესო გამოკვლევა არსებობს. დავსახელებთ მხოლოდ ალავერდის, ახტალის სპილენძსადნობ და ჩათახის თუჯსადნობ ქარხნებს, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი ნედლეულით მუშაობდნენ.

ბორჩალოს მაზრა მდიდარი იყო მადნეული საბადოებით. ოქრო მინარევის სახით, ტყვია — ვერცხლის, სპილენძის მადანი, მანგანუმი, რკინა, კირქვები, ქვიშაქვები და ცეცხლგამძლე თიხა მოიპოვებოდა მდ. მაშავერას ხეობაში და მასთან ახლომდებარე ადგილებში.

რამდენადაც მეტალურგიული წარმოება ტექნოლოგიურად უახლოვდება მინისას, ამდენად ქვემო ქართლში მინის წარმოებისათვის წიადაგი უკვე მომზადებული ყოფილა.

აღ. კუჩენბახი წარმოშობით ძველგერმანულ აზნაურთა გვარს ეკუთვნოდა. დიპლომატიური კარიერისათვის მოწოდებულმა, ცხოვრების სხვა გზა აირჩია — შვეიცარიაში შეისწავლა მერქვევობა. აღნიშნული დარგის გაფართოებისა და ფართო ასპარეზზე გამოსვლის სურვილმა აღ. კუჩენბახი კავკასიაში მოიყვანა. 1862 წ. ბორჩალოს მაზრის დათვალიერების შემდეგ დარწმუნდა, რომ ამ კუთხის ალპიური საძოვრები წარმოადგენდნენ ყველაზე კარგ პირობებს მეცხოველეობის და მერქვევობა-მეყველეობის განვითარებისათვის. იჯარით აიღო მამულლოში მიწის ნაკვეთი და დაიწყო მშენებლობა. დიდი გამზედაობის, რკინის ნებისყოფის, მტკიცე ხასიათის და გასაოცარი გამტანობის მქონე, საკმაოდ განათლებული და კულტურული მოთხოვნილებების აღ. კუჩენბახი აღმოჩნდა სრულიად მარტო თათართა ველურ ურდოს შორის. მან არ იცოდა არც მათი ენა და არც რუსული. ამგვარაა გარემოებამ ვერ შეაშინა აღ. კუჩენბახი.

<sup>1</sup> თ. შარიაძე, მინის მანუფაქტურული წარმოების დაარსების ისტორიიდან, ჟურ. „ეკონომისტი“, 1985, № 12, გვ. 82.



მისთვის იწყებოდა დაუცხრომელი ბრძოლისა და დაუღალავი შრომის პერიო-  
ლი. შეუდგა თათრული ენის შესწავლას და მალე სრულყოფილად შეითვისა,  
შეიძინა საუკეთესო ჯიშის რამდენიმე ათეული ძროხა, მოიწვია შვეიცარიიდან  
ყველის დამამზადებელი სპეციალისტები და დასაბამი მისცა შვეიცარიული  
მეყველეობის და ერბო-კარაქის წარმოებას კავკასიაში. ასე დამკვიდრდა  
აღ. კუჩენბახი ამ მხარეში. რომელიც სიკვდილამდე აღარ დაუტოვებია.

კავკასიის უფროსობა სათანადოდ აღსებდა მის მოღვაწეობას, რაც ნათ-  
ლად ჩანს ბარონ ნიკოლაის მიერ 1872 წ. მიწერილი წერილიდან: «კავკასიის  
მმართველობა ყოველთვის მზადაა, დაგეხმაროთ თქვენ ფინანსური შესაძ-  
ლებლობის და კანონიერების ფარგლებში, ვმფარველობ თქვენს კერძო მეურ-  
ნეობას, რომელიც მხარისათვის სასარგებლო და მისაბამ მავალითს წარმოად-  
გენს»<sup>2</sup>.

ასევე თანავრძნობით შეხვდნენ აღ. კუჩენბახის წამოწყებას მინის ქარხნის  
დაარსების საქმეში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს.

ადგილი, რომელიც მან შეარჩია ქარხნის ასაგებად, მდებარეობდა სოფ.  
საფარლოს ტერიტორიაზე, უზარმაზარი ტყით გარშემორტყმულ მთიან ზეობაში  
(დღევანდელი დმანისის რაიონი).

აღ. კუჩენბახი მეფისნაცვლის თანაშემწისადმი წარდგენილ თხოვნაში გან-  
მარტავდა, რომ აქაურ მხარეში მინის ქარხნის მოსაწყობად საჭირო იქნებო-  
და მთავრობისაგან 25 ათასი მან. სესხის გამოყოფა.

1879 წ. შეადგინეს მინის ქარხნის მშენებლობის გეგმა. ქარხანა უზრუ-  
ველყოფილი იქნებოდა სათბობით, ნედლი მასალით, კაემიწით. რომლის მო-  
ზიდვა ქარხნამდე ძალზე იაფი დაჯდებადა. პორფირი და კვარცის საბადოები  
დიდი რაოდენობით იყო ქარხნიდან ორ ვერსზე. აღ. კუჩენბახმა უჩვენა სამთო  
ინჟინერს თავისსავე მამულში არსებული მინის ქარხნისათვის საჭირო კვარცის  
საბადო, რომელიც მნიშვნელოვნად მიიჩნია და ქარხნის მოთხოვნილებას და-  
აკმაყოფილებდა მრავალი წლის მანძილზე. მიუხედავად საბადოს ასეთი დიდი  
მარაგისა, — წერდა აღ. კუჩენბახი, — მაინც ვერ ვბედვადვი ქარხნის მოწყობას  
საბადოს უკმარისობის შიშით, რომ არ მენახა ბორჩალოს მახრის სოფ. შახნა-  
ჯარის საზოგადოების ტერიტორიაზე კვარცის საბადოს დამატებითი რაოდენ-  
ობა<sup>3</sup>.

1880 წ. თებერვალში სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსა და აღ. კუ-  
ჩენბახს შორის დაიდო პირობა. რომლის თანახმად აღ. კუჩენბახი სათავეში  
უნდა ჩადგომოდა მინის ქარხნის მოწყობას მრეწველობის აღნიშნული დარგის  
აღორძინების და შემდგომი განვითარების მიზნით. ქარხნის მშენებლობა უნდა  
დაწყებულიყო 1880 წ. და დასრულებულიყო სამი წლის მანძილზე. პირობის  
თანახმად აღ. კუჩენბახს ქარხანა უნდა აემუშავებინა 1881 წ. ნოემბერში, წლის  
ბოლოსათვის დაიწყებდნენ ყოველგვარი სახის ბოთლების გამოშვებას, ხოლო  
1882 წ. დასასრულს დაამზადებდნენ თეთრი ფერის იაფფასიან ნაწარმს, ჭი-  
ქებს, მურაბის ქილბებს, საათთაქო კოლობებს, ლამპის რეზერვუარებს და ცი-  
ლინდრებს. აღ. კუჩენბახი ვარაუდობდა გამოშვებული მინის ნაწარმის მნიშე-  
ნელოვნად დაბალ ფასში გაყიდვას, ვიდრე თბილისში შემოტანილი რუსული  
და საზღვარგარეთული საქონელი ფასობდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა თბი-

2 სსსია, ფ. 13, ანაწ. 10, საქ. 727, გვ. 2,

3 სსსია, ფ. 12, ანაწ. 8, საქ. 2149, გვ. 7.

ლისში დიდი საწყობის გახსნა, სადაც მსურველი შეიძენდა თავისათვის სასურველ საგანს.

მუშათა შემადგენლობა, მის ხელთ არსებული წელი მასალის სიუხვე, საზღვარგარეთთან კავშირი საუკეთესო მუშა ძალის და დახელოვნებული სპეციალისტების მოზიდვის მიზნით, ამ საქმის განხორციელებაში დაეჭვების საბაზსაც კი არ იძლეოდა. პირიქით, ყველაფერი ეს საწარმოს წარმატების მოპოვების დიდ შესაძლებლობას აძლევდა.

ალ. კუჩენბახის მოთხოვნის საფუძველზე მთავრობა მინის ქარხნის მოსაწყობად იძლეოდა უპროცენტო სესხს 25 ათას მან. და თავის თავზე იღებდა 2—3 წელში ქარხანასა და თბილისის შორის საურმე გზის გაყვანის პასუხისმგებლობას<sup>4</sup>.

მართლაც, 1880 წ. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ნებართვით ალ. კუჩენბახს ხაზინისაგან გამოუყვეს 25 ათასი მან. სესხი საფარლოში მინის ქარხნის გასამართავად იმ პირობით, რომ ვალს დაფარავდა 1886 წლიდან ყოველწლიურად ორი ათასი მან. შეტანით.

აღნიშნულ ტერიტორიაზე თანდათან გამოჩნდა მთელი რიგი საქარხნო ნაგებობებისა. ალ. კუჩენბახის ასეთ მონდომებას გამოეხმაურა ბარონი ნიკოლაი, რომელიც 1880 წ. 24 მაისს წერდა: ...«Искренно пожелаю, чтобы Ваши новые предприятия, которые начнут действовать в этом году, своим успехом дали Вам заслуженную награду за Ваши труды и энергию»<sup>5</sup>.

1880—1881 წწ. გუბერნატორის ანგარიშებში ბორჩალოს მაზრაში მინის ქარხანა არ არის აღრიცხული, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პერიოდისათვის მშენებლობა უკვე მიმდინარეობდა. ამას ადასტურებს კურ. „ივერიის“ ფურცლებზე მოთავსებული მგზავრის შენიშვნებიც: ...„შუაგულ ტყეში დავინახეთ ქვით — კირით აყვანილი ბუხარი და იმის გარშემო ოციოდ პატარა ქვით-კირის შენობა, ეს იყო მინის ქარხანა პრუსიელ ბარონ კუჩენბახისა, რომელიც ამ 16 წლის წინათ გადმოსახლებულა უგრომ — ფულოდ ჩვენში გერმანიიდან და ეხლა დიდის შეძლების პატრონია. იმასა აქვს ჩინებული ყველის ფერმა თრიალეთში და ეხლა აკეთებს მინის ქარხანას, სადაც თითქმის 5 ათასი თუმანი ჩაუბნევიან... ჯერ ქარხანა მზად არ არის, მაგრამ ამ ორს — სამს თვეზედ მოასწრობენ მოწყობას და დაიწყებენ კიდევ მუშაობას... უბრალო მუშებად. იქაური თათრები და ქართველები არიან, მაგრამ მოთავეებად გერმანიიდან დაბარებულნი. ესენი იმ პირობით წამოსულან, რომ კუჩენბახმა უეჭველად სკოლა უნდა აღშენოს და შეილენი უსწავლელი არ დაუტოლოს...“<sup>6</sup>.

საფაბრიკო-საქარხნო საქმიანობაში სასიხარულო მოვლენა იყო 1882 წ. თებერვალში ბორჩალოს მაზრაში ალ. კუჩენბახის მიერ მინის ქარხნის ამოქმედება. თვით ქარხნის პატრონი შემდეგი შინაარსის განცხადებას აქვეყნებს გაზ. «Кавказ»-ში: «Мой стеклянный завод Александрютте открыт и изготовляет бутылки, банки, медицинские стеклянки, чайные стаканы, предметы для ламп всех известных сортов, также принимает зака-

4 სცსია. ფ. 244, ანაწ. 2, საქ. 33, გვ. 7.<sup>06</sup>

5 სცსია, ფ. 13, ანაწ. 10, საქ. 727, გვ. 2.<sup>06</sup>

6 კურ. „ივერია“, 1881, № 12. გვ. 123.

зы по особым моделям, оптовая продажа производится в конторе Сименс и Гальске, рядом со второй гимназией.<sup>7</sup>

ქარხანა მოთავსებული იყო ქვის შენობაში, რომელიც შედგებოდა: 1. სადნობი და გამოსაწვავი ღუმელისათვის საჭირო ცეცხლგამძლე თიხისაგან აგურის და ქოთნების დასამზადებელი; 2. პორფირის და კვარცის საფქვავი განყოფილების და 3. სადნობი და რამდენიმე საფარვარო ღუმელისაგან.

ქარხნის ამოქმედების პირველსავე წელს გამოუშვეს 35 ათასი მან. სასაქონლო პროდუქცია, საწარმოში დასაქმებული იყო 46 კაცი<sup>8</sup>.

ალ. კუჩენბახის მინის ქარხანაში იმდენად დიდი ყურადღება ექცეოდა ნაწარმის ხარისხს, რომ იქ დამზადებული ბოთლებით კავკასიის მსოფლიო გამოფენაზე გამოიტანეს ვეტცელის ქარხნის ლუდი<sup>9</sup>.

1883 წ. ქარხნის პროდუქცია 10 ათასი მან. გაუმჯობესდა და მწარმოებელთრობამ მიიღწია 45 ათას მან, მუშათა რაოდენობა შეადგენდა 42 კაცს<sup>10</sup>.

ალ. კუჩენბახის მამულში არსებულმა კვარცის საბადომ ქარხანა აამუშავა 2—3 წლის მანძილზე. კვარცი დაბალი ხარისხის იყო. იგი შეიცავდა მეტი რაოდენობით რკინას, რის გამოც მინა მუქი მწვანე ფერის გამოდიოდა. საუკეთესო ხარისხის კვარცი უნდა მოეტანათ 12 ვერსის მანძილიდან სოფ. შახნაზარიდან. 1884 წ. იანვარში ალ. კუჩენბახმა თხოვნა გააგზავნა თბილისის და ბორჩალოს მაზრების სახელმწიფო ქონებათა გამგებელ აგენტთან აღნიშნული ადგილიდან კვარცის საბადოს იჯარით გამოყოფის შესახებ 12 წლის ვადით. ტერიტორიაზე განლაგებული იყო მარმარილოს საბადოც. ამიტომ საჭირო იყო ცალკეულ საბადოთა ფართობის განსაზღვრა, ადგილმდებარეობის აგეგმვა, ქანების განლაგების შესწავლა და სხვა, რაც გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ალ. კუჩენბახს წინა წლებში თვითნებურად გაუტანია აღნიშნული ადგილიდან 200-მდე ურემი კვარცი და სანამ არ გადაიხდიდა 1883—1884 წწ. გატანილი 20 კუბ. საე. კვარცის ღირებულებას — 40 მან. მანამდე ნებას არ მისცემდნენ გაეზიდა ახალი პარტია. ალ. კუჩენბახის რწმუნებულმა ფრიდრიხ კნაპკემ ხაზინაში ერთდროულად შეიტანა 1883—1885 წწ. გატანილი კვარცის საფასური 64 მან. (ერთი კუბ. საე. კვარცი 2 მანეთად).

1884 წ. ქარხნის მწარმოებელთრობა ისევ 45 ათასი მანეთია, მუშათა რაოდენობა 40<sup>11</sup>.

ალ. კუჩენბახის საქმიანობა ყოველთვის ბარონი ნიკოლაის ყურადღების ცენტრში იყო. ყოველი მისი წერილი კეთილი სურვილებითაა განმსჭვალული. გამონაკლისს არც 1884 წ. 7 იანვრით დათარიღებული წერილი წარმოადგენს: «Примите мои лучшие пожелания, желаю Вам при полном здравье видеть развитие всех ваших цветущих и полезных предприятий и надеюсь, что Вам удастся через бури и непогоды править судном Вашего Мамутлы и стеклянного завода и полными парусами достичь успаха. Мой зять (Г. Д. Шервашидзе) очарован всем виденным у Вас,

<sup>7</sup> газ. „Кавказ“, 1882, № 74, 19/III, გვ. 4.

<sup>8</sup> სესია, ფ. 17, ანაწ. I, საქ. 1179, გვ. 69. საქ. 903ა, გვ. 70.

<sup>9</sup> газ. „Кавказ“, 1882, № 166, 25/VI, გვ. 2.

<sup>10</sup> სესია, ფ. 17, ანაწ. I, საქ. 1700, გვ. 23. ფ. 12, ანაწ. 1, საქ. 142, გვ. 4, ЦГИА СССР, ф. 1284, оп. 223, д. 47, გვ. 52.

<sup>11</sup> სესია, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 2063, გვ. 51.

что он Вам лично удостоверит и собственными глазами видит, к чему ведут энергия и стойкость»<sup>12</sup>.

1885—1888 წწ. პერიოდში ქარხანამ ყოველწლიურად გამოუშვა 60 ათასი მან. პროდუქცია<sup>13</sup>. ნაწარმის ძირითად სახეობას შეადგენდა ბოთლები, გრაფინები, ქიქები, სამედოციწო ჭურჭელი, ლამპის ცილინდრები და სხვა. ნაწარმი ძირითადად თბილისში საღებოდა. აღნიშნული თანხიდან წმინდა შემოსავალი შეადგენდა მხოლოდ 5—6 ათას მან., მუშათა რაოდენობა კი მერყეობდა 70—90 შორის. გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და თანხა შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ბოთლები 300 ათასი ცალი—30 ათასი მანეთის, ლამპის შუშა 20 ათასი ც—8 ათასი მან, ქიქა 10 ათასი ც—7 ათასი მან, გრაფინი, ქილა და სხვა წვრილმანი 5 ათასი ც—7 ათასი მან, ჭურჭელი წამლისათვის 300 ათასი ც—8 ათასი მან<sup>14</sup>.

შემდგომ 1889—1895 წწ. ქარხნის ყოველწლიური მწარმოებლური მერყეობს 64. 000—65. 450 მან. ფარგლებში, რაც შეეხება მუშათა რაოდენობას, ძალზე განსხვავებული ცნობებია წარმოდგენილი სხვადასხვა წყაროებში. 1889—1890 წწ. მონაცემებით საწარმოში დასაქმებული ყოფილა 104 მუშა 1891—1895 წწ. მანძილზე კი შემცირებულა 12-მდე, რაც მეტად საეჭვოა. მათ უფრო რომ 104 მუშის მიერ გამოშვებულ 64 თასი მან. პროდუქციას ვერ გაუტოლდებდა 12 მუშის მიერ წარმოებული 65. 450 მან. პროდუქცია. ქარხანაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობის წლის დროთა მიხედვით ცვალებადობაც კი ვერ გამოიწვევდა ესოდენ დიდ სხვაობას. მექანიკური შეცდომით უნდა აიხსნას აღნიშნული მდგომარეობა, რადგან 1899 წლიდან მუშათა რაოდენობა კვლავ გაზრდილა და შეადგენს 100-ს. ჩვენი ვარაუდით 12 მუშის ნაცვლად უნდა იყოს 102. ამგვარი შეუსაბამობა ხშირად გვხვდებოდა სხვადასხვა წყაროში. რამდენიმე მონაცემის შედარებით გამოგვეყვდა საშუალო ციფრობრივი მონაცემები.

მინის წარმოებაში გამოიყენებოდა როგორც ადგილობრივი, ისე რუსული და უცხოური წარმოშობის ნედლი და ნახევრად დამუშავებული მასალები. კერძოდ, წლიურად საშუალოდ საჭირო იყო ადგილობრივი წარმოშობის 25 ათასი ფუთი კვარცი, 4 ათასი ფ კირქვა, 4ათასი ფ გლაუბერის მარილი, 4 ათასი ფ მინის ნამსხვრევი, 500 ფ მანგანუმი, 5 გირვანქა კობალტი, 9 ფ ნიკელი, 6 ათასი ფ შესაფუთი ნამჯა, რუსული წარმოშობის 3 ათასი ფ სოდა, საზღვარგარეთიდან შემოტანილი 4 ათასი ფ ცეცხლგამძლე თიხა, 300 ფ პოტაში. თბილისიდან გლაუბერის მარილი და თიხა შემოჰქონდათ ტომრებით, სოდა და პოტაში—კასრებით, მინის ნამსხვრევს პირდაპირ ფურგონებით ეზიდებოდნენ. სათბობად წრმოება საჭიროებდა 7 ათასი მან. 900 კუბ. საე. შეშას. მასალების და სათბობის აღნიშნული რაოდენობა გათვალისწინებული იყო 10 თვის მანძილზე, რადგან ქარხანა მუშაობდა 1 სექტემბრიდან 1 ივლისამდე (დანარჩენ დროს ხდებოდა ღუმელის და სხვათა აღდგენითი სამუშაოები). უწყვეტი მუშაობის დროს, ცხადია, საჭირო იქნებოდა მეტი რაოდენობის დასახელებული მასალები.

აღ. კულჩენბახის წარწერებზე თანდათან ფართოვდებოდა. მატულობდა წლიურად გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა. ქარხანამ ყველაზე მეტ მწარ-

<sup>12</sup> სესია, ფ. 13, ანაწ. 10, საქ. 727, გვ. 2.

<sup>13</sup> სესია, ფ. 12, ანაწ. 1, საქ. 511, გვ. 74. ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 2294, გვ. 24, საქ. 8743, გვ. 77.

<sup>14</sup> სესია, ფ. 12, ანაწ. 1, საქ. 511, 820, გვ. 74, 16, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 2294, 9046<sup>b</sup>, გვ. 24, 35. საქ. 8743, გვ. 77.

მოებლურობას მიაღწია 1897 და 1902 წ. წ. — 80 ათას მანეთს, რაც ქარხნის ამოქმედების პირველ წელს გამოშვებულ პროდუქციას 2—2-ჯერ აღემატებოდა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე ქარხანამ არსებობის მთელ მანძილზე გამოუშვა 1. 317 250-მანეთზე მეტი სასაქონლო პროდუქცია. ნაწარმის დიდი ნაწილი საღებოდა თბილისში. გარკვეული რაოდენობა გაქონდათ ყარსსა და ერევანში. თბილისში საქონლის მიტანა ხდებოდა ჯამბახის გზატკეცილით ბოლნისის, კოდისა და სოლანულდის გავლით. დაქირავებულ მზიდავეებს მინის ნაწარმი გადაჰქონდათ ფურგონებით. თბილისამდე ერთ ფუტ ტვირთში იღებდნენ 19 კაპ, ყარსამდე — 40—45 კაპ. გადაზიდვის დროს ხის ყუთებში აწყობდნენ მხოლოდ ხუფებს, ნათურის რეზერვუარებს და ცილინდრებს. ყველა დანარჩენს ფუთავდნენ ნამჯაში და პირდაპირ აწყობდნენ ფურგონებზე.

აღ. კუჩენბახმა ქარხანასთან დაარსა ორკლასიანი სასწავლებელი, სადაც მოსწავლეები გერმანულ ენაზე სწავლობდნენ კითხვას, წერას, არითმეტიკის პირველ ოთხ მოქმედებას<sup>15</sup>.

მოსახლეობის სრული დაკმაყოფილების და ქარხნის ფინანსიური მდგომარეობის უფრო გაუმჯობესების მიზნით, აღ. კუჩენბახი აპირებდა ქარხნის მეტად გაფართოებას და საფანჯრე მინის წარმოებას, მაგრამ მიზნის განხორციელებაში ხელს უშლიდა ფინანსური ხელმოკლეობა. აღ. კუჩენბახის მინის ქარხანას, ფერმას და მთელ მის კუთვნილ ტერიტორიას ეკავა 10. 500 დესეტინა ფართი. მათი შენახვა კი საკმაოდ დიდ სახსრებს მოითხოვდა. ამასთან მას გადასახდელი ჰქონდა 1880 წ მიღებული სესხი, რომლის ვადასდას აღ. კუჩენბახი შეუდგებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ხაზინა შეასრულებდა თავის ვალდებულებას და გაიყვანდა ქარხანასა და თბილისს შორის საურმე გზას. ცუდი სამიმოსელო გზა დიდად აფერხებდა ქალაქთან ნორმალურ მიმოსვლას და მინის ნაწარმის მიწოდებას. ხშირად ტრანსპორტის მოძრაობა საერთოდ წყდებოდა, ქარხანა ყოველწლიურად ჯარიმის სახით იხდიდა 300 მან. ფინანსთა სამინისტრო კი უარს ამბობდა ახალი სესხის გაცემაზე.

გამწვლდა სოფ. შახნაზარის ტერიტორიიდან კვარცის ვადმოზიდვის საქმე. სოფლის საზოგადოებამ ისარგებლა აღ. კუჩენბახის მიმე მდგომარეობით და გადასაზიდ მადანს კვლავ მოუმატა ფასი.

თბილისის გუბერნატორის შეფასებით ქარხანაში 900-იანი წლებისათვის მზადდებოდა კარგი ხარისხის მინის ნაწარმი, რაც წლითიწლით უმჯობესდებოდა, ქარხანა ადგილობრივი მოსახლეობისათვის წარმოადგენდა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს, იქ ეუფლებოდნენ სხვადასხვა სპეციალობას. 1901 წ. საიუბილეო გამოფენაზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 და კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსების 50 წლისთავს, გამოიტანეს აღ. კუჩენბახის მინის ქარხნის სხვადასხვა სახის ნაწარმი<sup>16</sup>.

ზემოთ აღნიშნულს უარყოფითი გავლენა რომ არ მოეხდინა საწარმოს ასეთ წარმატებაზე და შემდგომ წინსვლაზე, აღ. კუჩენბახი სხვადასხვა ხერხს მიმართავდა: სოფ. შახნაზარის ტერიტორიიდან მას გაჰქონდა მადანი ურუმებით თვითნებურად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, რაც ადგილობრივი მოსახლეობის

<sup>15</sup> სესია, ფ. 204, ანაწ. 1, საქ. 592, გვ. 61.

<sup>16</sup> „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1631, გვ. 3.

გამოკითხვითაც დადასტურდა. მადნის გატანის დროს ალ. კუჩენბახი სარგებლობდა მადნიან ადგილებში ხაზინის მხრივ მუდმივი უკონტროლობით.

1903 წლიდან სტატისტიკურ მონაცემებში თუ საფაბრიკო-საქარხნო უწყისებში და გუბერნატორის ანგარიშებში ალ. კუჩენბახის მიწის ქარხანა იშვიათად მოიხსენიება.

ბორჩალოს მაზრაში თათრებსა და სომხებს შორის წარმოქმნილმა ეროვნულმა შუღლმა მდგომარეობა მეტად გაამწვავა. 1905 წ. 24—28 ნოემბერს თათრებმა გაანადგურეს და დაწვეეს მანთაშევის, არუთინოვის და სხვათა სახლ-კარი, მელიქ-ბახტამიანცის ყველის ქარხანა, დაარბიეს ასევე კუჩენბახის მიწის ქარხანა და რამდენიმე დუქანი. მთლიანმა ზარალმა 2 მილიონ მანეთს გადააჭარბა<sup>17</sup>. როგორც ჩანს, ალ. კუჩენბახმა ქარხანა აღადგინა და 1907 წლისათვის 60 მუშამ გამოუშვა 70 ათასი მან პროდუქტია<sup>18</sup>. ქარხანა დროებით მოქმედებდა. 1905—1907 წწ მანძილზე საქართველოს სანრეწველო-საწარმოთა მუშების საგაფიცო მოძრაობას მხარი დაუჭირეს ბორჩალოს მაზრის ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნის მუშებმაც, მათ მოაწყვეს არაერთი საბროტესტო გამოსვლა. მიწის ქარხანა არც ამ შემთხვევაში ფიფქობდა.

შემდგომი პერიოდის მასალებით ირკვევა, რომ სახელმწიფო მრჩეველს ვალერიან ივანეს ძე კოლობოვს იჯარით აუღია კარლ ალექსანდრეს ძე ფონ კუჩენბახისაგან მიწის ქარხანა დაახლოებით 1909 წ. ალ. კუჩენბახის ვაჟები ჩამოცილდნენ მიწის წარმოების საქმეს და შემოიფარგლნენ ყველისა და ერბო-კარაქის წარმოებით.

წარმოებაში დასაქმებული მუშების შესახებ მდიდარი ცნობები არ მოგვეპოვება. მუშათა უმეტესობას მამაკაცები შეადგენდნენ, შედარებით მცირე რაოდენობას ბავშვები და ქალები. 1890 წ მონაცემებით ქარხანაში დასაქმებული იყო 80 მამაკაცი, 4 ქალი და 20 მცირეწლოვანი<sup>19</sup>. ქარხანაში არ განიცდიდნენ მომზადებული მუშა ხალხის ნაკლებობას, რადგან ალ. კუჩენბახი მათ საზღვარგარეთიდან იწერდა. ამიტომაც ოსტატთა უმრავლესობა უცხოელები იყვნენ. ძირითადი მუშების გარდა გამოიყენებოდა დამხმარე მუშების შრომაც, რომლებიც ზამთრის პერიოდში დასაქმებული იყვნენ ტყის ჩეხვით, შეშის დამზადებით და ქარხანამდე მიზიდვით. მუშების ცხოვრობდნენ ქარხანასთან არსებულ ბინებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა სხვადასხვა კატეგორიის მუშებისათვის სხვადასხვა იყო: შავი მუშა მუშაობდა წელიწადში 300 დღეს, ღლეში 11,5 სთ, გამომბერი ოსტატი — 260 დღეს, ღლეში 9,5 სთ. მუშათა თვიური ხელფასი მერყეობდა 14-დან 60 მანეთამდე, დღიური კი 30-დან 50 კაპ-მდე.

ყურადსაღებია ისიც, რომ ალ. კუჩენბახმა მოაწყო სახერხი, აგურის და კრამიტის ქარხნები, რაც ხელს უწყობდა ახლომდებარე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. თავისთავად მამულში მას ჰყავდა 300—400 სკა ფუტკარი, მოაწყო სარწყავი, ხელოვნური ტბა.

ალ. კუჩენბახის საქმიანობა კავკასიაში სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს. მან პირველმა შექმნა ბორჩალოს მაზრაში ყველის დამამზადებელი ქარხანა, რომლის პროდუქტია გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით და გამოფენაზე იმსახურებდა მედლებს და სივლებს. მიწის ქარხნის დაარსებით მოსახლეობამ მი-

<sup>17</sup> სესია, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 568, გვ. 60.

<sup>18</sup> Кавказский календарь на 1909 г. გვ. 504.

<sup>19</sup> ЦГИА СССР, ф. 20, оп. 12, д. 254, стр. 253. ф. 1263, оп. 2, д. 4921, გვ. 522.

ნის ნაწარმი შეიძინა შედარებით იაფად, მნიშვნელოვნად შემცირდა რუსეთიდან თუ საზღვარგარეთიდან მოსახლეობისათვის აუცილებელი მინის ჭურჭლის შემოზიდვა. თავისთავად ქარხნის მიერ მოტანილ სარგებელზე ალ. კუჩენბახი წერდა: «Завод мой необходим и полезен в Закавказском крае, называется тем, что устройство и открытие его торговли стеклом находилось в руках Тифлиских торговцев, продававших винную бутылку — 15 коп, обыкновенное ламповое стекло — 20 коп, и простой чайный стакан — 15 коп, не говоря об аптечном и другом стекле, продававшемся значительно дороже. Мною же то же самое стекло продается за 8,5 и 8 и 8 коп., т. е. наполовину дешевле»<sup>20</sup>.

ქარხანაში მზადდებოდა სხვადასხვა ფორმის და ზომის მწვავე, შავი, ნახევრად თეთრი, თეთრი და ფერადი ბოთლები, ლამპის შუშები, ჭიქები, ლამპაქები, გრაფინები, დოქები, ქილები, საფთვიაქო ჭურჭელი და სხვა. ფერზე გარკვეულ ვაგულენას ახდენდა კაზმში არსებული განსხვავებული პროცენტული შემადგენლობის ნივთიერებანი.

ქარხანაში გამოყენებული იყო სხვადასხვა ტექნოლოგიური სიახლენი, კვარცის დასამტვრევი წისქვილის თვალი, ღერძზე მოძრავი საცერი, ელვატორი, წყლის ტურბინა მექანიზმების მოძრაობაში მოსაყვანად, სახერხი, აპარატი საწვავი გაზის მისაღებად და ღუმელის გასაცხელებლად. ქარხანა აღჭურვილი იყო მინისსაბერი ფორმებით, ნაწარმის საწნეხი სრულყოფილი დანადგარებით, მოქმედებდა 40 ცხენისძალიანი წყლის ძრავი, 2 დაზვა, ერთი ქურა და ერთი სადნობი ღუმელი. აღნიშნული ინსტრუმენტები, მოწყობილობა და უცხოური წარმოების იარაღები ალ. კუჩენბახის ქარხნიდან შემდგომ გადაიტანეს ავჭალის მინის ქარხანაში.

ალ. კუჩენბახის ასეთმა კარგმა წამოწყებამ უთუოდ ხელი შეუწყო აღნიშნულ დარგში, მანუფაქტურის შემდეგ, საქარხნო მოღვაწეობის განვითარებას. ამდენად, ალ. კუჩენბახის მინის ქარხანა წარმოების ფაბრიკულ — ქარხნულ ტიპს მიეკუთვნება. ანალოგიური მოსაზრებაა გამოთქმული მეცლევართა ნაშრომებში, რომლებიც ეხებოდა საქართველოში მრეწველობის სხვადასხვა დარგის და მათ შორის მინის წარმოების განვითარების საკითხებს<sup>21</sup>.

მთავრობამ ალ. კუჩენბახის დამსახურება და მის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება იმითაც გამოხატა, რომ მისი საიმპერატორო უდიდებულესობის 1891 წ. 29 მაისის ბრძანებულებით, ამიერკავკასიაში ცხოვრების მანძილზე სოფლის მეურნეობის და მრეწველობის გაუმჯობესებისათვის მიანიჭებს შთამომავლობით რუსეთის იმპერიის აზნაურის წოდება და შეიტანეს შვილებთან ერთად თბილისის გუბერნიის აზნაურთა საგვარეულო წიგნში

1983 წ. აგვისტოში და 1984 წ. ივლისში დმანისის რაიონის სოფ. საფარლოში სამეცნიერო მივლენების დროს დავათვალიერე ყოფილი ქარხნის ახლომდებარე ტერიტორია. მოსახლეობა ძირითადად აზერბაიჯანულია, რომლებიც იმის შემდგომ წლებშია ჩამოსახლებული. ამდენად მათ არაფერი იცოდნენ სა-

<sup>20</sup> სცსი, ფ. 12, ანაწ. 8, საქ. 2149.

<sup>21</sup> П. Гугушвили. Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX в. в. I, Тб., 1957, გვ. 282; Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX в., Тб., 1958, გვ. 101; გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864—1917, თბ., 1976, გვ. 299; ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, თბ., 1966, № 33, 177.

წარმოს არსებობის შესახებ. მოსახლეობაში იმდენი ნივთიერი მასალაც ვერ შეგავაროვებთ, როგორც მოველოდით. მეტად ძუნწი ცნობები შეიკრიბა ქართული სოფლების მოსახლეობაში. დახმარება გავვიწია დმანისის რაიონის გაზ. „თრიალეთის“ კორესპონდენტმა შალვა არსენის ძე ადუაშვილმა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. მანვე გვიამბო, რომ მის ახლობელს იაკობ ადუაშვილს უმეშავია ალ. კუჩენბახის მიწის ქარხანაში ლამპის შუშის დამამზადებლად. აღნიშნული ნაწარმი კეთდებოდა ერთიმეორეზე გადაბმული, რომელსაც შემდეგ თვითონ ჭრიდა ხელით.

პატარა დმანისში მცხოვრები 95 წლის მიხეილ ბასილის ძე ლაშქარაშვილი მოგვიყვა, რომ ალ. კუჩენბახს ამავე ადგილზე ჰქონდა ხერხის დიდი „ზავოდი“. მინის ნაწარმი თბილისში მიჰქონდათ ფურგონებით, რომელშიდაც 4 ცხენი ყოფილა შებმული.

ალ. კუჩენბახი, გვიამბობს მსცოვანი ბ. ლაშქარაშვილი, ჩუმად აწარმოებდა ოქროს მოპოვებას და გერმანიაში აგზავნიდა. ეს რომ ადგილობრივმა მთავრობამ შეიტყო წარმოება აუკრძალეს. ამასვე ადასტურებს შ. ადუაშვილიც. სავარაუდოა, რომ ამგვარმა გარემოებამაც ჩამოაცილა კუჩენბახები მინის წარმოებას.

ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული მცირედი საველე სამუშაოების შედეგად აღმოვაჩინეთ სხვადასხვა სახის ნივთიერი მასალა: თეთრი და მწვანე ფერის ბოთლის თავები, ყელი, შიგ შეწეული ძირიანი მინის ჭურჭლის ნარჩენები, თეთრი და მოყვითალო ფერის სააფთიაქო ჭურჭლის ფრაგმენტები რუსული წარწერით, თეთრი ფერის ლამპის შუშის ნაწილები, მინის ჭურჭლის ჰავსახური და სხვა.

მოპოვებული მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მომავალში მეტი სამუშაოები იქნება ჩასატარებელი ახალი მასალების გამოვლენის მიზნით, რომელიც კიდევ უფრო ნათელს მოჰფენს მინის წარმოების ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

Т. Д. ШАРИКАДЗЕ

## ИЗ ИСТОРИИ ПРОМЫШЛЕННЫХ ПРЕДПРИЯТИЙ БОРЧАЛИНСКОГО УЕЗДА

(стеклянное производство)

Резюме

На основе архивных документов, периодической печати и полевых материалов, собранных автором в Борчалинском уезде (Дманисский район), освещено возникновение и развитие стекольного производства в уезде.

После присоединения Грузии к России в стране создались благоприятные условия для развития экономики и культуры, оживилась торговля, стали возникать стекольные мануфактурные предприятия Завилейского в Ахалцихском и Эл. Эривани в Горийском уездах. С конца 80-х годов, после закрытия завода Эривани, цены на стеклянные изделия повысились. Это обстоятельство побудило барона фон Кученбаха построить стекольный завод в сел. Сафарло Борча-



линского уезда. Предприятие за год произвело продукции разного вида от 60.000 до 80.000 руб: бутылки, ламповые стекла (резервуары для ламп, стаканы, графины, кувшины) банки, аптечные склянки. На заводе в разное время было занято от 60 до 100 вольнонаемных рабочих, в том числе женщин и подростков. Сбыт продукции производился в Тбилиси, Карсе и Ереване. Кученбах открыл при заводе училище для немецких детей. Местным жителям завод приносил значительные доходы. Продукция завода демонстрировалась на многих промышленных выставках.

На заводе применялась новая техника. Предприятия носили фабрично-заводской характер. С основанием заводов понизилась себестоимость стеклянной продукции и сократился привоз российских и импортных изделий.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.  
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა.

გიორგი შაჰულაშვილი

ქველი თბილისის ისტორიიდან

(არიფანა)

იოსებ გრიშაშვილს „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“ ჩვენი ქალაქის ძველ ადათ-წესებს შორის აღნიშნული აქვს „არიფანა“, რომლის მნიშვნელობა წიგნს დართულ ლექსიკონში განუმარტავს კიდეც — არიფანა ფსონით ქეიფიაო. მართლაც, ქართულ ენაში „არიფანა“ ძირითადად ამ მნიშვნელობის მქონეა:

1. ფსონით პურის ჭამა, ქეიფი<sup>1</sup>;
2. მოყვასთაგან საჰემელად შემოკრება<sup>2</sup>;
3. ყრმათ საერთო პურობა<sup>3</sup>.

სიტყვა არაბულ-სპარსული სახელია (არაბ. „ჰარიფ“-კოლეგა, ქეიფის ამხანაგი, მეგობარი, პარტნიორი+სპარსული ზმნიზედის მაწარმოებელი აფიქსი „ანე“), რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის რიგი ხალხების ენაში ნიშნავს:

1. ერთად; ხელოსნურად, ყოველ ხარჯში თავისი წილის ჩასვლა<sup>4</sup>;
2. პარიფულად<sup>5</sup>;
3. ტერმინი, რომელიც იხმარება ხელოსანთა შორის კოლექტიური გასეირნების ან ნადიმის აღსანიშნავად<sup>6</sup>.

როგორც ნათლად ჩანს, ქართულ ენაში „არიფანას“ მნიშვნელობა დაუვიწროვდა, მხოლოდ ქეიფის, საერთო ხარჯით ნადიმის გადახდის ცნება დაუმკვიდრდა.

ერთი კი ნათელია, თვით აღმოსავლურ ენებში „არიფანა“, უფრო ზუსტად „ჰარიფანა“, როგორც ტერმინი, ხელოსანთა წრეებს დაუკავშირდა, თორემ თვით საწყისი „ჰარიფ“-იც თავისი მნიშვნელობით უფრო მრავალფეროვანი იყო<sup>7</sup>. ამ მოვლენის ამოხსნა საინტერესოა არა მარტო სემანტიკური თვალსაზრისით, არამედ იმის გასაგებად, თუ რატომ და როგორ იქცა იგი ძველი თბილისის მოსახლეობის წეს-ჩვევად, ხოლო შემდგომ როგორ გადაინაცვლა პერიფერიებშიც.

მაშასადამე „ჰარიფანა“ ეს არის ჩვევა, წესი, ადათი, რომელიც გავრცელებული ყოფილა ქალაქის ხელოსანთა შორის, მხოლოდ ხელოსანთა შორის. ამაზე მიუთითებს ერთ-ერთი მნიშვნელობა სიტყვისა — „ხელოსნურად“.

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950.

<sup>2</sup> ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან, თბ., 1884.

<sup>3</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

<sup>4</sup> Okyanus Ansiklopedik Sözlük, Hazirlayan Pars Tuglaci, გვ. 2.

<sup>5</sup> Азербайжан дилинин изахлы дугаты, Баку, 1966.

<sup>6</sup> M. Z. Pakalin, Osmanli Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, 8, Istanbul, 1949.

<sup>7</sup> ქართულ „არიფანაში“ დაკარგულია საწყისი „ჰაე“ სუსტი თანხმოვანი.

შინაარსით „ჰარიფანა“ ისეთი შეკრებაა, უპირატესად სანადიმოდ, სადაც ხარჯი საერთოა, სადაც არ არსებობს სტუმარი და მასპინძელი, სადაც ყოველი მონაწილე განსაზღვრულ თანხას დებს.

ჩვენი აზრით ამ ჩვეულების საწყისი ფითიან-ჯევენმარდთა გაერთიანებების სოციალურ ტრადიციებშია საძებელი და აი, რატომ. ურბანისტული სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების პროფესიულ კორპორაციებში სტუმართმოყვარეობა და მასპინძლობა ერთ-ერთ სავალდებულო კანონად იყო ფიქსირებული. ფითიან-ჯევენმარდული გაერთიანებები დიდი ხალისით დებულობდნენ სტუმრებს. არაბი მოგზაური იბნ ბატუტა მცირე აზიაში ყოფნისას არაერთხელ დასწრებია ხელოსანთა შეკრებებს. იგი გადმოგვცემს, რომ ხელოსნები დღისით მუშაობდნენ, დადიოდნენ როგორც მაწანწალები, ხოლო საღამოობით მართავდნენ ბრწყინვალე ქეიფებს ბრწყინვალედ მორთულ საკრებულოებში<sup>8</sup>. ანალოგიურ ცნობებს სხვა წყაროებშიც ვხვდებით. მართალია, ამ ცნობებში არ არის მითითებული, რომ ეს წვეულებები საერთო ხარჯით იმართებოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ფითიან-ჯევენმარდთა გაერთიანებებში არსებულ მკაცრ რეგლამენტაციას, რომელიც არსებობდა ეკონომიკური დოვლათის დაგროვების შესაზღუდავად და ამ წესების საფუძველზე გაერთიანების ყოველი წევრის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, უნდა ითქვას, რომ გამორიცხული იყო ერთ პირს ასეთი მასშტაბის ნადიმი გადაეხადა. ისიც ხომ ცნობილია, რომ აღნიშნულ გაერთიანებებს ჰქონდათ ხაზინა, რომლისთვისაც ყოველი წევრი ვალდებული იყო ყოველდღიურად განსაზღვრული თანხა გაეღო. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საღაროს მეშვეობით ისინი იხდიდნენ ნადიმებს, როგორც წვერებისათვის, ისე სტუმართათვის.

ქართულმა „არიფანამ“ ერთი მეტად საინტერესო ნიუანსი შემოგვინახა. მხედველობაში გვაქვს ნ. ჩუბინაშვილისეული განმარტება, არიფანა ყრმათ შესაკრები ნადიმიაო. აქ „ყრმა“ „ჯევენმარდის“ სინონიმად ხომ არ მივიჩნით?

ზემომოტანილი მასალის საფუძველზე ნათლად გამოჩნდა, რომ თბილისის ამქრულ გაერთიანებათა წევრებს, ყარაჩოხელებს, თავიანთი წინაპრებისგან ტრადიციულად ეს წესიც შემორჩენიათ.

„არიფანასთან“ დაკავშირებით ერთი საინტერესო სტროფი ვნახეთ ძველი თბილისის პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული წარმომადგენლის იეთიმ გურჯის პოეზიაში. ლექსი დიდაქტიკური ხასიათისაა. აი, აღნიშნულის სტრიქონები:

ძველი ოჯახის შვილი ხარ,  
სწერიხარ კაცის შვილად,  
სუფრა ცალკე არ გშალო,  
რომ არ დაგიჯდეს ძვირადამ.

გასაოცარი დიდაქტიკაა. იეთიმ გურჯი, რომლის პოეზია არსებითად ყარაჩოხელთა ეთიკის პროპაგანდას წარმოადგენს, ამ სტრიქონებით ახალგაზრდობას სიძუნწეს ასწავლის!...

<sup>8</sup> В. А. Гордлевский, Израильские сочинения, I, М., 1960, გვ. 283. სხვათა შორის, გ. ახვერდოვი თბილისის ამქართა წევრების ნადიმებს უწოდებს „დიდებულს“, „შესანიშნავს“ (იხ. Ю. Ахвердов, Тифлисский Амкарн, Тифлис, 1883, გვ. 13).

9 იეთიმ გურჯი, ლექსები, თბ., 1969, გვ. 94—95.

სხვათა შორის ამ სტრიქონების ახსნა არც ლექსის ავტორის ბუნებით მოხერხდება. ვინც იეთიმ გურჯის ბიოგრაფია იცის, მისთვის ნათელია, რომ იგი პირად ცხოვრებაშიც ისევე ხელგაშლილი იყო, როგორც თავის პოეზიაში. იეთიმ გურჯის ბიოგრაფიულ მასალებში არსებობს რამდენიმე ბარათი, რომლის ავტორებიც არიან ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები. ისინი მერამდენედ წერენ იეთიმ გურჯს, რომ მისულიყო ჰონორარის ასაღებად. ასე ხდებოდა წლების მანძილზე.

მაგრამ აღნიშნული სტრიქონების დიდაქტიკა ყარაჩოხელთა წესებიდან გადასვლას არ უნდა ნიშნავდეს, პირობით, იგი ამ წესებისა და ტრადიციების დაცვა უფროა. იეთიმ გურჯის მიერ ნათქვამი „სუფრა ცალკე არ გაშალო“, ჰარიფანას უნდა გულისხმობდეს. ასე, რომ თვით მეოცე საუკუნის დასაწყისშიც „არიფანა“, როგორც ჩანს, ხელოსანთა წრეებში „ცულ ტონად“ არ ითვლებოდა. ხელოსანთა წრეებისათვის ბუნებრივი „ჰარიფანა“ შემდეგ ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენებში, ხოლო მოგვიანებით პერიფერიებშიც გავრცელებულია. ამას მოწმობს ქართული ენის ლექსიკაში დამკვიდრებული ტერმინი „არიფანა“.

Г. Н. ШАКУЛАШВИЛИ

## ИЗ ИСТОРИИ СТАРОГО ТБИЛИСИ

### Резюме

Для грузинской урбанистической дисциплины определенное значение имеет изучение традиционного для Карачохели особого пира — «арифане», при котором каждый участник вносил свою долю. Термин «арифане» (حرفانه) арабско-персидский и значит — «сообща», «по-ремесленному».

Этот обычай генетически связан с аналогичным пиршеством, распространенным среди представителей профессиональной корпорации Фитьян-Ахнев и еще раз указывает на связь между этими объединениями и тбилиским Амкари.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ალმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფი-  
ლებამ.

სს  
დემიზა გოგოლაძე

**„ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის წყაროსა და მისი გაგებისათვის\***

როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელშიც მოცემულია საქართველოს ისტორია XIV—XVII საუკუნეებისა, ეკუთვნის ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ „სწავლულ კაცთა“ კომისიას, სახელდობრ, ბერი ეგნატაშვილს.

ბერი ეგნატაშვილის „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება, ანუ XIV—XVII სს. საქართველოს ისტორიის ტექსტი, ისე როგორც „ქართლის ცხოვრების“ ყველა სხვა თხზულება, ცხადია, გარკვეულ წყაროებს ეყრდნობა.

ივ. ჯავახიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ ყველა ავტორის თხზულება კრიტიკულად შეისწავლა და შეაფასა, მათ შორის, „სწავლულ კაცთა“ XIV—XVII სს. ისტორიის შემცველი თხზულებაც, აღნიშნა მისი ნაკლი. ივ. ჯავახიშვილი წერს: „სწავლულ კაცთა“ დიდ ნაკლს ის შეადგენს, რომ არსად, ერთ შემთხვევის გარდა, მათ თავიანთ წყაროების სახელები აღნიშნული არა აქვთ და მართო შესაეაღში საზოგადო, ბუნდოვან ცნობებს აძლევენ მკითხველს ამის შესახებ. მხოლოდ განსაკუთრებულ გამოკვლევის შემდგომ შეუძლია მეცნიერს მიაგნოს მათ უმთავრეს წყაროებს“<sup>1</sup>.

დღეს დიდი მუშაობა სწარმოებს საერთოდ „ქართლის ცხოვრების“ წყაროების დასადგენად და ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული.

კერძოდ, გამოკვლევის შედეგად დგინდება და ჩვენი აზრით, დაბეჭივით შეიძლება ითქვას, რომ ბერი ეგნატაშვილის „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილის წყარო, რომელიც XVII ს-ის I ნახევრის ისტორიას ეხება, არის ამავე საუკუნის მოღვაწეთა ისტორიული პოემები: იოსებ თბილელის „დიდმოურავნი“ და მეფე არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“<sup>2</sup>.

სახელდობრ, ქართლის პოლიტიკური ისტორია XVII ს-ის I ნახევრისა, ლუარსაბ II-ის მეფობის წლები, 1609 წელს თათარზანის შემოსევა და ტაშისკარის ომი, ლუარსაბ II-ის და თბილისის მოურავის გიორგი სააკაძის ურთიერთობა, კახეთის პოლიტიკური ისტორია XVI ს-ის დასასრულიდან XVII ს-ის 60-იან წლებამდე, აღექსანდრე II კახთა მეფე და მისი ურთიერთობა ირანთან და რუსეთთან, გადაგვარებული კონსტანტინე ბატონიშვილის საქციელი, კახთა

\* მოხსენდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას, 1986 წ. 22 აპრილს, მიძღვნილს ივ. ჯავახიშვილის დაბადების 110 წლისთავისადმი.

1 ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VIII, გვ. 323 (ხაზგასმა ჩვენია).

2 ამ საკითხებზე დაწერილებით იხ. დ. კაციტაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ („სწავლულ კაცთა“ კომისიის ნაშრომის) XVII საუკუნის ქართული წყაროები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკ. 2, თბ., 1962.

აჯანყება, თეიმურაზ I-ის გამეფება და ქეთევან დედოფალი, კახეთის აოხრება შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად, ყიზილბაშების წინააღმდეგ მარტყოფის აჯანყება 1625 წელს, მარაბდის ომი ამავე 1625 წელს, გიორგი სააკაძესა და თეიმურაზ I-ს შორის ბაზალეთის ომი 1626 წელს, როსტომის გამეფება და თეიმურაზ კახთა მეფის ბრძოლები ტახტის დასაბრუნებლად და ბევრი სხვა საკითხი, თითქმის მთელი ფაქტობრივ-ისტორიული რეალიები და ისტორიული პერსონაჟები ქართლ-კახეთის პოლიტიკური ისტორიისა XVII ს-ის დასაწყისიდან ამ საუკუნის 60-იან წლებამდე ბერი ეგნატაშვილს თავის ისტორიულ თხზულებაში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანიდან“ და „არჩილიანიდან“ აქვს აღებული. XVII ს-ის I ნახევრის საქართველოს ისტორიის მთელი ეს ფაქტობრივი მასალა, რომელიც „დიდმოურავიანსა“ და „არჩილიანში“ არის მოცემული, ბერი ეგნატაშვილმა ქრონოლოგიური რიგით თხრობითი ისტორიის სახით მოგვცა თავის „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში.

მკვლევართა აზრით, „არჩილიანი“ მეფე-პოეტ არჩილს უნდა დაესრულებია 1681 წელს, ხოლო ი. თბილელის „დიდმოურავიანი“ დაწერილი უნდა იყოს 1681—1687 წლებში, მეფე არჩილის მითითებით<sup>3</sup>. შესაძლოა დავუშვათ ისიც, რომ ორივე ეს ისტორიული პოემა პარალელურად იწერებოდა.

„არჩილიანის“ და „დიდმოურავიანის“ ისტორიულ მასალებს დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ. მათი უმთავრესი წყაროები უნდა ყოფილიყო XVII ს-ის I ნახევრის ქართლ-კახეთის პოლიტიკური ამბების მომსწრე და მონაწილე საზოგადოების რჩეულ კაცთა მიერ ავტორებისათვის მიწოდებული და შემოწმებული უტყუარი ფაქტობრივი ცნობები, ასევე, სამეფო სახლის პოლიტიკური არქივის საბუთები, მიწერ-მოწერა, აგრეთვე ევოდალთა სახლების რიგი სათანადო წერილობითი საბუთები და მათ მიერ მიწოდებული სანდო ცნობები. ამასთან, თვით იოსებ თბილელი და არჩილ მეფეც ხომ დღემდე არ იყვნენ დასორებული გიორგი სააკაძისა და თეიმურაზ I-ის ეპოქას, ისინი ხომ XVII ს-ის II ნახევარში მოღვაწეობდნენ. კიდევ მეტი, იოსებ თბილელი (1620—1688) თავისი ყრმობის პერიოდში მოესწრო კიდევ გიორგი სააკაძის მოღვაწეობის ბოლო პერიოდს — XVII ს-ის 20-იან წლებს, რომ არაფერი ვთქვათ თეიმურაზ I-ის პოლიტიკურ საქმიანობაზე XVII ს-ის 40—50-იან წლებში. ასევე, არჩილ მეფე (1647—1713) საზოგადოების რჩეულ კაცთა მიწოდებული ცნობების გარდა, თეიმურაზ კახთა მეფის მოღვაწეობის ბოლო პერიოდს მოესწრო და, გარდა ამისა, იგი, როგორც სამეფო სახლის წარმომადგენელი და მეფე, აშკარაა, XVII ს-ის I ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოების პოლიტიკური არქივის დოკუმენტებსაც კარგად იცნობდა. ამდენად, როგორც „დიდმოურავიანის“, ისე „არჩილიანის“ ისტორიულ-ფაქტობრივ მონაცემებს უაღრესად სანდო პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს, რომელიც საფუძვლად დაედო ბერი ეგნატაშვილის „ქართლის ცხოვრების“ XVII ს-ის I ნახევრის ქართლ-კახეთის მთელ პოლიტიკურ ისტორიას.

აღინიშნა, ბერი ეგნატაშვილის „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ერთ-ერთი ძირითადი წყარო „დიდმოურავიანია“. იგი თანმიმდევრულად, ქრონოლოგიური რიგით იყენებს მის მონაცემებს ისტორიის წერისას. მაგრამ ბერი ეგნატაშვილმა „დიდმოურავიანის“ ფაქტობრივი მასალების გამოყენებისას და-

<sup>3</sup> იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1939., გვ. XXXI.

უშვა ერთი აქარა უხეში ისტორიული ანაქრონიზმი, რაზედაც ამჟამად შეეჭვრებოთ.

სახელდობრ, ბერი ეგნატაშვილმა 1626 წლის ბაზალეთის ომის წინა ისტორიული რეალია, — დიალოგი თეიმურაზ I-სა და გიორგი სააკაძეს შორის, — კადაიტანა და ჩართო 1609 წელს თათარხანის შემოსევისა და ტაშისკარის ომის წინა პერიოდში, თანაც, მეფე თეიმურაზ I გიორგი სააკაძესთან დიალოგში შეცვალა ქართლის მეფე ლუარსაბ II-ით.

1626 წლის ბაზალეთის ომის წინა ეს ისტორიული რეალია მოცემულია „დიდმოურავიანის“ შესავალ ნაწილში, პოემის დასაწყისში. საკითხის ნათელი სურათისათვის მოკლედ მივმართოთ მას.

1626 წლის ბაზალეთის ომისწინა ვითარება ქვეყანაში, როგორც ცნობილია, ასეთი იყო: მარტყოფის აჯანყებისა და მარაბდის ომის (1625 წ.) შემდეგ და გიორგი სააკაძის მეთაურობით ქართველი ხალხის პარტიზანული ბრძოლების შედეგად ქართლ-კახეთი გაწმენდილი იყო ირანელ დამპყრობთაგან და ქვეყანა შევებით სუნთქავდა, ქართლ-კახეთის სამეფოები გაერთიანებული იყო. მეფე თეიმურაზ I და გიორგი სააკაძე ამ დროს ქრცხინვალს მდგარან დასასვენებლად. მოკლე პროლოგის შემდეგ ი. თბილელის ისტორიული პოემის „დიდმოურავიანის“ შესავალი ნაწილი სწორედ ამით იწყება, სახელდობრ:

ქრცხინვალს იდგა მეფე შევებით, მას გვერც ახლდა მოურავო,  
იშებენ და იხარებენ...

მაგრამ მათ კარგ დამოკიდებულებას და სიხარულს „ავი ენა ამათ გაჰყრის“—ო. მოურავს ახლობლები ორჯერ აცნობებენ, ლალატსა და სიკვდილს გიპირებენ, რასაც მეფემ დასტური მისცაო. მოურავმა მათ ჰკითხა: მაინც რას მერჩიანო. უთხრეს: მეფე ლუარსაბის სიკვდილს გაბრალოანო, „ის შეიქნა ლუარსაბის სისხლის მღვრელად“—ო. ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გაცხოველდა, რაც მეფის ყურამდე მისულა. გიორგი სააკაძე ამბობს: „მეფემ შეგვიტყო ჩურჩური, გაყენ და გამოყენება“, და ბრძანა, რას ჩურჩურებთ, რა გინდათ, რატომ არ გაჩერდებითო. გიორგი სააკაძემ მროველ ავალიშვილ დომენტის სთხოვა მეფესთან მისვლა და სინამდვილის გაგება:

ავალიშვილი დომენტი, ჭკვიანი კაცი მროელი...  
მას ვჰკადრე, „თქვენ დაისაქე, მეფესთან აპას მოველი,  
ეს ჰკადრე: „რა დაგაშავე, ვიყავ ხმლით ბევრის მშოველი,  
თქვენც კარგა მამატივებდი, — ცა წყალობითა მოთველი“.

და სიკვდილს რატომ მიპირებო.

მეფე-თეიმურაზმა მროველის პირით შემოუთვალა, რომ „ევეც საქმე არ გავლია ჩემსა გულსა, ვინ მოგველევიდა, რასა ჰქვიან, მომღვოშა და ჩემს ერთ-სტულსა“—ო. მაგრამ მოურავს თავისი ახლობლები კვლავ არწმუნებენ: „დაგვიჩვერე, ნუ მოელი მეფისაგან... დანდობას“—ო, „ლუარსაბის სიკვდილს გადებს, სულ ამას“ ლაპარაკობსო.

გიორგი სააკაძემ მეორედ მიუგზავნა მროველი მეფეს და შეუთვალა: თურმე უღანაშულოდ „ლუარსაბ მეფის სისხლს მადებთ“, რასაც თურმე ხშირად ამბობთო. მეფემ უპასუხა: თუ გინდა რომ სიმართლე გითხრა: „ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია“—ო, „მაგრა მე მის სისხლს არ ვეძებ“, შენთვის იყავო. შერიგება მათ შორის მაინც არ მოხდა, რასაც ბაზალეთის ომი მოჰყვა. აი, ეს არის პოემის შესავალი დასაწყისი ნაწილი და ამით მთავრდება იგი.

ამის შემდეგ პოემაში გიორგი სააკაძე მოყვება (უფრო სწორად უყვება თეიმურაზ მეფეს) მთელ თავის ტრაგიკულ თავგადასავალს, რასაც თითქმის მთელი პოემა უყავია — დაწყებული 1605 წლიდან, როცა მამამისმა სიალუშმა 20 წლის გიორგი სააკაძე 13 წლის მეფე ლუარსაბს წარუდგინა, დამთავრებული თავისი სიცოცხლის დასასრულამდე. მოყვება მთელ ისტორიას, რაც მას თავს გადახდა: თათარხანის შემოსევას და ტაშისკარის ომს, მეფე ლუარსაბის დაქორწინებას მის დაზე, ქართლის თავადთა შეთქმულებას მისი მოკვლის მიზნით, სპარსეთში წასვლას და შაჰ-აბასის სამხედრო სამსახურში ყოფნას, ომებში მონაწილეობას, შადიმან ბარათაშვილის დამსახურებას შაჰ-აბასის მიერ ლუარსაბ მეფის დატყვევებაში, შაჰ-აბასის მიერ უზარმაზარი არმიის გამოგზავნას ქართველი ხალხის მოსასპობად და მის დამსახურებას მარტყოფის აჯანყებასა და მარაბდის ომში ყოზილბაში დამპყრობლების წინააღმდეგ, მის მიერ გაჩაღებულ სახალხო ბრძოლებს მათ განსაიდევნად, ქართლისა და კახეთის გაქმენდას ყოზილბაშებისაგან, რითაც „ქართველნი დავსხენ მოსპოლვას“-ო (342); „ყველამ იცით, რომე ქართლი ჩემის ხმლითა დახსნილია“ (352) და მიკვირს „ქართლ-კახეთის მამრჩენს“ (286), ე. ი. ქვეყნის გადამრჩენს, სასიკვდილოდ რად მიმტებო.

მეფე თეიმურაზმა მოისმინა გიორგი სააკაძის მთელი ეს ვრცელი ტრაგიკული თავგადასავალი, დამსახურება ქვეყნის წინაშე და შეუთვალა: „რაც გითქვამს, სრულ მართალია ყოველი“ და ხომ ვითხარი ფიცით, მროველი რომ მომიგზავნე, არც სისხლს დავეძებ და არც მოკვლას გიპირებო (274). მაგრამ, როგორც ცნობილია, მათი შერიგება მაინც არ მოხდა, რასაც ქართველი ხალხის ბაზალეთის ტრაგედია მოჰყვა. ი. თბილელი წერს: შერიგება „აღარად მოხდა“, „გაყრა შეექნათ“ და „რა მოიშალა ვინ იცის, რა წყობა, რა გარიგება“-ო.

ჩვენ აქ პოემის შესავალი ნაწილი გვიანტერესებს, რაც სათანადო სისრულით წარმოვადგინეთ. როგორც ვხედავთ, აშკარაა, რომ პოემის შესავალ ნაწილში მოცემულია დიალოგი მეფე თეიმურაზსა და დიდ მოურავ გიორგი სააკაძეს შორის ბაზალეთის ომის წინ 1626 წელს და ისიცაა ნათქვამი, რომ ამ დიალოგის დროს ისინი ცხინვალს იდგნენ და ისვენებდნენ. თუმცა პოემის ამ შესავალ ნაწილში, სადაც დიალოგია მეფესა და სააკაძეს შორის, მეფის სახელი „თეიმურაზი“ ნახსენები არაა, ე. ი. სააკაძესთან დიალოგში დაპირისპირებული მეფე სახელის გარეშეა მოხსენიებული, ნახსენებია მხოლოდ „მეფე“ და „მოურავი“, მაგრამ, ცხადია, ეს „მეფე“ თეიმურაზია, ხოლო აქ ნახსენები „ლუარსაბ მეფე“ უკვე ცოცხალი აღარაა.

აღინიშნა, ბერი ეგნატაშვილმა „ქართლის ცხოვრებაში“ 1626 წლის ბაზალეთის ომის ეს წინა „ქრცხინვალის ეპიზოდი“ — დიალოგი თეიმურაზ მეფესა და გიორგი სააკაძეს შორის გადაიტანა 1609 წელს, თათარხანის შემოსევისა და ტაშისკარის ომის წინ და, თანაც, დიალოგში თეიმურაზ მეფე ქართლის მეფე ლუარსაბ II-ით შეცვალა, რითაც უხეში ისტორიული ანაქრონიზმი და მეფეთა აღრევა დაუშვა.

სახელდობრ, „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილში, რომელიც ქართლის მეფე ლუარსაბ II-ის მეფობის პერიოდს ეხება, ჯერ ბერი ეგნატაშვილი ჰყვება კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის გურიელის ასულზე დაქორწინებაზე, მალე თეიმურაზის დაქვრივებაზე, შემდეგ შაჰ-აბასის ნებასურვილის თანახმად თეიმურაზ I-ის მიერ თავის ნათესავ ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის დაზე, ზორაშანზე იძულებით დაქორწინებაზე. ამის შემდეგ აქვე ბერი ეგნატაშვილი ეხება



1609 წელს 60 000 ყირიმელი თათრის გამოლაშქრებას ქართლზე თათარხანის მეთაურობით და წერს: თათარხანი 60 000 კაცით წამოვიდა ქართლზე.

„და მას ჟამსა მეფე ლუარსაბ იდგა ქრცხინვალს და ამ ჟამში გამდიდრებულ იყო ქართლის მოუფრავი სააკაძე გიორგი, რომელი იყო მოურავი ტფილისისა, და ესრეთ გამდიდრებულყო, რომე შემდგომად მეფისა იგი იყო. და ამას უთხრეს ქუთუნის არევის მოყუარეთა და მეჩხუბართა კაცთა, ვითარმედ: „მეფე სიკუდილს გიპირებს, რამეთუ სძაგს სიმდიდრე და მორბა შენი“. ხოლო მოურავს რა ესმა საქმე ესე, დაიწყო რჩევა და ლაპარაკი. მაშინ მიუგზავნა მეფემან კაცი და შეუთვალა, ვითარმედ: „რა გნებავს ყოფად, რომე დღითი-დღე არ დასცხრები ლაპარაკისაგან და ჩურჩულისაგან“. ხოლო მურავმან მიუგზავნა მროველი ავალიშვილი დომენტი და შეუთვალა ესრეთ, ვითარმედ: „სიკუდილსა და ღალატს მიპირებო და რას მემართლები, დანაშაული რა მაქვსო, რომ მოწყრებო და გნებავს სიკუდილი ჩემიო“. ხოლო მეფემან უარყო და ფიცით შეიჯერა, ვითარმედ: „არა მწაღს სიკუდილი შენიო“.

და ამა ჟამსა შინა მოუვიდათ ამბავი, რომე თათარხანი თრიალეთზედ მოვიდაო<sup>5</sup> — დასძენს ბერი ეგნატაშვილი.

აი, სწორედ ეს ზემომოტანილი ისტორიული რეალია ბერი ეგნატაშვილის „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებისა, არის პერფერაზირებული რედაქცია „დიდმოურავიანის“ შესავალი ნაწილისა, უფრო სწორად, მოკლე რეზიუმე, მაგრამ იგი ეხება არა ლუარსაბ მეფისა და გიორგი სააკაძის ქრცხინვალს დგომპაექრობას ოსმალო-ყირიმელი თათრების შემოსევის წინ 1609 წელს, არამედ შემდეგდროინდელი ისტორიული რეალია, სახელდობრ, როგორც აღინიშნა, 1626 წლის ბაზალეთის ომის წინა ისტორიული ამბავია — ქრცხინვალში თეიმურაზ I-ის და გიორგი სააკაძის დგომა და განხეთქილება მათ შორის, მწვავე დიპლომატიის, სააკაძის თხოვნით მროველი ავალიშვილი დომენტის მოციქულობა მეფესთან, მათი შეუთრებლობა, რასაც შემდგომ ბაზალეთის ტრაგედია მოჰყვა<sup>6</sup>.

ბერი ეგნატაშვილის მიერ „დიდმოურავიანის“ აღნიშნული ეპიზოდის აღწერვა შენიშნა მკვლევარმა რ. ფირცხალაიშვილმა 1978 წელს გამოცემულ ნაშრომში. სახელდობრ, მან აღნიშნა, რომ ეს ისტორიული ეპიზოდი „დიდმოურავიანში“ — ქრცხინვალს მეფეს და მოურავის დგომა „შეგებითა“ და მოსვენებით, — ეხება არა ლუარსაბ მეფეს და გიორგი სააკაძეს თათარხანის შემოსევის წინ, არამედ — თეიმურაზ მეფესა და გიორგი სააკაძეს<sup>7</sup>.

მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს მემკვიდრეობის ეთიკური ნორმა. რ. ფირცხალაიშვილს გამოორჩენია, რომ „დიდმოურავიანის“ ქრცხინვალის ეპიზოდის ტექსტის ასეთი გაგება გაცილებით ადრე გვხვდება ლიტერატურაში. სახელდობრ, ჯერ კიდევ ანტონ ფურცელაძემ მიაქცია ყურადღება, რომ ქრცხინვალის ეპიზოდში ერთმანეთთან კამათი აქვთ არა ლუარსაბ II-ს და გიორგი სააკაძეს, არამედ თეიმურაზ I-ს და გიორგი სააკაძეს, რაც ვერ გაუგიათ ვახუშტი ბაგრატიონს და პლატონ იოსელიანს<sup>7</sup>.

\* ეს გარემოება ჩვენ აღვნიშნეთ 1976 წელს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების ერთ-ერთ სხდომაზე, როცა კამათი იყო, საერთოდ, მთელი „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა წყაროების შესახებ.

5 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. II, თბ., 1959, გვ. 384—385.  
6 რ. ფირცხალაიშვილი, იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ., 1978, გვ. 104.  
7 ა. ფურცელაძე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, თბ., 1911, გვ. 9—14.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ანტონ ფურცელაძე ცდება, როდისაც „დიდმოურავიანის“ ტექსტის ქრცხინვალის ეპიზოდის გაუგებრობის პირველ წყაროდ ვახუშტის ასახელებს. სინამდვილეში, „ქრცხინვალის ეპიზოდის“ ისტორიული რეალიის აღრევისა და ანაქრონიზმის პირველი წყარო ბერი ეგნატაშვილია, რომლისგანაც სარგებლობს ვახუშტი, ხოლო ვახუშტიდან პლატონ იოსელიანი. ბერი ეგნატაშვილის ნაშრომი კი ა. ფურცელაძეს საერთოდ ნახსენები არა აქვს.

რ. ფირცხალაიშვილის აზრით, ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში „ქრცხინვალის ეპიზოდის“ ორი სხვადასხვა ვითარების ეს აღრევა, ბერი ეგნატაშვილის მიერ „იოსებ ტფილელის პოემის სათანადო ეპიზოდის ტექსტის გაუგებრობაზეა დამყარებული“<sup>8</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება სწორი არაა და ეს ისტორიული ანაქრონიზმი ბერი ეგნატაშვილის მიერ იოსებ თბილელის პოემის ტექსტის გაუგებრობაზე არაა დამყარებული.

ი. თბილელის პოემის დასაწყისის „ცხინვალის ეპიზოდი“ 1609 წელს თათარხანის შემოსევის წინ რომ არ იყო, ბერი ეგნატაშვილმა ეს კარგად იცოდა. ძნელი დასაჯერებელია, ბერი ეგნატაშვილს პოემის დასაწყისი და „ქრცხინვალის ეპიზოდი“ ვერ გაეგო, რასაც უბრალო მკითხველი ვაივებს, ვერ გაეგო, რომ სააკაძესთან („მოურავთან“) დიალოგში უსახელოდ მოხსენიებული „მეფე“ არ იყო ლუარსაბ II. პოემის დასაწყისში ანუ „ქრცხინვალის ეპიზოდში“, სადაც უსახელოდ მოხსენიებულ „მეფესა“ და სააკაძეს შორის დიალოგია, სააკაძეს თავისი „კაცები“ ამცნობენ, მეფე სიკვდილს გიპირებს, რადგან, „ლუარსაბ მეფის სისხლს გადებთ“-ო. (მეორედ: „ლუარსაბის სიკვდილს გადებ“-ო); ასევე, სააკაძე მროველის პირით შეუთვლის ქრცხინვალს მდგომ მეფეს, თურმე „ლუარსაბ, მეფის სისხლს მადებთ“-ო. შეუძლებელია ბერი ეგნატაშვილს ვერ გაეგო, რომ, რაზან გიორგი სააკაძეს ლუარსაბ მეფის სისხლს ადებენ და მის სიკვდილს აბრალიან, ეს მეფე ლუარსაბი უკვე ცოცხალი არ არის, ზოლო უსახელოდ მოხსენიებული ის „მეფე“, რომელიც ქრცხინვალს იდგა და გიორგი სააკაძეს „ლუარსაბ მეფის“ სიკვდილში ბრალს დებდა, ეს ლუარსაბ ქართლის მეფე კი არ იყო, არამედ მეფე თეიმურაზ I.

მაშასადამე, მოსაზრება თითქოს ბერი ეგნატაშვილს ვერ გაეგოს „დიდმოურავიანის“ დასაწყისი ტექსტი (ქრცხინვალის ეპიზოდი), ჩვენ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

ისმის კითხვა: რატომ ჩართო ბერი ეგნატაშვილმა გვიანდელი, 1626 წლის ბაზალეთის ომის წინა „ქრცხინვალის ეპიზოდი“ 1609 წელს თათარხანის შემოსევისა და ტაშისკარის ომის წინა ისტორიულ რეალიაში?

ბერი ეგნატაშვილი, როგორც მთელი მისი თხზულება მოწმობს, ქართლის სამეფო ბაგრატიონთა შტოს დინასტიური იდეოლოგია. იგი ამ მხრივ ღრმა პარტიულ-დინასტიური ისტორიკოსია. ის თავის მხრივ ცდილობს საკუთარი პოზიცია და შეხედულება შექმნას სააკაძის საქმიანობა-მოღვაწეობისადმი.

ამკარაა, აქ იგი თვითნებურად, შეგნებულად სრულიად გაუმართლებლად მოექცა წყაროს. მაგრამ ბერი ეგნატაშვილი ასე მოიქცა, ამკარაა, გარკვეული

<sup>8</sup> რ. ფირცხალაიშვილი, დასახ. ნაშრომძ გვ. 104.

მიზნით. სახელდობრ, მან ისე წარმოადგინა საქმის ვითარება, თითქოს კონფლიქტური სიტუაცია ქართლის მეფე ლუარსაბ II-სა და გიორგი სააკაძეს შორის ადრევე არსებობდა, სახელდობრ, ტაშისკარის 1609 წ. ომამდე, ე. ი. მანამდე, სანამ მეფე ლუარსაბ გიორგი სააკაძის დაზე დაქორწინდებოდა (1612 წელს).

ტაშისკარის ომში გიორგი სააკაძის მეთაურობით ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების მესამე წელს სააკაძემ დაპატიჟა ლუარსაბ მეფე. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო ფეოდალურ საზოგადოებაში. ბერი ეგნატაშვილი ცდილობს ლუარსაბ მეფის სააკაძის დაზე დაქორწინების ინიციატორად თვით გიორგი სააკაძე გამოიყვანოს. სახელდობრ, ის, აღნიშნული უხეში ისტორიული ანაქრონიზმით თხზავს ისეთ რამეს, რაც, მისი აზრით, მკითხველს ლოგიკურად უნდა მიეჩნია. იგი წერს, რომ თითქოს სააკაძეს ახსოვდა ქრცხინვალის ეპიზოდი — მითქმა-მოთქმის ამბები, მას რომ უთხრეს მეფე ლუარსაბი მოკვლას გიპირებოდა, ამის გამო, „წინათ რომ მოურავმან ლალატი დასწამა მეფეს“ — და ფიქრობდა მოურავი: მეფე „არ დამინდობსო“<sup>9</sup>. ამიტომ ასეთი რთული ვითარებიდან რომ გამოსულიყო მოურავმა განიზრახა ყმაწვილი მეფის დაპატიჟება და მეფის სასმისის ღვინის დამსხმეულად („მელვინედ“) თავისი სილამაზით სახელგანთქმული „შუენიერი“ დის დაყენება. ბერი ეგნატაშვილის აზრით, სააკაძე ფიქრობდა: „მოეწონება და ჩემი დიდად მეფესა და ეტრფიალება და მაშინ მოინდომებს დასა ჩემსა და მივეცემ ცოლად, და, უკეთუ არ ინდომებს ცოლად, მაშინ ვინც-ვინ ჩემნი მოკიდებულნი კაცნი არიან, უფროსად ყოველნივე მე მომიდგებიან, და მეფეს შეუთრგულდებიან და ამით წავაგვდნო, და თუ ცოლად შეირთავს, მტერნი ჩემნი გაუორგულდებიან და მეფეს ჩემის მეტი ღონე არ ექნება, და რა ჯელთ ჩამომივარდება, რასაც მინდა ვიყო“<sup>10</sup>.

ასეთია შეთხზული და გააზრებული კონცეფცია ბერი ეგნატაშვილისა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ის უმეტესწილად ობიექტურად, დადებითად აფასებს გიორგი სააკაძესა და მის ღვაწლს, მაგრამ აქ, აშკარაა, სცოლდავს. გასაგებია, ბერი ეგნატაშვილი ქართლის ბაგრატიონთა დინასტიური იდეოლოგია და გიორგი სააკაძესთან ურთიერთობაში მოლიანად სურს გაამართლოს ქართლის მეფე ლუარსაბ II, რის გამო იგი წყაროს შეგნებულად თვითნებურ გადაკეთებასაც არ მოერიდა.

სინამდვილეში კი ამ შემთხვევაში ბერი ეგნატაშვილის თხზულების ერთადერთ პირველწყაროში „დიდმოურავიანში“, რომელსაც იგი სხვა ისტორიულ მოვლენებში და ფაქტებში ეყრდნობა, სურათი სხვაგვარად არის მოცემული.

1. ჯერ ერთი, როგორც დეტალურად გაიკვია „ქრცხინვალის ეპიზოდი“ თათარხანის შემოსევის წინ (1609 წ.) კი არ იყო, არამედ გაცილებით გვიან, ბაზალეთის ომის წინ (1626 წ.) და ამ ეპიზოდში დაპირისპირებული არიან და დიალოგი აქვთ არა მეფე ლუარსაბ II-ს და გიორგი სააკაძეს, არამედ მეფე თეიმურაზ I-სა და გიორგი სააკაძეს. ლუარსაბ II ამ დროს ცოცხალი აღარაა.

<sup>9</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 388.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 388—389.

2. თათარხანის მეტაურობით ოსმალ-ყირიმელი თათრების შემოსევისას ქართლის მეფე ლუარსაბ II ქრცხინვალს კი არ იღვა, არამედ ცხირეთს იღვა („უგრძნაულად, მოსვენებით“)<sup>11</sup>.

3. სააკაძის დაზე დაქორწინებამდე მეფე ლუარსაბ II-სა და გიორგი სააკაძეს შორის არავითარი მითქმა-მოთქმა და კონფლიქტი არ ყოფილა. პირიქით, განხეთქილებამდე ლუარსაბ II დიდად წყალობდა და ყმა-მამულს მიცემით აძლიერებდა თავის ტახტის აზნაურს, თბილისის მოურავ გიორგი სააკაძეს.

4. პირველწყაროთი („დიდმოურავიანი“), თავის სახლში გამართული ნადიმის დროს გიორგი სააკაძემ კი არ დააყენა თავისი და მეფე ლუარსაბის თავს „მელვირედ“, არამედ პირიქით, ეს მოხდა მეფის მოთხოვნით („დიდმოურავიანი“, 83).

აშკარაა, თავადური ოპოზიცია მაშინ აჯანყდა, როცა მეფე მათზე დაბლა მდგომი აზნაური სააკაძის ქალზე დაქორწინდა. თავადებმა ულტიმატუმი წაუყენეს მეფეს: ან სიყვარული დასთმე ანდა ტახტით. თუ რა პირადი და საქვეყნო ტრაგედია მოყვა ამას ცნობილია.

დაეასკვნით: 1) ბერი ეგნატაშვილმა გიორგი სააკაძესთან ლუარსაბ II-ის მთლიანად გამართლების მიზნით 1626 წლის „ქრცხინვალის ეპიზოდი“ თავის თხზულებაში შეგნებულად ჩართო უადგილო ადგილას, გადმოიტანა იგი ტაშისკარის ომის წინ, ერთმანეთში აურია მეფე ლუარსაბ II და თეიმურაზ I. ამით შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ლუარსაბ II-სა და გიორგი სააკაძეს შორის კონფლიქტი აღრევე არსებობდა, ჯერ კიდევ 1609 წელს თათარხანის შემოსევამდე, რისი გამოსწორება გიორგი სააკაძემ თითქოს მეფესთან დამოყვრების მცდარი პოლიტიკის გზით სცადა; 2) ასეა თუ ისე, აშკარაა: „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში „ქრცხინვალის ეპიზოდთან“ დაკავშირებით უხეშ ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე. 1626 წლის ბაზალეთის ომის წინა რეალია თეიმურაზ I-სა და გიორგი სააკაძეს შორის: მათი ცხინვალს დგომა, განხეთქილება და დიპლომატი მათ შორის, მროველის მოციქულობა, გადმოტანილია 1609 წელს თათარხანის შემოსევის წინ, თანაც თეიმურაზ I შეცვლილია ლუარსაბ II-ით, რაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. თათარხანის შემოსევის წინ ლუარსაბ II ქრცხინვალს კი არ იღვა, არამედ ცხირეთს (ნოსტესთან ახლო) იმყოფებოდა. თანაც ამ დროს არავითარი განხეთქილება და კონფლიქტური სიტუაცია ლუარსაბ მეფესა და გიორგი სააკაძეს შორის არ ყოფილა; 3) ანალოგიური ანაქრონიზმი გვაქვს ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომლის ერთადერთი წყარო მოცემულ საკითხში ბერი ეგნატაშვილის თხზულებაა. აქაც, 1626 წლის ბაზალეთის ომის წინა ქრცხინვალის ეპიზოდი, ეგნატაშვილის თხზულების მსგავსად, მეფეთა აღრევით მოცემულია თათარხანის შემოსევის წინ 1609 წელს<sup>12</sup>.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მომავალი გამოცემისას, ეს აშკარა ისტორიული ანაქრონიზმი საგანგებოდ უნდა განიმარტოს.

ასევე განმარტებას საჭიროებს ვახუშტის ნაშრომის სათანადო ადგილიც ახალი გამოცემისას.

11 დიდმოურავიანი, გვ. 8; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 255.  
12 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 420—421, ს. ყაუხჩიშვილას გამოცემა.

Д. А. ГОГОЛАДЗЕ

## ОБ ИСТОЧНИКЕ И ПРАВИЛЬНОМ ПОНИМАНИИ ОДНОГО МЕСТА В «КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

Резюме

Основными источниками для автора истории Грузии первой половины XVII века Бери Эгнаташвили в грузинской летописи «Картлис цховреба» послужили исторические поэмы того же столетия — «Дидмоуравиани» Иосифа Тбилели и «Спор Теймураза и Руставели» царя Арчила II.

При использовании фактического материала из «Дидмоуравиани» он допустил один явный и грубый исторический анахронизм. В «Дидмоуравиани» описана историческая реальность перед Базалетской битвой 1626 года — конфликтный диалог в Цхинвали между царем Теймуразом I и великим полководцем Георгием Саакадзе. Бери Эгнаташвили перенес этот эпизод в 1609 год, перед нашествием Татархана и Ташикарской битвой, к тому же в диалоге с Саакадзе царя Теймураза I он заменил Картлийским царем Луарсабом II.

На наш взгляд, это сделано не вследствие непонимания текста «Дидмоуравиани», а сознательно. Бери Эгнаташвили, как династический идеолог и историк ветви Багратионов картлийского царского рода с целью полного оправдания картлийского царя Луарсаба II в трагическом конфликте с Георгием Саакадзе, «Крцхинвальский эпизод» 1626 года в своем историческом сочинении сознательно перенес в период перед Ташикарской битвой 1609 года, а царя Теймураза I в конфликтном диалоге с Георгием Саакадзе заменил Луарсабом II. Этим Бери Эгнаташвили создал впечатление, будто конфликт между Луарсабом II и Георгием Саакадзе существовал гораздо раньше, до женитьбы и развода царя с сестрой Саакадзе, еще в 1609 году, до нашествия Татархана, и решить этот конфликт Георгий Саакадзе якобы попытался выбором ошибочной политики породнения с царем, что не соответствует исторической действительности. На самом деле, по источнику, инициатором породнения с Саакадзе был сам царь Луарсаб II, который и женился на его сестре, но по настоянию крупных князей скоро развелся с ней, за которым последовали трагические события.

Отмеченный исторический анахронизм впоследствии от Бери Эгнаташвили позаимствовали другие историки (Вахушти Багратиони, Платон Иоселиани).

Учитывая вышесказанное, при новом издании «Картлис цховреба» этот явный исторический анахронизм в тексте следует снабдить соответствующими комментариями.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის იე. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილებაში.

Дж. Г. ГВАСАЛИА

## ТЕРРИТОРИЯ ГРУЗИИ НА ЕВРОПЕЙСКИХ КАРТАХ ТУРЕЦКОЙ ИМПЕРИИ XVII ВЕКА

Научная сотрудница Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили Г. А. Жоржوليани передала копии карт Турецкой империи, любезно предоставленные ей в Праге Амисием Сватошем, руководителем Отдела исторической географии, доктору ист. наук Д. Л. Мухелишвили. По его предложению мы приступили к изучению карт\*.

Амисий Сватош из Праги сообщает: «Несколько слов о том, как в мой личный архив чешско-грузинских взаимоотношений конца XIX и начала XX веков попали географические карты Турецкой империи, изданные в 1670 году в Амстердаме и 1692 году в Париже.

Эти карты я приобрел после смерти давнишнего друга нашей семьи Яна (Ивана Ивановича) Мартиника в 1976 году.

Ян Мартинек, чех по национальности, родился близ города Ровно (б. Волынская губерния). Среднее и юридическое образование получил в Киеве. С 1920 года стал сотрудником Министерства иностранных дел Чехословакии. С лета 1921 года назначен секретарем представительства и консульства Чехословакии в бывшем Тифлисе до 1923 года. Консулом в Тифлисе был мой отец Ярослав Сватош. Во времена Отечественной войны Мартинек был назначен секретарем Чехословацкого посольства в Москве; на этой должности работал с 1942 г. по 1945 год. Когда и от кого попали эти карты в его руки, мы конечно, уже не знаем.

Карты, наверно, хранились в России, так как они в нескольких местах изгиба подклеены почтовыми марками времен царской России.

В чешские руки карты попали в виде подарка в 1922 году чеху Борскому, который их привез в Прагу».

Амисий Сватош с помощью пражских ученых — доктора Майбла, доцента Мухи, доктора Сематанова и доктора Фиалова определил дату составления франкоязычной карты (т. е. карты Сансона) 1692 годом, а дату составления латиноязычной карты (т. е. карты де Витта) более ранним периодом.

На наш взгляд, нет основания карту Сансона датировать с такой точностью, однако вторая половина или конец XVII века для датировки карты Сансона вполне приемлемы. Во всяком случае, она составлена до 1702 года. На это указывает надпись на первом листе атласа, в который включена карта Сансона.

Она гласит: «—Nouvelle introduction a la geographie pour l'usage de monseigneur le dauphin par le Sr. Sanson. Chez Hubert Jailet joignant les grands Augustins aux deux Gloks. MDCCII».

Это означает: «Новое введение по географии для (пользования) господином дофином (принцем — Дж. Г.), выполненное господином Сансоном. Изданное Губертом Жайлотом... в двух томах (?), 1702 год».

\* По техническим причинам не удалось напечатать фотокопии карт.

Карта де Витта (1), составлена на латинском языке. Её заглавие—, *Turcarum Imperium sive Magni Turcarum Sultani Status in Europa, Asia et in Africa tam in Propriis Tributarias et Clientelares Regiones, quem eisdem XXVI Praefecturas Generales, Beglirbegatus Vulge, dictas distantie divisus, per F. De Witt Amstelodami Cum Privilegio*“

В русском переводе означает: «Турецкая империя или состояние Великого султана турков в Европе, Азии и Африке, а также в ближайших краях и подчиненных (поданных) государствах, в тех же 26-ти главных префектурах, описанные выборочно де Виттом, с привилегией Амстердаме».

В легенде карты сказано: *“Turcici Imperii Regiones Proprie sunt— Nasoka, Armenia, Egiptus, Siria, Romania, Macedonia, Turcomania, Carrmania, Bulgaria, Servia, Amasia, Aladuk, Albania, Epirus, Diarbeckir, Lanna, Livadia, Bosnia, et Barca, et Partes, Hungaria, Dalmatie, Croatie, Georgie, et Arabie, Petree, Insule Majores sunt Canba, Cypus et Negroponte, Tributarie regiones sunt Valachia, et Mollevia, et partes Georgie et Curdistanie, Clientelares sunt Algerium, Tunetum, Tripolis, Tartaria Minor, Crimea, Budziak, Oczacov Bassora, Bahrain, hic Ommes 27 Praefecturas Generales, Beglarbeglicz a Turcis Vulgo Distas, Dividuntur”*.

В русском переводе: «Ближайшие государства Турецкой империи — Насока, Армения, Египет, Сирия, Румыния, Македония, Туркомания, Кармания, Болгария, Сербия, Амасия, Аладук, Албания, Эмир, Диарбекир, Ланна, Ливадия, Босния и Барса; и части (Турецкой империи — Дж. Г.) — Венгрия, Дальмация, Кроатия, Грузия и Аравия, Петра, Большие острова — Канба, Кипр и Негропонт; государства-даники — Валахия, Моливия и части Грузии и Курдистана; вассалы: Алжир, Тунис, Триполи, Малая Татария, Крым, Бучак, Очаков, Басора, Барани, ныне разделенных на 27 главных префектур или на турецком простонародном языке — бегларбегствах».

Легенда карты де Витта указывает, что территория Грузии включена в состав Турецкой империи.

Нас интересует, как отражена территория Грузии и сопредельных стран на карте Турецкой империи.

Над всей территорией Грузии горизонтально простирается надпись: *“Georgia”*. Вся Западная Грузия до Лихского или Сурамского хребта покрыта надписью: *“Turcarum Tribut (arius)”*, а Восточная Грузия—Картли и Кахети—*“Pepsarum Tribut (arius)”*, что означает: «Даники Турции» и «Даники Персии». Это значит, что территория Грузии разделена на сферы влияния Турции и Персии.

Во время первой Ирано-Турецкой войны (1514—1555 гг.) театр военных действий был развернут на территории Грузии, Армении и Азербайджана. 29 мая 1555 года в городе Малой Азии Амасии между Ираном и Турцией был заключен мирный договор. Захватчики разделили между собой Закавказье. Турция «досталось» Имеретинское царство, вместе с княжествами Мегрелии и Гурии, и западная часть Самцхе-Саатабаго — Тао, Шавшети, Кларджети; Ирану же — царства Картли и Кахети и восточная часть Самцхе-Саатабаго (бассейн Куры). Сефевиды оставили за собой весь Азербайджан и восточную часть Армении. Западная часть Армении (район озера Ван) досталась Турции. Пограничная же зона — Карская область была разорена.

Еще в XVI веке княжества Одиши и Гурии приобрели независимость. В 10-х годах XVII столетия, когда значительно усилилась агрессия Турции, на Черноморском побережье как отдельное княжество, образовалась Абхазия, которая до этого входила в состав Одиши. Имеретинский царь фактически признавал самостоятельность княжеств и только юридически считал их своими вассалами.

В 1639 году был заключен новый договор между Ираном и Турцией, в силу которого был восстановлен договор 1555 года, т. е. Восточная Грузия досталась Ирану, а Западная — Турции. Что касается Самцхе, она была целиком признана территорией Турции. Этот договор, который не был расторгнут до 1723 года, на долгое время узаконил политическую раздробленность Грузии<sup>1</sup>.

На карте де Витта у Черного моря несколько названий: 1) Pontus Euxinus hodie Mare Nigrum (Понт Евксинский который нынче называется Черным морем); 2) Черное море (по-русски); 3) Черно морсе (по-польски); 4) Maigo Thalassa (по гречески).

У северного берега Черного моря надпись: “Mare Circassiae” (Черкесское море).

На западной окраине Грузии надпись: “Avogasia” (видимо, „Абхазия“). К северо-востоку от нее — “Abasia”, что должно указывать на расселение племени абазин в горные части Абхазии.

„Авогазия“ отделена от „Абазии“ границей.

У В Авогазии обозначены следующие пункты: Suruko, S. Sofia, Culda (Гудаути?). Alba. А в Абазии следующие пункты: Pesoda (Пицунда) Dandars (Дранда), Orugo, Sausatopoli (Севастополь, Сухуми). Южнее на черноморском побережье следующие пункты: Eschysumani, Saramacia (Сатамаша), Gude (Гудава), Heti (Хета), Anagi (Анаклия), Ciai, Copi (Хоби), Faso (Фазыс, Поти), Varthi (Батуми), Guni (Гонно).

На востоке Абхазии Mingrelia, под которой имеется надпись “Odisci R(egnum)” т. с. Мегрелия или царство Одиши. В Одиши расположены пункты: Moquis (Мокви), Morgul, Agmani, Engur, Çarasoro.

Надпись “Megrelia” занимает все восточное побережье Черного моря.

К востоку от Мегрелии расположен “Imeret R(egnum)” — Имеретинское царство Его пункты: Cotatis (Кутаиси) и Oni (Они). Примечательно, что форма “Cotatis” встречается еще у историка VI века Прокофия Кесарийского. Надо отметить, что географическая номенклатура карты де Витта частично зависит от древних историков и географов.

Юго-восточную часть Мегрелии занимает “Guriel R(egnum)”, т. е. царство Гуриела или Гурийское царство.

В XVI—XVIII веках Гурия являлась княжеством, и ее владельцы назывались князьями (по-груз. «мтавари»). Но были случаи, когда правителей Гурии грузинские и иностранные государи называли царями.

<sup>1</sup> Очерки истории Грузии, IV, Тбилиси, 1973, с. 320—321. (на груз. яз.).



5 мая 1621 года царь Михаил Федорович прислал письмо «Иверской области Гурьельской земли Мануилу царю»<sup>2</sup>. (Это Маmia II, Гуриели, 1600—1625).

В октябре 1618 года царь Теймураз I пишет Российскому государю, что Он, Имеретинский царь Георгий и Даднани состоят в союзе против Персии, «да с ними же стоит на шаха Гурельская земля, а царь в ней Мануило»<sup>3</sup>.

В 1637 году российским послом поручается установить, «где ныне царь Юрий (Имеретинский царь Георгий—Дж. Г.) и царь Мануило (Маmia II, Гуриели—Дж. Г.)»<sup>4</sup>.

Посол Теймураза I игумен Харитон сообщает Российскому посольству, что Гурией правит «Гурельской землей царь Мануило»<sup>5</sup>.

По словам Имеретинского царя Георгия, в 1618 году Гурией правит «Мануило царь»<sup>6</sup>.

В 1618 году Маmia Гуриели отмечает, что «у нас у трех царей (Теймураз I, Имеретинский царь Георгий и Маmia Гуриели—Дж. Г.) и у князя Даднанского и душа одна»<sup>7</sup>.

В связи с «царством Гурии» приведем еще дополнительный материал.

В июне-июле 1615 года в Грузию прибыл предводитель доминиканцев викарий св. отец Паоло Мария Читadini да Фаенца. Он составил о Грузии краткие «Сведения» и представил их папе Римскому Паоло V. В 1621 году эти «Сведения» вышли в Неаполе отдельной брошюрой.

Автор «Сведений» отмечает, что в его времена Грузия делилась на четыре царства. «Восточной Иберией именуемая Грузия, расположена между Каспийскими и Черными морями. Она делится на четыре главных царства. Первое—Загеми (Кахети—Дж. Г.) принадлежит царю Теймуразу; второе—Баши-Ачуку (Имеретинскому царю—Дж. Г.) и расположено между крутыми горами; третье—Даднани, а четвертое—Гуриелу»<sup>8</sup>.

К северу от Имеретинского царства расположена надпись: «Populi Liberi» (свободные народы, племена), которая покрывает территорию трех народов: Alani, Sagaccioli (карачайцы), Sciani (сваны).

В восточной Грузии расположена два царства: Carduel Regn(um) (Картлийское царство) и Zacheti Regn(um) (Кахетинское царство). В Картлийском царстве обозначены два пункта: Teflis (Тбилиси) и Akskuri (Ацкури),—а в Кахетинском царстве Zagam (Дзегами, он же Базари).

К югу от Картлийского царства надпись: Prefect(ura) Kars (Префектура, область Карса), которую покрывает надпись Georgia. В Карской области обозначено несколько пунктов, из которых можно различить Kars, Aruka.

<sup>2</sup> М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770, С-Пб., 1861, с. XXIV—XXV.

<sup>3</sup> М. Полиевктов, Материалы по истории русско-грузинских взаимоотношений, 1615—1640, Тбилиси, 1937, с. 40.

<sup>4</sup> Там же, с. 202.

<sup>5</sup> Там же, с. 40.

<sup>6</sup> Там же, с. 54.

<sup>7</sup> Там же, с. 55.

<sup>8</sup> Цитировано по книге: И. Табагуа, Грузия в архивах и книгохранилищах Европы, т. II, Тбилиси, 1986, с. 58—59 (на груз. яз.).

К северу-востоку от Кахетинского царства надпись: *Tartari Dagestani* (Дагестанские татары или Дагестанские мусульмане).

К юго-востоку от кахетинского царства расположена *Scirwana* (Ширван), в которой обозначены пункты: *Derbent*, *Demircapi*, *Schamachie* (Шемаха). *Bakuze* (Баку).

Каспийское море обозначено следующим оазваниями: *Mare Caspium*, *Gualenskoï More* (русское название), *Diaro Gilan* (персидское название), *Culzum Denghis* (турецкое название). У западною берега Каспийского моря надпись: „*Mare di Baku o di Gurgistan*“ (Море Баку или Гурджистана). Если здесь *Gurgistan* обозначает Грузию, тогда возникает вопрос: не стражена ли на карте та политическая ситуация, когда границы Грузии простирались “от Никопсии (совр. Туапсе — Дж. Г.) до Дарубанда (Дербента — Дж. Г.)“?

К югу от *Шиввана* — две провинции: *Irapa* и *Adirbeigiana*. Они входят в состав Персии.

К юго-западу от *Мергелии*, у Черноморского побережья надпись: *Trapisonda Praef(ectura)* — префектура Трапезунда. К югу от префектуры *Карса* на довольно боольшов территории надпись: *Armenia*. В неё входят префектуры- *Erzerum*, *Wani*, *Diarbekir*, и частично, *Curdistan*. Вокруг территории озера *Вани* надпись: *Turcomania*.

К северу от *Abasia* надпись: *M- Caucasos* (Кавказский хребет) К северу от Кавказского хребта просторная долина имеет надпись “*Tartari Circassi*” — “Черкесские татары” или „черкесы мусульмане“. К северу от них имеется надпись “*Moscovia*“, что должно означать “Московское государство“. К востоку от неё “*Astrachanum regnum*“ (Астраханское царство).

Карта Сансона Франкоязычная (2), Её заглавие гласит: “*Estats de l'Empire du Grand Seigneur des Turcs en Europe, en Asie et en Afrique divise en tous ses Beglarbeglicz, ou Gouvernements ou sont aussi remarques les Estats qui luy sont Tributaires.*

*Dresse sur les plus Nouvelles Relations Parle Sr Sanson, Geographe Ordinaire du Roy.*

*Presente a Monseigneur le dauphin.*

*Par son tres humble, tres Obeissant et tres fidele Scivileur Hubert Jaillot“.*

В русском переводе: «Страны Европы, Азии и Африки, входящие в состав Империи Великого турецкого султана, разделенные на бегларбегства или губернии, вместе с его давниками — государствами, образованные на основе новейших реляций королевским географом господином Сансоном.

Представлен господину дофину (принцу) почтительным, покорным и верным слугой Губертом Жойлотом».

В легенде карты сказано: “*Les Turcs en Europe, en Asie, et en Afrique distingue suivant lestandue de ses Beglarbeglicz au Gouvernements, qui sont dela Romelia, dela Mer, Bude, Temeswar, Bosnie, Kulkadrie, Siwas, Tarabosan, Tchilder, Cars, Erzrum, Alep, Tripoli, Schan, Rika, Diar-*

bekir, Mosul, Scheresul, Bagdet, Bassora, Labsa, Gemen en Asie; Misir et Habeleth en Afrique; et les Etats qui sont en la Protectio Transilvanie, Moldavie, Valaquie, et la Republique de Raguse en Europe; Les estats du cherif de la Mecque du roi de l'Arabie Deserte, en Asie; Les Royaumes d'Alger, Tunis, et Tripoli, en Afrigue.

Dresse sur les Relations les plus Nouvelles; Parle Sr Sanson, Geographe Ord. du Roy<sup>4</sup>.

Русский перевод легенды: «Турки в Европе, Азии и Африке различают, следуя территориальной величине своих бегларбегств или губернй Румелии и моря; Буде, Темешвар, Босния, Кулкадрия, Сиваш, Трапезунд, Чиндир, Карс, Эрзерум, Алепо, Триполи, Шам, Сирия — Дж. Г.), Рика, Диарбекир, Мосуль, Шересуль, Багдад, Басра, Лабеа, Емен в Азии; Миср (Египт — Дж. Г.) и Хабелет в Африке; также государства, находящиеся под ее протекторатом — Трансильвания, Молдавия, Валахия, республика Рагузы (в Югославии? — Дж. Г.) в Европе; Мекский шериф в Аравийской пустыне в Азии; царства Алжира, Туниса, Триполи в Африке.

Составлена на основе новейших реляций королевским географом господином Сансоном<sup>9</sup>.

Над крайней западной частью территории Грузии имеется надпись «Abassa» (видимо, Абхазия). На ее территории обозначен пункт «Eschisumini»(?). Этот пункт точно в такой же форме обозначен на карте де Витта. К востоку от Abassa расположен «Royaume d'Odisci ou Mingreliae» (Царство Одиши или Мегрелия). Прибрежные пункты Мегрелии: Sauatoroli (Сухуми),<sup>9</sup> Anarghia (Анаклия?), Gais (Гали?), Copis (Хоби?), а внутри страны — Armani(?).

Южнее Мегрелии расположен «Royaume de Guriel» (царство ГурIEL или Гурии — Дж. Г.), прибрежные пункты которого «Fasso» (Фазис, Поти) и «Varthi» (Батуми). Гурийское царство охватывает и Аджарию.


К востоку от Мегрелии расположено «Royaume d'Imereti» (Имеретинское царство), в котором два пункта «Cotatus» (Кутаиси) и «Coni» (Хони?). В восточной части Имерети, у Сурамского хребта расположен пункт «Scondidi». Это, видимо, Чкондиди и должен быть расположен значительно западнее, в Мегрелии.

К юго-западу от Гурии расположено «Beglarbeglic de Trabisonde» а к югу «Beglarbeglic de Kars» (Бегларбегства Трапезунда и Карса).

В Восточной Грузии обозначены «Royaume de Carduel» (Картлийское царство) с городом «Teflis» (Тбилиси) и «Royaume de Zacheti» (Кахетинское царство) с городом «Zagan» (Дзегани, Базари).


<sup>9</sup> Во II половине XVI века Севастополь или Сухуми был включен в состав Абхазии и в данном случае карта Сансона не отражает ситуацию II половины XVII века (см. Т. Берадзе, Мегрельское княжество. Грузинская Советская Энциклопедия, т. 8, Тбилиси, 1984, с. 712—714, на груз. яз.).

По сведениям географа начала XIX века С. Броневского, черкессы Абхазию именовали как «Абаза». Тот же автор на Черноморском побережье упоминает топонимы «Дандар» и «Пичунта, Бичунта» (С. Броневский, Новейшая географическая и историческая известия о Кавказе, ч. I, М., 1823, с. 293, 295, 319).



გვ. 1

დკ. წ. გარეაღწა



карта 2

На юго-западе Картлинского царства помещено "Royaume de Baratralu". Если это Сабаратлиано, то оно расположено неверно, и должно было быть помещено в юго-восточной части Картлийского царства.

К северу-востоку от Кахетинского царства—надпись: "Tartares Dagestan" (Дагестанские татары или дагестанские мусульмане).

К востоку от Кахетинского царства до Каспийского моря расположен "Scirwan" с пунктами Derbent, Schabra, Bakuie, Schamachie, Bildih. К югу от Ширвана в Персидской империи обозначены области "Iran" и "Adirheitzen".

К северу-востоку от Имеретинского царства—надпись: "Mont Caucase Opresent Elbours M." (Кавказский хребет, гора (вершина) Эльбруса).

К югу от Картлийского царства—пункт "Eruan" (Ереван). На карте Сансона, в отличие от карты де Витта, вовсе не обозначена Армения.

Большая степь Северного Кавказа обозначена надписью "Cirkaski au Tartares Circasses" (Черкесия или черкесские татары (т. е. мусульмане,—Дж. Г.). Выше нее надпись "Confins des estats du Czar ou Grand Duc de Moscovie" (Границы, пределы Московского царя или Великого князя — Дж. Г.). На востоке от нее надпись: "Royaume d'Astrachan" (Астраханское царство). По этой карте Астраханская земля еще не присоединена к России.

На карте Сансона, как и на карте де Витта, Черное и Каспийское моря обозначены несколькими разноязычными названиями. Для Черного моря: "Mer Noire", "Cara Denisi", "Czorno More", "Mauro Thalassa", "Pont Euxin". Для Каспийского моря: "Mer Caspienne", "Gualenskoï More", "Kul Sum", "Tabristan".

Следует полагать, что карта Сансона опирается на данные карты де Витта. Притом она значительно проще и схематичнее, чем карта де Витта. Эту упрощенность или схематичность можно объяснить спецификой и целенаправленностью карты Сансона. Ведь она была составлена как учебная карта для дофина, чем и обусловлена ее несложность.

Поиски картографических основ, на которые опираются карты де Витта и Сансона, выходят за рамки данной статьи. Однако можно и теперь сказать, что интересующие нас географы для нанесения на свои карты данных о Грузии, использовали компасные карты XIV—XVI веков<sup>10</sup> и карту Мегрелии 1654 года итальянского миссионера Арканджедо Ламберти<sup>11</sup>.

Значение карт де Витта и Сансона в том, что на них отразились представления о политической географии Грузии и Кавказа, которые бытовали в Европе во второй половине XVII в. Как стало ясно из изучения карт, эти представления, в основном, правильно отражали действительность.

<sup>10</sup> См. Ф. Брун, Черноморье, часть II, Одесса, 1880. Факсимиле карты Черного моря II. Вексигги 1318 г. и топографическая таблица.

<sup>11</sup> См. А. Ламберти, Описание Мегрелии. Тб., 1938 (на груз. яз.).

ლიანა კვიციანი

მცირე მენიშვანა ერთი ისტორიული წერილობითი წყაროს  
გაანალიზებისას

ივ. ჯავახიშვილი პირველი იყო, ვინც ვ. ლატიშევის „Scythica et Caucasica“-ში წარმოდგენილი ნაწყვეტების მიხედვით შენიშნა: „თე მის-ტეს (384 წ. ქ. შ.) სიტყვებიდან ჩანს, რომ ელინური სწავლა-განათლები-სათვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩენილა კოლხეთში და ... ქვეყანა ელინური კულტურისა და «მუზათა სადგურად» უქცევია, ისე რომ იმ დროს კოლხებს ელლნთა სადღესასწაულო ყრილობებზედაც კი უსახელებათ თავი რიტო-რიკითა და მჭერმეტყველებით“<sup>1</sup>. ივ. ჯავახიშვილმა მეცნიერულ კვლევას გარ-კვეული მიმართულება მისცა და ჯერ კიდევ 1940 წ. სიმ. ყაუხჩიშვილმა გამო-აქვეყნა ფრიად საყურადღებო სტატია „რიტორიკული განათლების ცენტრი ძველს კოლხეთში“. განთქმული სიბრძნისმეტყველის თემისტიოსის XXVII სიტყვა (oratio) წარმოადგენს წყაროს, რომლის მიხედვითაც დაისვა ფა-ზისის აკადემიის საკითხი. „ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბეში“<sup>2</sup>, ხოლო შემდეგ სიმ. ყაუხჩიშვილის „გეორგიის“ I ტომში<sup>3</sup> გამოქვეყნებულია თემისტიოსის ეს სიტყვა, რომლითაც რიტორი იცავს არასატახტო-ქალაქისეული, ანუ პროვანსული (თავდაპირველი მნიშვნელობით) განათლების პრესტიჟს. სიმ. ყაუხჩიშვილი აცხადებს, რომ „უკვე IV საუკუნის შუაწლებში კოლხეთში, ფოთის მახლობლად, არსებულა რიტორიკული განათ-ლების ცენტრი, სადაც განათლებას ღებულობდნენ ბიზანტიიდან საგანგებოდ მივლინებული ახალგაზრდები“<sup>4</sup>.

IV ს. დასაველი საქართველოს კულტურული აღმავლობის პოლიტი-კურ-სოციალური ძირები მონოგრაფიულად არის შესწავლილი ნ. ლომოურის „ეგრისის სამეფოს ისტორიაში“, ხოლო სპეციალური თავი ეძღვნება ეგრისის სამეფოს კულტურულ განვითარებას და აქ, ბუნებრივია, სიმ. ყაუხჩიშვილის და შ. ნუტუბიძის შრომებზე დაყრდნობით ავტორი ეხება ფაზისთან რიტორი-კული უმაღლესი სკოლის არსებობასაც<sup>5</sup>. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც რიგი მკვლევარი (ედ. ცელერი და სხვ.) განზრახ უყურადღებოდ ტოვებს თემისტიოსის აღზრდას კოლხურ სკოლაში.

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, დასაბუჯდად გააშუადა და ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული მასალით შეავსო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1960, გვ. 274.

2 „სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. X—B, გვ. 337—340.

3 გეორგია (ბიზანტიული წყაროების ცნობები საქართველოს შესახებ), 1, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961, გვ. 50—51.

4 დასახ. „მოამბე“, გვ. 337.

5 ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 109—112.

შ. ნუცუბიძე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „კოლხეთის ასეთი წინსვლა და ინტერესები, უპირველესად ყოვლისა, წარმოდგენს მის ეკონომიურ და საზოგადოებრივ მონაცემთა უკუფენას“<sup>6</sup>. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა ვაჭართა ფენის პრაქტიკული მიზნების სამსახურისათვის უნდა ყოფილიყო დაარსებული (შ. ნუცუბიძე). ეს, რასაკვირველია, არ გამოირცხავს რიტორთა გატაცებას თეორიული, თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხედვით<sup>7</sup>. მათემატიკის ისტორიიდან ცნობილია, დასაბამ პრაქტიკულ გასაზრვას რა რთული ფენომენების ახსნის ინტერესამდე მიჰყავდა არაერთი სწავლული. თემისტიოსის შემთხვევაში ასეთი ინტერესის საგანი არისტოტელეს კონტრირება გამხდარა. სიმ. ყაუხჩიშვილის ფორმულირებით, „როგორც ფილოსოფოსი, თემისტიოსი მოგვიანო პერიპატელოთა ჯგუფს ეკუთვნის“<sup>8</sup>. ხოლო „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში“ ნათქვამია (ოლონდ ეს ნათქვამი უნდა ეხებოდეს თემისტიოსის უკვე კონსტანტინეპოლში ყოფნის პერიოდს): „თემისტიოსის ემჩნევა ის მისწრაფება, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს მთელ ბიზანტიურ ფილოსოფიას: ცდა პლატონიზმისა და არისტოტელიზმის შერწყმისა. ამგვარი ცდა ახლოვებს მას ნეოპლატონიკოსებთან. ნეოპლატონიკური აზრები შენიშნულია მის II და XXXII სიტყვებში“<sup>9</sup>.

თემისტიოსის წერილი პასუხია ყმაწვილისადმი, რომელსაც მისი მეოხებით სურვებია კონსტანტინეპოლში გადასვლა საფუძვლიანი განათლების მისაღებად. თემისტიოსი ცდილა დაერწმუნებინა ყმაწვილი, რომ აღზრდა-განათლებილათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად ისწავლის; იხსენებს რა ოდიხევს, ითაკაზე განსწავლულს, და ნესტორს, პილოსში განათლებამიღებულს, ახალგაზრდას ჰმოდღერის პირადი მაგალითის საფუძველზე: თემისტიოსსაც და მის მამას — ევგენიოსსაც — განათლება მიუღიათ ფაზისის რიტორიკულ უმაღლეს სკოლაში, და არა ელლინთა ქვეყნის რომელსამე უფრო განთქმულ სასწავლებელში.

თემისტიოსის სიტყვის ღირსება სამამულო და უცხოურ მეცნიერებაში გამოწველივით და ფართო სპეკულატიური გადაწყვეტით არის დაფასებული, „გაცრილი ფაქტოლოგიურ სამტკიცში“, როგორც მოითხოვდა სიმ. ყაუხჩიშვილი<sup>10</sup>. კოლხური რიტორიკული სკოლის მნიშვნელობის აღიარება ერთადერთი გზაა ყველასთვის, ვისაც ჰეშმარტება რადმე უღირს.

ჩვენ შევეცდებით ახლებურად წავიკითხოთ თემისტიოსის წერილის ერთი ადგილი, რომელიც ბუნდოვანი დარჩა აქამდე და რომლისათვის ნათელის მოქვენაც კინი მოწაფის მიერ, ღრმად დარწმუნებული ვართ, სიმ. ყაუხჩიშვილს გაახარებდა. საყვლევი ადგილი სიმ. ყაუხჩიშვილის, ასევე შ. ნუცუბიძის მიერ

6 შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, წ. 1; შრომები, VIII, თბ., 1983, გვ. 115.

7 შდრ. იქვე, გვ. 116, სადაც შ. ნუცუბიძე თითქოს უნებურად ელ. ცელოერის გაუღენას განიკდის, და, ამის საპირისპიროდ — იქვე, გვ. 128.

8 სიმ. ყაუხჩიშვილი, გეორგია, 1, გვ. 46.

9 მისივე, ბერძ. ლიტ. ისტ., II, თბ., 1949, გვ. 354.

10 დასახ. „შოამბე“, გვ. 339.



ასკა ამოკითხული: „რიტორიკის ნაყოფნი მოგწყვიტე... არა წყნარსა და ელი-  
ნურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის (v. I. ფასიდის) მახ-  
ლობლად“<sup>11</sup>. დედანში სწერია: „... τὸς ῥητορικοὺς λήγουσ ἀνεμρεπτάμην ἰσὲς ἐν  
ἤμαρ καὶ Ἑλληνι, ἀλλ' ἐν τῇ ἐσχάτῃ τῷ Πόντῳ πλησίον Φάσιδος...“<sup>12</sup>

ქართული თარგმანის ბუნდოვანებას იწვევს ἤμαρ-ის არაზუსტად  
გადმოტანა („წყნარსა“). ეს უზუსტობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და, რო-  
გორც ნ. ლომოური გადმოგვცემს, „ἐν ἡμέρῃ [Χαρπί]“<sup>3</sup>. ბერძენს უთარგმნია  
„ბაღად“, რომელიც პლატონისეულ აკადემიად მოუჩნევია<sup>13</sup>. ჩვენი აზრით, საქ-  
მეს ვერც ეს თარგმანი უშველიდა, რის გამოც ამ ტექსტით დაინტერესებულმა  
ნ. ლომოურმა ახალი ინტერპრეტაცია წარმოადგინა: „აქ უფრო ზუსტი იქნება  
ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობა — «წესიერი, მოწესრიგებული», «კულტურუ-  
ლი»“<sup>14</sup>. ხოლო არც ნ. ლომოურის ინტერპრეტაცია ჩანს მთლად ნათელი.

„ἐν ἡμέρῃ“-ს სწორი გააზრებისათვის გასაღები დღემდე დამარხული აღ-  
მოჩნდა სიმ. ყაუხჩიშვილის „ბიზანტიურ — ქართული დოკუმენტირებული  
ლექსიკონის“ მასალებში, რომლებიც დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერე-  
ბათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინს-  
ტიტუტის ბიზანტილოგიის განყოფილებაში. აქ S. V. ἡμέρας გვითხულობთ:  
1. ნმუღი; 2. მტილისა; 3. subst. ხე შინაური. ეს უკანასკნელი მნიშვნე-  
ლობა დასტურდება ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთას“ ძველი ქართული  
თარგმანის მიხედვით. ბერძნულ დედანში წერია: „στὸ δὲ βῆαν ἔβησ ἡμέρα“...<sup>15</sup>  
შესაბამისად გიორგი მთაწმინდელი წერს: „ხოლო შენ რაჟამს იხილნე ხენი  
შინაურნი“...<sup>16</sup>.

ერთი სიტყვით, თემისტიოსს უთქვამს: „რიტორიკული სიტყვანი მოვის-  
თვლე არა შინაურ, ელლნურ ხეზე, არამედ პონტოს შორეულ ნაპირზე, ფაზი-  
სის მახლობლად“. ჩვენ კიდევ ერთხელ იმის დასაბუთება გვჭირდებოდა, რომ  
სიმ. ყაუხჩიშვილის „ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის“  
მასალები უნიკალურია და ამ ლექსიკონის გამოცემა — დიდად საშური.

<sup>11</sup> სიმ. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, I, გვ. 50. მისივე, ბერძნ. ლიტ. ისტ., II, გვ. 351. შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 120: „რიტორიკული ღირებულმანი მოვიპოვე... არა წყნარსა და ელინურს ადგილას, არამედ პონტოს ნაპირზედ, ფაზისის მახლობლად... როგორც სიმ. ყაუხჩიშვილის შემოხსენებული სტატიიდან (შობაძე, გვ. 339) ჩანს, ამგვარადვე ესმოდა ἡμέρας — ძუჰემაროს ფ. ვილჰელმსაც.

<sup>12</sup> ტექსტი მოგვყავს სიმ. ყაუხჩიშვილის „გეოგრაფიის“ მიხედვით, I, გვ. 50.

<sup>13</sup> ნ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, გვ. 111—112.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 112.

<sup>15</sup> PG, „XIX, ს. 116, სტრიქ. 17—18.

<sup>16</sup> ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გიორგი მთაწმინდელის თარგმანი, ტექსტი გა-  
მოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ., 1947, გვ. 62, სტრიქ. 7.

ლ. ს. კვირიკაშვილი

## КРАТКАЯ ЗАМЕТКА К ОСМЫСЛЕНИЮ ОДНОГО ИСТОРИЧЕСКОГО ПИСЬМЕННОГО ИСТОЧНИКА

Резюме

XXVII «Слово» (Oratio) известного философа Фемистия (IV в.) явилось источником, на основании которого был поставлен вопрос о Фазисской академии. С. Г. Каухчишвили в специальной статье пишет, что «уже в середине IV века в Колхиде, близ Поти, видимо, существовал центр риторического просвещения, куда с особой целью приобрести к науке направлялись юноши из Византии». Фемистий риторически отстаивает престиж образования, полученного вне столичного города, или провансального (в первоначальном смысле). Таким образом, воспитание Фемистия и отца его — Евгения — в Колхской высшей риторической школе, а не в каком-либо более знаменательном училище страны эллинов, приобретает принципиальное значение, которое оценено в фактологических подробностях и которому дано широкое спекулятивное решение в отечественной и зарубежной науке.

В настоящей статье мы постарались прочесть по-новому одно место из письма Фемистия, донныне оставшееся неясным из-за неточного понимания слова ἤμερος. С. Г. Каухчишвили и вслед за ним Ш. И. Нудубидзе вычитывали греческий текст следующим образом: «Я собрал плоды риторики не в тихом и эллинском месте, а в конце (или на берегу) Понта, близ Фазиса (v. l. Фасиды)». Из статьи С. Г. Каухчишвили явствует, что Ф. Вильгельм также понимал ἤμερος как «тихий» («культурный?»). П. А. Берадзе переводил не «в тихом месте», а «в саду», или «на лугу», подразумевая Академию Платона. Новую интерпретацию дал Н. Ю. Ломоури, прочитав ἤμερος как «порядочный, упорядоченный; культурный».

Ключ для правильного осмысления «ἐν ἤμερῳ» кроется в материалах «Византино-грузинского документированного словаря» С. Г. Каухчишвили. s. v. ἤμερος лишь один раз читается «домашнее дерево» (по древнегрузинскому переводу «Шестоднева» Василия Великого).

Итак, фразу оригинала Фемистия «... τοὺς ῥητορικὰς λόγους ἀνεδρεψάμην ὀδῆ ἐν ἤμερῳ καὶ Ἑλληνί, ἀλλ' ἐν τῇ ἐσχάτῃ τοῦ Πόντου πλησίον Φάσιδος»... нужно понять следующим образом: я собрал (сорвал) риторические слова не на родном (буквально: домашнем) эллинском дереве, а на далеком берегу Понта, близ Фасиды». Еще раз подтверждается уникальность материалов «Византино-грузинского документированного словаря» С. Г. Каухчишвили, в связи с чем надо напомнить о неотложности его издания.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
პ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა.

მარინე მიხანდარი

**ძალისის მოზაიკის დათარიღებისა და მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობისათვის**

გვიანანტიკური ხანის საქართველოში მიმდინარე მხატვრული პროცესების თვალგადევნებისა და შესწავლის ამოცანა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამ ეპოქის ხელოვნებას ძირითადად არქეოლოგიური მასალით ვიცნობთ., როგორც ჩანს, ბევრი რამ არის უკვალოდ დაკარგული, ნაწილი შორეული წარსულის ძეგლებისა კი ჯერ კიდევ ელის გამოჩენურებას. ეს არის, ერთი მხრივ, აღმოსავლურ, მეორე მხრივ — ელინისტურ-რომაულ სამყაროსთან შეხების ხანა. ეს არის ხანა, რომლის შესწავლა აუცილებელია არა მხოლოდ ანტიკური ხელოვნების ისტორიის ზოგადი სურათის დასაზუსტებლად, არამედ მნიშვნელოვანწილად — შუა საუკუნეების ხელოვნების გენეზისის საკითხისათვისაც. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნეს ამ შორეული ეპოქიდან ჩვენამდე მოღწეული ხელოვნების ყოველი ნიმუში.

გვიანანტიკური ხანის საქართველოს ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ძეგლად გვესახება მოზაიკური მხატვრობა, გამოვლენილი 1973—75 წლებში ნასტაჯისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი — ალ. ბოხოჩაძე) ქართლში, სოფ. ძალისის მიწაზე<sup>1</sup>.

წინამდებარე წერილის ამოცანას შეადგენს ძალისის მოზაიკური მექულობის მეტ-ნაკლები სისრულით განხილვა, კერძოდ, — სამივე მოზაიკური კომპოზიციის, აბანოს თბილი განყოფილებისა და ეზოს მოზაიკური ფრაგმენტების, რის გარეშეც შეუძლებლად გვესახება როგორც ძეგლის სარწმუნო დათარიღება, ისე მისი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის წარმოჩენა<sup>2</sup>.

ტექნიკით „ბოტუს ტესელატუმ“ შესრულებული მოზაიკა ამკობს პტოლემეოსის მიერ მოხსენიებულ<sup>3</sup> ძალისას ნაქალაქარის ერთ-ერთ არქიტექტურულ კომპლექსს. ყველაზე დიდი დარბაზის (48,6 კვ. მ.) მოზაიკა დიონისესა და მისი წრის გამოსახულებებს ეთმობა, მომდევნო დარბაზის (22,54 კვ. მ.) იატაკის შემონახული ნაწილი ორნამენტული კომპოზიციით არის შემკული, აბანოს ცივი

<sup>1</sup> ძალისის მოზაიკის ძირითადი ნაწილი აღწერა და დაათარიღა (ახ. წ. II ს-ით) ალ. ბოხოჩაძემ. იხ. ალ. ბოხოჩაძე, არქეოლოგიური გათხრები აღიანსა და ძალისში, თბ., 1981. ავტორი შესავალივე აღნიშნავს რომ ძეგლის სახელოვნებათმცოდნეო თვალსაზრისით შესწავლა მომავლის საქმეა ამ კუთხით ძალისის ერთ-ერთი, კერძოდ, ფიგურული კომპოზიცია განხილულია მ. ოდიშელის წერილში „საქართველოში აღმოჩენილი იატაკის მოზაიკების კომპოზიციური ევოლუცია, „საბჭოთა ხელოვნება“, თბ., 1986, № 2, გვ. 140. მოცემულია ერთი დარბაზის მოზაიკის აღწერა, გამოსახულებათა იდენტიფიკაცია, მოტანილია შედარებითი მასალა და მოზაიკა, კერძოდ, დიდი დარბაზისა, დათარიღებულია ახ. წ. III ს-ის შუა წლებით.

<sup>2</sup> როგორც აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში ძალისის ყველა მოზაიკური კომპოზიცია არ ყოფილა განხილული. იხ. ალ. ბოხოჩაძის ა და მ. ოდიშელის დასახ. ნაშრომები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი თვალსაზრისი რამდენადმე განსხვავებულია, რაც ჩვენი, აგრეთვე განსხვავებული საბუთიანობით იქნება გზადგაზა განმტკიცებულ.

<sup>3</sup> „მაცნე“, ისტორიის სერია, 1987, № 2

განყოფილების იატაკის მოზაიკა კი ზღვის არსებებს ასახავს. გარდა ამისა, შემორჩენილია აბანოს თბილი განყოფილებისა და ეზოს მოზაიკის ფრაგმენტები.

დიდი დარბაზის კომპოზიცია ტექტონიკურად არის ორგანიზებული. იგი შედგება ფიგურულ გამოსახულებათა შემცველი სწორკუთხედისა და ცალკეულ სწორკუთხედებში ჩაწერილი ორნამენტული მოზაიკებისაგან.

დიდ ცენტრალურ სწორკუთხედს შიგნით ასტრავალის ორნამენტი შემოსაზღვრავს ჯერისებრი მოხაზულობის არეს, რომლის შუაში, ვაზის ხეების ქვეშ, წარმოდგენილი არიან ტახტზე ნახევრადწამოწოლილი დიონისე და არიანდნე კვერთხებითა და ყანწით, თავს ზევით მათი ვინაობის აღმნიშვნელი ბერძნული წარწერებით. მარჯვნიდან მათ პანი უახლოვდება მწყემსის სალამურით, მარცხნიდან — ფიგურა, რომლის ნაშთიდა არის დარჩენილი. ჩანს, რომ ისიც, პანის მსგავსად, მოსილია მოკლე ტუნიკით, ერთ-ერთი ტერფი ჩლიქით არის შეცვლილი, ხელში მომრგვალებული ჯოხი, ე. წ. პედუმი უჭირავს. ამ იკონოგრაფიულ ნიშანთა ერთობლიობა უეჭველს ხდის გამოსახულის ვინაობას. ეს უნდა იყოს ხატირი<sup>3</sup>.

სარეცლის ქვევით, შუაში, კრატერია გამოსახული, მარჯვნივ კი — ცხოველი, როგორც ჩანს, დიონისეს კულტთან დაკავშირებული ავაზა ან ჯიქი.

ჯერისებრი არეს შიგნით პირველი და მეორე „რეგისტრის“ გამოსახულებებს ერთმანეთისაგან განაცალკევებს ვაზი, რომელიც სხვადასხვა მხარეს იშლება და ცხოველხატულად აჩარჩოებს სამფეხა მაგიდის, ორი კანთაროსისა და ღოჭისაგან შემდგარ ნატურმორტს მარცხნივ და დღესდღეობით თითქმის მთლიანად დაზიანებულ ფიგურას (როგორც ჩანს, ქალისას) — მარჯვნივ.

ჯერისებრი არეს ქვედა მკლავში გამოსახულებები სრულებით აღარ იკითხება. შემორჩა მხოლოდ ბერძნული წარწერის ფრაგმენტი, რომელსაც თ. ყუხჩიშვილი აღადგენს, როგორც „აგლაია ქარიტს“.

ჯერისებრი არეს ზედა ნაწილში კი ორი გრძელსამოსიანი ქალია წარმოდგენილი. ერთს ქნარი უპყრია ხელთ, მეორეს — ორმაგი ფლეიტა. ამ ატრიბუტებით ანტიკურ ხელოვნებაში გამოისახებოდნენ მუზეები და მენადები. ზუსტად იგივე საკრავებით ეხვდებოდათ მენადებს კიოლნის ახ. წ. II ს-ის დიონისეს მოზაიკაში<sup>4</sup>. საგულსხმოა, რომ ძალისის მოზაიკაში ორივე ფიგურა მოძრაობაშია წარმოდგენილი, ერთ-ერთი — თითქოს ცეკვის მომენტში, რაც ესოდენ დამახასიათებელია მენადების იკონოგრაფიისათვის. ამდენად, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ძალისის კომპოზიციაში საპატიო ადგილი ეთმობა მენადებს —

<sup>3</sup> ქ. ჯ. ა. დიოს პტოლემაოსი, „გეოგრაფიის სახელმძღვანელო, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, № 32, თბ., 1955, გვ. 46.

<sup>4</sup> ალ. ბოხოჩაძე არ აზუსტებს, ვის უნდა წარმოადგენდეს ეს გამოსახულება, მხოლოდ აღნიშნავს, რომ მას „არფისმაგვარი საკრავი უნდა სჭეროდ“. ალ. ბოხოჩაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 75. მ. ოდიშელის აზრით, „პანის მოპირდაპირე ფიგურა, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია. მოცეკვავე მენადის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს“ მ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

<sup>5</sup> ალ. ბოხოჩაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78. წარწერის საფუძველზე თ. ყუხჩიშვილი ვარუდობს, რომ აქ ქარიტები უნდა ყოფილიყვნენ გამოსახულნი.

<sup>6</sup> K. Parlasca, Die romischen Mosaiken in Deutschland, Berlin, 1959, taf. 66.

დიონისეს მუღმივე მსლებლებს<sup>7</sup>. ზოლო მათი ერთგვარად მკაცრი იერი გაპირობებული უნდა იყოს კომპოზიციის საზეიმო, რებრეზენტატული ხასიათი<sup>8</sup>.

მენადების ცენტრისკენული მოძრაობით თითქოს ხაზგასმულია თვალსაჩინო ადგილას მოთავსებული ბერძნული წარწერა, რომელიც თ. ყაუხჩიშვილის მიერ არის თარგმნილი: „მოხსენიებულ იქნას პრისკე, რომელმაც ეს გააყეთა“<sup>9</sup>.

ჯერული მოხაზულობით დიდ სწორკუთხედს შიგნით ჩამოჭრილ კუთხის კვადრატულ არეებში წელიწადის დროთა აღვგორიული გამოსახულებანია ჩაწერილი, შესაბამისი ატრიბუტებით: ხილით სავსე მოწეული ლანგრით — შემოდგომა და, თვარჩიანი სინით — ზამთარი, მცენარეული ყლორტებით — გაზაფხული და, თიანთავების კონით ხელში — ზაფხული<sup>10</sup>. სამი მათგანი შიშველ სხეულზე მოსასხამოფარებული, მცენარეული ყლორტებით შემკული თავით, ფრთებით არის წარმოდგენილი, ზამთარი კი მთლიანად მოსასხამშია გახვეული და უფროთა. მოსასხამით ზუსტად ამგვარადვე მთლიანად მოსილი ჭაბუკის<sup>11</sup> სახით ზამთრის განსახიერება გვხვდება ანტიოქიაში, სევერუსთა ხანის (193—235 წ. წ.) „სმაში შეჯიბრის სახლის“ მოზაიკაში<sup>12</sup>. დანარჩენი სამი პერსონიფიკაცია იქ წარმოდგენილია ასევე ფრთოსანი ჭაბუკების სახით. მაგრამ, ძალისისავან განსხვავებით, ანტიოქიის ამ მოზაიკაში ზამთარიც ფრთებითაა გამოსახული. ძალისის მსგავსი არაერთგვაროვნება დამოწმებულია ა. ბლანშეს<sup>13</sup> მიერ რომას ბაქქოსის მოზაიკაში, სადაც წელიწადის დრონი წარმოდგენილი არიან სამი გენიისა და მამაკაცის სახით. როგორც ჩანს, ძალისის მოზაიკაში ზამთრის განსახიერების უფროთად წარმოდგენა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს თითქოს მიწიშნებაა ბუნების მიძინების, დროებით კვდომისა საგაზაფხულო აღორძინებისათვის.

7 მ. ოდიშელი ქალთა ატრიბუტების აღწერისას აღნიშნავს: „ერთს ქნარი უჭირავს, მეორეს კი — გრძელი ჯოხა“, (მ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი., გვ. 143). გაუგებარია მუსიკალური საკრავის გაიგივება ჯოხთან, ისევე, როგორც ალ. ბოხოჩაძისა და მ. ოდიშელის მიერ გამოსახულებების მუშებად მიჩნევა იმის საფუძველზე, რომ „სინი დიონისეს ჭიბებად და თანამგზავრებად იყვნენ მიჩნეულნი“. (მ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი., გვ. 144, ალ. ბოხოჩაძე დასახ. ნაშრომი., გვ. 77). ბერძნული მითოლოგიის თანახმად, მუშები, როგორც წესი, აპოლონის მსლებლები იყვნენ, მენადები კი — დიონისესი. Apollodor, Mythologische Bibliothek, II., 1952, st. 51, 52, New Larousse Encyclopaedia of Mythology, Hamlyn, 1975, p. 118, 157.

8 ასევე მკაცრ გრძელ სამოსში არიან წარმოდგენილნი მენადები ანტიოქიის ბაქქური თიასოსის სახლის (II ს.) და დიონისესა და არიადნეს სახლის (193—235 წ.) მოზაიკებში. D. Levi, Antioch Mosaic Pavements, Princeton, 1947, pl. VII, c., XXVIII, a.

9 ალ. ბოხოჩაძე, დასახ. ნაშრომი., გვ. 77.

10 ალ. ბოხოჩაძე კუთხის ფიგურებში მიწითომქმედებისა და მცენარეულობის დეტალებს და ქურუმს ხედავს, მ. ოდიშელი მათ ახასიათებს, როგორც წელიწადის დროთა პერსონიფიკაციებს (ალ. ბოხოჩაძე, დასახ. ნაშრომი., გვ. 80; მ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი., გვ. 144).


11 როგორც ჩანს, სწორედ ჩამუღლობამ განაპირობა ალ. ბოხოჩაძისა და მ. ოდიშელის მიერ ამ გამოსახულების ქალად მიჩნევა ზევით დასახ. ნაშრომი, იქვე. ზამთრის სახის ნაკვეთები, აღნაგობა მენადების გამოსახულებებთან შედარებით აშკარად მამაკაცურია.

12 D. Levi, დასახ. ნაშრომი., ტაბ. XXXII.

13 A. Blanchet, Étude sur la décoration des édifices de la Gaule Romaine, Paris, 1913, გვ. 72.

წელიწადის დროთა განსახიერებაშიც, მენადების, პანისა და სატირის მსგავსად, ცენტრისკენული მოძრაობით ერთგვარად ამახვილებს ყურადღებას დიონისესა და არიადნეს გამოსახულებებზე. გამოსახულებათა ცენტრისკენ მიმართვა, ამავე დროს, მთელი კომპოზიციის გამაერთიანებელ ხერხად გვევლინება.

მთლიანად კომპოზიციას მკაცრად მოწესრიგებული, სიმეტრიული სახე აქვს, ამავე დროს აქ მარჯვენა და მარცხენა მხარეთა სარკისებური იგივეობაც არ არის. ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად ისიც კმარა, რომ მარცხენა მკლავში წარმოდგენილი ნატურმორტის საპირისპირო მხარეს ფიგურული გამოსახულება იყო მოცემული და ისიც, რომ ვაზის ლერწყების ცხოველბატული ხლართი თავისუფლად ეფინება მთელ ზედაპირს და შემომსახვრეულ ფუნქციასთან ერთად დომინანტური მოტივის სახეს იძენს.



სურ. 1. ძალისის „დიონისესა და არიადნეს დარბაზის“ მოზაიკის სქემა

დიონისესა და არიადნეს დარბაზის მოზაიკას განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მცენარეული ორნამენტები.

მცენარეული ხეივები ნაყოფებითა და ნიღბით, როგორც ჩანს, მთლიანად შემოსაზღვრავდა ცენტრალურ სწორკუთხედს სამხრეთიდან (სქემაზე ზევით). ამ ცხოველმხატვრულ ორნამენტს შესრულების ოსტატობით არ ჩამოუვარდება გრძელ ვიწრო სწორკუთხედებში ჩაწერილი მწვანე ტოტემის ფონზე დადებული ყლორტების ორნამენტი. ჩრდილოეთით ცენტრალურ სწორკუთხედს შემოფარგლავს სამი ორნამენტული პანო(სქემაზე ქვემოთ), გვერდებიდან კი მთელს კომპოზიციას შემოსაზღვრავს ფართო სწორკუთხა ორნამენტული ზოლები ე. წ. „კვადრატების ბაღით“.

ძალისის დიონისესა და არიადნეს დარბაზის მოზაიკა წარმოგვიდგენს საკმაოდ სრულ დიონისურ ციკლს. დიონისესა და არიადნეს გარდა, როგორც ზევით აღინიშნა, აქ გამოსახულნი არიან ამ კულტის სხვა პერსონაჟები: მენადები, თავის თავში სხვადასხვა საწყისთა გამაერთიანებელი, ანტიკურ სამყაროში ძალზე პოპულარული პანი და სატირი. დიონისეს მჭიდროდ უკავშირდება აგრეთვე წელიწადის დროთა განსახიერებანი<sup>14</sup>, არა მხოლოდ როგორც მცენარეულ-



სურ. 2. „დიონისესა და არიადნეს დარბაზი“ დიონისეს, არიადნესა და პანის გამოსახულებები

ბისა და ნაყოფიერების ღმერთს, არამედ — როგორც აღდგომად-აღორძინებად ღვთაებას<sup>15</sup>. წარმავლობის, ცვლილების, მარადიულობაში განგრძობის ბიოკოსმური მულტიფიკაციის აღმნიშვნელ წელიწადის დროთა ფრთოსანი განსახიერებების ხშირ გამოსახვას დიონისური სიუჟეტის შემცველ სარკოფაგებზე

<sup>14</sup> ჯერ კიდევ ა. ბლანშე აღნიშნავდა, რომ „წელიწადის დრონი ხშირად გამოსახებოდა იმ მოზაიკის კუთხეებში, რომლის ცენტრალური არე ბაკოსის გამოსახულებას ეთმობოდა“. A. Blanchet, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

<sup>15</sup> აღინიშნება, ოზირისის, შითრას, ატისის, თამუზის მსგავსად დიონისეს სამგლოვიარო დღესასწაული იმართებოდა შემოდგომაზე, აღდგომისა კი — გაზაფხულზე, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ თავდაპირველად იგი მცენარეულობის მფარველ ღვთაებას წარმოადგენდა.

R. Turcan, Les sarcophages romaines à représentations dionysiaques, P., 1966, გვ. 512.

რ. თერქანი ხსნის აგრეთვე საიქიო ცხოვრების იმედთან კავშირით<sup>16</sup>. სწორედ საიქიოში განგრობობის იმედს უკავშირებს ბ. ბანდინელი დიონისური თემის ფართო გავრცელებას რომაულ ხელოვნებაში და, საერთოდ, სიმბოლურ-რელიგიური ნიშნების მომძლავრებას ახ. წ. II ს-ის მიწურულიდან<sup>17</sup>.

არიადნეს შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის პლუტარქე, აღნიშნავს რა, რომ იყო ორი მინოსი და ორი არიადნე. უფროსი არიადნეს დღეს მხიარუ-



სურ. 3. „დიონისესა და არიადნეს დარბაზი“. სატირის გამოსახულების ფრაგმენტი

ლებითა და თამაშით ზეიმობდნენ, უცროსისადმი მიძღვნილი მსხვერპლშეწირვა კი მწუხარებითა და სევდით იყო შეზავებული<sup>18</sup>. ეს ვერსია უახლოვდება მომეროსის ტრადიციას, რომლის მიხედვით დიონისე აცოცხლებს არტემიდეს იერ მოკლულ არიადნეს<sup>19</sup>, ე. ი. არიადნეც აღორძინებად ღვთაებათა რიგს განექუთვნება<sup>20</sup>.

<sup>16</sup> R. Turcan, დასახ. ნაშრომი, გვ. 596.

<sup>17</sup> B. Bandinelli, Rome, The Late Empire, New York, 1971, გვ. 49.

<sup>18</sup> პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, თბ., 1975, თეზესი.

<sup>19</sup> Гомер, Одиссея, М., 1967, გვ. 548.

<sup>20</sup> ეს კი. რ. თერქანის აზრით, იმის საბუთია, რომ არიადნეც მცენარეულობის მფარველი ძველი ღვთაებაა.



ნაყოფიერებასა და სიუხვეს უკავშირდება გირჩით დაგვირგვინებული კვერთხები, ე. წ. ტირსები, ყანწი არიადნეს ზელო. შემთხვევითი არ არის ვაზის გამოსახულების დომინანტური როლი კომპოზიციაში და ისიც, რომ ამ დარბაზის ყველა ორნამენტი (კვადრატების ბადის გარდა) მცენარეულია ან მცენარეული სახეების შემცველი მაინც<sup>21</sup>.




სურ. 4. „დიონისესა და არიადნეს დარბაზი“  
„დიონისური ნატურმორტი“

დიონისურ იკონოგრაფიას მჭიდროდ უკავშირდება აგრეთვე ჭიქისა თუ ავაზას გამოსახულება, კრატერი და, რაც მთავარია, მთელი ნატურმორტი, რომლის შემადგენლობა უფლებას გვაძლევს იგი „დიონისურ ნატურმორტად“ მოიხსენიოთ. ვაზის გამოსახულების გარდა, აქ ვხედავთ ღვინის დოქსა და სამფეხა

<sup>21</sup> აპოლოდორეს თანახმად, ვაზის აღმოჩენა დიონისეს დამსახურებად ითვლება. Аполл одор, Мифологическая библиотека, Л., 1972, გვ. 52. დიონისეს, როგორც მცენარეულობის და ნაყოფიერების ღმერთს, უკავშირდება მოზაიკის მცენარეული ორნამენტები.

მაგიდაზე მოთავსებულ ღვინით საცხე ორ კანთაროსს, რაც მიგვანიშნებს დიონისეს კულტთან მისტიკურ ზიარებას<sup>22</sup>.

საინტერესოა, რომ ანტიოქიის III ს-ის ფსიქეას ნავის სახლის აგროსისა და ოპორას მოზაიკაში წარმოდგენილია ძალისის მსგავსი მაგიდა ორი კანთაროსით<sup>23</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ძალისის ნატურმორტს ანტიოქიის მოყვანილი ნიმუშებისაგან ბევრი რამ განასხვავებს, კერძოდ, დამოუკიდებელი კომპოზიციური ერთეულის სახით წარმოდგენა, აგრეთვე ვაზისა და ღოქის ორგანული ჩართვა კომპოზიციაში, თვით კანთაროსებიანი მაგიდების ფორმას, ნაწილობრივ ზედხედში მოცემას, დამუშავებას შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ შეიძლება ფიქრი საერთო ნიმუშით სარგებლობაზე<sup>24</sup>. აქვე უნდა აღინიშ-



სურ. 5. გასახდელის მოზაიკის სქემა—რეკონსტრუქცია

ნოს, რომ ძალისის ნატურმორტი ბევრად უფრო ცხოველხატულია მთლიანობაში ანტიოქიის ხსენებულ ნიმუშთან შედარებით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ზევით აღნიშნული მსგავსება სწორედ საერთო ნიმუშით სარგებლობას უფრო ჰგავს, ვიდრე ძალისის ოსტატის მიერ ანტიოქიის ამ კომპოზიციის ნატურმორტის გადმოღებას ან პირიქით. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს კიდევ ერთი მტკიცე საბუთია კავშირისა ძალისსა და ანტიოქიის მოზაიკურ ხელოვნებას შორის. ჩვენთვის ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ ანტიოქიის ფსიქეას ნავის

<sup>22</sup> A. Rainey, *Mosaics in Roman Britain*, Totowa, 1973, გვ. 15.


<sup>23</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი., ტაბ. XLII.

<sup>24</sup> მსგავსება ანტიოქიის ამ ნიმუშთან აღნიშნული აქვს მ. ოდიშელს დროით ტენდენციებთან კავშირში (მ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი., გვ. 146).

სახლის აღნიშნულ მოზაიკურ კომპოზიციაშიც კანთაროსებიანი მაგიდა ნაყოფიერებასა და ნაწილობრივ, დიონისეს თემას უკავშირდება<sup>25</sup>.

დიონისეს უკავშირდება ძალისის მოზაიკის ნაყოფებისა და ნიღბის შემცველი მცენარეული ხეხეები<sup>26</sup>.

დიონისეს შეიძლება დაუკავშირდეს აბანოს ცივი განყოფილების მოზაიკაც<sup>27</sup>, თუმცა მისი ცუდი დაცულობა ართულებს ამ საკითხის დაზუსტებას. ასეა თუ ისე, ეს ის ადგილია, რომელსაც ზედმიწევნით კარგად ესადაგება ესოდენ გავრცელებული ზღვის სამყაროს ამსახველი კომპოზიცია.



სურ. 6. აბანოს ცივი განყოფილების მოზაიკის სქემა

შორეული კავშირის დანახვა დიონისურ თემასთან შეიძლება აგრეთვე აბანოს თბილი განყოფილების მოზაიკის სუროს ხეიბსა და ფარშევანგის ფრაგმენტებში<sup>28</sup>.

მთავარი კი ის არის, რომ დიდი დარბაზის მოზაიკა დიონისური იკონოგრაფიის ცოდნითა და დაცვით არის შესრულებულ. როგორც ზევით იყო ნა-

<sup>25</sup> რადგანაც მაგიდასთან ანტიოქიის ხსენებულ მოზაიკაში წარმოდგენილი არიან ოპორა — ხილის პერსონიფიკაცია, აგროსი — მინდვრის პერსონიფიკაცია და სატირი დიონისური კვერთხით — ტირსით, ლენის ჩამოსხმის კროცესში (D. Levi, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XLII).


<sup>26</sup> მ. ნილსონის დაკვირვებით, ნიღბი უძველესი დროიდან ითვლებოდა დიონისურ სიმბოლოდ, მოგვიანებით კი დაუკავშირდა მას, როგორც თეატრის ღმერთს. ნიღბი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბაკქურ მისტერიებში (M. Nilsson, *The Dionysiac Mysteries of the Hellenistic and Roman Age* Lund, 1957, გვ. 98).

<sup>27</sup> კერძოდ, კალათისა და დელფინის გამოსახულებები.

<sup>28</sup> L. Foucher, *Découvertes archéologiques à Thysdrus en 1961, Tunis, 1962*, გვ. 12, L. Foucher, *La maison de la procession dionysiaque à El Iem, Paris, 1963*, გვ. 124.

ჩვენები, აქ ყოველივე დიონისესთან არის დაკავშირებული, ყველაფერი ხაზს უსვამს მას, როგორც ნაყოფიერების, მცენარეულობის, ღვინის ღვთაებას. კომპოზიციის სხვა ფიგურები თავისი მოძრაობით, შედარებით მცირე მასშტაბში გამოსახვით ყურადღებას ამახვილებენ მთავარ პერსონაჟებზე — დიონისესა და არიადნეზე.

აფრიკის, გერმანიის, გალიის, სირიისა და სხვა ქვეყნების მრავალრიცხოვანი დიონისური მოზაიკებისაგან განსხვავებით, სადაც მეტწილად ან თიასოსი — დინამიკური პროცესთა წარმოდგენილი, ან — ინდოეთის ტრიუმფი, ან კი — დიონისეს მიერ არიადნეს ვალებების სცენა, ძალისის მოზაიკა წარმოდგენითი ხასიათისაა. იგი საზეიმოდ წარმოგვიდგენს დიონისური კულტის მთავარ პირობებს. კომპოზიციის ამგვარი რეპრეზენტატული ხასიათით თითქოს იზრდება თითოეული გამოსახულების მნიშვნელოვანება, ისევე, როგორც მთელი კომპოზიციისა.




სურ. 7. აბანოს თბილი განყოფილების მოზაიკის ფრაგმენტი ფარშევანგის გამოსახულებით

რამ განაპირობა მოცემული სიუჟეტის შერჩევა შემკვეთის მიერ? როგორც განხილვამ აჩვენა, არჩევანი შემთხვევითი ხასიათისა არ უნდა იყოს და მხოლოდ იმიტომ არ აიხსნება, რომ რომაულ სამყაროში, განსაკუთრებით, სევერუსთან ხანაში, დიონისური სიუჟეტი ძალზე პოპულარული იყო. არჩევანი რომ მხოლოდ მოდიოდა ყოფილიყო განაპირობებული, ნაკლებად მოსალოდნელი იქნებოდა ამდენად გათავისებულები, მხატვრულად გააზრებული, შეიძლება ითქვას, მნიშვნელობაა მალელებული სახით გადმოცემა დიონისური სიუჟეტისა. როგორც ჩანს, ეს თემა ახლობელი უნდა ყოფილიყო როგორც შემკვეთის, ისე — შემსრულებლისათვის. საქართველო — მევნახეობის ძველი კერა კარგი წიადავი უნდა ყოფილიყო ნაყოფიერებისა და ვენახის ღმერთის თავყვანის ცემისათვის. მოზაიკაში ბერძნული სახელით აღნიშნულ დიონისეს უფრო ძირძველი, ადგილობრივი ღვთაების ადგილი უნდა დაეჭირა, რომლის არსებობის კვა-

ლი დამოწმებულია ვ. ბარდაველიძის მიერ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში<sup>29</sup>. ნიშანდობლივია ისიც, რომ დიონისური სიუჟეტის თვალსაზრისით ძალისის მოზაიკა გამონაკლისს არ შეადგენს ანტიკური საქართველოს ხელოვნებაში.

ძალისის კომპლექსის სამივე მოზაიკური კომპოზიცია მკაფიოებით, ტექტონიკურობით, ისევე, როგორც ფიგურულ გამოსახულებათა თუ ორნამენტულ მანოთა იკონოგრაფიით უკავშირდება რომის იმპერიის ხანის მოზაიკურ ხელოვნებას. განსხვავებით ელინისტური ხანის იატაკის მოზაიკური მხატვრობისაგან, რომელიც, როგორც წესი, არ იყო გააზრებული სახლის მთლიანი სტრუქტურის შემადგენელ ნაწილად და უფრო შემთხვევითი ორნამენტული შევსების, ხალიჩისებურ ხასიათს ატარებდა, რომის იმპერიის ხანაში ხდება მოზა-




სურ. 8. აბანოს თბილი განყოფილების მოზაიკის ფრაგმენტი სუროს ხეივანით

იკისათვის არქიტექტონიკური ფუნქციის მინიჭება, ფერწერული ორიგინალის მიბაძვის ნაცვლად მოზაიკური ხელოვნების თავისებურებებისა და შესაძლებლობების ათვისება—გამოყენება. ამ რთულ პროცესში ორი ეტაპის გამოკვე-

<sup>29</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 74, 75.

თაა შესაძლებელი<sup>30</sup>. პირველი დაკავშირებულია რომაული ხელოვნების მიერ გვიანკლასიკური და ელინისტური ტრადიციების შეთვისება-გადაზრებასთან, მეორე — თვისობრივად ახალი ნიშნების გამოვლენასთან. რა თქმა უნდა, მოზაიკური ხელოვნების სტილური განვითარება არ იყო სწორხაზოვანი, მაგრამ ძირითადი ტენდენცია გულისხმობს კლასიკური ბერძნულ-ელინისტური ხელოვნების საგნობრივ-ილუზორული, პლასტიკური გამოსახულებებისა და გარემოს შეცვლას დეკორაციულ-სიბრტყობრივი გამოსახულებით, კონტურით, სილუეტით, ფერადოვანი ლაქით. სწორედ ამ პროცესთან, იატაკის მოზაიკის, როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბებასთან არის დაკავ-



სურ. 9. აბანოს თბილი განყოფილების მოზაიკური წარწერის ფრაგმენტი

შირებული მსოფლიო მოზაიკური ხელოვნების აყვავება ახ. წ. II—IV საუკუნეებში. თვისობრივი სიახლე მოზაიკის გააზრებაში მნიშვნელოვანწილად განაპირობა რომაული ხუროთმოძღვრების განვითარებამ. ახალმა არქიტექტურულმა ფორმამ მოითხოვა ახლებური შეფარდება მონომენტურ — დეკორაციული ხელოვნების სხვადასხვა დარგებისა. მთავარი ადგილი დაიკვიდრა ფერწერამ, თბაშორის დეკორმა და მოზაიკამ, როგორც კედლისა თუ იატაკის გლუვი სიბრტყისათვის ყველაზე შესაბამისმა დარგებმა<sup>31</sup>. ახ. წ. III ს-დან რომაულ მოზაიკაში წამყვან ადგილს იჭერს ორნამენტი, თუმცა არც ეს ტენდენცია არის ცალსახა: ელინისტური აღმოსავლეთის ქვენებში ფიგურული კომპოზიციები ბევ-

<sup>30</sup> R. Hinks, Catalogue of the Greek, Etruscan and Roman Paintings and Mosaics in the British Museum, London, 1933, გვ. XLVIII; Попова, [Ваня Тодорова, Римские и раннехристианские мозаики Болгарии, М., 1974, გვ. 2, 3; Kiss A., Roman Mosaics in Hungary, Budapest, 1973, გვ. 64.

<sup>31</sup> Попова, Ваня Тодорова, დასახ. ნაშრომი, იქვე, R. Hinks, დასახ. ნაშრომი, იქვე.

რად უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე — რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციებში<sup>32</sup>.

ძალის მოზაიკა უკავშირდება სწორედ II—IV საუკუნეთა რომაულ ხელოვნებას (ფართო გაგებით) — მოზაიკური ხელოვნების აყვავების ხანას.

ძალის მოზაიკის თარიღისა და მხატვრული ორიენტაციის დასადგენად აუცილებელია სტილური და იკონოგრაფული ორიენტაციის დასადგენად ფიგურულ გამოსახულებებთან ერთად ძალზე მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის მოზაიკის მრავალფეროვანი ორნამენტული სამკაული<sup>33</sup>.

ძალის ფიგურულ გამოსახულებებში იგრძნობა ელონისტური ხელოვნების გამოქაჩილი: მოძრაობა არ არის მოკლებული პლასტიკურობას, ფორმა — ჩრდილ-სინათლით მოდელირებას. მაგრამ ჩრდილ-სინათლის შეფარდება აღარ არის რბილი და ალაგ-ალაგ, მაგალითად, დიონისესა და არიადნეს ფიგურებში, კონტრასტულ ლაქებად, მოცულობის პირობით აღმნიშვნელად გვევლინება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის მხატვრის მთელი ყურადღება გამომსახველობისადმი იყო მიმართული, მაგრამ სახვით საშუალებას აქ პლასტიკური ძეგწვა, მოცულობის გამოვლენა კი არ შეადგენს, არამედ ჩრდილ-სინათლის პირობითი მახვილებით გაცოცხლებული ხაზოვანი ნახატი.

ეს ხაზოვანება თავისებურ დეკორატიულ რიტმს ქმნის სამოსში, რომელიც მუქი და ღია ხაზებით მინიშნებულ ვერტიკალურ ნაკეცებად ეშვება მენადებისა და წელიწადის დროთა აღმნიშვნელ ფიგურებში და მოუსვენარ დენად ნახატს ქმნის დიონისესა და არიადნეს წელს ქვევით. ნაკეცთა მიმართულებისა და მოძრაობის საჩვენებლად ხაზოვან ნახატთან ერთად თვით კენჭების წყობაა გამოყენებული, რომლის მიმართულების ცვლა განსხვავებულ მხატვრულ მთაბეჭდილებას იძლევა. ზოგან, მაგალითად, სახისა და სხეულის დამუშავებისას, მხატვარი ფორმას მიგვანიშნებს არა მხოლოდ კონტურითა და ფერთა პირობითი გრადაციით, არამედ — კენჭების წყობითაც, იყენებს რა მოზაიკის ამ სპეციფიკურ ნიშანს, როგორც ფერმწერი — მონასმს. კენჭების წყობის მხატვრული ეფექტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა არიადნეს მარცხენა ხელის გრაციოზულ მოძრაობაში. არ არის ერთგვაროვანი კონტურის მნიშვნელობაც. თუ ზოგან იგი მცირედ განსხვავდება შემოსაზღვრული ფორმის ძირითადი ტონალობისაგან, სხვაგან მუქ ფერადოვან მახვილად წარმოგვიდგება და პირობითად ჩრდილვას მიგვანიშნებს, რაც ფორმის მეტ-ნაკლებად რეალისტურ წარმოდგენას ემსახურება, მაგრამ თავისთავადობას კონტურული ნახატი ყველგან ინარჩუნებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს სახეთა დამუშავება: ყოველგვარი დეტალიზაცია უკუგდებულა. ძირითადი ნაკეთები მარტივად, განზოგადებულად არის გადმოცემული: მუქი და ღია ფერის ორ-ორი კენჭისაგან შემდგარი მცირე ზომის სწორი ხაზებით მინიშნებულია ბაგეები, კენჭების წყობითა და მუქი კონტურით შემოსაზღვრული ღია ფერით გამოყოფილია ცხვირი, წარბების მუქი ხაზის ქვეშ განსაკუთრებული გამომხატველობით გამოირჩევა თეთ-

<sup>32</sup> D. Levi, Antioch Mosaic Pavements, Princeton, 1947, გვ. 9.

<sup>33</sup> ძველის დათარიღებისათვის ორნამენტული სამკაულის მნიშვნელობის შესახებ რამდენადმე განსხვავებული თვალსაზრისისა მ. ოდიშელი, დიონისესა და არიადნეს დარბაზის გეომეტრიული მოტივების შესახებ იგი აღნიშნავს, რომ „ორნამენტის სქემათა ტიპოლოგიის გამო ისინი ქრონოლოგიურ კრიტერიუმად არ გამოდგება“ (მ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 145).

რი კენჭით აღნიშნულ ბადურასთან დაპირისპირებული მუქი გუგები, შუბლზე ღია ფერის კენჭების რიგით მინიშნებულია განათება. მიუხედავად განზოგადებისა, თითოეული სახე ინდივიდუალურია, სხვაობა იგრძნობა მამაკაცთა და ქალთა სახეებს შორის (ქალთა სახეები უფრო „რბილად“ არის მოდელირებული). მეორე მხრივ, ამგვარი განზოგადება და პირობითობა ერთგვარად აძლიერებს კიდევ სახეთა გამომხატველობას. თვით სახის ტიპი აღმოსავლურია, ფართო ოვალით, დაბალი შუბლით, წარბების სქელი ხაზით. თავი ოდნავ დიდი ჩანს სხეულთან შედარებით — ანატომიური სისწორე კარგავს პირველხარისხოვან მნიშვნელობას, თუმცა უგულვებლყოფილიც არ არის. — ეს კიდევ ერთი მომენტია ექსპრესიულობის გასაძლიერებლად. ამდენად, აქ ადვილი აქვს ანტიკურ — ელინისტური იდეალისა და მისი გამოხატვის ფორმის მნიშვნელოვან გადახალისებას აღმოსავლურ სამყაროსთან ურთიერთობისა და ადგილობრივი ნიადაგის საფუძველზე.

ძალის ფიგურული გამოსახულებები როგორც იერთ, ისე დამუშავების ხასიათით ბევრ საერთოს ამჟღავნებს ევფრატის სირიულ მოზაიკასთან მას უდიდებლად. საერთოა აგრეთვე გამოსახულებათა განყენებულ ფონზე წარმოდგენა და სირიული მოზაიკის ე. წ. „ფერწერული ჩარჩო“, რომელსაც ვხედავთ აგრეთვე ძალისის დელფინის მოზაიკაში. წარწერის წყალობით ევფრატის მოზაიკა უსუსტად თარიღდება 228 წლით<sup>34</sup> და ამდენად, სარწმუნო პარალელად გვესახება ძალისის მოზაიკის დათარიღებისათვის.

ჩრდილ-სინათლის ლაქათა კონტრასტულობა, გამოსახულებათა მზერის აქცენტირება მუქი გუგების ბადურასთან დაპირისპირებით, დიონისესა და არიადნეს მოსასხამთა მოუსვენარი მოხაზულობა, რეალური შეფარდების დარღვევა მთავარის ხაზგასასმელად — ყოველივე ერთად სევერუსთა ხანას უკავშირდება. ამ დროის მოზაიკური ხელივნება ჯერ კიდევ დამოკიდებულია წინამორბედი ხანის ტექნიკურ ხერხებზე, მაგრამ, როგორც დ. ლევი აღნიშნავს, მათ გამომსახველობის გასაძლიერებლად იყენებს<sup>35</sup>. იგივე პროცესი შეიმჩნევა ამ ტიპის ქანდაკებაში<sup>36</sup>. განსხვავებით წინამორბედი ხანის მოზაიკის ურთიერთგადაჯაჭვული სხეულების, სივრცეში განვითარებული ქმედებისა და ფიგურათა მოცულობითობისაგან, სევერუსთა ხანის მოზაიკაში ყველაფერი სიბრტყეზე ვითარდება. სხეულისადმი ინტერესი კარგავს პირველხარისხოვან მნიშვნელობას, ფორმა ფერისა და სინათლის ფართო ლაქებით განისაზღვრება<sup>37</sup>. სწორედ ეს ტენდენცია, რომელიც ითვალისწინებს იატაკის ზედაპირის სიბრტყეს, მოზაიკის სპეციფიკას, აისახა ძალისის მოზაიკაშიც.

განყენებული ფონი, დაცემულ ჩრდილთა და ნიადაგის ზოლის პირობითად აღნიშვნა, ვაზის გამოსახულება, რომელიც დეკორაციული ელემენტის ხასიათს ატარებს, ასევე III ს-ის პირველი ნახევრის მოზაიკისათვის არის დამახასიათებელი<sup>38</sup>.

<sup>34</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი, გვ. 540.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 545.

<sup>36</sup> R. Turcan, დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

<sup>37</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი, გვ. 546.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 546.



მცენარეული ხეივებით შედგენილი არშიები აღმოსავლეთის მოზაიკურ ხელოვნებას უკავშირდება<sup>39</sup>, სადაც ელინისტურმა ტრადიციამ დიდხანს შეინარჩუნა სიკოცხლისუნარიანობა. მართლაც, ძალისის ეს ორნამენტი საერთოს ამჟღავნებს ანტიოქიის, კილიკიის მცენარეულ არშიებთან<sup>40</sup>. იგივე მოტივი სპირალური ხეივებისა, როგორც წესი, სქემატურ, თითქმის გეომეტრიულ სახეს იძენს რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციების (მაგ.: გერმანიის, ბრიტანეთის) I—IV საუკუნეების მოზაიკაში<sup>41</sup>. ძალისის ამ ორნამენტში იგრძნობა ყლორტებისა და ფოთლების ბუნებრივი მოძრაობა, რომელიც ელინისტური ხანის ამგვარი არშიების ხიბლს შეადგენს, მაგრამ დაკარგულია მათთვის დამახასიათებელი მოცულობითობა, რეფლექსებისა და შუქ-ჩრდილის ცხოველხატული თამაში, შეზღუდულია პალიტრა, თუმცა ზოგიერთი ფერი მაინც ნიუანსირებულია. ძალისის ხეივების ორნამენტი ანტიოქიის II ს-ის მცენარეულ არშიებთან შედარებითაც უფრო თავშეკავებულია, მაგრამ მასში არ არის ის სიმშრალე, რომელიც ხშირად იგრძნობა III ს-ის მეორე ნახევრისა და IV ს-ის მსგავს მოტივში<sup>42</sup>.

მცენარეულ ხეივებში ნიღბების ჩართვა უკავშირდება როგორც ელინისტურ ტრადიციას, ისე — რომაულ არქიტექტურულ დეკორს<sup>43</sup>. ნიღბები, როგორც მომჩარჩოებელი არშის შემადგენელი ელემენტი, განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ანტიოქიის მოზაიკაში.

ძალისის ნიღბაში იგრძნობა ელინისტური ხელოვნების გამოძახილი: სახის სწორი ნაკვთები, შუქ-ჩრდილით მოდელირება. მაგრამ ოდნავ დამძიმებული ფორმა, ისევე, როგორც სახეზე დადებული ღია ლაქების კონტრასტულობა, მიგვანიშნებს მის შესრულებას არაუადრეს II ს-ის მიწურულისა. ძალისის მსგავსი ნიღბები ჩართულია ანტიოქიის სევერუსთა ხანის (193—235 წწ.) „ვახშმის სახლის“ ქვედა ფენის ნარცისის მოზაიკის შემომსახდრელ არშიაში<sup>44</sup>.

ასტრავალი, როგორც მოზაიკის ორნამენტული სახე, გვხვდება ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში, დელოსის ძვ. წ. II ს-ის რამდენსამე მოზაიკაში. მაგრამ ძალისთან შედარებით იგი ბევრად უფრო მოცულობითი და ცხოველხატულია. ძალისის მოზაიკის ასტრავალი სქემატური ორნაწილიანი შეფერვით გვიანანტიკურ ხანას უკავშირდება. ზუსტად ძალისისამგვარი სახით, ნუშისებრი დეტალის ნანევართა ანალოგიური შეფერვით გვხვდება ასტრავალი ტუნისის III ს-

<sup>39</sup> A. Kiss, *Roman Mosaics in Hungary*, Budapest, 1973, გვ. 50.

<sup>40</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი., ტაბ. I, XXIII, LVII., L. Budde, *Antike Mosaiken in Kilikien*, Bd II, *Die heidnischen Mosaiken in Misis—Mopsuestia*, Cop., 1972, taf. 161.

<sup>41</sup> შედარეთ: Kl. Parlasca, *Die romischen Mosaiken in Deutschland*, Berlin, 1959, taf. 66; B. Cunliffe, *Fishbourne*, London, 1974, pl. 17; H. Stern, *Recueil, général des mosaïques de la Gaule*, Paris, 1957, pl. XXI.

<sup>42</sup> სხვაობა თავს იჩენს, მაგალითად, ძალისის არშის კვიროსის დიონისეს სახლის III ს-ის მიწურულის მცენარეულ ხეივებთან შედარებისას. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსია საერთო მოხაზულობა, ნაყოფებისა და ნიღბის ჩართვა, კვიროსის მცენარეული მოზაიკური არშია უფრო მშრალ, სქემატურ ხასიათს ატარებს. იხ: Nicolau, *Kyriakos, The Mosaics at Kato Paphos, The House of Dionysos*, Nicosia, 1963, pl. Xd.

<sup>43</sup> Ph. Bruneau, *Exploration archéologique de Delos...* Paris, 1972, გვ. 59., G. Akerström—Hougen, *The Calendar and Hunting Mosaics of the Villa of the Falconer in Argos*, Stockholm, 1974, გვ. 64.

<sup>44</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი., ტაბ. XXIII.

ის ნებტუნის მოზაიკაში, ასევე ტუნისში, — სევერუსთა ხანის დიონისეს მოზაიკაში, რომლის ვაზის გამოსახულებასთანაც ბევრი აქვს ძალის საერთო<sup>45</sup>. სირიასა და სხვა ქვეყნებში ეს შედარებით იშვიათი ორნამენტული სახეა მოზაიკისათვის, მაშინ, როცა ხელოვნების სხვა დარგებში ფართოდ არის გავრცელებული.

ურთიერთგადამკვეთი რვაკუთხედების ორნამენტი, რომელიც გვერდით კვადრატულ პანოებს ავსებს ძალისის დიდი დარბაზის მოზაიკაში (სქემაზე ქვევით), ძალზე გავრცელებულია რომაულ მოზაიკაში<sup>46</sup>. ნიზანდობლივია, რომ ძალისის ამ გეომეტრიული ორნამენტის შემავსებლის სახით სტილიზებული მცენარეული სახეა გამოყენებული (ღაზიანების გამო იგი ძალიან ცუდად ჩანს). გეომეტრიული და მცენარეული მოტივის ერთობლიობის განსაკუთრებით საინტერესო მაგალითია ჩრდილოეთის შუა წაგრძელებული პანოს ორნამენტული კომპოზიცია კუთხით დაყენებული კვადრატებით, სამკუთხედებით, სუროს ყლორტებით, ვარდულებითა და პალმეტებით. გეომეტრიულ ორნამენტებში მცენარეული სახეების ჩართვა სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებულია ადრიანეს ეპოქიდან<sup>47</sup>. მოზაიკის ორნამენტული რეპერტუარი განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას აღწევს სევერუსთა ხანაში, რაც კარგად აისახა ძალისის გასახლების ორნამენტულ კომპოზიციაში.

კვადრატების ბადის ორნამენტში ა. სტერნი დამუშავების ორ განსხვავებულ ხერხს არჩევს და მიიჩნევს მას იმ ერთ — ერთ უიშვიათეს ორნამენტად, რომლის ორი სახეცვლილებიდან ერთს უპირატესობა ენიჭებოდა ლათინურ, ე. ი. დასავლურ მეორეს კი — ბერძნულ, ანუ აღმოსავლურ სამყაროში<sup>48</sup>. ძალისში გვაქვს მეორე, ე. ი. აღმოსავლრი ტიპი ამ ორნამენტისა, რომელიც ძალიან ხშირად გვხვდება ანტიოქიაში. როგორც დ. ლევი აღნიშნავს, კვადრატების ბადის ამ ტიპის ორნამენტი წამყვან როლს ასრულებდა ანტიოქიისა და მთლიანად აღმოსავლეთის მოზაიკის დეკორაციულ სისტემაში. ნიზანდობლივია, რომ ზუსტად ძალისის ანალოგიური სახით, რვა რომბით შედგენილი კვადრატის გვერდით, საფეხურაინი რომბებით შუაში, ეს ორნამენტი გვხვდება ანტიოქიის სევერუსთა ხანის „იფიგენიის სახლსა“ და ამავე დროს „სმაში შეჯიბრის სახლის“ მოზაიკაში. ამავე სახით არის წარმოდგენილი კვადრატების ბა-

<sup>45</sup> L. Foucher, Découvertes archéologiques à Thysdrus en 1960, Tunis, 1961, pl. XX.

<sup>46</sup> M. E. Blake, The Pavements of the Roman Buildings of the Republic and Early Empire, „Memoirs of the American Academy in Rome“, 1930, გვ. 101. დ. ლევი დაკვირვებით, ურთიერთგადამკვეთი ოქტოგონების ორნამენტი II ს-ის მეორე ნახევრიდან ანტიოქიის მოზაიკის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ, „მონოტონურ“ მოტივად იქცა. D. Levi, დასახ. ნაშრომი, გვ. 390.

<sup>47</sup> G. Marinelli, Les mosaïques chrétiennes des églises de Rome III—IV siècles, Rome, 1966, p. 26., D. Levi, დასახ. ნაშრომი, გვ. 393., A. Kiss, დასახ. ნაშრომი, გვ. 53. დაუსაბუთებლად გვესახება მ. ოდიშელის მტკიცება: „მცენარეული ორნამენტის სიკვარბე და მისი მოტივის შექრა გეომეტრიულ ნახატში გვიანი პერიოდის ძველების ერთ-ერთი ნიშანია“, მ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

<sup>48</sup> H. Stern, Les mosaïques des maisons d'Achille et de Cassiopée à Palmyre, p., 1977, გვ. 28.

დის ორნამენტი ესკუსის III ს-ის პირველი ათწლეულებით დათარიღებულ მოზაიკაში ბულგარეთიდან<sup>49</sup>.

ამრიგად, კვადრატების ბადის ორნამენტი — ეს თითქოს ნაკლებად მნიშვნელოვანი და ნაკლებ მხატვრული დეტალი კომპოზიციისა კიდევ ერთი საბუთია ძალისის მოზაიკის დათარიღებისათვის III ს-ის პირველი ნახევრით და რომაული აღმოსავლეთის მოზაიკურ ხელოვნებასთან მისი მიახლოვისა.

ძალისის მოზაიკის დათარიღებისათვის ძალზე მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის გადასახდელის ორნამენტული კომპოზიცია, აწყობილი დაახლ. 0,8 სმ×0,8 სმ ზომის ფერადი კენჭებით. მსგავსად დიდი დარბაზის მოზაიკისა, ეს კომპოზიციაც მწყობრი, ერთიანი ხასიათისაა, რასაც ხელს უწყობს თითოეული პანოსა და მთლიანად კომპოზიციის შემოფარგვლა საფეხურიანი კვადრატებით შედგენილი ორნამენტული არშიით, მოპირდაპირე მხარეებში ერთი და იმავე ორნამენტული მონახაზის შემცველი პანოების განთავსება (შემავსებელი მოტივებისა და ფერთა სახეცვლით) და ფერთა ერთიანი სადაფისებური ქდერადობა. პანოთა განთავსების ზუსტად ამგვარსავე კომპოზიციურ სქემას ვხვდებით ანტიოქიის ორ მოზაიკაში. ერთია II ს-ის „წითელი მოხატულობის სახლის“ ანდრომაქესა და ასტიანაქსის ოთახის მოზაიკა, მეორე — 235—312 წლებით დათარიღებული „ფსიქეს ნავის სახლის“ პირველი ოთახის კომპოზიცია<sup>50</sup>. ცალკეულ პანოთა გამაერთიანებელი რიტმით ძალისის აპოდიტიერიუმის მოზაიკურ კომპოზიცია მეტ სავრთოს ამყდავენებს ანტიოქიის II ს-ის დასახლებულ ნიმუშთან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქრონოლოგიურად იგი ანტიოქიის ამ ორ მოყვანილ მოზაიკას შორის უნდა თავსდებოდეს. საუბლისხმაოა, რომ ანტიოქიის გარდა ამგვარ კომპოზიციურ სქემას ჩვენთვის ცნობილ მოზაიკურ ძეგლებზე არ შევხვდრვიართ.

განსხვავებით ურთიერთგადამკვეთი წრეების ორნამენტისაგან, რომელიც, I ს-დან დაწყებული, საუკუნეთა მანძილზე ფართოდ გავრცელებული სახეა რომაული მოზაიკისა (თუმცა ანტიოქიაში უმთავრესად II ს-დან ვხვდებმა), გადასახდელის დანარჩენი სამი ორნამენტული კომპოზიცია ძალზე მნიშვნელოვანია ძეგლის დათარიღებისათვის.

ძალისის ვარსკვლავების ორნამენტი რომაული მოზაიკის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ორნამენტული სახეა, რომლის წარმომავლობას ზოგიერთი მკვლევარი რომაული ჭერის დეკორს უკავშირებს<sup>51</sup>. ვარსკვლავების ორნამენტის პოპულარობას მ. ბლეიქი ხსნის იმით, რომ იგი თავის ცალკეულ ნაწილთა ვარიანტების თითქმის განუსაზღვრელ შესაძლებლობას იძლევა<sup>52</sup>. სწორედ ეს სახეცვლა შემავსებელი მოტივებისა ანგარიშვასაწევი გარემოებაა მოზაიკის დათარიღებისას.

ძალისის ვარსკვლავების ორნამენტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მცირე ზომის პანოს ქმნის და ისე არის მრავალჯერადი მოჩარჩოებით შემოფარგლული, რომ კადრში მთელი ვარსკლავი ხვდება, დიდი კვადრატები კი შუაზეა გაჭრილი და წავრძელებულ მართკუთხედებს ქმნის. ძალისას ამ ორნამენტს გამოარჩევს შემავსებელ ფიგურათა შესაბამისობა: სამკუთხა, კვადრა-

<sup>49</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი, გვ. 375, ტაბ. XXI, b., XXXI, Т. Иванов, Римска мозаика от Ульпия Экус, София, 1954, таб. VII.

<sup>50</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი, სურ. 28, ტაბ. XXXV.

<sup>51</sup> K. Ronczewski, Gewölbenschmuck im römischen Altertum, Berlin, 1903, გვ. 133.

<sup>52</sup> M. Blake, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

ტული და მართკუთხა არეები შეესებებოდა სამკუთხედებით, კვადრატებით, ამ ფიგურათა კომბინაციით. გამოსახა რა ფართოდ გავრცელებული ორნამენტი, ძალისის მხატვარი შემავსებელ ფიგურათა შერჩევისა და ცვლისას გამოდიოდა თვით ორნამენტის ხასიათიდან, იაზრებდა მას, როგორც ერთ ორგანულ მთლიანობას. ძალისის ამ ორნამენტის მხატვრული ღირსება, ხაზოვანი რიტმის სიმწყობრე განსაკუთრებით ნათლად იკვეთება საქართველოშივე აღმოჩენილ შუხუთის მოზაიკის ვარსკვლავების ორნამენტთან შედარებისას<sup>53</sup>. შუხუთში დარღვეულია ორნამენტის შემადგენელ ნაწილთა სიმწყობრე და სისწორე, ვარსკვლავების ნახატი გაწყვეტილია შენობის კედლით. სხვაობა უნდა აიხსნას როგორც შემსრულებელთა ოსტატობის განსხვავებული დონით, ისე — დროითი ფაქტორით (შუხუთის მოზაიკა IV—V საუკუნეებით არის დათარიღებული)<sup>54</sup>.

ნიშანდობლივია, რომ ძალისის ამ ორნამენტის კუთხეების შევსება იზომეტრიული პარალელებიანებით ჩვენთვის ცნობილი მაგალითებიდან გვხვდება მხოლოდ ანტიოქიის სევერუსთა ხანის „დიონისესა და არიადნეს სახლის“ ვარსკვლავების ორნამენტის კუთხის კვადრატებში. ანტიოქიის ამ ნიმუშზე სამკუთხედებიც, ძალისის მსგავსად, სამკუთხედებითვე არის შევსებული, მხოლოდ მართკუთხედებშია სხვა ორნამენტი ჩაწერილი. პარალელებიანებები გამოიყენება აგრეთვე ანტიოქიის სევერუსთა ხანის „სამში შეჯიბრის სახლის“ ვარსკვლავების ორნამენტის შემავსებელ მოტივად, მაგრამ ამჯერად, — სამ-სამი. ანტიოქიის ვარსკვლავების ორნამენტთან ძალისის ამ ორნამენტს აკავშირებს აგრეთვე რომბების შევსება კონტურისაგან განსხვავებული, უფრო ღია ფერებით<sup>55</sup>.

პარალელებიანებების, ანუ „პერსპექტიული კუბების“ ორნამენტი, როგორც მას ა. კისი უწოდებს, მისივე განსაზღვრით ვრცელდება სევერუსთა ხანაში, ე. ი. ახ. წ. II ს-ის ბოლოდან, თუმცა ანტიოქიაში იგი ოდნავ უფრო ადრე, — II ს-ის მეორე ნახევრიდან გვხვდება<sup>56</sup>. საგულისხმოა, რომ ანტიოქიაში ეს ძველი ელინისტური მოტივი იქცევა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შემოსაზღვრულ ორნამენტად. შემავსებელი ორნამენტის სახით კი ანტიოქიაში იგი გვხვდება მხოლოდ II ს-ის მეორე ნახევარსა და მესამე საუკუნის პირველ ათწლეულებში.

ძალისის გასაზღვრის სამხ — აღმ. და ჩრდ — დას. კუთხის პანოების მსგავს ორნამენტულ კომპოზიციას კვადრატულ არეში ჩაწერილი ორი 45 გრადუსით წანაცვლებული ურთიერთგადამკვეთი კვადრატითა და ამ გადაკვეთით მიღებულ რვაკუთხედში ჩახაზული ვარდულით ვხვდებით ანტიოქიის ერთ-ერთ, 235—312 წლებით დათარიღებულ მოზაიკაში<sup>57</sup>. მხოლოდ ძალისისაგან განსხვავებით, აქ არის რვა და არა თექვსმეტფურცლიანი ვარდულა, რომელიც ძალისის ფაქიზ ორნამენტთან შედარებით უფრო მშრალ, სქემატურ შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც გვაფირებინებს, რომ ძალისის ორნამენტი უფრო ადრე-

53 პ. ზაქარია, ვ. ლექვიანიძე, არქეოლოგიური გათხრები შუხუთში. „მაცნე“, ისტორიის სერია, № 1, თბ., 1966.

54 იქვე, გვ. 129.

55 D. Levi, დასახ. ნაშრომი, ტბ. XXVII, XXX.

56 A. Kiss, დასახ. ნაშრომი, გვ. 58., D. Levi, დასახ. ნაშრომი, გვ. 375.

57 D. Levi, დასახ. ნაშრომი, ტბ. XLVIII d.

ულია. ნიშანდობლივია, რომ ანტიოქიაშიც ეს ორნამენტი კუთხის კვადრატულ პანოს აგნებს. წრეში ჩაწერილი თორმეტფურცლიანი ვარდულები გვხვდება უნგრეთის სევერუსთა ხანის მოზაიკურ დეკორშიც<sup>58</sup>, მაგრამ პანოს მთელი კომპოზიცია, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ანტიოქიის მოყვანილ ნიმუშთან პოვებს მსგავსებას.

გასახდელის კუთხის პანოების ორნამენტი ექვსი წრის რკალით ცენტრალური წრის გარშემო ჩვენთვის ცნობილი მაგალითებიდან აგრეთვე მხოლოდ ანტიოქიაში გვხვდება, კერძოდ, სევერუსთა ხანის „სმავი შეჯიბრების სახლში“, ვარსკვლავების ორნამენტის დიდი კვადრატების შემავსებლის სახით<sup>59</sup>.

ამდენად, გასახდელის მთელი ორნამენტული კომპოზიციისა და ცალკეული ორნამენტების შედარებითი განხილვა განამტკიცებს ძალისის მოზაიკის შესრულების თარიღს — III ს-ის პირველ ნახევარს და მიგვანიშნებს მის მჭიდრო კავშირს ანტიოქიის მოზაიკურ ხელოვნებასთან.

ამ მწრივ არანაკლებ საეულისხმოდ მასალას გვაწვდის აბანოს ცივი განყოფილების იატაკის მოზაიკა.

თევზების, ნიჟარის, კალათის, დელფინის გამოსახულება აქაც განყენებულ მონაცისფრო-ცისფერ ფონზეა წარმოდგენილი, რაც ესოდენ დამახასიათებელია III ს-ის მოზაიკისთვის. დელფინის ექსპრესიული ფრაგმენტი, ნიჟარის ცხოველხატული დამუშავება, თევზების პლასტიური სილუეტი ერთი მხრივ, საერთოს ამყვანებს ელინისტურ ხელოვნებასთან. მეორე მხრივ, კართაგენის I—II საუკუნეების მოზაიკის თევზთა ცხოველხატულ, თითქოს მფეთქავ გამოსახულებებთან შედარებისას თავს იჩენს თავშეკავება, ერთგვარი ზომიერება ზღვის არსებთან ძალისას დამუშავებაში. საინტერესოა ამ მოზაიკის შედარება გარნის აბანოს დელფინისა და თევზების გამოსახულებებთან, რომლებიც ბევრად უფრო მშრალ, სქემატურ, რეალობისაგან მოწყვეტილ ხასიათს ატარებს, რაც შესრულების უფრო გვიანდელი თარიღის — III ს-ის მეორე ნახევარის<sup>60</sup> მიმანიშნებელია (გასათვალისწინებელია აგრეთვე ადგილობრივი თავისებურებები). ძალისას ზღვის ამსახველი მოზაიკა უფრო ადრე, III ს-ის პირველ ნახევარში უნდა იყოს შესრულებული. მოზაიკის მდიდარი ფერადოვნებაც, ესოდენ დამახასიათებელი მარინული სიუჟეტისათვის სევერუსთა ხანაში, ამ თარიღის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს.

აბანოს ცივი განყოფილების მოზაიკის ორნამენტული არშია სამი ნაწილისაგან შედგება.

კუთხეებში ურთიერთგადამკვეთ სადა მუქ ვიწრო ზოლებს დ. ლევი მიიჩნევს ფერწერული ნამუშევრების რეალური ჩარჩოების აშკარა იმიტაციად. მოზაიკურ მხატვრობაში ამგვარი ჩარჩოების გაცეცლება დამახასიათებელია ანტიოქიისათვის, თუმცა ასეთი ჩარჩოს რამდენიმე მაგალითი ანტიოქიის ფარგლებს გარეთაც არის დამოწმებული. საეულისხმოა, რომ ე. წ. „ფერწერული ჩარჩო“ ძალისას ფრიგდარიუმის მოზაიკის მსგავსად, შემოსაზღვრავს 228 წლით დათა-

<sup>58</sup> A. Kiss, დასახ. ნაშრომი., ტაბ. XI.  
<sup>59</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი., ტაბ. XXX, გვ. 396.  
<sup>60</sup> Б. И. Аракелян, Мозаика из Гарни, ВДИ, 1956, № 1.

კრიტიკულ სირიულ მოზაიკას მას უდიჯედან, რომლის ფიგურულ გამოსახულებებთან ძალისას გამოსახულებათა კავშირი ზევით იყო აღნიშნული<sup>61</sup>.

დელფინის მოზაიკის მოჩარჩოების შემდეგ ელემენტს ძალისში ქმნის ე.წ. ცისარტყელასებური სტილით შესრულებული ზოლები. ეს არის გარდამავალი ფერის კენჭების რამდენიმე რიგით შედგენილი ზოლი. დ. ლევი ამ ორნამენტის შემუშავებას ანტიოქიის მოზაიკური ხელოვნების დამსახურებად მიიჩნევს, თუმცა ცისარტყელასებური სტილის რამდენიმე ნიმუშს ასახელებს ანტიოქიის ფარგლებს გარეთაც, მაგალითად, ტირის III ს-ის პირველი ნახევრის დიონისეს მოზაიკას<sup>62</sup>. ამ ორნამენტის შემუშავება ანტიოქიაში ხდება II ს-ის მიწურულს — III ს-ის დასაწყისში. ამდენად, ამ დროით უნდა განისაზღვროს ძალისის მოზაიკის დათარიღების ქვედა ზღვარი, სტილურად ძალისის ორნამენტი III საუკუნეს უკავშირდება, უფრო ზუსტად კი — III საუკუნის პირველ ნახევარს.

ელისისტერი წარმომავლობის დაფნის ფოთლების ორნამენტი, რომელიც ძალისის დელფინის მოზაიკის ორნამენტული არშიის მესამე ნაწილს შეადგენს, ასევე ფართოდ გავრცელებული ჩანს სწორედ ანტიოქიის მოზაიკურ ხელოვნებაში. სხვაგან ეს ორნამენტი ჩვენთვის ცნობილ მასალაში არ შეგვხვებდრია. ნიშანდობლივია, რომ ანტიოქიაში ეს ორნამენტი ძირითადად სევერუსთა ხანის ძეგლებზე გვხვდება. იშვიათად — უფრო გვიან, ანტიოქიის მოზაიკაშიც ადგილი აქვს დაფნის ორნამენტის ცალკეულ დეტალთა სახეცვლას. ძალისის მოზაიკის ამ ორნამენტის ზუსტ ანალოგს შეადგენს სევერუსთა ხანის იფიგენიას სახლის ზედა ფენის დაფნის ორნამენტი, სადაც იმავე ცოცხალი მოძრაობით არის აღბეჭდილი მტვრიანები, იგივე გადაბმით არის დაკავშირებული ფოთლები. ანტიოქიის სხვა ძეგლებში, რომლებიც ასევე სევერუსთა ხანისაა, მაგრამ ქრონოლოგიურად „იფიგენიას სახლის“ შემდეგ თავსდება, მაგალითად, „დიონისესა და არიადნეს სახლის“ ანალოგიურ ორნამენტში ისეთ სახეცვლილებებს აქვს ადგილი, რომლებიც ძალისისაგან განსხვავებულ იერს სძენს ორნამენტს — ფოთლების გამსხვილებას, ნახატის გაუხეშებას, ერთგვარ სიტლანქესაც კი. დ. ლევის დაკვირვებით, დაფნის ორნამენტი მოჩარჩოების დომინანტურ მოტივად იქცა სწორედ „იფიგენიას სახლის“ მოზაიკაში, რომელთანაც ძალისის მოზაიკურ კომპოზიციებს მოჩარჩოების მრავალნაწილიანობაც აკავშირებს<sup>63</sup>.

გარდა ზევით აღწერილი მოზაიკური კომპოზიციებისა, შემორჩენილია აბანოს თბილი განყოფილებისა და ეზოს მოზაიკური ფრაგმენტები.

ერთ-ერთ ფრაგმენტზე ჩანს გეომეტრიული მოტივი, შემდგარი კვადრატში ჩაწერილი კვადრატის, წრის, შეზნექილგვერდიანი რომბისა და შუაში მოთავსებული ჯვრის ფორმის ფიგურისაგან. ნიშანდობლივია, რომ მეორე კვადრატში ჩახაზული ეს ორნამენტი ოდნავ სახეცვლილია. ეს სწრაფვა ერთიანობისა და ამავე დროს, ერთფეროვნების დარღვევისაკენ ხომ ესოდენ დამახასიათებელია ძალისის მოზაიკის ორნამენტული დეკორისათვის. სამკუთხედების რიგი გამოყოფს ამ ორნამენტს მუქ ფონზე წარმოდგენილი ფარშევანგის გამოსახუ-

<sup>61</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი, გვ. 376, ტაბ. XXa, XI, XXV, XXIX, სურ. 154.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 396.

<sup>63</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი, გვ. 392, ტაბ. XXI, XXII, XXIX b.

ლებისაგან, რომლის ფენისა და ცხოველხატულად დამუშავებული კედლის დეტალია არის შემორჩენილი. ძალისის ამ გეომეტრიული ორნამენტის ზუსტი ანალოგი ჩვენთვის არ არის ცნობილი, მსგავსი მოტივი კი გვხვდება ანტიოქიისა და პალმირის III ს-ის მოზაიკაში<sup>64</sup>.

ტეპიდარიუმის სხვა მოზაიკურ ფრაგმენტზე ჩანს სამკუთხედების რიგით მოჩარჩოებული სუროს ზვიების ორნამენტი შუაში ჩაწერილი ყვავილით. ჩაჩრდილვა — განათებით ფოთლების დამუშავებასა და ღეროს ძაფისებურად გამოსახვას დ. ლევი მიიჩნევს ამ ორნამენტისათვის დამახასიათებლად III ს-ში. ძალისის მსგავსი სუროს ზვიები ასევე ღია ნახატის სახით მუქ ფონზე გვხვდება 235—312 წლებით დათარიღებულ „ფსიქეას ნავის სახლში“, ანტიოქიაში<sup>65</sup>, მაგრამ ძალისთან შედარებით ეს ზვიები უფრო სქემატურია, რაც ძალისის ორნამენტის უფრო ადრეულ ხანაში შესრულების მიმანიშნებელი უნდა იყოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორნამენტიც საერთოს პოვნებს აღმოსავლეთის მოზაიკურ არშიებთან<sup>66</sup>.

ტეპიდარიუმის მესამე მოზაიკურ ფრაგმენტზე ჩანს ძალზე მცირე ნაწილი ორი რიგისაგან შემდგარი ბერძნული წარწერისა, რომლის მეორე რიგში იკითხება რამდენიმე ასო ამავე სახელისა, რაც დიონისესა და არიადნეს დარბაზში — პრისკოსი. ეს კიდევ ერთი საბუთია მთელი მოზაიკის ერთსა და იმავე დროს შესრულებისა, რაც სტილური ერთიანობით, მრავალფეროვანი ორნამენტული სამკაულის გამაერთიანებელი ხაზოვანი სიმწყობრითა და ფერადოვანი ელერადობით არის დამოწმებული. წარწერა წაკითხული და ნაწილობრივ აღდგენილი იქნა თ. ყაუხჩიშვილის მიერ. მისი აზრით, აქ კვლავ არის მოხსენიებული პრისკე (პრისკოსი) და, შესაძლოა, მეორე საკუთარი სახელი — ლაიდა ან ლაიდატ, ხოლო ბოლო სიტყვის აღდგენას შესაძლებლად მიიჩნევს რინე — დ (PINH), რაც ქვის, მარმარილოს გაპრიალებას უახლოვდება მნიშვნელობით. ამდენად. თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ წარწერა გვამცნობდეს მათ ვინაობას, ვინც მოაპირკეთა, მოაპრიალა, ე. ი. მოზაიკით შეამკო იატაკი. თ. ყაუხჩიშვილისავე ცნობით, პალეოგრაფიული წარწერა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ სამ საუკუნეს უკავშირდება.

გზოს მოზაიკური ფრაგმენტი წარმოგვიდგენს მეანდრისებურად განთავსებულ სხვადასხვა ფერის სწორკუთხედებს. ორნამენტის ხასიათისა და ფუნქციის შესაბამისად იგი ბევრად უფრო მსხვილი კენჭებით არის აწყობილი. მსგავსი სადა ორნამენტი ხშირად გვხვდება აფრიკის, კერძოდ, ტუნისის II—III საუკუნეების მოზაიკაში<sup>67</sup>.

როგორც განხილვამ აჩვენა, ძალისის მოზაიკის სტილური და იკონოგრაფიული ნიშნების შედარებითი ანალიზი გვაძლევს საფუძველს მისი III ს-ის

<sup>64</sup> N. Stern, Les mosaïques des maisons d'Achille et de Cassiopée à Palmyre, p., 1977, fig. 9., D. Levi, დასახ. ნაშრომი., ტაბ. XLVIII, d.

<sup>65</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი, გვ. 400, ტაბ. XXXVII.

<sup>66</sup> დასავლეთის ქვეყნებში სუროს ორნამენტო, როგორც წესი, სქემატურ სახეს იძენს, ასეა ბრიტანეთში, გალიაში, გერმანიაში და სხვ. შეადარეთ: B. Cunliffe, დასახ. ნაშრომი., ტაბ. 17. H. Stern, Recueil général des mosaïques de la Gaule, Paris 1957, pl. XXI; W. Iobst, Römische Mosaiken in Salzburg, Wien, 1982, taf. 9, 1.

<sup>67</sup> L. Foucher, Découvertes archéologiques à Thysdrusen 1961, Tunis, 1962, pl. II, c. XLVII. გვ. 43.

პირველი ნახევრით დათარიღებისას<sup>68</sup>. ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება მოზაიკის პოლიქრომულობა, კენჭების მცირე ზომა, ის გარემოება, რომ დიონისესა და არიადნეს დარბაზის ცენტრალური არე ბევრად უფრო მცირე ზომის კენჭებით (0,8 სმ×0,8 სმ არის აწყობილი, ვიდრე — კიდეებში დაახლ. 1,5 სმ×1,5 სმ). ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება აგრეთვე იმდროინდელი ქართლის ისტორიული სურათი<sup>69</sup>.

როგორც უკვე აღინიშნა, არაერთი ნიშნით, განსაკუთრებით კი ორნამენტული რეპერტუარის იკონოგრაფიითა და სტილით ძალისის მოზაიკა ბევრ საერთოს ამკლავნებს სირიის, (კერძოდ, ანტიოქიის) მოზაიკურ ხელოვნებასთან.

ნიშანდობლივია ძალისის მოზაიკურ კომპოზიციათა ტექტონიკური, ერთიანი, მწყობრი ხასიათი. აქ აღარ არის გეომეტრიულ ხალიჩაში ჩასმული ფერწერული ემბლემები, არამედ ათვისებულია და ერთიან კომპოზიციას დამორჩილებული იატაკის მთელი ზედაპირი. უან ლასუსის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმართ, „მხატვარი სურათებს კი აღარ სვამს იატაკში, არამედ მთელს იატაკს აგებს სურათად“<sup>70</sup>. ზოგადად ეს პროცესი მსოფლიო მოზაიკურ ხელოვნებაში დამოწმებულია 350—450 წლებში, თუმცა იატაკის მოზაიკის ერთიანი კომპოზიციის და ფერწერული ნიმუშისაგან დამოუკიდებლობა ჩანს უკვე რომის II ს-ის შავ-თეთრ მოზაიკაში, ხოლო II ს-ის მიწურულიდან ერთიან სურათად კომპოზიციის განშლას ადვილი აქვს ჩრდ. აფრიკაში<sup>71</sup>. კომპოზიციის ერთიან სურათად განშლით ძალისის მოზაიკა უკავშირდება სწორედ ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთის — ჩრდ. აფრიკის მოზაიკურ ხელოვნებას, რომელთანაც საერთოს პოვნებს აგრეთვე ძალისის ცალკეული ორნამენტული მოტივები, ფერადოვნება, სიუჟეტური ქარგა.

ამგვარად, ძალისის მოზაიკა უნიტარული კომპოზიციის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშად გვევლინება. ამ მხრივ იგი ეტაპური მნიშვნელობის ძეგლია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ცხოველმსუფოველია ელინისტური რემინისცენციები, აშკარაა სამეგანზომილებიანი ფორმიდან ორ განზომილებაზე გადასვლა, ჯერ კიდევ არ არის დაკარგული ფორმის პლასტიკურობა, მაგრამ იგი აღარ შეხადგენს მთავარ სახეობს სიმუშალებას, ამდენად, ძალისის მოზაიკის მხატვრული ნიშნები არ არის ცალსახი და ერთგვაროვანი: ორნამენტული დეკორის ხაზოვანი სიმწყობრედ და სილამაზე, შემავსებელ მოტივთა ორგანულობა, ელინისტური ხელოვნების გამოძახილი აკავშირებს მას წინამორბედი ხანის მოზაიკასთან, მაშინ, როცა მთელი რიგი ნიშნებისა ერთგვარ სიახლედ, მომდევნო ცვლილებათა წინასახედ შეიძლება აღვიქვათ მოზაიკურ ხელოვნებაში. კომპოზიციური გადაწყვეტით იგი უკავშირდება რომაულსა და აფრიკულ მოზაიკას, ხოლო მრავალი სტილური და იკონოგრაფიული ნიშნით, როგორც აღინიშნა, სირიის მოზაიკას.

<sup>68</sup> როგორც ზევით აღინიშნა, ალ. ბოხოჩაძე მოზაიკას II ს-ით ათარიღებს, მ. ოდიშელი კი — III ს-ის შუა წლებით (ალ. ბოხოჩაძე დასახ. ნაშრომი., გვ. 69; მ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი., გვ. 149). მართალია, ჩვენეული დათარიღება, არსებითად არ ეწინააღმდეგება III ს-ის შუა წლებით დათარიღებას, მაგრამ ამგვარი დაზუსტება გადაპარბეზულად გვეჩვენება.

<sup>69</sup> Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1979.

<sup>70</sup> წიგნიდან: С. R. Morey, The Mosaics of Antioch, London, 1938, გვ. 37.

<sup>71</sup> L. Foucher, Découvertes archéologiques à Thyssrus en 1960, Tunis, 1961, გვ. 43.



ძალისის მოზაიკასთან დაკავშირებით ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს ლ' ორნანჯისა და ნორდჰაგენის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ჯერ კიდევ ელინისტურსა და გვიანანტიკურ ხანაში იწყება ადამიანის ცხოვრებისა და გამოსახვის ყველა ფორმის მეტამორფოზა, რასაც შუა საუკუნეების ახალი ადამიანის ფორმებისაკენ მივყავართ<sup>72</sup>. ამ მხრივ განსაზღვრულად მიჩნეულია სწორედ ახ. წ. III საუკუნე, რომლის ხელოვნების დახასიათებას ბ. ბანდინელი სლოტინის სიტყვებით იწყებს: „რაც უფრო შორდება სავანი რეალურ ფორმას, მით უფრო გვაგონებს იგი საწყის მოდელს, იდეას“ და აღნიშნავს, რომ ეს არის ჭანა, როცა ანატომიურ სისწორეზე დაფუძნებული ქარმონიულობიდან გამო-მსახველობაზე ხდება მახვილის გადატანა<sup>73</sup>.

როგორი უნდა ყოფილიყო მოზაიკის შემცველი კომპლექსის დანიშნულება? აქ არის აბანოს სამი ვანყოფილება, გასახდელი და მასთან უშუალოდ დაკავშირებული დარბაზი, რომელსაც დასავლეთის გაგრძელება უნდა ჰქონოდა. ნიშანდობლივია, რომ ამ შენობიდან საკმაოდ ახლოს გამოვლენილია მეორე, ბევრად უფრო დიდი ზომის თერმები, დიდი აუზი — როგორც ჩანს, საზოგადოებრივი დანიშნულებისა. როგორც ცნობილია, რომაული ხანის სასახლეთა კომპლექსში ხშირად შედიოდა აბანო. ასე მაგალითად, ავი იონაპის ცნობით, ჰეროდემ თავის სასახლეში არსებული აბანოს გარდა შესანიშნავი დიდი თერმები ააგო მასადამი<sup>74</sup>. მსგავსი სურათი უნდა იყოს ძალისშიც: მცირე ზომის აბანო უდავოდ კერძო დანიშნულებისაა და შეადგენს სასახლის კომპლექსის ნაწილს. აბანოს მოსაზღვრე დიონისური მოზაიკის შემცველი დარბაზი შესაძლოა ტრიკლინიუმი იყოს. ეს ასეც რომ იყოს, მოზაიკის ყველა გამოსახულების (ვარდა ნიღბისა) ჩრდილოეთით ორიენტირება განპირობებული უნდა იყოს არა იმდენად ტრიკლინიუმის კომპოზიციური თავისებურებებით<sup>75</sup>, არამედ იმით, რომ ჩრდილოეთიდან უნდა ყოფილიყო შემოსასვლელი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ალ. ბოზოჩაძის ცნობა<sup>76</sup>, რომ ჩრდ. კედლის შუაში იმთავითვე ჩაშენებული ყოფილა რიყის ქვით დუღაბზე ნაშენი 2 მ სიგრძისა და 1,2 მ სისქის საყრდენი. იქნებ უფრო მართებული იყოს ამ საყრდენის მიჩნევა არა იმთავითვე ჩაშენებულად (ძნელი წარმოსადგენია, იმთავითვე შექმნილიყო ასეთი საყრდენის ჩაშენება — დამატების აუცილებლობა), არამედ უფრო გვიანი, თუმცა კი არცთუ დიდად დამორებული დროის დანამატად, ამ საყრდენის ადგილას, როგორც ჩანს, თავდაპირველად შესასვლელი უნდა ყოფილიყო, სამხრეთის გასასვლელით კი დარბაზი უკავშირდებოდა ეზოს.

ძალისის მოზაიკასთან კავშირში კიდევ ერთ საკითხზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს ხელმოუწყვრელ მოზაიკებთან შედარებით წარწერებიან მოზაიკათა რიცხვი არცთუ ისე დიდია, ძალისის მოზაიკა გამორჩეულ ძეგლად გვესახება, რადგანაც აქ ორი წარწერა მოიხსენიებს ვინმე პრისკეს. თ. ყაუხჩიშვილის ცნობით, პრისკოსი ან პრისკე საკ-

<sup>72</sup> H. P. L'Orange, P. I. Nordhagen, *Mosaics*, London, 1966, გვ. 3.

<sup>73</sup> Bianchi Bandinelli, *Rome, The Late Empire*, New York, 1971, გვ. 16.

<sup>74</sup> *Encyclopedia of Archaeological Excavations in the Holy Land*, London, 1977, vol. 3, გვ. 804.

<sup>75</sup> ტრიკლიანიუმის თავისებურებით ხსნის გამოსახულებათა ჩრდ-ით ორიენტირებას მ. ოდიშელი. (მ. ოდიშელი დასახ. ნაშრომი., გვ. 148),

<sup>76</sup> ალ. ბოზოჩაძე, დასახ. ნაშრომი., გვ. 69.

მაოდ გავრცელებული რომაული სახელია, თუმცა, მისივე განმარტებით, ეს არ გამოირიცხავს მოხსენებულს ქართველობას, რადგანაც როგორც ბერძნულ-რომაული, ისე — აღმოსავლური სახელები ფართოდ ყოფილა იმ დროს გავრცელებული საქართველოში. თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით წარწერაში შეიძლება მოხსენებული იყოს „როგორც მხატვარი, ისე — სახრის გამლები და საქმის მოთავე“. მართლაც, ძნელია თქმა, რა მიმართება უნდა ჰქონოდა წარწერაში მოხსენებულ პრისკეს მოზაიკასთან: მხატვარი იყო იგი თუ შემკვეთი? ცხადია მხოლოდ ის, რომ ძალისის მთავარ მხატვარს — „პიკტორ იმაჟინარიის“ ჰქონდა მოზაიკის ხელმოწერის უფლება, როგორც ნამდვილ შემოქმედს. იმ ფაქტს, რომ მოზაიკები იშვიათად არის ხელმოწერილი, ზოგი მეცნიერი მიიჩნევს იმის საბუთად, რომ მოზაიკის შემქმნელები ძირითადად მზა ნიმუშებით მომუშავე ხელოსნები იყვნენ. მართლაც, ხშირად ეს ასე იყო, რის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოშივე გამოვლენილი შუხუთის ორნამენტული მოზაიკა. მეორე მხრივ, ახალი დეკორაციული მოტივებისა და კომპოზიციების შემქმნელები, როგორც ჩანს, დიდი სახელით სარგებლობდნენ და აშკარა სიამაყით აღბეჭდავდნენ თავის სახელს. ამის მაგალითია თუნდაც სამოსელი დიოსკორიდის ხელმოწერა პომპეის ერთ-ერთ სახელმოხვეჭილ მოზაიკაზე. ამდენად, ის ფაქტი, რომ მოზაიკური მხატვრობა ხშირად ხელმოუწერელია, ნაწილობრივ უნდა აიხსნას იმით, რომ ანტიკური ხანის ხელოვნების ნიმუშთა მეტი წილი საერთოდ ანონიმურია და არა იმდენად იმით, რომ მოზაიკას არ ჰქონდა ჯეროვანი დავსება. მიუხედავად იმისა, რომ მოზაიკის მხატვრული ზემოქმედების ძალა შეზღუდული იყო ქვის კენჭების, როგორც მხატვრული მასალის ერთგვარი სიმძიმისა და მოზაიკის გაშლილი ჰორიზონტალური ზედაპირისათვის ერთიანი ხედის არარსებობის გამო, მოზაიკური და ფერწერული მხატვრობა ხშირად ერთი და იმავე ესთეტიკური ღირებულების მატარებელი იყო და ერთნაირად ასახავდა ამა თუ იმ ეპოქის მხატვრულ სტილს<sup>77</sup>.

ძალისის მოზაიკა მნიშველოვან მასალას გვაწვდის გვიანანტიკური ხანის იბერიის კულტურული და პოლიტიკურ — ეკონომიური ვითარების დასახასიათებლად. ეს მაღალმხატვრული და, ამავე დროს, ტექნიკური თვალსაზრისით რთულად შესასრულებელი ძეგლი შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ძალებისა და დიდძალი მუშახელის მობილიზაციის შედეგად, ე. ი. ქართლი ამ დროს საკმაოდ ძლიერი სამეფო უნდა ყოფილიყო.

მოზაიკა აესებს ჩვენს წარმოდგენას II ს-ში ბტოლემეოსის მიერ ქართლის სოფლებსა და ქალაქებს შორის მოხსენებული ძალისას შესახებ III ს-ის პირველ ნახევარში.

ძალისის მოზაიკა მინიშნებაა ერთი მხრივ, დასავლურ, რომაულ სამყაროსთან, მეორე მხრივ — ელინისტურ-რომაული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცერებთან აღმოსავლეთში, კერძოდ, ანტიოქიასთან ქართლის მკიდრო ურთიერთობისა.

ძალისის მოზაიკა ერთგვარ შუქს ჰყვანს ქრისტიანობამდელი ქართლის პანთეონს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ძალისის მოზაიკის — ქართლის მიწაზე მონუმენტური მხატვრობის პირველი მიკვეთული ძეგლის მხატვრულ-ისტო-

<sup>77</sup> D. Levi, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

რიული მნიშვნელობა სცდება საქართველოს ფარგლებს. ფიგურულ თუ ორნამენტულ სახეთა დაუშრეტელი მრავალფეროვნებით, შესრულების ოსტატობით და, რაც მთავარია, მხატვრული ზემოქმედების ძალით, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს სიციხოვლე, ძალისის ძეგლი გვიანანტიკური მოზაიკის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშად გვესახება.

М. Г. МИЗАНДАРИ

## К ВОПРОСУ О ДАТИРОВКЕ И ХУДОЖЕСТВЕННО-ИСТОРИЧЕСКОМ ЗНАЧЕНИИ МОЗАИКИ ДЗАЛИСИ

Резюме

Для воссоздания исторической картины искусства дохристианской Грузии памятником особого значения представляется единственный пока образец напольного мозаичного убранства дохристианской эпохи в Восточной Грузии, выявленный археологической экспедицией Настакиси на территории села Дзалиси.

Назначение мозаики (она украшает полы бани римского типа и связанного непосредственно с баней зала), общая архитектурника, орнаментальный репертуар, характер трактовки сюжетных изображений мозаики Дзалиси связывают ее с римским искусством (в широком смысле этого понятия).

Решение мозаичного убранства большого зала как единой многофигурной композиции, а также отдельные орнаментальные мотивы имеют общие черты с мозаичным искусством сев. Африки, целый ряд стилистических и иконографических особенностей связывает мозаику Дзалиси с искусством Антиохии, а характер разработки фигур сближает ее с сирийской мозаикой из Мас Удидже, точно датированной 228 годом н. э.

Целый ряд стилистических и иконографических черт позволяет датировать мозаику Дзалиси концом II в. — первой половиной III века.

Мозаика Дзалиси является еще одним свидетельством культа Диониса в языческой Грузии и указывает на высокий уровень культуры Иберии в первой половине III века н. э. и на ее тесные культурные взаимоотношения с важнейшим очагом позднеантичного искусства на Востоке — Антиохией.

Своеобразная трактовка сюжета, разнообразие и высокая техника исполнения орнаментов, а главное — сила художественного воздействия всех мозаичных композиций Дзалиси, позволяют отнести их к числу наиболее значительных образцов мозаичного искусства позднеантичной эпохи.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ზერციემ.

ბაღრი ბაქალიძე

შრომითი ურთიერთდახმარება სახლის მშენებლობაში

(მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

შრომითი დახმარების მოქმედ წესებს შორის, რაც დამახასიათებელი იყო მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის საზოგადოებრივი ყოფისათვის, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ურთიერთდახმარება მშენებლობის პროცესში. ცხადია, ხსენებული პროცესი ადამიანის ცხოვრებაში ყოველდღიურ მოვლენას არ წარმოადგენდა და იგი რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. ჩვენ მიერ საკვლევ კუთხეებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზისა და არსებული ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება გამოვეყოთ რამდენიმე მიზეზთაგანი: 1. დიდი ოჯახის გაყრა და მცირე ოჯახების გამოყოფა; 2. ოჯახის გადასახლება ერთი ადგილიდან სხვაგან; 3. ძველი საცხოვრებლის მწყობრიდან გამოსვლა. XIX ს-ის დასასრულ და XX ს-ის დასაწყისი, რასაც ჩვენი ეთნოგრაფიული მასალები ასახავენ, გადმონათვის სახით შენარჩუნებული დიდი ოჯახების არსებობის ისტორიაში ის ეტაპი იყო, როცა მათი განსაკუთრებით სწრაფი რღვევის პროცესი საბოლოო, დამამთავრებელ ფაზაში შედიოდა<sup>1</sup>. ამიტომ, ამა თუ იმ ოჯახის მიერ სახლის მშენებლობის დაწყებას უმთავრესად ეს მიზეზი განაპირობებდა.

საცხოვრებლის მშენებლობა, უპირველესად, სამოსახლოს შერჩევით იწყებოდა. მართალია, საკვლევ კუთხეებში პატრონიმოულ უბნებად განსახლების ჯერ კიდევ არსებობის გამო<sup>2</sup> ამ მხრივ მეტ-ნაკლებად შეზღუდულები იყვნენ და მთლად ასარჩევადაც არ ჰქონდათ საქმე, მაგრამ არსებულ ვითარებაშიც, პირველ რიგში, ამ საკითხს წყვეტდნენ. ჩვენი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით სამოსახლო, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა „სასახლე“ ადგილს უწოდებდა, დაცული უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი ზვავისაგან, წყალდიდობისაგან. „სასახლე“ არ უნდა დაეჭირათ სახნავ-სათესად ვარგისი მიწის ნაკვეთი, რადგან მთიულეთი და გუდამაყარი, ვითარცა მთის სხვა კუთხეები, სავარგულების ნაკლებობას მწვავედ განიცდიდა. გარდა ამ პირობებისა, მთიულ-გუდამაყრელნი „სასახლე“ ადგილის გამოცნობა-შერჩევის სხვა წესებსაც ასრულებდნენ. მთხრობელთა გადმოცემით, ოჯახი, რომელიც მშენებლობას დააპირებდა, ისეთ ადგილს შეარჩევდა, რომელიც „დამიზნებელი“ არ იყო

<sup>1</sup> Н. К. Никифоров, Экономический быт государственных крестьян Душетского уезда Тифлисской губернии, „Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. V, ч. 2, Тифлис, 1887, გვ. 24—25; ვ. ი. თ. ნ. ი. შვილი, საოჯახო ყოფა მთიულეთ-გუდამაყარში, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“ (ქვევით—კვ), III, თბ., 1971, გვ. 91.

<sup>2</sup> რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 9—10, 12, 17; აღ. რობაქიძე, მთიულეთი კომპობის ზოგიერთი მხარე, კვკ II, გვ. 75, 80.

და საამისოდ იმავე ადგილიდან ამოღებულ მიწას მკითხავს მიუტანდენ<sup>3</sup>. დაუშვებლად მიიჩნდათ საცხოვრებლის აგება საკულტო ნაგებობასთან ახლოს, რადგან, ადგილობრივთა თქმით, ასეთ მოქმედებას „ხატი ვერ იხდენდა“. აღნიშნული პირობების შესრულების შემდეგ ოჯახს უკვე შეეძლო პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა მშენებლობის საქმეში და ამ მხრივ ორგანიზება მოეხდინა როგორც საკუთარი, ასევე სხვათა ძალებისათვის.

სამოსახლოს შერჩევის შემდეგ იწყებოდა სამშენებლო მასალის მოპოვება. საქმეს ქვის მასალის მოგროვებით იწყებდნენ, რომლის კარიერები მთიულეთში სხვადასხვა ადგილას მდებარეობდა. მათ შორის აღსანიშნავია „საკოხე“ და „დიდელი სიძირი“. აქ არსებული ქვის ჯიში, რომელსაც საკოხე ეწოდებოდა, კარგ სამშენებლო მასალად ითვლებოდა<sup>4</sup>. გარდა ხსენებული საბადოებისა, მთიულეთისა და გუდამაყრის ყოველ სოფელს, ანდა სოფელთა გარკვეულ ერთობლიობას, თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის კავლობაზე, გაჩნდა ადგილები, სადაც მოიპოვებდნენ ქვის სხვადასხვა სახეობას (მათ შორის: სიპი, ბასრი, ჭოჭყი) მაგ. სოფელ ქიმბარიანს (მთიულეთი) მდ. არაგვის ნაპირებიდან მოჰქონდა ქვის საჭირო რაოდენობა. ანალოგიურ ფუნქციას ხადის (მთიულეთი) სოფელ მულტურესათვის ასრულებდა ადგილი, რომელსც ლელიანთს უწოდებდნენ. აქვე მდებარეობდა ე. წ. ფეთოსკლდე, სადაც ასევე აგროვებდნენ ქვის მასალას. სოფელ გვიდაქის (მთიულეთი) მოსახლეობა გვიდაქის სევით სარგებლობდა. მანასურის და სალაჯურის (ორივე მთიულეთი) მათივე წყალგამყოფ ფშარის ხევის იყენებდნენ, ხოლო სოფელ ჭკვიანის (მთიულეთი) მცხოვრებნი ნაციხვრის ქედის ეზიდებოდნენ სამშენებლოდ ვარგის ქვას. გარდა აღნიშნული კარიერებისა, ზოგიერთ სოფელთან ახლოს არსებობდა წელიწადის გარკვეულ დროს ნიაღვრისაგან ჩამოტანილ — მოგროვილი და, ამდენად, სეზონურად ქმნადი ქვით ნაგროვი ადგილები, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა სათანადოდ იყენებდა.

ქვის დამუშავებას საქართველოში ძველთაგანვე სავანებო ყურადღება ექცეოდა. ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც შეისწავლა ეს საკითხი, აღნიშნავდა, რომ „ქვას, ასამუნებელ მასალად გამოყენებისათვის, წინასწარ დამუშავება სჭირდებოდა. ასეთ დასამუშავებელ ქვას „სამუშაკოა ქვაა“ ერქვა, ხოლო თვით დამუშავების პროცედურას — „კაზმაა“, ანუ „შეკაზმაა“<sup>5</sup>. მთიულეები და გუდამაყრელები თვლიდნენ, რომ ქვის მასალის მოპოვება და დამუშავება ზაფხულში ან ადრე შემოდგომაზე ჯობდა, რადგან ამ დროს ქვა მშრალია, რბილია და იოლად გასათლელი. ზამთარში კი პირიქით იყინება და დასამუშავებლად ძნელია<sup>6</sup>.

3 ამ საბითხის შესახებ დაწერილებით იხ.: მ. ჩართოლანი, საცხოვრებელი ნაგებობანი მთიულეთში, „აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“ (ქვემოთ — სსმ), ტ. XXV—B, თბ., 1968, გვ. 265—266; მსგავსი წესი დადასტურებულია საქართველოს სხვა რაიონებში, რის შესახებაც იხ. ნ. თოფურია, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი გორის რაიონში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ (ქვემოთ — მსე), X, თბ., 1959, გვ. 70; ჯ. რუხაძე, საცხოვრებელი ნაგებობანი კახეთში, მსე, X, გვ. 51.

4 ს. ბედუქაძე, ქვის დამუშავება მთიულეთში, მსე, V, თბ., 1951, გვ. 33, 36, 39.

5 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალურ კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 151, 152.

6 ს. ბედუქაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 45; მ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 266; მსგავსი ვითარება დადასტურებულია საქართველოს სხვა რაიონებში, რის შესახებაც იხ. გ. ჩიტაია, ვლუხის სახლი ქვაბლიანში, „მომომხილველი“, I, ტფ. 1926, გვ. 141; ნ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

მთხრობელთა გადმოცემით, ქვის მასალის ჩამოყრა-შეგროვებასა და გათ-  
ლა-დაშუშავებაში მეზობლურ-ნათესაურ დახმარებას ადგილი არ ჰქონდა, არა-  
მედ ყოველი ოჯახი, ვინც კი სახლის მშენებლობას დააპირებდა, საკუთარი ძა-  
ლებით მოაგვარებდა ამ საქმეს.

გარდა ქვის მასალისა, საცხოვრებლის დადგმისათვის, ბუნებრივია, აუცი-  
ლებელი იყო ხის მასალაც. ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ქვის  
კარიერები ყოველ სოფელს, ანდა მათ ერთობლიობას, საკუთრად ჰქონდა. ამ  
მხრივ კიდევ უფრო ნათელი ვითარება იყო ტყის მასივების ფლობის თვალ-  
საზრისით. ყოველ სოფელს მთიულეთსა და გულამაყარში თავისი ტყე ჰქონ-  
და. რიგ შემთხვევებში რამდენიმე სოფლის საერთო ტყეში თითოეული მათ-  
განი საკუთარ ნაწილს ფლობდა. ინფორმატორთა გადმოცემით, ტყის მოჭრა  
„უხვედრ“ ადგილას იყო სასურველი. მასში ტყის ხის მხარე იგულისხმებოდა,  
რომელიც სოფელს უშუალოდ არ უმეზობლდებოდა და ქედს იქით მდებარეობ-  
და. სამშენებლო მასალად ყველაზე უკეთესი მუხა იყო, მაგრამ მისი იშვია-  
თობის გამო ფართოდ გამოიყენებოდა წიფელი, რცხილა, თელა და ა. შ. ასე  
რომ, მთიულსა და გულამაყარს ხის მასალის მოსატანად შორს წასვლა არ  
უხდებოდა, განსხვავებით მათი მეზობელი მოხვევებისაგან<sup>7</sup>.

ხის მოჭრა იცოდნენ ზაფხულ-შემოდგომაზე, ძველი, სასვე მთვარის დროს<sup>8</sup>.  
მთხრობელთა განმარტებით, „ამ დროს ზე ლეპობს, მდილა აღარ იცის“. ამ  
პერიოდისათვის ხის ზრდა დასრულებულია, ფოთლები უხმება და ცვივა. მცე-  
ნარე უკვე მშრალია და მოჭრის შემდეგ აღარ დაიბრიცებოდა. მოჭრილ ხეს ჭია  
რომ არ გასჩენოდა ქერქს გააცლიდნენ და ამ სახით ინახავდნენ. თუ ტყე სოფ-  
ლიდან მოშორებით მდებარეობდა და მოჭრილი ხის მასალის მოზიდვას კი  
ჭერაჭერობით არ აპირებდნენ. მამინ ტოტების მოკვეცა მიზანშეწონილი არ იყო.  
წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მაღე გაფუჭდებოდა და დაკარგავდა მშენებლო-  
ბისათვის ღირებულ ხარისხს.

მშენებლობის პროცესის შემდგომი განვითარება მოითხოვდა ქვის მასა-  
ლის სამშენებლო ობიექტზე მოზიდვას, რაც ხორციელდებოდა უმეტესად  
ზამთრის პერიოდში. ამ ეტაპზე მდგომარეობას ართულებდა მუშახელისა და  
გამწევი ძალის ნაკლებობა. ინფორმატორთა ცნობით, მუშახელის შემოკრების  
მიზნით, ოჯახის ერთ-ერთი წევრი წინასწარ გააფრთხილებდა მეზობელ-ნათე-  
სავეებს, ზოგჯერ მთელ სოფელს და იშვიათად მის ფარგლებს გარეთ მცხოვ-  
რებთაც. იგი ან ყოველ ოჯახს დაივილიდა, ანდა სოფლის შესაქრებ ადგილას  
გაუმჯღავნებდა თანასოფლელებს თავის სურვილს<sup>9</sup>. დახმარების ამ სახეობას  
მთიულეთსა და გულამაყარში ეწოდებოდა ულამი, რაც სულხან-საბა ორბელი-

7 ვ. ი. თონიშვილი. ხევი ძველად და ახლა, საცხოვრებელი ნაგებობანი, თბ., 1967,  
გვ. 9—10. ასევე შორი მანძილებიდან მოჭონდა ხის მასალა წალკის რაიონის მოსახლეობას,  
რის შესახებ იხ. თ. ჩიქოვანი. ქართული ხალხური საცხოვრებელი, (წალკური სახლი), თბ.,  
1960, გვ. 23; მისივე, Формы взаимопомощи у цальских урумов, «Кавказский этнографич-  
еский сборник» (КЭС), Тб., 1972, გვ. 85.

8 საქართველოს სხვა მხარეებში ამ საკითხის შესახებ იხ. ს. ბედუქაძე, მ. ჩართო-  
ლანი, სამეორის ახალი მოსახლეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, სსმ, ტ.  
XIX—A და XXI—B თბ., 1957, გვ. 29; ჯ. რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48; ნ. თოფუ-  
რია, დასახ. ნაშრომი, გვ. 70; ე. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების  
ისტორიიდან, IV. ზან დეცემ, შუი, 1951, გვ. 61—62.

9 ჩვენს მიერ შეკრებილი მასალის მიხედვით სოფელში ჩამოთვლით შეტყობინება ევა-  
ლებოდა ერთ-ერთ ახალგაზრდას ან მოზარდს, ხოლო სოფლის შესაქრებ ადგილზე გამო-  
ცხადებას ოჯახის უფროსი მამაკაცი ითავებდა.

ანის განმარტებით მრავალტვირთულს, გრძლად მომავალს ნიშნავს<sup>10</sup>. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით ულამი არის თურქული სიტყვა, ნიშნავს „ჯგუფს“ და მისი ქართული შესატყვისია: ნადი, მამითადი, ოჩხარაი<sup>11</sup>. მთიულური ლექსიკონის მკვლევარი ლ. კაიშაური, ადგილზე შეკრებილი მასალის მიხედვით, ულამს განმარტავს როგორც რამდენიმე ხარ-მარხილის ანდა ხარ-ურმის ერთობლიობას<sup>12</sup>. ულამის მონაწილეები თავიანთი გამწევი ძალით შეიკრიბებოდნენ მშენებარე სახლის პატრონთან. ჩვეულებისამებრ, ყოველი ოჯახიდან თითო მამაკაცი გამოდიოდა. ქალების მონაწილეობა ამ საქმეში მიუღებელი იყო. მონაწილეთა შეკრებასთან ერთად შერჩეულ უნდა ყოფილიყო სამუშაო დღეც, ვინაიდან ეს დაკავშირებული იყო სამუშაო დროის გამოყენების ფაქტორთანაც. მთხრობელთა ერთი ნაწილის თქმით, ულამის „შეყრა“ მოხდებოდა „საქმიდღეს“<sup>13</sup>. მეორე ნაწილი უფრო აკონკრეტებდა და თვლიდა რომ, ამ მხრივ, უკეთესი იყო შაბათი დღე, როგორც წესი, ულამი ძირითადად შაბათის პერიოდში ეწყობოდა. ამ დროს კი „დაყენებული“, „დაკვეთილი“ უქმეები აღარ არსებობდა. თქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ულამი ძირითადად შაბათ დღეს ეწყობოდა<sup>14</sup>. მსგავსი სახის დახმარება მშენებლობის დროს საქართველოს სხვა კუთხეებშიც სრულდებოდა<sup>15</sup>. ანალოგიური შინაარსის შემწეობა ცნობილი იყო კავკასიის მთელ რიგ ხალხებშიც<sup>15</sup>.

გარდა ქვის მასალისა, მოსაზიდად მზად იყო ხის მასალაც, რაც ასევე მოითხოვდა. ულამის მოწყობას. საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ტყის მასივები მეტად ნაკლები იყო, მოსახლეობას უხდებოდა შორ მანძილებზე გამგზავრება. ამის შესახებ ჩვენ ზევით აღვნიშნეთ. ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო მეტად იზრდებოდა ორგანიზებულ-კოლექტიური შრომის მნიშვნელობა. ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ მთიულეთისა და გუდამაყრის ყოველ სოფელს, ანდა რამდენიმე სოფელს ერთად ტყეში თავისი წილი ჰქონდა. ახლა იმასაც დავუმატებთ, რომ მაგ.: სოფელ ქიმბარიანს თავისთან ახლო მდებარე ტყეები ბუტყინა და პაპიაური ჰქონდა გამოყენებული, ხოლო გვიდაქე მისისავე ზევში არსებულ ტყის მასივებს უწევდა ექსპლუატაციას. გუდამაყრის სოფელ ბახანს

10 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და აკ. შანიძის გამოცემა. ტფ., 1928, გვ. 341.

11 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 6; არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1960, გვ. 1500.

12 ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 223.

13 ადგილობრივთა აღნიშვნით, შაბათ დღეს შეყრილი ულამი „დაშაბათებამდე“ მუშაობდა. ამ უკანასკნელში კი იგულისხმება დაახლოებით საღამოს 5 საათი. ხალხის რწმენით უქმე დღეს. კვირას, ისეთი ძალა აქვს რომ შაბათს შუადღიდან აუქმებოს. ამიტომ, შაბათს მოსახლეობას უფრო ეცალა.

14 მ. ჩართოლანი, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი სვანეთში, კრ. „სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1970, გვ. 65; მისივე, საცხოვრებელი ნაგებობანი, კრ. „ქსნის ხეობა“, თბ., 1975, გვ. 43—44; ვ. შამილაძე, ალბური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 69; ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10; ს. ბედუკაძე დასახ. ნაშრომი, გვ. 29; ნ. თოფურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 69; ა. ქალდანი, მშენებლობის ხალხური წესები სვანეთში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 3, გვ. 45.

15 თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, გვ. 23; მისივე; **Формы взаимопомощи у цалкских урумов**, გვ. 84—86; რ. ხარაძე, სოფლის თემი ბალყარეთში, მსე XI, თბ., 1960, გვ. 118; Т. А. Чиковани, **Формы коллективного труда у двалетских Осетин**, КЭС V, 3, Тб., 1980, გვ. 175, 179—180. მსგავსი ვითარება ბალყანეთის ხალხებშიცაა დადასტურებული.

ხის მასალა მოჰქონდა თავის საერთო-სასოფლო ტყიდან, რომელსაც ღარი-წყარო ეწოდებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხის მასალის მოზიდვაც ულამის მეშვეობით ხორციელდებოდა. მისი ორგანიზაცია ზუსტად ისეთივე იყო, როგორც ქვის მასალის შერჩევას. განსხვავება შეიმჩნეოდა მხოლოდ მოსაზიდი მასალის რაობის მიხედვით. მთხრობელთა თქმით, თავხეების მოტანისათვის ხშირად ყუვარი (ორი უღელი) ხარი იყო საჭირო, კოჭებისათვის კი უღელიც საკმარისი იყო. ზოგჯერ ხის მასალა მარხილ — ურემის გარეშე მოჰქონდათ უშუალოდ გამწვე ძალაზე გამობმით. მართალია, მთიულეთსა და გუდამაყარში სამშენებლო მასალის მოზიდვაში დახმარებას ულამი ერქვა, მაგრამ ამავე ტერმინით აღინიშნებოდა დახმარება შეშის მოზიდვის დროს.

აქვე საჭიროა გავარკვიოთ თუ რა პრინციპზე იყო აგებული ულამი. ამისათვის მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებიდან. მთიულეთის სოფელ გვიდაჭეში დაბადებული სიმონ გიორგის ძე ბუჩუკური სოფელ ქვეთეთში გადმოსახლებულა და სახლის მშენებლობაც დაუწყია. ქვის მასალის მოზიდვაში ძალზე აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ყოფილ თანასოფლელებს, ბიძაშვილებს. ისინი ერთიანად გადმოსულან და სამშენებლო ქვა ულამით ერთ დღეში მოუზიდიათ<sup>16</sup>.

გუდამაყარის სოფელ მაქართაში მცხოვრებ ბავლე ელიზბარის ძე წიკლაურის თქმით, ამ გვარის ბეჟანიანთ და ჭრელაანთ მამიშვილობანი უწინ ერთი კომლი იყვნენ. შემდეგ, როცა გაიყარნენ ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ და ერთმანეთს ულამში ეხმარებოდნენ. მისივე განმარტებით სოფლები მაქართა და წინამხარი მეზობლები არიან. ისინი ყოველ საჭირო მომენტში მხარში ედგნენ ერთმანეთს<sup>17</sup>.

მთიულეთის სოფელ ყველანის მკვიდრის ლუარსაბ სიმონის ძე ყველაიძის განმარტებით, ულამში ამ სოფელს დარაქულნიც ეხმარებოდნენ<sup>18</sup>.

იოსებ ნინიას ძე ნადიბაიძის თქმით, სოფელ ნადიბაანში (მთიულეთი) ადრე მხოლოდ ნადიბაიძეები ცხოვრობდნენ. როცა მის მამას, ნინიას, სახლის მშენებლობა დაუწყია, მეზობლები მიშველებიან სამშენებლო მასალის მოტანაში. ხახვქელიანთ, და გუგულიანთ მამიშვილობანი ერთმანეთთან ახლოს იყვნენ, როგორც ერთი ოჯახის განაყრები და ერთმანეთსაც ყოველთვის შველოდნენ<sup>19</sup>.

მთიულეთის სოფლებს გოგნაურს, სალაჯურსა და მანასეურს საერთო ტყე მქონდათ, სალაჯურელ შიო გაბრიელის ძე კეკიშვილის გადმოცემით ამ სოფლებს მთებში საძოვრებიც საერთო ჰქონიათ. როცა ჩვენს მთხრობელს სახლის მშენებლობა წამოუწყია, გოგნაურელი სუარძიძეები დახმარებიან. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, გოგნაურელები „კაცითაც დამეხმარნენ და ქვა — ხის მოტანაშიც“<sup>20</sup>.

16 ბ. გ ძ ე ლ ი ძ ე, მთიულეთის ეთნოგრაფიული მასალები, რვ. 2, გვ. 38, 1981.

17 ბ. გ ძ ე ლ ი ძ ე, მთიულეთისა და გუდამაყარის ეთნოგრაფიული მასალები, რვ. 2,

18 იქვე, გვ. 38,

19 იქვე, გვ. 129,

20 იქვე, გვ. 55,



არახვეთელ ვასო სოსიკას ძე ბურდულის გადმოცემით, როცა მის ძმას სულქსანდრეს სახლის მშენებლობა დაუწყია იგი შეველოდა სამი დღე სხვადასხვა სამუშაოებში. სოსიკა კი ალექსანდრეს, თავის უფროს ვაჟს ქვის მოზიდვაში მიეხმარა თავისი გამწვევი ძალით<sup>21</sup>.

შეიძლებოდა კიდევ სხვა მაგალითების მოტანაც, მაგრამ ამჯერად ესეც საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, თუ რა-ნაირი ურთიერთვინაობა აკავშირებდათ დახმარების მიმღებსა და დამხმარე ოჯახებს. ეთნოგრაფიული მასალიდან კარგად ჩანს, რომ ოჯახის გაყრის შემთხვევაში გამოყოფილი ახალი ოჯახისათვის დახმარების გაწვევა პირველ რიგში მის განაყრებს ევალდებოდათ. ულამის ასეთი ვარიანტი ყველაზე უფრო მეტად ატარებდა ვალდებულების ხასიათს. ცალკე მცხოვრებ მამას, ძმას, ალალ ბიძა-შვილს ეკისრებოდათ ნებისმიერ შემთხვევაში შემწეობა აღმოეჩინათ მშენებარე სახლის პატრონისათვის. საინტერესოა ის ვითარება, როცა სხვა სოფელში გადასულ ბიძაშვილს ყოფილი თანასოფელები აქტიურად ეხმარებიან. ამ შემთხვევაში აუცილებლობისა და ვალდებულების მომენტი, ალბათ არც გვაქვს, მაგრამ ერთი მაშინველობის კომლები მჭიდრო ზნეობრივ კავშირს იცავენ, სანამ ახსოვთ თავიანთი საერთო წინაპარი, რის დასამტკიცებლადაც გამოდგება ურთიერთდახმარება, რომელსაც მიმართავენ აუცილებლობის შემთხვევაში<sup>22</sup>. რაც შეეხება სხვადასხვა სოფლის მცხოვრებთა მონაწილეობას ერთ ულამში, მას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. ერთ შემთხვევაში საამისო საფუძველს იძლეოდა კეთილსასურველი პირადი ურთიერთობა, სხვა შემთხვევაში კი — ამა თუ იმ ოჯახის მიერ მორალური ვალდებულების გრძნობა, სამაგიეროს გადახდის მოთხოვნილება ადრე უკვე მიღებული დახმარებისათვის, და ა. შ.

საცხოვრებლის მშენებლობის შემდგომი ეტაპი უშუალოდ შენებას ეხება და მის საწყის საფეხურს საძირკვლის გაჭრა წარმოადგენს. იგი ჯავახიშვილი წერილობით წყაროებზე დაყრდნობით მიუთითებდა, რომ შენობის აგება იწყებოდა მას შემდეგ, როცა მასალა უკვე დამზადებული იყო<sup>23</sup>. ამ უბრალო ჭეშმარიტებას ზუსტად მისდევდნენ საკვლევი კუთხეების მცხოვრებნიც. გ. ჩიტაია აღნიშნავდა, რომ ქვაბლიანია ზეობაში სამუშაოს დაწყებამდე დალოცავდნენ სახლის სამშენებლო ადგილს და ამის შემდეგ შეუდგებოდნენ საძირკვლის გაჭრას<sup>24</sup>. მსგავსი წესი დადასტურებული იქნა მთიულეთსა და გუდამაყარში. მთხრობელთა გადმოცემით საძირკვლის გაჭრამდე იცოდნენ „სასახლე“ ალავის კურთხევა, რისთვისაც სანთლებს ანთებდნენ, ზოჯერ ცხვარსაც დაკლავდნენ. ამასთან ეს ცერემონიალი არ უნდა დამთხვეოდა რომელიმე სასოფლო-სახატო დღეობას. სოფელთა უსწორო რელიეფზე განლაგების გამო ხშირად საჭირო იყო სამოსახლოს მოსწორება, რასაც ძველი ქართული წყაროების ენით „ქუეყნის დავაკება“ ეწოდებოდა<sup>25</sup>.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მშენებლობას იწყებდნენ ხენის დამთავრების შემდეგ. სანამ მყარი ფენა არ გამოჩნდებოდა, მანამდე თხრიდნენ

<sup>21</sup> ბ. გ ძ ე ლ ი ძ ე, მთიულეთისა და გუდამაყარის ეთნოგრაფიული მასალები, რე. 1, გვ. 63, 1984.

<sup>22</sup> М. М. Ковалевский Первоыбитное право, М., 1886, გვ. 14.

<sup>23</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

<sup>24</sup> გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 141; მსგავსი წესი დადასტურებულია საქართველოს სხვა კუთხეებშიც იხ. ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11, ქ. რ უ ხ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 51; თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, გვ. 24;

<sup>25</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

საძირკველს. მისი სიღრმე არანაკლებ ნახევარი არშინი უნდა ყოფილიყო<sup>26</sup>. ტრადიციის მიხედვით, როგორც გუდამაყარის სოფელ ჩოხის მკვიდრი ვანო შიოს ძე წიკლაური გადმოგვცემს, მშენებლობის დაწყებას ორშაბათს ერიდებოდნენ — „მარცხი დღე არისო“. საძირკველის გათხრის პროცესი გრძელდებოდა იმის მიხედვით, თუ რა ზომის სახლს აშენებდნენ. საკვლევე კუთხეებში დაღვენილია საცხოვრებლის რამდენიმე ტიპი<sup>27</sup>, რომელთაგან იმ პერიოდში, რასაც ჩვენი ეთნოგრაფიული მონაცემები ასახავენ, პრაქტიკაში ძირითადად კალიონის სახლების მშენებლობა იყო. მთხრობელთა განმარტებით, ხსენებული ტიპის საცხოვრებლის საძირკველის მომზადებას სულ ცოტა სამი დღე მიაჩნდებოდა. ვეხებით რა სახლის მშენებლობის პროცესს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა: საძირკველის გაჭრა, კედლების გება, სახლის საბოლოო გამართვა — გადახურვა. ყოველივე ამისათვის ოჯახი ქირაობდა ხელოსანს, კალატოზს, რომელსაც მთიულ-გუდამაყარელები „კედლის მგებსაც“ უწოდებდნენ<sup>28</sup>. თუ ოჯახის რომელიმე წევრი ფლობდა კალატოზის პროფესიას, მაშინ, ცხადია, სპეციალურად მისი დაქირავება საჭირო აღარ იყო. ჩვეულებრივ კი დაქირავებული „კედლის მგები“ ფასზე მუშაობდა, რაც მას ნატურით ან ზოგჯერ ფულად ეძლეოდა. გასამრჯელოს რაოდენობა მერყეობდა თვით სამუშაოს მოცულობის შესაბამისად. შეკრებილი მასალის მიხედვით, კალატოზს „ფასი არშინობლივ ეძლეოდა“. არაიშვიათად იგი მშენებარე სახლის პატრონის თანასოფლელიც იყო. საცხოვრებლის მშენებლობას „კედლის მგები“ ოჯახის უფროსის მითითებით წარმართავდა.

ამ საქმეში დაქირავებული შრომის გამოყენება ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, მაგრამ მშენებლობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება უანგარო, შრომით დახმარებას. ზევით ჩვენ განვიხილეთ ულამის სახელწოდებით ცნობილი შრომითი გაერთიანების სახეობა. მის გარდა უმუშაოდ მშენებლობის პროცესში ფუნქციონირებდა „მუშათ შეყრის“ სახელით არსებული დახმარების კიდევ ერთი სახეობა, რისი საფუძველიც იყო: 1. ოჯახში მუშახელის ნაკლებობა; 2. სამუშაოს ოპერატიულად დასრულების აუცილებლობა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მიზეზები საერთოდ განაპირობებდნენ მეურნეობისა და ყოფის სხვადასხვა სფეროში ურთიერთდახმარების აუცილებლობას, მაგრამ ერთი განსხვავებით: თუ მიწათმოქმედების სეზონურ სამუშაოებში ესა თუ ის ოჯახი ერთხელ „შეყრიდა მუშას“, საცხოვრებლის მშენებლობისას იგი რამდენჯერმე მიმართავდა დახმარების ამ სახეობას. ასეთი სისწორე თვით სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარეობდა. რამდენადაც მშენებლობაში წამყვანი როლი ენიჭებოდა დაქირავებულ შრომას, ამდენად ეს ორი პრინციპულად საწინააღმდეგო, თუმცა მშენებარე სახლის პატრონისათვის ერთნაირად სასარგებლო და კონკრეტულ შემთხვევაში ურთიერთმეგობრული, მომენტები თანაარსებობენ. მშენებლობის ერთ ეტაპზე დასახმარებლად მოსულ მეზობელ-ნათესავთა გარკვეულ ჯგუფს შემდეგ ეტაპზე უკვე სხვები ცვლიდნენ. ასე რომ, ოჯახი

26 მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, საცხოვრებელი ნაგებობანი მთიულეთში, გვ. 267.

27 მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 270—274.

28 კალატოზის ფუნქციისა და ამ ტერმინის რაობის შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 144—148, სახლის ასაგებად კალატოზებმა შეამზანავებაც იციან, რის შესახებ იხ. ს. ბ ე დ უ ჯ ა ძ ე, ხალხური ქვეთხრობა ალგეთის ხეობაში, თბ., 1973, გვ. 16; ეს პროფესია სხვადასხვა ტერმინითაა ცნობილი. იხ. ს. ბ ე დ უ ჯ ა ძ ე, საცხოვრებელი ნაგებობანი ქართული ხალხური პოეზიის ნაბეჭდი მასალების მიხედვით, მსე V, 1950, გვ. 4—5.

თითქმის მთელ სოფელთან, ზოგჯერ კი მის ფარგლებს გარეთაც, ამყარებდა კავშირს.

იმისათვის, რომ უფრო რელიეფურად წარმოვიდგინოთ ურთიერთდახმარების მარეგულირებელ მომენტთა ევოლუცია და მისი მოქმედების ფარგლების გაფართოება-შემცირების მექანიზმი, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლე თეორიული ექსკურსიის გაკეთება. ყოველივე ეს კი დაგვეხმარება მშენებლობის პროცესში მოქმედ ურთიერთდახმარების სახეობათა არსის გახსნაში. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ურთიერთდახმარება, რომლის ქვეშაც იგულისხმება განსაკუთრებული რიგის ეკონომიკური ურთიერთობანი, მხოლოდ განკერძოებული საკუთრების მქონე სამეურნეო უჯრედებს შორის არსებობდა<sup>29</sup>. საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე საოჯახო თემიდან გამოყოფილი ოჯახები სისხლიერ, ტერიტორიულ და ზოგიერთ სამეურნეო ინტერესების ერთობლიობას ინარჩუნებდნენ<sup>30</sup>. დროთა განმავლობაში, რიგი მიზეზებისა და მოვლენების შედეგად, პატრონიმული დასახლება სოფლად იქცევა. შესაბამისად მისი ხსენებული ნიშნების გეოგრაფიაც ფართოვდება. რისაზე გაფართოება ხშირად შესუსტების მაჩვენებელიც არის. ამდენად, ურთიერთდახმარების მომენტს, რომელიც თავდაპირველად პატრონიმული ერთეულისათვის დამახასიათებელი სოლიდარობის ერთ-ერთი ზნეობრივი გამოვლენა იყო, საფუძველი ეცვლება. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ ევოლუციურად სულ უფრო მეტად თვალსაჩინო ხდებოდა და წინა პლანზე გამოდიოდა პირადულ ურთიერთობათა ნიშანი. მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიულ ყოფაში ჩვენი მასალით ასახული ვითარება იმ პერიოდისა იყო, როცა ურთიერთდახმარების ტრადიცია ძირითადად პირადული ურთიერთობის მიხედვით რეგულირდებოდა. დიდი ოჯახის გაყრის შემდეგ მისგან გამოყოფილი მცირე ოჯახები თავიანთი წილი საკუთრებით უკვე ცალკე სამეურნეო უჯრედებს წარმოადგენენ. ყოველ განაყარს ევალება საცხოვრებლის მშენებლობაში დაეხმარონ ერთმანეთს. ამ შემთხვევაში განაყარები თავიანთ უახლოეს ნათესავს ვერ ტოვებენ ვასაქირში, ერთი მხრივ, და ანგარიშს უწევენ საზოგადოებრივ აზრს, მეორე მხრივ. სწორედ ასეთ ვითარებაში ზემოთ ხსენებული პირადული ურთიერთობის ნიშანი ერთგვარად ჩრდილში ექცევა. თქმულის დასამტკიცებლად მოვიტანთ ერთ ტიპურ მაგალითს ჩვენს მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებიდან. მთიულეთის სოფელ გვიდაქეს ბუჩქუჭურთა გვარის ობოლანთ დიდ ოჯახში სამი შმა — ივანე, აბრამი და დავითი ცხოვრობდა. ივანეს ჰყავდა სამი ვაჟი: ნინია, იობა და გივი. აბრამს და დავითს — ორ — ორი ვაჟი თითოეულს (აქ აღარ ჩამოვთვლით ქალექსა და შვილიშვილებს). როცა გაიყარნენ 1926 წელს, დავითი და აბრამი თავიანთი ცოლ-შვილით ძველ სახლში დარჩნენ. ნინიამ და იობამ, რომლებიც ცალკე გავიდნენ, სახლის აშენება ძველი საცხოვრებლის ახლოს დაიწყეს, არ უნდოდათ საერთო სახლის ფუძეს მოშორებოდნენ. ნინიასა და იობას მათი ალალი ბიძაშვილები, აბრამისა და დავითის შვილები დაეხმარნენ ქვის და ხის მასალის მოზიდვაში, კირის დაწვაში. ხელოსანი

<sup>29</sup> Ю. И. Семенов, Первобытная коммуна и соседская крестьянская община, сб. „Становление классов и государства“, М., 1976, გვ. 48—57.

<sup>30</sup> М. О. Косвен, Семейная община и патронимия, М., 1963. გვ. 6—7, 61—62, 69, 97, 102, 186—206; А. И. Робакидзе, Особенности патронимической организации у народов горного Кавказа (в связи с вопросом о соотношении патронимии, рода и семьи) ж. „Советская Этнография“, М., 1968, № 5, გვ. 94—104.

10. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1987, № 2

კი ჰყავდათ დაქირავებული, მაგრამ ბიძაშვილები ხელის მუშად ედგნენ. სახლის აშენებასთან დაკავშირებულ ხარჯებში მიშველება წესად არ იყო და ამიტომ არც ესენი დახმარებანი<sup>31</sup>. მოტანილი მასალა ერთგვარად ავსებს ს. მაკალათიას მონაცემებს, რომლის მიხედვითაც ობოლი ძმები თუ გაიყრებოდნენ და უფროსს ვაჟი არა ჰყავდა — კერა მასვე რჩებოდა, მაგრამ იგი ვალდებული იყო უმცროსს ცერის აშენებაში მიშველებოდა<sup>32</sup>. ამრიგად, დიდი ოჯახის გაყრის შემდეგ, მართალია, განაყრებს შორის ყოველდღიური სამეურნეო-ნათესაური ურთიერთობა წყდება, მაგრამ ყოველ საჭირო მომენტში ერთად ცხოვრების დროს მოქმედი შრომის ორგანიზაცია, ახალ ვითარებაში ურთიერთდახმარების სახით, მთელი ძალით იწყებდა ფუნქციონირებას, რასაც ყველაფერთან ერთად ხელს უწყობდა ახლო განაყრების ტერიტორიული სიახლოვეც.

დიდი ოჯახი ჩვენთვის საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ, მისი წევრების მრავალრიცხვიანობისა და ქონებრივი მდგომარეობის გამო, ნაკლებად საჭიროებდა ვისიმე დახმარებას.

ზევით ჩვენ შევხვებ ურთიერთდახმარებაში პირადულობის მომენტის მნიშვნელობას. უნდა ითქვას, რომ ურთიერთდახმარების საფუძვლის ასეთი ევოლუცია ყოფისა და მეურნეობის თითქმის ყველა სფეროში იჩენდა თავს. XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ისეთი სიტუაცია იყო შექმნილი, რომ ეს მომენტი კონკრეტული ვითარების მიხედვით ოჯახებს შორის სხვადასხვა (სისხლიერი, ტერიტორიული, სამეურნეო, იდეოლოგიური) შემაკავშირებელ ნიშნებს ემთხვეოდა. სწორედ დამთხვევის სიხშირე გვაძლევს საშუალებას ფრაგმენტული სახით მაინც წარმოვაჩინოთ ურთიერთდახმარების ორივე მხარის ურთიერთვიანობა და გავრთიანების აგების პრინციპი. მთიულეთის სოფელ სეფეში, რომელსაც თო შ ა (ხეგია) ორ ნაწილად ჰყოფს, მცხოვრებ გიორგი გიორგის ძე ნარიშანიძის ცნობით მის პაპას ერთხელ სახლი დასწვია. ისინი სოფელ შონჩოდან არიან გადმოსულები „კომად“ (მამიშვილობით) მჭედლიანები. როცა ახალი სახლის მშენებლობა დაუწყიათ, დასახმარებლად შონჩოელი ნარიშანიძეებიც მოსულან და სხვებთან ერთად მეტად აქტიური მონაწილეობა მიუღიათ სამუშაოს სასწრაფოდ დასრულებაში. ეს შონჩოელი ნარიშანიძეები „კომად“ ასევე მჭედლიანები ყოფილან<sup>33</sup>. მოტანილი მაგალითი იმის მანიშნებელია, რომ ნარიშანიძეთა გვარის ერთ-ერთი მამიშვილობის წევრი ოჯახები, მიუხედავად ტერიტორიული და შორებულობისა, ვალდებულად თვლიან თავს (და არა ავალდებულებენ) შემწეობა აღმოუჩინონ ბიძაშვილს.

გულდამაყრის სოფელ ლთუბუბის მკვიდრის სვიმონ ბერის ძე წიკლაურის გადმოცემით, ამ გვარის თანგულაანთ მამიშვილობა თავის დროზე ერთად ცხოვრობდა სა ო რ ბ ე ზ ე (ადგილი სოფელთან ახლოს). შემდეგ უფრო ქვევით ჩამოსახლებულან, მაგრამ თავდაპირველი საცხოვრისისათვის თავი არ მიუწებებიათ, არამედ მას საძოვრად იყენებდნენ. თვით მიხრობლის ახალგაზრდობაში თანგულაანი 12 კომლი ყოფილან და საორბეზე ერთად მთობდნენ<sup>34</sup>.

31 ბ. გ ძ ე ლ ი ძ ე მთიულეთისა და გულდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები, რე. 1, გვ. 43—45 1984; ი. გ ო გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, მთიულეთისა და გულდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები, რე. 1, გვ. 38—39, 1984.

32 ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930, გვ. 101.

33 ბ. გ ძ ე ლ ი ძ ე, მთიულეთისა და გულდამაყრის ეთნოგრაფიული მასალები, რე. 1, გვ. 65, 67, 1984.

34 ბ. გ ძ ე ლ ი ძ ე, მთიულეთის გულდამაყრისა და ჰართლის ეთნოგრაფიული მასალები, რე. გვ. 16—24, 1983.

ეთნოგრაფიული მასალა არ გვაძლევს საშუალებას, რომ ყოველი შემავიწყებული ნიშნის მიხედვით აგებული დახმარების ნიმუშები მოვიტანოთ. გარდა ამისა ჩვენ შეზღუდული ვართ ამჯერად იმ მხრივაც, რომ მხოლოდ მშენებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთდახმარების წესებს ვეხებით. მიუხედავად ამისა, მოტანილი მასალის მიხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ პირველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მშენებლობის დროს დახმარების სახეობების (ულამისა და „მუშათ შეყრის“) აგებას სისხლიერ, პატრონიმულ პრინციპებზე. მეორე შემთხვევაში სისხლიერი და ტერიტორიული პრინციპები ერთობლივად იყო წარმოდგენილი.

ზევით აღვნიშნეთ, რომ სახლის მშენებლობის პროცესში ოჯახი „შეპყრიდა მუშას“, რაც მთელი სოფლის მკვიდრთა რიგ-რიგობით დახმარებაში იგულისხმებოდა. როგორც „მუშათ შეყრა“, ასევე ულამი დახმარების მიღება-გაცემის თვალსაზრისით ერთი და იგივე პრინციპზე იყო დაფუძნებული. დახმარების ამ სახეობათა ასეთი კუთხით განხილვა ურთიერთდახმარების ორივე მხარეს წარმოაჩენს საქმიან კონტაქტში, მაშინ როცა ზევით განხილული დახმარების მიმღებია და დამხმარეთა ურთიერთგინაობის საკითხი ამ ტრადიციის უფრო შინაგან მხარეს სწავლობს. მშენებლობის დროს მოქმედი კოლექტიური შრომის ეს სახეობანი ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ ულამი ერთხელ ეწყობოდა, მრავალრიცხოვანი იყო და ერთი დღე გრძელდებოდა, ხოლო „მუშათ შეყრა“ მშენებლობის დროს მის სხვადასხვა ეტაპზე რამდენჯერმე ტარდებოდა. თითოეული ჯგუფი „მუშათ შეყრისა“ ერთი დღე ეხმარებოდ მასპინძელ ოჯახს და შედარებით მცირერიცხოვანი იყო.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დამხმარის როლში წარმოგვიდგებოდა სოფელი, ხოლო ოჯახი მორალურ ვალდებულებას გრძნობდა და პოტენციურად მზად იყო ანალოგიური დახმარება გაეწია ყოველი მოწვეულისათვის, თუ საამისო აუცილებლობა შეიქმნებოდა. ასე რომ, დახმარების ორმხრივობა დროში განვრცობილად, გაანგრძლივებულად წარმოგვიდგებოდა, რადგან სამაგიერო დახმარების გაცემა, ჩვეულებრივ, სხვა ოჯახებში მსგავსი ვითარების შექმნაზე იყო დამოკიდებული.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონების ეთნოგრაფიული ყოფაში დადასტურებულია ულამისა და „მუშათ შეყრის“ მსგავსი უანგარო დახმარების სახეობანი, რომლებმაც ბარში შექმნილი ვითარების მიხედვით მეტნაკლები ტრანსფორმაცია განიცადეს და ექსპლუატაციის ნიშნებიც შეითვისეს<sup>35</sup>. ხსენებული სიტუაცია კიდევ უფრო ნათლად ჩანს ქართული სამართლის ძეგლებში. მოვიტანთ ზოგიერთი საბუთის ჩვენთვის საინტერესო ნაწილებს: „და შენთვის გვიბძანებია: უნდა დადგე გომსა, მეტეხსა და ჩოჩეთსა და ან მაგ მკარეს, სანამ ჩვენი ყმანი იყვნენ — სახასონი თუ აზნაურშვილის ყმანი, უნდა მაგათ კომლზედ ურემი შეაბმე ვინო, ქვიშა და ქვა მოუზიდვინო; რომ ერთ კვირას ასრე უნდა მიეხმარენ და შეეწივენ, რადგან მაგისთანა საქმე ქვეყნისაც შესამატი არის და მაგათიც გამოსადეგი საქმე არის. და ორს დღეს ულამზედაც უნდა მოეხმარენ, რომ საკირისათვის ვემოუზიდონ“ („ბრძანება ანტონ II-ისა ისაულისადმი სალთხუცეს ამილბარისათვის ციხის აშენებაში დახმარების თაობაზე“)<sup>36</sup>.

35 თ. გელაძე, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული შრომითი გაერთიანებები აღმოსავლეთ საქართველოში, საკანდიდატო დისერტაცია, — ქსმ, თბ., 1982, გვ. 43—47.  
36 ქართული სამართლის ძეგლები, (შემდეგში: ი. დოლიძის რედაქციით, ტ. III, თბ. 1970, გვ. 985.

იგივე საქმეზე, ოღონდ ერთი წლის შემდეგ გაცემულ საბუთებში შემდეგნაირი ვითარებაა: „მერმე როგორც ჩვენი ოქმი აქვს სალთხუცესსა და იმაში სწერია ხ ა რ ი და უ რ ე მ ი და კ ა ც ი — ჩვენი სახასო და აზნაურშვილის ყმა ყველანი უნდა შეეწიოს და მ ა ა ხ მ ა რ ო თ , რასაც დრო მიანდომებს. და ან ხელი მოუშალეს და მუშა არ გაყვა; იცოდეთ, ჯარიმას წაგართმევთ და ავა-  
დაც მოვეპყრობით“. ეს საბუთი შემდეგ კვლავ მეორდება ასეთი სახით: „მერ-  
მე ჩვენი სალთხუცესი ამიღბარ ციხეს რომ აშენებს ბორტაშია, როგორც მისის უმაღლესობის მეფის ბრძანება გაქვსთ მუშის მოხმარებისა, თუ ჩვენი სიყვარული გაქვს, ჩვენი სახასო, აზნაურშვილის ყმა და თქვენი ყმა რივიანათ უნდა მ ა ა ხ მ ა რ ო თ და შეეწი ე თ“<sup>37</sup>.

არის კიდევ ერთი საბუთი „არზა ზაალ ჯავახიშვილისა დალის თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით“, სადაც ვკითხულობთ: „... მერმე სიონის რუხედ კოშკი აშენეს, ჩემი კაცებიც იქ იყვნენ და თავიანთ უ რ მ ე ბ ი თ ე ხ მ ა რ ე ბ ო დ ნ ე ...“<sup>38</sup> (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — ბ. გ.).

დამოწმებული საბუთები თვალნათლივ გვიჩვენებენ იმ ვითარებას, როცა კოლექტიური დახმარების სახეობანი „ულამი“ და „მუშა“ მხოლოდ ცალმხრივი ხასიათისა იყო. მთიულთა და გუდამაყრელთ ყოფაში მათ ორმხრივი, ე. ი. უ რ თ ი ე რ თ და ხ მ ა რ ე ბ ი ს სახე ჰქონდათ. მოტანილ საბუთებში ასახულ მდგომარეობას დახმარება შეიძლება პირობითად, ფორმალურად ვუწოდოთ, სინამდვილეში კი საქმე გვაქვს შრომით ბეგარასთან. ეთნოგრაფიული მონაცემების შედარება წყაროებთან აშკარად გვიჩვენებს, რომ მთაშიც და ბარშიც ურთიერთდახმარების ტრადიცია გამოიყენებოდა, მაგრამ განსხვავებული სოციალური შინაარსით. შედარებით განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებაში ამ ტრადიციას შექმნილი აქვს ექსპლუატაციის ნიშნები, ხოლო სუსტად დიფერენცირებულ საზოგადოებაში მას ძირითადად ადრინდელი ბუნება შეუნარჩუნებია. წყაროებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ იყენებდა ხელისუფლება ხალხურ ტრადიციებს. რასაც ბუნებრივად მოჰყვებოდა მათი ტრანსფორმაცია. ყოველივე ეს კი ურთიერთდახმარების ტრადიციას აკლიდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს, მორალური ურთიერთვალდებულების პირობას, და მას ქრთვავარ დაკანონებულ იერსახეს ანიჭებდა.

სახლის მშენებლობის დასკვნითი ეტაპი მის საბოლოო გამართვა-გადაჭურვას გულისხმობდა. ამ დროს, ისევე როგორც მშენებლობის წინა ეტაპებზეც, დიდ როლს ასრულებდა შრომის ორგანიზებულად წარმართვა, საქმის ოპერატიულად დამთავრება. მთხრობელთა თქმით, ამ სამუშაოს 1—3 დღე სჭირდებოდა. თუ გასამართავი საცხოვრებელი დიდი არ იყო და, ამავე დროს, დამხმარენიც საქმით რაოდენობით შეიყრებოდნენ, მაშინ ეს საქმეც შეიძლებოდა ერთ დღეში დასრულებულიყო.

სამშენებლო მასალის ადგილზე მოზიდვის დროს, აგრეთვე უშუალოდ მშენებლობის პროცესის ყოველ ეტაპზე, ოჯახი სათანადოდ უმასპინძლებოდა დასახმარებლად მოსულ მეზობელ-ნათესაებს. თუ „მუშა“ დილიდან საღამომდე შრომობდა, მაშინ, ჩვეულებრივ, გამასპინძლება გამოიხატებოდა სამჯერადი კვებით (სადილი, სამხარი, ვახშამი). უბრალო სადილი და სამხარი უშუალოდ სამუშაო ობიექტზე იმართებოდა. საღამოს, მუშაობის მთმთავრების შემდეგ, ვახშამი ეწყობოდა სახლში (ცხადია, თუ სახლი ჯერ კიდევ მშენებლობის

37 ქსტ. II, გვ 999—1000.

38 ქსტ. VI, თბ., 1981, გვ. 451.

პროცესში იყო, ვახშამი საერთო, ძველ საცხოვრებელში გაიმართებოდა) და ხშირად დიდი პურობის ხასიათს იღებდა. საკვების მომზადებასა და სუფრის გაწყობაში ოჯახის დიასახლისს მეზობელი ქალები ეხმარებოდნენ. იკვლებოდა ცხვარი, მზადდებოდა სასმელი, სხვა სახის საკმელი, სუფრასთან მხოლოდ ისინი შეიკრიბებოდნენ, ვინც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენაში. საერთოდ „მუშის“ დაპურების საკითხს ყოველთვის და ყველგან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა<sup>39</sup>.

გარდა ამისა, სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, როცა ოჯახი ახალ საცხოვრებელში უნდა შესულიყო, იცოდნენ ე. წ. საღმრთოს ვადახდა<sup>40</sup>. ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მთიულეთსა და გუდამაყარშიც ახალ სახლში არ გადავიდოდნენ, თუ საფელში მიცვალებული იყო, რადგან ეს პროცედურა ყოველთვის მხიარულებას უკავშირდებოდა. მოპატიებულ მეზობელ — ნათესაებს სათანადოდ უმასპინძლებოდნენ და თავის მხრივ იმათაც მოჰქონდათ საჩუქარი. პურობის დაწყებამდე სპეციალურად საამისოდ შეთქმულ საკლავს ჰკლავდნენ. სუფრასთან შეკრებილნი თამადად ირჩევდნენ ამ საქმისათვის მომზადებულ კაცს. უპირველესად დალოცავდნენ ახლად გამართული სახლის ფუძეს, მის მფარველ ანგელოზებს და ბედნიერ ცხოვრებას უსურვებდნენ ოჯახს. სუფრასთან მყოფი დეკანოზი სანთლებს აანთებდა, დაილოცებოდა, ოჯახის წევრებსა და ახალ საცხოვრებელს დაამწყვლობებდა. სვანეთში შესწავლილ ვითარებას, რომ კერის დალოცვის დროს ახალ სახლში ოჯახი წმინდა უნდა ყოფილიყო, კარგად ესადაგება ჩვენი საკვლევი კუთხეების მონაცემებიც, რის მიხედვითაც ასევე ერიდებოდნენ ახლად მოლოგინებული მენსტრუაციის პერიოდში მყოფი ქალის შეყვანს<sup>41</sup>. ბოლოს საღმრთოს მონაწილენი საერთო მხიარულებით ამთავრებდნენ პურობას.

ამრიგად, ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მთიულეთსა და გუდამაყარში არსებულ ურთიერთდახმარების სისტემაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა შრომითი დახმარება მშენებლობის პროცესში. დახმარების ეს წესი შეესაბამებოდა საკვლევი კუთხეთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს და მის შესაბამის მოთხოვნილებებს. მშენებლობაში დახმარების ტრადიცია თავისი ხასიათით გამოხატავდა სოციალურად სუსტად დიდფერენცირებული საზოგადოების ინტერესებს. აქ მას არ შეუძენია ექსპლუატაციის ის ნიშნები, რაც წყაროების მიხედვით ცნობილი იყო საქართველოს ბარის შედარებით განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებაში.

ბ. ო. გძელიძე

## ТРУДОВАЯ ВЗАИМОПОЩЬ В ДОМОСТРОИТЕЛЬСТВЕ (по этнографическим материалам Мтиулети и Гудамакари)

Резюме

Среди действующих способов трудовой помощи распространены общественном быте населения Мтиулети и Гудамакари, значи-

<sup>39</sup> ნ. ჯიქია, მუშის დაპურების საკითხი ხელნაცვლი შეკლის დროს აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, სსმ XXXIV—B, თბ., 1979, გვ. 87—92.

<sup>40</sup>ს. მაკალათია, მთიულეთი, გვ. 100; მისივე. ხეცურეთი, მეორე გამოცემა, თბ., 1984, გვ. 133; ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, გვ. 19.

<sup>41</sup> მ. ჩართოლანძ, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, გვ. 82.

тельную роль играла взаимопомощь в процессе строительства дома. В статье рассмотрены основные этапы строительства с выявлением отдельных видов трудовой помощи, действующих на каждом из этих этапов. В исследуемых уголках фиксируются однотипные виды взаимопомощи, известные под именем «мушат шекра» и «улами». Если в процессе строительства практиковалась неоднократная организация «мушат шекра», то «улами» действовала лишь однажды во время перевозки камня и лесоматериала.

В статье использованы данные письменных источников, которые, отражая действительность низменной части Грузии, содействуют более полноценному освещению изучаемого нами вопроса.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მენციერებთან აკადემიის იე. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ.



И. П. БАЛАБАНОВ, М. В. ГАПРИНДАШВИЛИ

## К ВОПРОСУ О МЕСТОПОЛОЖЕНИИ ДРЕВНЕГРЕЧЕСКИХ ГОРОДОВ ПИТИУНТ И ДИОСКУРИЯ

(Палеогеографический аспект проблемы)

Итогом Великой греческой колонизации Кавказского побережья Черного моря и последовавшей за ней римской экспансии явилось возникновение здесь многочисленных античных поселений и городов, значительную часть которых удалось уверенно локализовать по древним первоисточникам, а в последующем и выявить в натуре. Однако до настоящего времени все же продолжает оставаться неясным местоположение целого ряда древнегреческих поселений, среди которых такие крупные и широкоизвестные в литературе города как Диоскурия, Фасис, Питиунт и другие. Как нам представляется, причина этого кроется в неверно выбираемом в каждом конкретном случае направлении поисков, которые проводятся без учета палеогеографических закономерностей развития береговой зоны Черноморского побережья Кавказа на заключительных этапах голоценовой трансгрессии бассейна.

Многочисленными исследованиями (Федоров, 1956, 1959 и др.; Островский и др., 1977; Балабанов и др., 1981; Шилик, 1972, 1975 и целый ряд других) в течение последних десятилетий достаточно надежно изучен уровенный режим Черноморского бассейна, особенно для второй половины голоценовой трансгрессии. Можно уверенно говорить, что уровень моря достиг современных отметок около 5 тыс. лет назад, но в последующем не оставался постоянным. Для заключительного этапа голоценовой трансгрессии выявлено несколько кратковременных спадов уровня (промежуточных регрессий или регрессивных фаз) (рис. 1). Изменения уровня бассейна были обусловлены относи-




Рис. 1. Кривая колебания уровня Черного моря за последние 4 тыс. лет (по Балабанову И. П. и др., 1981). Трансгрессивные фазы: 1 — новочерноморская, 3 — нимфейская, 5 — средневековая, 7 — современная. Регрессивные фазы: 2 — фангорийская, 4 — раннесредневековая, 6 — позднесредневековая.

тельными ухудшениями климата, носившими планетарный характер. Наиболее глубоким был спад уровня моря, наблюдавшийся в середине I тысячелетия до н. э. и получивший в литературе название фанагорийской регрессии (Федоров (1956, 1959). Об абсолютной величине снижения уровня мнения исследователей достаточно противоречивы. Однако с повышением степени изученности этой эпохи в истории развития Черноморского бассейна, опираясь на геолого-геоморфологический и археологический материал, большинство исследователей сходится на том, что максимальное снижение уровня наблюдалось в VI—IV вв. до н. э. и составляло 8—13 м (Островский и др., 1977; Балабанов и др., 1981; Шилик, 1975 и другие). Но уже во II в. до н. э. уровень моря вновь располагался на отметках, близких к современным (Балабанов и др., 1981), а к середине I тысячелетия н. э., возможно, даже несколько превышал их. Это очередное повышение уровня бассейна носит название нимфейской трансгрессии (Федоров, 1956, 1959).

Как показали детальные палеогеографические реконструкции, выполненные для второй половины голоценовой трансгрессии, существенные изменения происходили также с волновым режимом бассейна (Балабанов, 1984). Для эпохи фанагорийской регрессии, как и для всех регрессивных фаз голоценовой трансгрессии, было характерно резкое и значительное снижение волновой активности бассейна. Можно предполагать, что в Восточном Причерноморье уменьшалась повторяемость волнений в 4 и 5 баллов, а волнения в 6—7 баллов, очевидно, были здесь большой редкостью. Во время нимфейской трансгрессии волновая активность бассейна вновь возрастала и несколько превышала ее современный уровень.

Следствием таких изменений основных характеристик гидрологического палеорежима бассейна явилась активная плано-высотная миграция его береговой линии (Арсланов, Балабанов и др., 1982). На приустьевых участках крупных рек Кавказского побережья эффект регрессивно-трансгрессивной миграции береговой линии проявлялся наиболее выразительно, так как здесь он значительно усиливался за счет возрастания или снижения (соответственно) влекомой составляющей твердого стока рек, являющегося основным источником питания наносами береговой зоны моря. Детальные палеогеографические реконструкции показали, что с развитием фанагорийской регрессии аккумулятивные формы Кавказского побережья, подобные Пицундскому и Сухумскому полуостровам, значительно увеличились в своих размерах. Их контуры в основных чертах повторяли современные, но береговая линия в V в. до н. э. проходила значительно мористее.

С развитием нимфейской трансгрессии в береговой зоне моря активизировались процессы абразии, что проявилось в резком сокращении размеров аккумулятивных форм. Максимальные величины отступления береговой линии отмечены для открытых участков берега, где они достигали 400—700 м и даже 1000 м. В заливах, берега которых находились в волновой тени основных наносодвижущих волнений, положение береговой линии оказывалось более устойчивым. Это объяснялось тем, что даже в процессе развития нимфейской трансгрессивной фазы вдольбереговой поток наносов продолжал приносить сюда достаточно большое количество материала, что и позволяло длительное время поддерживать здесь динамическое равновесие береговой зоны моря. Однако на заключительном этапе трансгрессивной фазы с истощением вдольберегового потока наносов и эти участки берега начинали отступать, причем, возможно, катастрофически быстро. Поэтому в заливах абсолютная величина отступления береговой линии

в большинстве случаев не превышала 100—200 м (Пицундский залив), в исключительных случаях достигала 400—500 м (западное крыло Сухумского залива). Приняв общее время абразионной переработки берега для нимфейской трансгрессивной фазы равным 10 столетиям, то есть с V в. до н. э. по V в. н. э., можно оценить для этой эпохи среднюю трансгрессивную скорость абразии. Для берегов, сложенных рыхлым материалом (песок, шгравий, галька), она была достаточно высокой и изменялась от 10—20 м в столетие в заливах до 70—100 м в столетие на открытых участках морского побережья.

Таким образом, следствием сложного регрессивно-трансгрессивного режима бассейна, выявленного для заключительных этапов голоценовой трансгрессии Черного моря, явились значительные по величине плано-высотные миграции береговой линии, носившие возвратно-поступательный характер. Именно это обстоятельство в первую очередь должно приниматься нами во внимание при определении направления поисков археологических памятников как ранней, так и поздней античности. Это тем более важно для условий мобильных аккумулятивных береговых форм, формирующихся на предустьевых взморьях крупных рек Кавказского побережья.

Немаловажным фактором, который также заслуживает внимания при организации поисков археологических памятников античности, является характер миграции устьевых участков рек. Как показали палеогеографические исследования устьевых участков рек Бзыби и Гумисты, их устья с развитием регрессивных фаз, следуя за выдвигающейся береговой линией моря, мигрировали в юго-восточном направлении, то есть по генеральному направлению вдольберегового потока наносов, определявшего общее направление роста аккумулятивной береговой формы. С развитием трансгрессивных фаз, вызывавших развитие подпора в устьевых участках рек и общее снижение их твердого стока, происходила миграция устьев в обратном направлении, то есть к северо-западу. Размах такой миграции оказывался значительным и в основном зависел от величины колебания уровня бассейна и степени приглубокости той части подворного склона, в пределах которой происходило формирование аккумулятивной формы. Так, с развитием фанагорийской регрессии устье р. Бзыби смещалось к юго-востоку на 3—4 км и впадало в море в районе современного м. Инкит. С развитием нимфейской трансгрессии оно переместилось к северо-западу и в V в. н. э. располагалось в районе северной окраины цитрусового совхоза, где до сих пор продолжают сохраняться заболоченные старицы. Аналогичный характер миграции устья отмечен и для р. Гумисты.

Принимая во внимание изложенные выше палеогеографические закономерности развития аллювиально-морских аккумулятивных форм, приуроченных к устьям крупных рек Кавказского побережья, попытаемся определить направление поисков древнегреческих городов Питиунт и Диоскурия. Ограничение выбора объясняется тем, что первоначально Пицундский (Балабанов и др., 1981), а в настоящее время и Сухумский полуостров детально изучены нами в процессе инженерно-геологических исследований, которые с 1971 г. на Черноморском побережье Грузии проводит Гидрогеологическая партия 7 района ПГО Гидроспецгеология Мингео СССР. Обширный геолого-геоморфологический материал, обоснованный многочисленными палинологическими, палеофаунистическими и геохронологическими анализами, позволил выполнить детальные палеогеографические реконструкции для эпох фанагорийской регрессии и нимфейской трансгрессии.

Учитывая портовый характер Диоскурии и Птиунта, а также принимая во внимание очевидные требования фортификации, их следует искать в пределах западных берегов палеозаливов, которые, во-первых, были наиболее благоприятны для организации здесь причалов, а также располагали удобными якорными стоянками, а, во-вторых, со стороны суши были достаточно надежно защищены обширными лагунами и реликтовыми озерами. Не может вызывать больших возражений и то, что в условиях резко снизившейся волновой активности бассейна, даже в условиях слабо изрезанных берегов Восточного Причерноморья портовыми городам не обязательно было иметь закрытые морские гавани. Кстати, следует отметить, что для образования обширных внутренних водоемов, какими располагали римляне, время освоения побережья которыми приходится на развитие нимфейской трансгрессии, не было и палеогеографических предпосылок. Значительное снижение уровня в бассейне одновременно вызывало снижение уровня подземных и поверхностных вод, что особенно выразительно проявлялось на приморских низменных равнинах. Следствием этого являлось сокращение площадей внутренних водоемов, их общее обмеление (возможно, даже заболачивание) и затруднение связи с открытым морем из-за значительного выдвигания береговой линии.




Рис 2. Палеогеографическая схема развития Пицундского полуострова с V в. до н. э. по V в. н. э. (по Балабанову И. П. и др., 1981)

Условные обозначения. Береговая линия: 1) V в. до н. э. — максимум фангорийской регрессии; 2) V в. н. э. — максимум нимфейской трансгрессии; 3) современная; 4) поверхность полуострова, размываемая или затопленная морем в процессе развития нимфейской трансгрессии; 5) поймы рек; 6) вторая терраса Черноморского побережья; 7) низкогорье, 8) бровка шельфа, современные глубины моря 90—100 м; 9) археологические памятники поздней античности; 10) обширные озера — понижение, местами заболаченное.

Как же в дальнейшем сложилась судьба этих древнегреческих городов?

История Питиунта может быть представлена следующим образом. С V в. до н. э. по настоящее время береговая линия западного крыла Пицундского залива неоднократно испытывала возвратно-поступательные плано-высотные миграции, которые происходили в пределах современной прибрежной полосы шириной 100—200 м (рис. 2). Этот процесс сопровождался достаточно интенсивными донными размывами, которые в последующем сменялись активной аккумуляцией наносов. Поэтому, если допустить, что в пределах Пицундского полуострова все же существовало древнегреческое поселение, следы которого на современной поверхности полуострова, к сожалению, отсутствуют, остается только предположить, что это поселение было довольно ограниченных размеров и располагалось на западном берегу залива. В настоящее время его остатки погребены под 5—10-метровым слоем осадков в пределах современного северо-восточного крыла пицундской сосновой рощи. Если же следы этого поселения и сохранились на донной поверхности, то их следует в первую очередь искать на довольно приглубоком подводном склоне западного крыла Пицундского залива на глубинах моря от 3—5 до 10—12 м. Конечно, эти предположения, сделанные на основе палеогеографических реконструкций, имеют субъективный характер, но все же заслуживают внимания. Исследования, которые смогут подтвердить их или полностью опровергнуть, в первую очередь целесообразно направить на обследование подводного склона западного крыла Пицундского залива от причала курорта Пицунда к вершине залива.

Судьба Диоскурии, как нам представляется, оказалась более удачной. Палеогеографические реконструкции показали, что в эпоху фанагорийской регрессии (рис. 3) береговая линия Сухумского залива




Рис. 3. Палеогеографическая схема развития Сухумского полуострова с V в. до н. э. по V в. н. э. (по И. П. Балабанову). Условные обозначения см. рис. 2.

имела генеральное направление от мыса в сторону устья р. Баслы. Наибольшее отступление современной береговой линии от ее положения в фанагорийскую эпоху отмечено для западного крыла залива между мысом и развалинами Севастополиса и составляет около 800 м.

В районе Севастополиса, располагавшегося в вершине залива, стены которого произвольно выполняли роль берегозащитных сооружений, величина отступления оказалась значительно меньше и не превышает 100—150 м. В районе устья р. Баслы эти величины вновь возрастают, но не превышают 300—400 м. В результате неравномерного, но преимущественно однонаправленного хода абразионной переработки береговой зоны Сухумского залива в его вершине образовалась выгнутость береговой линии, которую мы назвали Севастополиским мысом. В дистальной части этого мыса располагаются развалины древнеримского Севастополиса. Здесь и в настоящее время активно протекает процесс абразии, свидетельством чему является полное отсутствие пляжа перед волноотбойными стенами.

Во время развития максимальной стадии фанагорийской регрессии р. Гумиста пересекала Сухумский полуостров в южной его части и впадала в одноименный залив в районе рыбзавода. В тыловой части палеополуострова и в вершине залива располагалось обширное озерное понижение, отчлененное от открытого моря широкой песчано-гравийной пересыпью. Озерное понижение пересекали реки Адзапш, Басла и другие. На пониженных участках возможно было развитие процесса заболочивания.

Принимая во внимание портовый характер древнегреческого поселения, при выборе места заложения которого, несомненно, учитывались требования древней фортификации, его следы следует искать в пределах западного крыла Сухумского залива между палеоустьями рек Гумиста и Басла. Во-первых, этот участок берега находился в волновой тени наиболее часто повторяющихся здесь волнений западной четверти. Во-вторых, со стороны берега он был надежно защищен широким (до 1,5 км) труднопроходимым заболоченным озерным понижением, протягивающимся на 6—7 км вдоль южных склонов возвышенности.

Опираясь на сведения античных авторов и на результаты археологических раскопок последних десятилетий, целый ряд исследователей (Иващенко, 1926; Соловьев, 1947; Трапш, 1969 и другие) высказывали в различной степени обоснованные, но достаточно убедительные предположения, что основную часть Диоскурии следует искать на дне Сухумского залива. Однако слабая изученность истории геологического развития Сухумского полуострова и прилегающего к нему шельфа на заключительных этапах голоценовой трансгрессии не позволяла, к сожалению, правильно выбрать направление поисков. Предпринятые попытки реконструировать эпоху ранней античности, выполненные без должного геологического обоснования (Соловьев, Шервашидзе, 1960), оказались настолько далекими от реальной палеогеографической обстановки, что не только не помогли в выборе правильного направления поисков, а, наоборот, приводили к мысли об их бесперспективности.

В 1981—1983 гг. при батиметрических промерах западной части Сухумского залива (режимные створы 49—55)<sup>1</sup> нами было обращено внимание на постоянно фиксируемые на эхолотных диаграммах «гривки». Это свидетельствовало о нахождении на подводном склоне залива на глубине моря 7—8 м, где донные грунты уже были представлены илистым песком различной крупности, каких-то инородных образо-

<sup>1</sup> Для плановой привязки археологического памятника приведем местоположение крайних створов: ств. 51 расположен в 75 м к юго-востоку от угла спортивной площадки, азимут 174°; ств. 54 — на углу улицы Маяковского, азимут 182°.

ваний скального характера. Вынесение «гривок» на крупномасштабный батиметрический план показало, что, местами исчезая или нечетко прослеживаясь, они в целом картируются в виде единой полосы длиной около 0,6—0,7 км восток-северо-восточного простирания. Удаление западного конца полосы от современного уреза составляло 600—650 м, восточного — 400—500 м.

Возможность естественного характера этих образований сразу же была отвергнута, так как мощность голоценовых отложений в Сухумском заливе превышает 30—40 м, что делает здесь практически невозможным выход на дневную поверхность останков коренных пород, которые к тому же и представлены слабо устойчивыми к абразии майкопскими глинами. В дальнейшем это было подтверждено результатами буровых работ и сейсмоакустического профилирования, позволивших изучить геологическое строение Сухумского шельфа на глубине до 40—60 м.

Первое рекогносцировочное водолазное обследование этой части Сухумского залива было выполнено 11 сентября 1983 г. на участке створов 52—53 (водолаз-геолог И. Гусаков). На глубинах моря 5—6 м были обнаружены свободно лежащие на морском дне отдельные плиты размером 0,5×1,0 м толщиной около 0,2 м. Ширина полосы достигала 3—4 м. За ее пределами на песчаном дне наблюдались редкие валуны и обломки сцементированного гравия и галечника. Не вызвало сомнения, что обследованный развал плит образовался в результате разрушения морем древних крепостных стен, сложенных из гравийно-галечника на известковистом цементе.

16 и 17 сентября было предпринято повторное обследование выявленных развалов стен (водолаз-геолог В. Ильвес). Вдольбереговым подводным маршрутом на этот раз было обследовано около 400—450 м разрушенной стены, расположенной на глубинах моря 6—8 м между створами 51—53. Среднее превышение развалов над морским дном со стороны моря не превышало 0,7—0,8 м, увеличиваясь со стороны берега до 1—1,2 м. Ширина полосы на обследованном участке колебалась от 2 до 4 м. Размер отдельных плит, имеющих неправильную форму, находился в пределах от 1×2 м при толщине 0,5 м до 2×3 м при толщине около 1 м. Местами развалы стен исчезали, просветы достигали 30 м, но в них наблюдались отдельные плиты размером 0,5×1 м и толщиной 0,2 м. Донные наносы на обследованном участке были представлены среднезернистым песком. Наблюдались набросы валунов, очевидно, также являющихся продуктом разрушения крепостных стен. В сторону берега крупность донных наносов уменьшалась, и они были представлены илистыми мелкозернистыми песками.

Более детальное обследование археологического памятника было проведено 20 октября и 23 декабря 1983 г. В результате серии подводных погружений (водолаз-геолог И. Гусаков) удалось обследовать дно Сухумского залива в пределах створов 50—55, то есть практически был обследован весь участок выявленных развалов стен.

В северо-восточной части полосы в пределах створов 55—54 на глубинах моря 7 м был отмечен развал стен протяженностью 100—120 м (рис. 4). Здесь наиболее крупные плиты, сложенные из гальки и валунов, достигали размеров 6—8×10—12 м при толщине 0,3—0,4 м. Отдельные плиты оказались из крупных валунов диаметром до 20—25 см и имели толщину до 1,5 м. Превышение развалов стен над дном составляло 1,4—1,5 м при общей ширине полосы до 40 м. Основание стен или фундаменты сооружений, к сожалению, обнаружить не

удалось. В северо-восточном направлении, то есть в направлении к берегу, высота развала снижалась, и он полностью перекрывался донными наносами, представленными песками. Здесь лишь изредка продолжали встречаться отдельные обломки стены. К юго-западу высота развала снижалась до 0,8 м. Здесь он представлял собой нагромождение небольших блоков размером  $2 \times 2$  и толщиной 0,4 м.




Рис. 4. Развал крепостных стен в районе створа 55, глубина моря 7 м (зарисовка И. Гусакова 20.10.1983 г.)

В центральной части полосы в пределах створов 54—52 был выявлен и обследован развал стен протяженностью около 40 м при ширине полосы до 12 м. Глубины моря с южной стороны развала, то есть со стороны моря, здесь несколько возросли и достигали уже 8 м, оставаясь со стороны суши такими же, как на предыдущем обследованном участке. Развал стен представлял собой нагромождение плит разных размеров, среди которых преобладали плиты размером  $1-2 \times 2-3$  м и толщиной 0,4—0,6 м, сложенные из гравия, гальки и мелких валунов (до 15 см) на известковистом цементе. В юго-западном направлении размер отдельных плит заметно возрастал. Их длина достигала 4—6 м. Ориентировка длинной стороны плит совпадала с общим простиранием развала, все блоки имели общий наклон в сторону моря, с этой же стороны наблюдались и наиболее крупные блоки. Превышение развала над дном составляло 1—1,2 м. Взаиморасположение отдельных плит позволяло предполагать, что они являются частями единой стены, разбившейся при обрушении.

В юго-западной части полосы в районе створа 51 был обследован участок протяженностью около 60 м и шириной до 15 м. Здесь глубины моря возросли до 10 м. Развал стен представлял собой нагромождение отдельных блоков из гальки и валунов (до 30—35 см) размером  $2-3 \times 4-6$ , реже  $5-6 \times 8-12$  м при толщине 0,6—1 м. По отно-



шению к ранее обследованным участкам здесь наблюдалось заметное увеличение размера блоков и укрупнение слагающего их материала. Заметно возросло и превышение развала над морским дном, которое достигало 1,5 м.

Наличие на подводном склоне Сухумского залива такого крупного искусственного сооружения повлияло на характер развития береговой зоны залива в нимфейскую трансгрессию и продолжает сказываться в настоящее время. Это проявляется в искажении здесь профиля подводного склона на глубинах моря 6—8 м и резком искривлении изобаты 6 м. В 1904—1905 гг. при лотовом промере Сухумского залива (Карта..., 1911) на этом участке было отмечено аномальное уменьшение глубины в отдельных точках на 4—5 футов, то есть на те же самые 1,2—1,5 м, на которые и в настоящее время развалы стен возвышаются над морским дном. Возможно, что это было замечено и при первых гидрографических съемках Сухумского залива, проведенных в 1833 г. Е. П. Манганари (1841), на карте которого тоже отмечено искривление изобаты 5 сажень<sup>2</sup> в сторону моря. Однако мелкий масштаб карты и схематичность в проведении прибрежных изобат не позволяют нам делать более уверенные выводы.

Конечно, точный возраст обнаруженного нами на дне Сухумского залива археологического памятника может быть определен только после специальных исследований. Но уже сейчас можно с высокой степенью достоверности относить его к первой половине ранней античности и считать какой-то частью древнегреческой Диоскурии. В пользу этого говорит достаточно детальный анализ истории геологического развития Сухумского залива за последние 4—5 тыс. лет и гипсометрическое положение памятника. Подтверждает высказанное предположение также возраст отложений, на которых «залегает» развал крепостных стен. Методом радиоуглеродного анализа по раковинам, отобранным из керна буровой скважины 702<sup>3</sup>, в интервале 0,7—2,2 м получена датировка  $3610 \pm 115$  лет (ТБ-382). Бесспорно, что строительство на этих отложениях было возможно только при полном осушении залива, которое наблюдалось во время развития максимальной стадии фанаторийской регрессивной фазы, датируемой VI—IV вв. до н. э. Ко II в. до н. э. сооружения должны были быть поглощены морем, уровень которого в это время был уже близок к современному. Интересно отметить, что аналогичное соотношение возраста археологического памятника ранней античности и возраста субстрата, на котором он располагается, получено для Ольвии (Шилик, 1972, 1975). Здесь по образцам раковин, отобранным непосредственно из-под культурного слоя, залегающего в ненарушенном состоянии, получены датировки  $3210 \pm 50$  (ЛЕ-1171) и  $3420 \pm 60$  (МО-500).

Представлена академиком АН ГССР А. М. Апакидзе

<sup>2</sup> То есть 9,15 м, т. к. на морских картах глубины моря приводились в сажнях шестифутовой английской меры.

<sup>3</sup> Буровая скважина 702 была пробурена в 300 м к юго-западу от развала стен на глубине моря 15,5 м.

მანბან ლინალი

### კულტურული ფენის ნაჯერიობა

თანამედროვე არქეოლოგიის განვითარებამ, როგორც ცნობილია, დღის წესრიგში დააყენა ზუსტი არქეოლოგიური ცნებებისა და ტერმინების შემუშავების პრობლემები. უკვე სრულიად აშკარაა, რომ პრაქტიკული და თეორიული კვლევის პროცესში გამოუსადეგარია ზოგიერთი ცნებებისა და ტერმინების დღეისათვის არსებული შინაარსობრივი განსაზღვრულობა (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, შინაარსობრივი განუსაზღვრელობა, რადგან პრაქტიკულად ზუსტად განსაზღვრული ტერმინოლოგია ჯერჯერობით არ არსებობს), რომლებიც დღეს დამკვიდრებულია არქეოლოგიურ ენაში და ფაქტიურად წარმოადგენს დაბალ, უშუალო მეტყველების დონეზე გააზრებულ ენობრივ საფუძველს.

წინამდებარე ნაშრომი ეხება ფენის თეორიის ერთ-ერთი ვიწრო საკითხის — ფენაში არქეოლოგიური მასალის განფენის რაოდენობრივი ზომის გარკვევას და შესაბამისად, მიზნად ისახავს აღნიშნული ზომის შეძლებისდაგვარად ზუსტ და კონკრეტულ განსაზღვრებას ნამოსახლარების კულტურული ფენებისათვის.

არქეოლოგიაში არ არსებობს ზუსტად განსაზღვრული კრიტერიუმი კულტურულ ფენაში განფენილი მასალის რაოდენობის შეფასებისათვის და შესაბამისად, არ არსებობს ერთიანი, მეთოდოლოგიურიად გამართლებული საფუძველი სხვადასხვა ძეგლების კულტურულ ფენაში განფენილი არქეოლოგიური მასალის შეფასებისათვის. მსგავსი რაოდენობრივი ზომის შემოღების აუცილებლობა კი ყოველთვის იგრძნობა, რაც თავს იჩენს ზოლმე ფრაზებში: „ფენაში მასალა ცოტაა“, ან „ფენაში უხვად გვხვდება მასალა“, „მასალა მჭირია“ და ა. შ. მაგრამ იმის გამო, რომ ამ ფრაზებს არ გააჩნიათ არავითარი რაოდენობრივი ზომა, რომელიც ერთი საერთო ათვლის წერტილიდან იქნებოდა გაანჯარიშებული, ისინი რჩებიან ფაქტობრივად ცარიელ და პრაქტიკულად გამოუსადეგარ ცნებებად იმ ინფორმაციის მისაწოდებლად, რომელიც მათში უნდა ყოფილიყო ნაგულისხმები. უფრო კონკრეტულად განვმარტავ ამ აზრს: არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევის გარკვეულ საფეხტორზე ხშირად წარმოიშობა აუცილებლობა იმისა, რომ ერთმანეთს შედარდეს გარკვეული არქეოლოგიური ძეგლები ან ფენები. ყოველი ფაქტი — მოსახლეობის ცხოვრების ხანგრძლივობაა ეს, მისი კულტურული თუ ეკონომიკური ცხოვრების ინტენსივობა და სხვ. — კონკრეტულ განსაზღვრებას იღებს მხოლოდ მეთოდოლოგიურად სწორი შედარების ფონზე. ე. ი. მაშინ, როდესაც ხდება ფაქტების ერთმანეთთან დაბირისბირება, (მაგალითად, თუნდაც, მრავალფენიან ნამოსახლარზე ცხოვრების ინტენსივობის დასადგენად აუცილებელია სხვადასხვა ხანის ფენებში მასალის შემცველობის განსაზღვრა და მათი ერთმანეთთან შედარება). მაგ-

რამ მსგავსი შედარება-დაპირისპირების პროცესში წარმოიშობა გარკვეული წინააღმდეგობა, რადგან, როგორც წესი, ნამოსახლარები ან კულტურული ფენები — მიუხედავად იმისა, ისინი სინქრონულებია თუ არა, საკუთარი რაოდენობრივი პარამეტრებით თითქმის ყოველთვის განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — სხვადასხვაა მათი ფართობები, სხვადასხვაა ფენის სიმძლავრე, სხვადასხვაა აღმოჩენილი მასალის რაოდენობა. მეორე მხრივ კი, ცალკე აღებულ ერთ ნამოსახლარზე ან ფენაში ყველა ეს პარამეტრი ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებული და რომელიმეს ცალკე განხილვა ნიშნავს ნამოსახლარის ან ფენის მხოლოდ ერთი, ცალმხრივი კუთხით გააზრებას. მაშასადამე, აღნიშნული პარამეტრებით ნამოსახლარების (ან გარკვეული წანის ფენების) ერთმანეთთან შედარება (მაგალითად, მასალის რაოდენობის მხრივ) მეთოდოლოგიურად სრულიად გაუმართლებელია, რადგან რიგ შემთხვევებში ეს რაოდენობა, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს ნამოსახლარის (ან ფენის) ფართობზე ან ფენის სიმძლავრეზე. ამდენად, ბუნებრივია, ჩნდება აუცილებლობა ისეთ კრიტერიუმის მოძებნისა, რომელიც მოაწესრიგებდა და გაითვალისწინებდა ყველა ამ პარამეტრს შორის არსებულ კავშირს და ამავე დროს მოგვეცემა ფენაში არქეოლოგიური მასალის რაოდენობის ისეთ ზომას, რომელიც ამსახველი იქნებოდა კონკრეტულ ძეგლზე საზოგადოების ცხოვრების ინტენსივობისა, რადგან ფენაში გამოვლენილი მასალის რაოდენობა უშუალოდაა დამოკიდებული ადამიანთა საწარმოო-სამეურნეო, სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების ინტენსივობისა.

ამდენად, ფენაში ვანფენილი მასალის ერთიანი კრიტერიუმით გაანალიზება შეიძლება გამოდგეს ობიექტურ საფუძვლად, რეალურად შესადარებელ ერთეულად ცალკეულ, ერთი ხასიათის ძეგლებზე ადამიანის ქმედობის ჭეშმარიტი ინტენსივობის დასადგენად.

აღნიშნული კრიტერიუმის შემუშავება მხოლოდ პრაქტიკული, უშუალო არქეოლოგიური გათხრების პროცესში ჩატარებული დაკვირვების შედეგად ფაქტობრივად განუხაზღვრელ დროს მოითხოვს და ამასთან გულისხმობს მასალით მაქსიმალურად გაჯერებული ფენის კვლევას, რაც უკვე თავისთავად ქმნის შესაძლო უზუსტობის საფუძველს იმდენად, რამდენადაც გასარკვევი ზღვება თვით მაქსიმალური გაჯერების რაოდენობა. შესაბამისად, კრიტერიუმის შემუშავება შესაძლებელია მხოლოდ ექსპერიმენტული გზით. მაგრამ აქ წარმოიშობა ერთი პრობლემა — რა უნდა ჩაითვალოს კრიტერიუმის შემუშავებისათვის აუცილებელ ათვლის წერტილად — ფენაში მასალის მაქსიმალური თუ მინიმალური რაოდენობა და რა რაოდენობრივი ზომა შეიძლება შეესაბამებოდეს ერთს ან მეორეს.

სრულიად აშკარაა, რომ მსგავს ათვლის წერტილად არ გამოდგება ფენაში მინიმალური მასალის რაოდენობის არსებობა, რადგან მინიმალური რაოდენობა გულისხმობს გარკვეულ სიდიდეს — ნულს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფენაში მასალა არაა, ხოლო ასეთი ფენა კი სპეციალური არქეოლოგიური კვლევის საგანს არ წარმოადგენს, იგი აღარაა კულტურული ფენა. მაგრამ თუ მაინც დავუშვებთ, რომ კულტურულ ფენაში მასალის არსებობა ნულ პროცენტს შეადგენს, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ერთი ან ათი ან ნებისმიერად აღებული რიცხვი შეადგენს ფენის 1, 10 ან ნებისმიერი რაოდენობის პროცენტს, ე. ი. კრიტერიუმი ფაქტობრივად უსასრულო და შესაბამისად, სრულიად გამოუსადე-

გარი ხდება. ამდენად, აშკარაა, რომ კრიტერიუმის შემუშავებისათვის ათვლის წერტილად გამოყენებული უნდა იქნას ფენაში მასალის შესაძლო მაქსიმალური რაოდენობა, ე. ი., ეს რაოდენობა ფენაში მასალის მაქსიმალურ, 100 %-იან რაოდენობას უნდა შეესაბამებოდეს. ეს უკვე თავისთავად სასრულსა, შემოწმდებარულს ხდის კრიტერიუმს და მასალის ნებისმიერ რაოდენობას აქცევს 0-სა და 100 %-ს შორის.

ყოველი ფენა რაოდენობრივად თვალსაზრისით ხასიათდება სამი ძირითადი კომპონენტით: ჰორიზონტალური და ვერტიკალური განშლადობით (ე. ი. ფართობითა და სიმაღლით) და მასალის შემცველობის რაოდენობით (ანუ ფენის ნაჭერობით). იმის გამო, რომ ყველა ეს კომპონენტი ცვალებადია და ისინი სხვადასხვა ძეგლზე სხვადასხვა ზომით შეიძლება იქნას წარმოდგენილი, ფენაში მასალის მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრისათვის სტანდარტულად მივიღეთ ფენის ერთი კუბური მეტრი. ამ განზომილების მოცულობის გამოყენება ობტიმალურია ჯერ ერთი იმის გამო, რომ ფენის ჰორიზონტალური და ვერტიკალური განშლადობა უმეტეს შემთხვევაში აღემატება ადგიულ სტანდარტს და მეორე მეორეც; ამ განზომილებაზე გაცილებით ადვილია ყოველგვარი მათემატიკური ოპერაციების ჩატარება და შესაბამისად, პრაქტიკულად ადვილი გამოსაყენებელია.

გათხრილი არქეოლოგიური ძეგლების ამ თვალსაზრისით შესწავლისა და ექსპერიმენტების პროცესში გაირკვა, რომ ფენაში მასალის შემცველობის რაოდენობა მკვეთრად განსხვავებულია ქვის ხანის და მომდევნო ეპოქების ძეგლებისათვის. ეს სხვაობა ნათლად დადასტურდა ექსპერიმენტის დროს. დადგინდა, რომ, მაგალითად, ზედა პალეოლითური ანატაკეების რაოდენობა ერთი კუბური მეტრის მოცულობის ფენაში თეორიულად შეიძლება აღწევდეს 172 000 ერთეულს (ექსპერიმენტი ჩატარებულია ძუძუანას მასალების საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ძეგლზე დადასტურებულია ჩვენთვის ცნობილი პრაქტიკულად მაქსიმალური რაოდენობა მასალისა, კერძოდ, 10 სმ-ის სიმაღლისა და 1 კვადრატული მეტრის ფართობის ფენაში აღმოჩნდა 1,746 ანატაკეი, რაც კუბურ მეტრ ფენაზე შეადგენდა 17 460 ერთეულს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაგალითად, ეხანის ენში მეზოლითური ხანის ძეგლზე, რომელიც ასევე გამოირჩევა მასალის სიმრავლით, ერთ კუბურ მეტრ ფენაში პრაქტიკულად არსებული ნაჭერობის მიხედვით შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ 1 520 ერთეული). ანალოგიური ექსპერიმენტის გზით დადგინდა, რომ ისეთი ძეგლებისათვის, სადაც უმეტეს წილად მობოკებული შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის კერამიკული, ან მასთან ერთად ლითონისა თუ მინის ნაწარმი, ე. ი. ფაქტობრივად უკვე ნეოლითის შემდგომი ხანის ძეგლებისათვის, 1 მ<sup>3</sup> ფენაში მასალის მაქსიმალური თეორიული რაოდენობა შეიძლება იყოს 24 000 ერთეული. აშკარაა ამგვარად, ის სხვაობა, რომელიც არსებობს ქვის ხანისა და შემდგომი ეპოქების ძეგლების ფენების მასალის შემცველობის მხრივ. ამის გამო, ვითვალისწინებთ რა ყოველივე აღნიშნულს მიგვაჩნია, რომ ქვის ხანისა (ერთი მხრივ) და შემდგომი ეპოქებისათვის (მეორე მხრივ) შემუშავებული უნდა იქნას ერთ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დამყარებული ერთი კრიტერიუმი ორი სხვადასხვა რაოდენობრივი ზმით.

მაშასადამე, ჩვენთვის ცნობილია, რომ თეორიულად ერთი კუბური მეტრი მოცულობის კულტურულ ფენაში შეიძლება არსებობდეს 172 000 ერთეული (ქვის ხანისათვის) და 24 000 ერთეული (შემდგომი ეპოქებისათვის). ამდენად, განსაზღვრულია კრიტერიუმის ორივე პოლუსი — 0-დან 172 000-მდე (ქვის

ხანისათვის) და 0-დან 24 000 (შემდგომი ეპოქებისათვის) ე. ი. ორივე ზემოთ აღნიშნული ციფრი (172 000 და 24 000) წარმოადგენს უცვლელ თეორიულ სიდიდეებს, კონსტანტას.

ამის შემდეგ გამარტივებულია იმ ალგორითმის დადგენა, რომლის მიხედვითაც პრაქტიკულად უნდა მოხდეს ფენაში არქეოლოგიური მასალის რაოდენობის ანუ ფენის ნაჯერობის განსაზღვრა. საქმე ის არის, რომ ფენაში არქეოლოგიური მასალის განფენა წარმოადგენს გარკვეულ ალბათობას, რადგან გულისხმობს ყველა შესაძლებელ ხდომილებათაგან კონკრეტული ხდომილების რაოდენობის, ე. ი. თეორიულად შესაძლებელი რაოდენობიდან პრაქტიკული, კონკრეტული რაოდენობის მასალის მოხვედრას ფენაში. ამის გამო, კონკრეტული ალგორითმის შესამუშავებლად გამოვიყენეთ ალბათობის თეორიის კლასიკური განსაზღვრა, რომელიც ასახავს სწორედ ყველა შესაძლებელი რაოდენობიდან კონკრეტული რაოდენობის ხდომილების შესაძლებლობას. ამრიგად, თუ ჩვენ მიერ დადგენილ კონსტანტას ანუ ყველა შესაძლებელ რაოდენობას აღვნიშნავთ  $m$ -ით, ხოლო კონკრეტულ ხდომილებას ანუ მასალის კონკრეტულ რაოდენობას გათხრილ კულტურულ ფენაში  $n$ -ით, მაშინ ფენის ნაჯერობა გამოითვლება უმარტივესი ალგორითმით.

$$P = \frac{n}{m} \quad (1)$$

მაგრამ იმის გამო, რომ კრიტერიუმი საჭიროა შემოსაზღვრული იყოს ორივე მხრიდან (მინიმუმიდან მაქსიმუმამდე), აგრეთვე იმის გამოც, რომ ფენაში მასალის რაოდენობის სიჭარბის შემთხვევაში რთული გასააზრებელია რიცხობრივი რაოდენობა 172 000-მდე ან თუ გნებავთ, 24 000-მდეც, ჩვენ შემოვიღეთ ამ ალგორითმის პროცენტული ზომა, ე. ი.

$$P = \frac{100n}{m} \quad (2)$$

თუ ჩავსვამთ არსებული კონსტანტების რიცხვით მნიშვნელობას მივიღებთ, რომ ქვის ხანის ძეგლებისათვის

$$P = \frac{n}{1720} \%$$

თუ დავამრგვალებთ, იქნება: (3)

$$P = \frac{n}{1700} \%$$

ხოლო შემდგომი ეპოქებისათვის

$$P = \frac{n}{240} \% \quad (4)$$

ამგვარად, მივიღეთ უმარტივესი სახის ფორმულა, რომელიც განსაზღვრავს ფენის ნაჯერობას და ითვალისწინებს ფენის სხვა რაოდენობრივ კომპონენტებს — ფენის ფართობსა და სიმძლავრეს. პრაქტიკულად ამ ფორმულის მრიცხველის ანუ  $n$ -ის რაოდენობა კონკრეტული ფენისათვის უნდა დაითვალოს ადვილზევე (ან შემდგომ, უკვე არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე) ე. ი. ყოველ ერთ კვადრატულ მეტრ ფართობში 1 მეტრ სიღრმემდე აღმოჩენი-

წილი მასალის რაოდენობა არის  $n$ . მაგრამ რიგ შემთხვევებში ფენის სიმძლავრე ნაკლებია 1 მეტრზე. ასეთი ფენისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ამ ფორმულის გამარტივებული სახე ისეთი მოცულობისათვის, რომლის სიმძლავრე 20 სმ-ის ტოლია. ფორმულები მიიღებენ შემდეგ სახეს:

$$P = \frac{n}{340} \% \quad (5)$$

და

$$P = \frac{n}{50} \% \quad (6)$$

პრაქტიკულად ორივე ფორმულა ძალზე მარტივია. მაგრამ ფენის ნაჯერობის განსაზღვრისას წარმოიშობა კიდევ ერთი პრობლემა. კერძოდ, ერთ ერთეულად უნდა ჩაითვალოს ერთი ფრაგმენტი თუ ერთი მთლიანი ნივთი, მაგალითად, ჭურჭელი. აქვე შევნიშნავთ, რომ ფრაგმენტული სახით ფენაში ძირითადად კერამიკა გვხვდება, ამიტომ ძირითადი აქცენტი სწორედ მის კვლევაზე გადავიტანეთ. ერთ ერთეულად უნდა ჩაითვალოს ყველა ცალკეულად არსებული მონაპოვარი, ე. ი., როგორც ფრაგმენტი, ისევე მთლიანი ნივთი. ამის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ, როგორც ირკვევა, ყველა ნამოსახლარზე მიუხედავად ქრონოლოგიური, კერამიკული ფორმების ზომებისა და გამოწვის ხარისხში არსებული სხვაობისა, თითოეული ჭურჭლის ფრაგმენტებად დამსხვრევის ხდომილება (ანუ შესაძლებლობა) დაახლოებით ერთნაირია. თუმცა, ცალკეულად აღებული ერთი ტიპის ჭურჭელი შეიძლება სხვადასხვა რაოდენობის ფრაგმენტებად დამსხვრეს ან სულ არ გატყდეს. მაგალითად, ქოთანის სხვადასხვა ძეგლზე ერთ შემთხვევაში 25, მეორე შემთხვევაში 50, მესამე შემთხვევაში კი 8 ნატეხადაა გატეხილი. მაგრამ იმავე ძეგლებზე სხვა შემთხვევაში იგივე ტიპის ჭურჭელი (ქოთანი) ერთ შემთხვევაში მთელია, სხვა შემთხვევაში დამსხვრეულია 18 და 39 ნატეხად. ე. ი. ერთ ფენაში ერთი და იმავე ტიპის ჭურჭელი მთელიცაა და ნატეხებად დამსხვრეულიც, 18 და 50 ნატეხად, დამსხვრეული 8 და 39 ნატეხად დამსხვრეული, ამავე დროს დამსხვრევის ერთნაირი ალბათობა აქვს სხვადასხვა ხანის ძეგლების განსხვავებული ზომისა და ტექნოლოგიური თვისების მქონე ჭურჭელსაც. მაგალითად, ელინისტური ხანის ქვევარი ვანიდან, რომლის სიმაღლე 1 მ. 20 სმ. დამსხვრეულია 96 ფრაგმენტად, მაგრამ ამავე დროს ბრინჯაოს ხანის დერგი ულიანოკვიდან, რომლის სიმაღლე სულ 35 სანტიმეტრია დამსხვრეულია 140 ფრაგმენტად. ამრიგად, ვიმეორებთ, რომ ამ და მსგავს მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც არქეოლოგიური მასალის სწავლის შედეგად მივიღეთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი ხანის ძეგლზე კერამიკული ფორმების დამსხვრევის დაახლოებით ერთნაირი ალბათობა არსებობს<sup>1</sup>. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, კრიტერიუმით სარგებლობისას ყველა ცალკეული ფრაგმენტი ან მთელი ნივთი შესაძლებელია ჩაითვალოს ერთ ერთეულად, რაც დიდ პრაქტიკულ ცდომილებას არ მოგვცემს.

მასალის ფენაში განშლის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია კიდევ ერთი დეტალი. ნამოსახლარის ფენების კვლევისას შესაძლოა მის ერთ ნაწილ-

<sup>1</sup> სტატისტიკური ანალიზები კერამიკულ მასალაზე ჩატარებულია საქ. საზ. მუზეუმის არქ. ფონდებში, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ მუზეუმის დირექციას და ფონდის მკველს ისტ. მეცნ. კანდიდატს ლ. ფანცხავას.

ში მეტი მასალა იყოს კონცენტრირებული, ხოლო მეორეში ნაკლები. ასევე ერთ ნაწილში სხვადასხვა მიზეზების გამო შესაძლოა გაცილებით მეტად იყოს ფრაგმენტირებული მასალა, ვიდრე მეორეში, რამაც შესაძლოა არასწორი წარმოდგენა მოგვეცეს ფენაში მასალის საერთო რაოდენობაზე ძეგლის საშუალო გათხრამდე. ამ ცდომილების თავიდან ასაცილებლად, ჩვენი აზრით, საჭიროა ვისარგებლოთ ფენის ნაჯერობის დროებითი ანუ ლოკალური ზომით, რომელიც ნაწილობრივ გათხრილ ძეგლზე ფენაში არსებული მასალის რაოდენობას გულისხმობს, და სრული, ანუ აბსოლუტური ნაჯერობით, რომელიც სრულიად, მთლიანად გათხრილი ძეგლის (ფენის) ნაჯერობას გულისხმობს. ცხადია, აბსოლუტური ნაჯერობა ლოკალური ნაჯერობის საშუალო არითმეტიკული ჯამის ტოლია.

ამრიგად, ფენის ნაჯერობის განსაზღვრა სავსეა არქეოლოგიური მუშაობის პროცესში ხდება რამოდენიმე ტოლფასოვანი მარტივი ფორმულით (3—4 ან 5—6), რომლებიც სხვადასხვა სიმძლავრის ფენებისათვისაა განკუთვნილი. ფენაში მოპოვებული მასალის ამგვარი პროცენტული სახით წარმოდგენა გაცილებით ნათელ, ადვილად აღქმად წარმოდგენას იძლევა ფენის მასალით გაჯერებულობაზე და შესაბამისად, ცხოვრების ანუ ადამიანის საწარმოო-სამეურნეო, სავაჭრო და კულტურული ქმედობის ინტენსივობაზე.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფენაში არსებული მასალის რაოდენობრივი ზომის განსაზღვრა წარმოდგენს ფენის თეორიის მხოლოდ ერთ ვიწრო, კონკრეტულ საკითხს, იგი მაინც მჭიდროდაა დაკავშირებული ამ თეორიის სხვა პრობლემებთან, როგორცაა კულტურული ფენის წარმოშობის, კულტურული ფენის სიმძლავრისა და ინტენსივობის შესაბამისობის, სხვადასხვა ხანის ძეგლების ერთი და იმავე გაჯერებულობის ინტერპრეტაციისა და სხვა საკითხები, რომელთა შესწავლა და გადაჭრა მრავალრიცხოვან და ხანგრძლივ ექსპერიმენტებთანაა დაკავშირებული<sup>2</sup>.

В. Т. ЛИЧЕЛИ

## НАСЫЩЕННОСТЬ КУЛЬТУРНОГО СЛОЯ

Резюме

В результате развития современной археологии все более очевидной становится необходимость точного определения научных терминов и понятий. В данной работе дается попытка создания точного критерия для оценки насыщенности культурного слоя (Р). В виду того, что слой в количественном отношении характеризуется тремя компонентами (площадь, мощность, насыщенность) и каждый из них смысловую нагрузку может нести только при учете всех компонентов одновременно, предлагаем простое уравнение для каждого раскопанного 1 м<sup>3</sup>

$$P_1 = \frac{\pi}{1700} \% \quad (1)$$

<sup>2</sup> ღრმად ვარ დარწმუნებული მსგავსი პრობლემების კვლევის აუცილებლობაში, რადგან მხოლოდ ამგვარად შეიძლება მივაკვილოთ იმ ბუნებრივ კანონზომიერებებს, რომლებიც უცილობლად არსებობენ არქეოლოგიაში და რომელთა ფორმულირებაც ცალკეული, მყარი კანონების სახით ისევე გარღვეულია და, რაც მთავარია, შესაძლებელი, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

для каменного века

$$P_2 = \frac{p}{240} \% \quad (2)$$

для всех эпох (кроме каменной), где  $p$  — количество фрагментов в  $1 \text{ м}^3$ .

Для слоев мощностью менее 1 м (20 см) данные уравнения преобразуются

$$P_1 = \frac{p}{340} \% \quad (3, \text{ каменный век})$$

$$P_2 = \frac{p}{50} \% \quad (4, \text{ все остальные эпохи})$$

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის  
 ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა.



## წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაქენი

ჭუანშერ ჭუანშერიანიანი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა რუსულად თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. წულაძემ თბ., 1986, გამომცემლობა „მეცნიერება“

საქართველოს ისრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების ცომისიის მრავალმხრივი საქმიანობა ქართული წერილობითი ძეგლების რუსულ ენაზე თარგმნასაც ზთვალისწინებს. მკითხვეგთა რიცხვის გაზრდის გარდა, უოველი ქსეთი თარგმანი წყაროს ტექსტოლოგიური და შინაარსობრივი კვლევის, მისი ინტერპრეტაციის ახალი საფეხურია. ფაქტობრივად სწორედ თარგმანებით დიწყო „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ცალ-ცალკე გამოცემაც, რომლის აუცილებლობაზე ჭერ კიდევ ივ. ჭავჭავიძე მიუთითებდა. გასულ წელს [გამომცემლობა „მეცნიერებაში“] დასტამებული „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ ქართულ ისტორიულ წყაროთა რუსულ ენაზე თარგმანის წარმატებით დაწყებულ ტრადიციას აგრძელებს.

უკანასკნელ ხანებში წყაროთმცოდნეობის საერთო აღმავლობას უკავშირდება ზედოზედ სენია ჩხეიძისა ჯა ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიულ თხზულებათა (ნ. ნაკაშიძის თარგმ. 1976 წ.), შუშანიკის წამების (ვ. დონდუას თარგმ. 1979 წ.), „ძეგლი ერისთავთას“ (ს. კაკაბაძის თარგმ. 1979 წ.), სუმბატ დავითის-ძის ქრონიკის (მ. ლორთქიფანიძის თარგმ. 1979 წ.), „მატიანე ქართლისას“ (მ. ლორთქიფანიძის თარგმ. 1976 წ., გ. წულაიას თარმ. 1982 წ.). თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების (ვ. დონდუას თარგმ. 1985 წ.) გამოცემა რუსულ ენაზე. უოველი მათგანი ძეგლთა შესწავლის მნიშვნელოვანი ეტაპია.

იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადრეული გამოცემები თუ გამოკვლევები არსებობს, ძველ

ტექსტებზე მუშაობა მუდამ დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული მათი რეკონსტრუქციის, კატრბუცია-დათარიღების, თუ ინფორმაციული ღირებულების შეფასების თვალსაზრისით. სხვა წერილობით ძეგლებთან ერთად „ქართლის ცხოვრების“ არაერთი საკითხი კვლავაც ზმოუხსნელი რჩება. უოველივე ეს ებება ვახტანგ გორგასალის ხანისადმი მიძღვნილ თხზულებასაც, რომლის კომპლექსური შესწავლა მოზიტიური თვალსაზრისით ჭერ თითქმის არ ჩატარებულა. ნაწილობრივ იმის გამოც, რომ ძეგლი თავიდანვე მოეცა ბიპერკრიტიკულ ტალღაში, რომელიც სრულიად კანონზომიერად ჯა დროულად მოჰყვა წყაროთა მოპოვება-გამოვლენის პერიოდისათვის დამახასიათებელ ზედმეტ ნდობას ისტორიოგრაფიული ფაქტებისადმი, ამჟამად აღნიშნული მონაკვეთის შესწავლის ახალი პერსპექტივები ისახება. ამის საწინდარია 1986 წელს გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ სიმფონიის II ტომიც.

გ. წულაიას ახალი ნაშრომი ტრადიციისამებრ აღჭურვილია გამოკვლევით, კომენტარებით, პირთა ჯა გეოგრაფიულ სახელთა, ეთონიშთა ჯა ტერმინთა საძიებლებით ჯა რეზიუმეთი ინგლისურ ენაზე. გამოცემა თავისი მნიშვნელობით ბევრად აღემატება თარგმანის დანიშნულებას, ღრმა კვლევის გარდა, იგი იძლევა ფართო ინფორმაციის ძეგლში წარმოდგენილი ეპოქისა თუ მისი შესწავლის მდგომარეობის შესახებ. რუსული ტექსტი, ისევე როგორც გ. წულაიას სხვა თარგმანებიც, ორიგინ-

<sup>1</sup> Джуанжер Джуаншеряни, Жизнь Вахтанга Горгасала, перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тб., „Мецниереба“, 1986.



ნალთან მაქსიმალური სიახლოვით, შინაარსობრივი სიწესტით და ენის სიმდიდრით გამოირჩევა. ამ მხრივ გამოცემა თითქმის არავითარ შენიშვნას არ იმსახურებს. თარგმანი, როგორც შესავალშია აღნიშნული, „ქართული ისტორიული ლიტერატურის ძეგლთა რუსულ ტექსტებზე თარგმნის წესები“ წყაროება, წერტილობით ძეგლთა გამოცემის წესების თანახმად არის შედგენილი ტექსტის მრავალფეროვანი და საქმიანი შენიშვნებიც, რომლებიც წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის ფართო წრეს ითვალისწინებს. შენიშვნები ემსახურება ტექსტის განმარტებას, რიგ შემთხვევაში მისი შინაარსის შევსებას ან დაზუსტებას. ხშირია წყაროთმცოდნეობითი ხასიათის შენიშვნები, მათ შორის შედარება „მოქცევაჲ ქართლისაჲთაჲ“ თუ სხვა წერილობით და ზეპირ წყაროებთან. შედარებით დაწურულია ისტორიული ხასიათის კომენტარები, რომელთაც უმთავრესად ცვლივითი ხასიათი აქვთ. გზადაგზა გამაზივლებულია ყურადღება ტექსტის ზოგიერთ სადავო ადგილზე. სხვა განმარტებებთან ერთად არ იქნებოდა ზედმეტი ტექსტის ყველა ანაქრონიზმის მითითება. მაგალითად კარგი იქნებოდა აღნიშნულიყო ცნობა პაპიანებისა და ჭიქების შესახებ, ან წინასწარმეტყველებაზე არაბთა ჩატონობის დამხობის შესახებ. სასურველი იყო მითითებულიყო შენიშვნებში საწყისი ნაწილისაგან განსხვავებული შეხედულება ენების შესახებ. მით უმეტეს, რომ ყოველივე ეს არის მოხსენიებული გამოკვლევაში.

ვრცელ გამოკვლევაში ავტორი მრავალ საკითხს ეხება. შათ შორის ქართული ისტორიოგრაფიისა და მავიჯარჯის ურთიერთობას, „ქართლის ცხოვრების“ მინაწერებს, ძეგლის ატრიბუციას, დათარიღებას, მის სანდოობას, დასათარებას, სტრუქტურას, წყაროებს და სხვა.

ძველი ქართული ისტორიოგრაფიისათვის უმთავრესად დამახასიათებელია ანონიმურობა. რამდენიმე გამოცემის შემთხვევაში ცნობილია ავტორთა სახელები. მაგალითად, სუმბატ დავითის-ძის, რომლის თხზულება „კრებულში ცალკე სათაურითაა გამოყოფილი, არსენი საფარელის, რომელსაც ეკუთვნის „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“. შემთხვევით, მინაწერებში შემოგვრჩა „ქართლის ცხოვრებაში“ ლიონტი მროველისა და ჭუანჭერის სახელები. ამათგან მხოლოდ ერთ შემთხვევაშია მითითება ავტორის მოღვაწეობის ხანაზე. მაგრამ ამ მინაწერთა წინააღმდეგობრივი ხასიათი მათაც ებჭკვეშ აყენებს. აქედან გამომდინარე ძეგლის ატრიბუციის თვალსაზრისით სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად სხვადასხვა ვარაუდებია გამოთქმული.

ატრიბუცია-დათარიღებასთან დაკავშირებით კვლევა ძირითადად წარიმართება ძეგლის „ქართლის ცხოვრების“ საწყის ნაწილთან მსგავსება-სხვაობის ან მასში გვიანი შრეების გამოვლენის შემართულებით. ასეთი სჯულები შედეგად შემუშავებული ძირითადი პატი თხზულება XI ს. აკუთვნებს სოლო მკვლევართა ნაწილი ორსავე მონაკვეთს ერთ ავტორს მიაწერს. თუ მინაწერს ჭუანჭერის შესახებ ავტენტიკურად არ მივიჩნევთ, მაშინ სრულიად არადაამატრებელი ხდება თხზულობა ავტორად ჭუანჭერის ჩათვლა ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერში მოხსენიებულ ილარიონ ჭუანჭერთან მისი გაიგვების საფუძველზე.

არანაკლებ პერსპექტიულია ისტორიულ ძეგლებში ძველი ჟღერების გამოვლენაც, რაზედაც სამეცნიერო ლიტერატურაში არის გარკვეული მინიშვნებები, მაგრამ კვლევას ამ მიმართულებით ართულებს ხშირ შემთხვევაში საკონტროლო მასალების არარსებობა, ლოკალური ჩანს, მაგალითად, მოსაზრება იმის შესახებ, რომ VIII ს. მოღვაწის ჭუანჭერის თხზულება გამოიყენა და თავიებურად გადაკეთა ან შეავსო XI ს. ისტორიკოსმა, რამაც გამოიწვია ტექსტში გვიანი ცნობების ჩართვა. მაგრამ ამ მოსაზრების დადასტურების შემთხვევაშიც, რაც, ალბათ, მეტ დასაბუთებას მოითხოვს, გასარკვევი დარჩება ჭუანჭერის ტექსტის მოცულობა, მისი წყაროების და სანდოობის საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლის შესწავლა არ არის დასრულებული, მისი კვლევის მდგომარეობა ამ დროისათვის ერთგვარად ვასაგებს ხლდის გ. წულაიას პოზიციას, რომელიც შედარებით მყარ ტრადიციას ემხრობა, როდესაც ძეგლის ავტორად ჭუანჭერ ჭუანჭერთან მიიჩნევენ, თუმცა თვით ძეგლს XI ს. აკუთვნებს. ამასთანავე ვახტანგის შემდგომდროინდელი მონაკვეთის ავტორს პირობითად უსვდლო-ჭუანჭერს უწოდებს. მკვლევარი არ იზიარებს აზრს „ქართლის ცხოვრების“ პირველი თხზულებისა და ვახტანგის ცხოვრების შთაღონობის შესახებ და სანიტურესო დავირებები მოაქვს მათი მხოლოდმხედველობრივ — კონცეფციური წინააღმდეგობების დასაბუთებლად. მაგრამ ეს მოსაზრება, ისევე როგორც ადრე სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებული სტილისტურ — შინაარსობრივი თანხედრები, ცალმხრივად, ვფიქრობთ, არ არის საკმარისი შუა საუკუნეების ძეგლთა ატრიბუციის რთული პრობლემის გადასაჭრელად. ისევე, როგორც არ მოეთხოვებათ ამ ხანის ავტორებს ყველა შემთხვევაში სტილისტური მრავალფეროვნება, ასევე, ალბათ, შეუძლებელია მათ მიერ გამოყე-

ნებულ წყაროთა ცნობების იდეალური შეთანხმებაც.

საუპირატესოა გ. წულაის დაკვირვებები ვახტანგის ცხოვრებისა და „მოქცევაჲ ქართლისას“ ურთიერთობაზე, კერძოდ, მკვლევარის აზრით, ორივე ძეგლი საერთო პროტოგრაფს ეურდნობა, ასევე საინტერესოა თხზულების დანათარგმანთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდი მათი გადამწერის, ან კრებულის შემდგენელისადმი კუთვნილების შესახებ. აქვე აღნიშნული თხზულების პარალელები ბიბლიასთან, ხაზგასმულია შავიოგრაფიის გავლენა ისტორიოგრაფიაზე. თუმცა ერთგვარად დანახუსტებელია ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართულ მწერლობაში ისტორიული თხრობის ეს თავისებურება პირველად „მოქცევაჲ ქართლისაში“ ჩნდება, ხოლო ვახტანგის ცხოვრებაში უმაღლეს დონეს აღწევს და ფაქტობრივად მასზე სრულდება“. რადგან შავიოგრაფიასთან ყველაზე განსაკუთრებით მჭიდრო სწორედ „ქართლის ცხოვრების“ მომდევნო თხზულებებშია, კერძოდ, დავითისა და თამარის ისტორიებში.

ვრცლად ჩერდება გამოკვლევის ავტორი ირანის ეპოსის გავლენის საკითხებზე „ქართლის ცხოვრებაზე“, მოყავს თავისი განსხვავებული მოსაზრებები. მკვლევარი იზიარებს კ. კეკელიძის ვარაუდს იმის შესახებ, რომ პირველი ქართველი ისტორიოსი მცირე „ქართლის მოქ-

ცევის“ VIII ს. ავტორი გრიგოლ დიაკონია, რის გამოც მიაჩნია, რომ ქართული ისტორიოგრაფია, სხვა ხანგრძობისაგან განსხვავებულ პერიოდიზაციას მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ისტორიული მწერლობის სათავეებზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა ვარაუდებიც (კერძოდ, ფარნავაზის ცხოვრების ადრეულობაზე). მაგრამ ვიდრე არ არსებობს რეალური საბუთები, ისტორიოგრაფიის ახალი პერიოდიზაცია ნაადრევი ჩანს, თუ კი საერთოდ საჭიროა, გამომდინარე ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი სინკრეტიზმიდან.

განხილული ნაშრომი საბჭოთა წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია, გ. წულაის ახალი წიგნი აღძრავს ვახტანგ გორგასალის ცხოვრებასთან დაკავშირებით არაერთ საკითხს, გვთავაზობს საინტერესო დაკვირვებებსა და მოსაზრებებს, სახავს ძეგლის შესწავლის შემდგომ გზებს. თხზულების რუსულ ენაზე გამოცემით შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი მკითხველთა ფართო წრისათვის გახდა მისაწვდომი, რაც თავის მხრივ უთუოდ შეუწყობს ხელს მის შემდგომ წარმატებით კვლევას საერთო ისტორიულ და ისტორიოგრაფიულ კონტექსტში. |

გიული ალასანი

**პაპლინიკოს იოსებ ორბელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია ლენინგრადში**

1987 წლის 24—25 თებერვალს ქალ. ლენინგრადში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებამ, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლურმა ფაკულტეტმა, სახელმწიფო ერმიტაჟმა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებამ და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პალესტინის საზოგადოების ლენინგრადის განყოფილებამ მოაწიეს სამეცნიერო სესია თემაზე „ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ძველი და შუა საუკუნეების ისტორია და კულტურა“. სესია ეძღვნებოდა ახლო აღმოსავლეთის კულტურის ცნობილი მკვლევრის იოსებ ორბელის დაბადების 100 წლისთავს.

სამეცნიერო სესიაში მონაწილეობა მიიღეს სსრკ სხვადასხვა ქალაქებიდან (მოსკოვი, თბილისი, ერევანი, ბაქო, დუშანბე) ჩამოსულმა მეცნიერებმა.

ორი დღის განმავლობაში ერთდროულად მუშაობდა ხუთი სექცია. მათი თემატიკა ასეთი იყო: I სექცია — ძველი წინა აზიის კულტურული ერთიანობა (ხელმძღვანელი ო. დი-აკონოვი); II სექცია — სოციალურ ღირებულებათა შვალა შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში (ხელმძღვანელი ო. ბოლშაკოვი); III სექცია — ანონიმურობა, ავტორობა და ფსევდონიმურობა ბიზანტიის კულტურული წრის ლიტერატურაში (ხელმძღვანელი ა. ხოსროვი); IV სექცია — ირანის კლასიკური ლიტერატურა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ლიტერატურა (ხელმძღვანელი ო. აკიმუშკინი); V სექცია — აღმოსავლური თორეტიკა (ხელმძღვანელი ა. ივანოვი). დასასრულს გაიმართა პლენარული სხდომა, რომელიც სესიის შედეგებსა და საერთო დისკუსიას დაეთმო.

26 თებერვალს სესიის მონაწილეები სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებამ მიიწვია იოსებ ორბელისადმი მიძღვნილ სხდომაზე. იოსებ ორბელის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეზე ისაუბრეს სსრკ მეცნ. აკად. ისტორიის განყოფილების აკად. ს. ტიხენისკიმ, აკად. ბ. პიოტროვსკიმ, სომხეთის სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსმა ბ. არაქელიანმა, პროფ. ი. პეტრონიანმა, ისტ. მეცნ. დოქტორმა კ. იუზბაშიანმა.

ინფორმაციაში შედარებით სრულად წარმოდგენილი იქნება მხოლოდ III სექციის მუშაობა, რომელიც წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას — ბიზანტიური კულტურული წრის წყაროების ატრიბუციის საკითხებს ეხება.

I სექციის მოხსენებები ეძღვნებოდა ძველი წინა აზიის კულტურული ერთიანობის საკითხებს.

ი. შიფმანმა (ლენინგრადი) მოხსენებაში „რელიგიური სინკრეტიზმი ძველ წინა აზიაში“ ისაუბრა სინკრეტული ღვთაების ბერძნულ-აღმოსავლურ წყვილებზე. აღნიშნა, რომ ბერძენები აღმოსავლურ ღვთაებებს თავის ღმერთებთან აიგივებდნენ, რაც თვით აღმოსავლურ ღვთაებათა სახელმძღვანელებს ახდენდა გავლენას. მიუხედავად ამისა, ძველი სახელები „ინახებოდა“ და ამიტომ შესაძლებელი იყო მათი რამდენიმე საუკუნის შემდეგ ხელახალი „ამოტივტივება“. ბერძნულ გავლენას მიაწერს ავტორი აღმოსავლური რელიგიის სისტემატიზაციისაკენ მიდრეკილების წარმოშობას.

ი. სევეციკიამ (მოსკოვი) ისაუბრა ელინისტურ კულტურაში „ოიკუმენის“ ცნების შესახებ და აღნიშნა, რომ ამ პერიოდის ბერძნულ აზროვნებაში დამკვიდრდა შეხედულება მათ მრავალრიცხოვნებაზე. ფილოსოფოსებმა დაიწყეს მთელი დასახლებული მსოფლიოს ერთიანობაზე ფიქრი. გაჩნდა ასეთი აზრიც: კეთილშობილი შეიძლება იყოს ყველა ადამიანი და არა მარტო ბერძენი.

II სექციის სხდომაზე მსჯელობდნენ შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში სოციალურ ღირებულებათა შვალის შესახებ.

ა. მარტიროვმა (ლენინგრადი) მოხსენებაში „იმპერატორების დროინდელი ჩინეთის კულტურის მატარებელი“ დასვა საკითხი — რას წარმოადგენს კულტურის მატარებელი ევროპაში და რას წარმოადგენს იგი ჩინეთში. ჩინეთის ერთიანი იმპერიის პერიოდში არსებობდა შეხედულება, რომ სახელმწიფო მოხელე უნდა ყოფილიყო კულტურის მატარებელი, მოხელე — პოეტი. ამ იდეამ გამოხატულება პოვა კონფუციანელების ოცნებაში: ძალაუფლება ომისა და ძალადობის გარეშე. ქრისტიანულ კულტურაში, მომხსენებლის აზრით, ეს არის მთავარი პრობლემა მიზნისა, ხოლო ჩინეთისათვის ეს არის მთავარი პრობლემა მიზნისკენ მიმავალი გზისა.

კ. იუზბაშიანმა (ლენინგრადი) მოხსენებაში „ნახარების პრესტიჟი“ ისაუბრა ნახარების სიების შესახებ და აღნიშნა, რომ ადვილი, რომელსაც ნახარარი იკავებდა ან სიამო, განპირობებულ იყო მისი პრესტიჟულობით. განიხილა აგრეთვე ტიტულების სიაც, რომლის მიხედვით წარმოჩნდება ის დიდი კონტრასტი, რომელიც არსებობდა მომხმეოში ბიზანტიურ ტიტულატურასთან შედარებით. მომხსენებლის იდეა განავითარა ე. არუთიუნოვა-ფიდანიანმა და აღნიშნა, რომ სომხური საზოგადოება ვერ ითვისებდა ბიზანტიურ ტიტულატურას.

მომხსენებელთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე დატვირთული იყო III სექციის მუშაობა, რომელიც იხილავდა ლიტერატურის ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს — ანონიმურობა, ავტორობა და ფსევდოპიგრაფია ბიზანტიური კულტურულ წრის ლიტერატურაში.

რ. ბარამიძემ (თბილისი) წაიკითხა მოხსენება „საავტორო უფლების შესახებ შუა საუკუნეებში“, შუა საუკუნეების ქართულ მწერლობისათვის.

გ. ალასანიას (თბილისი) მოხსენება „ავტორი და ნაწარმოები ძველ ქართულ მწერლობაში“, მოიცავდა მთელ ორიგინალურ პავიოგრაფულ მწერლობას. მომხსენებელმა თვლილ გააღიზნა ავტორის თვითშეგნების გარკვეულ ევოლუციას შუა საუკუნეების მანძილზე და აღნიშნა, რომ გარდატეხის ხანა ამ მიმართულებით მეტადრასულ მწერლობაში შეიმჩნევა.

ო. ლოუბარსკიმ (ლენინგრადი) ისაუბრა ავტორის თვითშეგნებისა და ამ უკანასკნელის ნაწარმოების კომპოზიციისთან მიმართების შესახებ თვითდასრულ გამარტებლის მეფეთა ბიოგრაფიების მავალითზე.

ლ. პატარიძის (თბილისი) მოხსენება შეეხო ადრეშუასაუკუნეების ხანის ისტორიული თხზულების დათარგმნა-ატრიაციის საქითხის მისი დროის ქრისტიანული კონცეფციის გარკვევის მშვეობით.

საყურადღებო მოხსენება წარმოადგინა ე. ვერტიშაგინმა (მოსკოვი) — ავტორობისა და ანონიმურობის ურთიერთშეხამება ბიზანტიურ ლიტურგიულ პოეზიაში“. მკვლევარმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ სასულიერო პოეზიაში ავტორის დასახელების მკვიდრი ტრადიცია არსებობს, თუნდაც აკროსტიხებში გამოვლენილი, მიუხედავად ამისა, მის ანონიმურობაზე ლაპარაკის საშუალებას იძლევა პოეტური ზერზეობისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპულობის მაღალი დონე.

ა. კაზიანიანი (ერევანი) ვრცლად საუბრობდა გრიგოლ ნარეკის ავტორობის ინდივიდუალობის საკითხზე მის „მწუხარე სავალობელთა წიგნში“. გამოთქვა აზრი, რომ, მართა-

ლია, ავტორი თავის თავზე არაფერს ამბობს. მაგრამ მისი პიროვნება კარგად „იკითხება“ წიგნში გამოთქმული იდეების მეშვეობით.

ე. ჯავახიანიანი (ერევანი) კითრულ სკივოთოპოლელის ცხოვრებათა ზოგიერთი თავისებურების შესახებ მსჯელობდა. VI ს. პალესტინური პავიოგრაფიისთვის საავტორო თვითშეგნების განვითარების ეპოქაა. ავტორები ცდილობდნენ მიუთითონ წყაროები და ახსნან მოვლენები მათ შორის მიზეზ — შედეგობრივი კავშირის დამყარებით. კირილე სკვითოპოლელი პირველი იძლევა ცნობებს სომხეთა პალესტინაში მომლოცველობის შესახებ.

პ. აკოფიანი (ერევანი) შეეხო შუა საუკუნეების სომხურ გრამატიკული შინაარსის თხზულებებში არსებულ „იგავთა სწავლების“ ძირითად მოტივებსა და მათ თეორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობას.

გ. პროხოროვა (ლენინგრადი) ისაუბრა მეორადი ტექსტების ფენომენზე ძველ რუსულ ლიტერატურაში და აღნიშნა, რომ XII საუკუნემდე ტრადიცია არსებობდა — ზეპირი და ავტორისეული, ხოლო შემდეგ ხდება გადასვლა ანონიმურობაზე. XII საუკუნის 70-იან წლებში კომპილატორი „უსინდისოდ“ იწერს „გარდასულ წელთა ნატიანდან“, მაგრამ აქ არ შეიძლება ლაპარაკი პლაგიატზე. აქ არის ავტორის სურვილი ნესტორის საქმიანობის გავრცელებისა. 1185 წლის შემდეგ იგივეს სჩადის მისი გამარტელებელი. მხოლოდ XVII საუკუნის დასასრულთან იწყება ავტორისეული ისტორიის შექმნა.

ე. პიოტროვსკიამ (ლენინგრადი) გაიზიარა და უფრო განავითარა გ. პროხოროვის მიერ გამოთქმული მოსაზრება კონკრეტული მავალითებით.

ერთ-ერთი საყურადღებო მოხსენება ა. ვისოციკისა და ფ. შელოვ — ოვედიანოვის ერთობლივი ნაშრომი: „ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტორები და შემკვეთნი ბიზანტიასა და ამიერკავკასიის ქვეყნებში (ავტორობის საკითხისათვის)“. მომხსენებელმა აზენა, რომ უმაღლეს სასულიერო იერარქებს კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი იმ ნაგებობათა გეგმა და ზომები, რომელთაც ისინი უკვეთავდნენ არქიტექტორს, კარგად ერკვეოდნენ როგორც არქიტექტორსა და გეგმავს, ხოლო ჩინეთისათვის წმინდა ტექნიკურ პრობლემებსა და ოსტრატეტიკურისა და ეკონომიკური საკითხებში, სესიის დასასრულს გამართულ პლენარულ სხდომაზე მალე შეფასება მიეცა ყველა წარმოდგენილ მოხსენებას და გამოთქვა სურვილი სამეცნიერო კონტაქტების გაღრმავებისა და გაძლიერების შესახებ.

ლელა კატარიძე



თენიზბრატა VIII რესპუბლიკური სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოგრაფიული კომისიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების თაოსნობით 1986 წლის 26—27 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარდა ეთნოგრაფთა შორივი VIII რესპუბლიკური სამეცნიერო სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის, ბათუმის, აფხაზეთის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა.

სესიის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხსოვნას.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ. კ. პროფ. ალ. რობაქიძემ. მან აღნიშნა, რომ სესია განსაკუთრებულ ვითარებაში იწყებს მუშაობას. ეს ეს პერიოდად, როდესაც სკკპ XXVII ყრილობამ დასახა რიგი უმნიშვნელოვანესი დონისძიებები, მათ შორის საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არა მარტო ხალხის ცხოვრების წესის თვისობრივად ახალი დონის მიღწევა, არამედ იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმშრბდელობითი მუშაობის ამაღლება და გაუმჯობესება, ამ მხრივ პასუხსავეთი ამოცანები დასაბუღლია მეცნიერთა წინაშეც. პრობლემათა აღმოჩენდა საბჭოთა ეთნოგრაფიასაც, რომელიც თავისი ბუნებით ყველაზე ახლოს დგას ხალხის ყოფასთან, მისი ცხოვრების წესთან. ჩვენმა შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, რომელიც დღის წესრიგში დააყენა თანამედროვეობამ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებულმა განვითარებამ.

სესიის პირველ სხდომაზე ალ. რობაქიძემ მოხსენებაში „ქართული ეთნოგრაფიის ძირითადი ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის გა-

დაწყვეტილებათა შუქზე“, წარმოაჩინა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში არსებული ვითარება და შემდგომი პერსპექტივები, რომელიც მნიშვნელოვან ამოცანებს სახავს, ეთნოგრაფიის, როგორც წყაროთმცოდნეობის, ისე მეთოდოლოგიურ, თეორიულ და პრაქტიკული მუშაობის განვითარებაში.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სავეღე-ეთნოგრაფიული მუშაობის ორგანიზაციისა და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების თეორიული ასპექტების განვითარების, თანამედროვე ეთნოგრაფიის აქტუალურ პრობლემებზე, რეგიონალურ და პრობლემურ საკითხებზე. აღნიშნა რა, ეთნოგრაფიის დარგში უკანასკნელი წლების წარმატებები, ამავე დროს მოუწოდა მეცნიერული პასუხისმგებლობის შემდგომი გაზრდის აუცილებლობაზეც.

სამეცნიერო სესიის სამ სხდომაზე წაკითხულ 15 მოხსენებაში საქართველოს ეთნოგრაფიის სხვადასხვა მხარე იქნა გაშუქებული, აქ წარმოდგენილი იყო როგორც სამეცნიერო-კვლევითი და საეღე — საექსპედიციო მუშაობის ანგარიშები და ეთნოგრაფიული კვლევის ძირითადი მიმართულებები XI სუთწლეულში, ისე ზოგადთეორიული და კონკრეტული თემატიკა ქართველი ხალხის სამეურნეო, მატერიალური, სულიერი კულტურისა და სოციალური ურთიერთობის სფეროდან.

სესიამ მოიხმინა ნ. აბესაძის მოხსენება: „საქართველოს ქალაქების ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგები“, სადაც განიხილა საქართველოს ქალაქებში ხელოსნური წარმოების განვითარების დონე, მასშტაბები, ნაწარმის რეალიზაციის საკითხები, ამქრის ბუნება და სტრუქტურა, მისი ჩვეულებითი სამართალი, პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში სითანდო მასალის ანალიზის საფუძველზე წამოაყენა მოსაზრება ქარაგლის შუალედური საფეხურის არსებობის შესახებ ამქარში.

„ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში XI სუთწლეულში ჩატარებული მუშაობის შედეგებზე“ ისაუბრა გ. ჭალაბაძემ.

მ. ჩრთოლანმა მოხსენებაში „დასავლეთ საქართველოს მთის ეთნოგრაფიული შესწავლის ათწლიან შედეგებსა და პერსპექტივებზე“, სესიას გააცნო ის დიდი სამუშაოები, რომელიც ტარდება სვანეთის სიძველეთა დასაცავად.

ფ. გაგლოვეას მოხსენება ეხებოდა „ეროვ-

ნებათა შორის ქორწინების ინტერნაციონალურ პროცესებს“ ცხინვალის რაიონის მაგალითზე.

6. კახიძის მოხსენება: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოლოგის განყოფილება XI ხუთწლიური“ სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოლოგიათა მიერ გაწეულ ნაყოფიერ საველე-სამეცნიერო მუშაობის შედეგებსა და მომავალ პერსპექტივებს.

„ქართულ — აფხაზური ერთობლივი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის წინასწარი შედეგების“ შესახებ მოხსენებით გამოვიდა ი. არღუნი. მან სესიის მონაწილეებს გააცნო ამ ექსპედიციის კონკრეტული მარშრუტი, თემატიკა, აგრეთვე საველე ეთნოგრაფიული მასალები, რომელიც საფუძვლად დაედება ქართულ-აფხაზური ურთიერთკავშირების ამსახველ გამოკვლევებს.

6. ცინცაძის მოხსენებაში „ქალის საოჯახო მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ საზგასმული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მშობიარობასთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულება.

მ. ხაზარაძემ სესიაზე მოხსენებაში: „ქართული ხალხური ხის ქურჭელი“ წარმოადგინა საქართველოში გავრცელებული ხისა და წნული ქურჭლის ზოგადი და ლოკალური სახეები, მისი დამზადების ტექნიკა, ქურჭლის დამზადების ცენტრები, პროდუქციის რეალიზაციის სახეები. საგანგებო ყურადღება მიექცა ტრადიციული ხის ქურჭლის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საკითხებს.

საანგარიშო ნაშრომში: „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეთნოგრაფიული კვლევის ძირითად მიმართულებებზე XI ხუთწლიური“ ისაუბრა ლ. ავაბამ.

ჭ. ვარშალომძის მოხსენება: „რელიგიური გადმონაშთები აჭარაში და მათი დაძლევის გზები თანამედროვე ეტაპზე“ შეეხო აჭარაში რელიგიურ გადმონაშთებსა და მათი დაძლევის ამოცანებს.

საინტერესო იყო ზ. გაგლოევას ინფორმაცია: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაობის“ შესახებ, მან აღნიშნა, რომ გამოსაცემად მომზადდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, რომელშიც შესწავლილია ოთხი თემა. ცხინვალში მოპოვებული კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე შეივსო საკავშირო სოციო-

ლოგიური გამოკვლევის პროგრამა და ანექტა „მამაკაცი და ქალი სახლსა და სამსახურში“.

ა. კარაპეტიაის მოხსენება მიეძღვნა „ქავახური კალოსა და კალოობის საკითხებს“, მის მიერ მოპოვებული ახალი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზს.

ქ. მირიანაშვილის მოხსენება ეხებოდა „რაიონის ხეობაში გავრცელებულ მეთევზეობის ხალხურ წესებს“ კერძოდ, თევზის ჯიშებს, თევზჭერის საშუალებებს, მეთევზეობასთან დაკავშირებულ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს.

ტ. კინკაძემ გააკეთა მოკლე ინფორმაცია ქ. იოშკარ-ოლაში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მუშაობის შესახებ.

სესიის მიერ მიღებულ რეზოლუციაში განხილულ იქნა ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც თანამედროვეობამ დააყენა ეთნოგრაფიის განვითარების წინაშე. უპირველესად, ზოგადი ეთნოგრაფიის ისეთი ძირითადი მიმართულებების განვითარება, როგორცაა, ტიპოლოგიური, კომპონენტური, სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის მეთოდი. საბჭოური წესის განვითარება-განმტკიცების პარაცესში ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა ქართველი ხალხის ყოფითი კულტურის განვითარება, მეზობელი ხალხების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობა, ბრძოლას მავნე ტრადიციების აღმოფხვრისა და ახალი საბჭოური ტრადიციების დანერგვისათვის.

რეზოლუციაში აღინიშნა საველე-საექსპედიციო მუშაობის გაუმჯობესების, ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის, ექსპედიციების დაკომპლექტების მსხვილი პრობლემებისა და რეგიონების მიხედვით, მასალის ფიქსაციის თანამედროვე ტექნიკური მეთოდების შესახებ.

შემდგომი IX რესპუბლიკური სესიის ჩატარების აღვიდად შერჩეულ იქნა ქ. ახალიციბ. კამათში მონაწილეობდნენ: ალ. რობაქიძე, ვ. შამილაძე, ჯ. რუხაძე, ნ. ხაზარაძე, გ. ჭალაბაძე, ნ. კახიძე, მ. ბექაია და სხვ.

ეთნოგრაფთა რესპუბლიკური სესიების ტრადიციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი ხელს უწყობს ეთნოგრაფიის შემდგომ გაძლიერებას, მის სრულყოფას, სამეცნიერო მუშაობის გაღრმავებასა და კოორდინაციას.

სერგი სამსონის ძე მამულია



1987 წლის თებერვალში ქართველ ისტორიკოსთა რიგებს გამოაყლდა ერთდირებულ მეცნიერი სერგო სამსონის ძე მამულია. იგი იყო სერიოზული, დიდად განსწავლული, კეთილშობილი და უმწიყლო მოქალაქე.

სერგო მამულია დაიბადა 1928 წ. თბილისში, ცნობილი პარტიული მოღვაწის სამსონ მამულიას ოჯახში. 1943 წელს მან დაასრულა თბილისის 21-ე საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, რომელიც 1946 წელს დაამთავრა. 1946—1949 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტია საერთაშორისო სამართლის სპეციალობით. ასპირანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1950 წელს სერგო მამულიამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ნოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1949—1951 წლებში ს. მამულია მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრაზე ასისტენტად, ხოლო 1951—1956 წლებში იმავე კათედრაზე უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე.

1955 წელს ს. მამულია შედის სკკპ რიგებში. 1956 წლიდან კი პარტიულ სამუშაოზეა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში: ჯერ აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორი, ხოლო შემდეგ იმავე განყოფილების ლექტორთა ჯგუფის წევრია.

1961 წელს ს. მამულიამ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. ის სწავლობდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკას და განიარაღების პრობლემას, იძლეოდა განიარაღების პრინციპის პოლიტიკურ — სამართლებრივი გეგმების ბურჟუაზიული კონცეფციების კრიტიკას, ამუშავებდა ბირთვული იარაღის აკრძალვის პრობლემას და სხვა.

ს. მამულიამ კარგად იცოდა დასავლეთეუროპული ენები. რაც მას საშუალებას აძლევდა სამეცნიერო ბრუნვაში შემოეტანა მრავალი ახალი მასალა.

ს. მამულიამ გამოაქვეყნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის: „საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთთან თანამშრომლობისა და სოციალისტური შეჯიბრების ისტორიიდან (1959—1965 წწ.“) „საბჭოების გადარჩენები და საბჭოთა დემოკრატიის განვითარება საქართველოში 1926—1929 წწ.“ „საქართველოს საბჭოების საორგანიზაციო — მასობრივი მუშაობა პირველი ხუთწლედის დამამთავრებელ ეტაპზე (1931—1932 წწ.“ „განიარაღების დარგში ბურჟუაზიული კონცეფციების კრიტიკა“ და სხე.

სიცოცხლის ბოლო წლებში ს. მამულიამ მოამზადა დასაბუქლად ნაშრომი: „მითი საბჭოთა სამხედრო მუქარის შესახებ და განიარაღების პრობლემა“. მან უჩვენა ბურჟუაზიული პოლიტიკოსებისა და მეცნიერების მიერ საბჭოთა მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლი-



ტიკის ფალსიფიკაციის უსაფუძვლოება და ბრძოლის პერსპექტივები განიარაღების პრობლემის გარშემო საერთაშორისო ასპარეზზე.

ფართო განათლება და საკითხების ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევდა ს. მამულიას, სპეციალობით იურისტს, ისტორიული პრობლემების კვლევასაც შესწავიღებოდა. ეს კვლევა წარმართებოდა სამართლებრივ-ისტორიულ პრობლემათა ძიების მიმართულებით. სწავლობდა საბჭოურ დემოკრატიას და ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას, ეწეოდა განიარაღების საბჭოური დოქტრინის პროპაგანდას.

მისი ნაშრომები გამოირჩეოდა სიახლის გრძნობით, პრობლემათა გაშუქების ორიგინალობით.

სერგო მამულია სარგებლობდა პატივისცემითა და დამსახურებული ავტორიტეტით კოლეგებსა და ამხანაგებს შორის. იგი ბოლომდე დარჩა პრინციპული, სამართლიანი, კაცთმოყვარე, ჰუმანიტარული კომუნისტი და მოქალაქე. ასეთი იყო სერგო მამულია ცხოვრებაში და ასეთად დაამახსოვრებდა იგი ყველას, ვინც მას იცნობდა. მისი ხსოვნა მუდამ ნათელი იქნება, ყველა ჩვენგანის მეხსიერებაში.

ილია ტაბაღაშა  
 ვახუშტი

## ახალი წიგნები

გამომცემლობა „მცნობიერება“

1. ავტორთა კოლექტივი, ვანი VII.
2. ავტორთა კოლექტივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია ნაკვ. III.
3. ავტორთა კოლექტივი, ქართული ხელოვნება.
4. ავტორთა კოლექტივი, ქართული წყაროთმცოდნეობა.
5. ავალიანი ს. ანტონ პირველი.
6. ბარამიძე ალ., ახლო წარსულიდან.
7. ნათმელაძე მ., საქართველოს მუშათა კლასის ისტორია, ტ. III (რუსულ ენაზე).
8. საყვარელიძე თ., ქართული ოქრომჭედლობა.
9. სოლოვიოვი ნ., აფხაზეთის ქვის ხანის ძეგლები.
10. ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში.
11. ფირცხალაიშვილი რ., ახალი მასალები შ. რუსთაველის ბიოგრაფიიდან.
12. ფლავიოსი იოსებ, იუდეველთა სიძველენი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. მელიქიშვილმა.
13. ჩხარტიშვილი მ., ქართული ჰავიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები.
14. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი, ტ. V.
15. ჯანაშია ს. შრომები, ტ. V.

